

# ეფხემ მციხის ქოცოფონები

ნიგნში განხილულია XI საუკუნის ცნობილი ქართველი მწიგნობრის, ეფრემ მცირის, ორიგინალური ნააზრევი – მის მიერ ნათარგმნ თხზულებზე დართული ანდერძები და წინასიტყვაობები. აქვე ქვეყნდება „მთარგმნელის მოზრახული“ ჩვენამდე მოღწეული ყველა კოლოფონი.

ეფრემ მცირის მოღვაწეობა განსაკუთრებული ეტაპია ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის ისტორიაში. ქართულ მწერლობაში ის ისეთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობის სათავესთან დგას, როგორც ელინოფილიზმია, ხოლო ქართული ჰუმანიტარული აზრის ისტორიაში ის პირველ მეცნიერად, ფილოლოგად, ფილოსოფოსად, ლიტერატურისა და თარგმანის თეორეტიკოსად არის მიჩნეული.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგებისა და ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

**რედაქტორი: ელგუჯა ხინთიბიძე**

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერე-  
ბათა დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები: მიხეილ ქავთარია**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

**თამარ ოთხმეზური**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ყდის დიზაინი და დაკაბადონება:

გიორგი ბაგრატიონი

გარეკანზე გამოსახულია ბანის ტაძრის კაპიტელი.

© დ. თვალთვაძე, 2009

გამომცემლობა „ნეკერი“, 2009

ISBN 978-9941-404-83-2

ეფრემ მცირე, XI საუკუნის II ნახევრის ქართველი მნიგნობარი, „შესანიშნავი მეცნიერი, ფილოლოგი, ფილოსოფოსი და ამავე დროს მთარგმნელი“ (კეკელიძე, 1980, 250) ქართული კულტურის ისტორიაში მრავალმხრივ გამორჩეული მოღვაწეა. მისი მოღვაწეობა დაემთხვა იმ ხანას, როცა საქართველოში იგრძნობა განსაკუთრებული დაინტერესება ბიზანტიური კულტურული მემკვიდრეობით და თანდათან ფეხს იკიდებს ელინოფილური იდეოლოგია. ეფრემი, როგორც მთარგმნელი, რომელმაც ბიზანტიური სასულიერო მწერლობის ასზე მეტი ძეგლი თარგმნა, ქართულ ნათარგმნ მწერლობაში ისეთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობის სათავესთან დგას, როგორც ელინოფილიზმია, ხოლო ქართული ჰუმანიტარული აზრის ისტორიაში მის სახელს უკავშირდება ფილოსოფიური მწერლობისა და მეცნიერული ფილოლოგიური მოღვაწეობის დაწყება, ახალი მთარგმნელობითი მეთოდის შემუშავება, პუნტუაქციის ახალი სისტემის შემოღება, ქართულ ენაზე პირველი ლექსიკონის შედგენა, ორიგინალური ისტორიული შრომის ავტორობა, ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული კვლევის დასაწყისი. კ. კეკელიძის სიტყვებით, ეფრემ მცირემ „ქართულ მწერლობაში შექმნა მთელი ეპოქა, რომელმაც დიდებულად დააგვირგვინა ექვთიმესა და გიორგი მთანმიდელეების სამწერლო ღვაწლი“ (იქვე).

ამ „მრავალი ღვაწლის აღმსრულებელი“ (ბაგრატი მუხრანბატონი, ლოლაშვილი, 1982, 102) „სწავლულისა და მნიგნობრის“, „ნიგნთა თარგმანისა და საღმრთო ფილოსოფოსის“ (ანტონ ბაგრატიონი, 1980, 270) შესახებ ბიოგრაფიული ცნობები ძალზე მწირია. უტყუარად მხოლოდ ის ვიცით, რომ ის მოღვაწეობდა XI საუკუნის II ნახევარში ანტიოქიის მახლობლად, შავი მთის სავანეში. ქართულ წყაროებში დაცული ძუნწი ცნობების საფუძველზე (ჟორდანია, 1882, 33; ცაგარელი, 1889; ბლეიკი, 1924, 225) კ. კეკელიძე ვარაუდობდა, რომ ეფრემი, რომლის გვარი კარიჭისძეა (Jer.16,279r; ბლეიკი, 1926, 166; მარი, 1955, 63; აბულაძე, 1950, 031), უნდა ყოფილიყო სამცხელ დიდებულთა შთამომავალი, შვილი იმ ვაჩე კარიჭისძისა, რომელიც ბანელ ეპისკოპოს იოანესთან და სხვა ტაოელ აზნაურებთან ერთად 1027 წელს გადასახლებულა საბერძნეთში (კეკელიძე, 1980, 253). ეფრემს, რომელიც ბავშვობიდანვე მოხვედრილა ბიზანტიაში, განათლება მიუღია კონსტანტინოპოლში,

ალკვეცილა ბერად და დაახლოებით XI საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს მისულა შავ მთაზე, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სხვადასხვა სავანეში (სვიმონწმიდა, კასტანა და სხვ.).

ძირითადი წყარო ეფრემის მოღვაწეობის გასათვალისწინებლად ისევ მისივე კოლოფონებია, საიდანაც ირკვევა, რომ შავ მთაზე ჩასულ ახალგაზრდა ბერს „ძალმწედ და წიაღმყვანებლად“ (Jer.43,1r) გამოსჩენიან ამ სავანეში მოღვაწე სახელოვანი ქართველი მამანი – საბა სულაფსძე თუხარელი და ეფრემ დიდი ოშკელი, რომელთაც ასწავლეს მას წესი „ბერძნულისაცა წიგნთა კითხვისაჲ“, გააცნეს შავი მთის სკოლის ლიტერატურული ტრადიციები, მთარგმნელობითი პრინციპები და გზა დაულოცეს მთარგმნელობით სარბიელზე. ეფრემის ანდერძების მიხედვით მისი მოძღვარი ყოფილა იოანე ფარაკნელიც, რომელმაც პუნქტუაციის შემოღება ურჩია მას (A24, 4r; დამასკელი, 1976, 69). ეფრემ მცირე ერთგან თავს ანტონი ტბელის „უმარჩევეს მონაფედ“ ასახელებს. ანდერძებში არაერთხელაა ნახსენები ბერი იოანე-კვრიკესი, რომელიც ერთგვარად წარმართავდა ეფრემის მთარგმნელობით საქმიანობას და რომლის დავალებით მას არა ერთი თხზულება უთარგმნია თუ დაუწერია. ეფრემის „მოღვაწენი და განმაძლიერებელნი“, „მზრდელნი და მსახურნი“ ყოფილან მღვდელი გაბრიელი, არსენი, სტეფანე დიაკვანი, გაბრიელ-სტეფანე ჭულეველი და სხვ. მისი ანდერძებიდან ირკვევა, რომ ეფრემს მჭიდრო კავშირი ჰქონია უცხოელ მწიგნობრებთანაც, ადანის მიტროპოლიტ სამუელთან, არაბ ჰაგიოგრაფ მიქაელ ბერთან, ანტიოქიის პატრიარქთან, რომლის ნებართვით ის ხშირად სარგებლობდა სვიმონწმიდის უმდიდრესი წიგნსაცავით.

ეფრემის ანდერძები ააშკარავებენ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ მხარესაც. როგორც ჩანს, ამ ნიჭიერ და თავმდაბლობით გამორჩეულ ბერს, რომელსაც სწორედ სიმდაბლის წინადად თიკუნად „მცირე“ აურჩევია, მრავალი „მაბრალობელი და წინააღმდეგომი“ გასჩენია, რომლებიც „კადნიერებისა და თავისა უმჯობესად გამოჩინების“ (Jer.43,2r; ბრეგაძე, 1988, 148) ბრალდებას უყენებდნენ ექვთიმე და გიორგი ათონელების თარგმანების შესწორებისა და ხელახლა თარგმნის გამო. ეფრემი, რომელსაც დიდ ათონელ მამებთან უშუალო შემოქმედებითი ურთიერთობა არ ჰქონია, მაგრამ მათ მონაფედ და საქმის გამგრძელებლად მიიჩნევდა თავს, იძულებული ყოფილა, თავი ემართლებინა „მრავალკერძო შემოკრებილ მამრალეებელთა წინაშე“ (კეკელიძე, 1945, 266).

ალსანიშნავია მისი ბიოგრაფიის კიდევ ერთი დეტალი: 1091

ნლის მახლობლად ეფრემი კასტანის მონასტრის წინამძღვარი ჩანს, რაზეც მიგვითითებს იქ გადანერვილი ერთი ხელნაწერის (Q37) ანდერძი (Q1,44; ჟორდანია, 1892, 215; თაყაიშვილი, 1914, 82; მ. შანიძე, 1971, 72 მენაბდე, 1980, გვ. 159).

შავი მთა ეფრემს სიკვდილამდე არ დაუტოვებია. კ. კეკელიძის აზრით, „ეფრემი უნდა გარდაცვლილიყო მეთერთმეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში. ყოველ შემთხვევაში რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) აქტები მას მიცვალებულთა რიცხვში იხსენებენ“, – აღნიშნავს მკვლევარი (კეკელიძე, 1980, 253). რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ჩატარების თარიღად, რომლის „ძეგლისწერის“ ბოლოს დართულ სინოდიკონში სხვა გარდაცვლილ მამათა შორის მოხსენებულია ეფრემ მცირეც<sup>1</sup>, უკანასკნელ ხანს მკვლევრები 1104 (მეტრეველი, 1990) ან 1105 წელს (გაბიძაშვილი, 1978) ასახელებენ. შესაბამისად, ეფრემის გარდაცვალება 1104 ან 1105 წლის უწინარეს უნდა ვივარაუდოთ.

მიუხედავად იმისა, რომ ეფრემ მცირე ქართული ლიტერატურის ისტორიაში კარგად ცნობილი მოღვაწეა (ამას მოწმობს თუნდაც ზემოთ დასახელებული საეკლესიო კრების ძეგლისწერის სინოდიკონში მისი მოხსენიება ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებთან ერთად), მის შესახებ შემდეგი დროის მნიგნობართა ნაწერებში მწირი და ზოგ შემთხვევაში არასწორი ცნობები გვაქვს. ეფრემს ასახელებენ სხვა ქართველ მთარგმნელთა შორის ბაგრატ მუხრან-ბატონი (ლოლაშვილი, 1982, 102-103), რომლის მეტად არაზუსტი ცნობები გაუსწორებია მისი თხზულების ანონიმ ინტერპოლატორს (იქვე, 103-104; Q300, 418-420; H 2235, 386), ზაქარია გაბაშვილი (ლოლაშვილი, 1982, 16-17), ანტონ კათალიკოსი, რომლის „წყობილსიტყვაობაში“ მოცემულ ცნობებს (ანტონ ბაგრატიონი, 1980, 339-340) თითქმის უცვლელად იმეორებს „კალმასობის“ ავტორი იოანე ბატონიშვილი (იოანე ბატონიშვილი, 1948, 162). ეფრემ მცირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეულ საკითხებს ეხებიან იაკობ შემოქმედელი (ლოლაშვილი, 1982, 106) და დავით დადიანი, რომელსაც ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ და იოანე სინელის „კლემასის“ პეტრიწისეული თარგმანის ხელნაწერის აშიებზე (S344,S399) მიუწერია თავისი აზრი ეფრემის თაობაზე (ლოლაშვილი, 1982, 155-156).

ეფრემ მცირის მოღვაწეობას ეხებოდნენ ძველი ქართული

---

1 „დაუსრულებელისა ნეტარებისა მკვდრთა ბერთა ჩუენთა საბა სულაჲს ძისა და ანტონ ტბელისა და ეფრემ მცირისაჲ საუკუნომცა არს წსენებაჲ“. გვ. 196.

ლიტერატურის ისტორიის პირველი მკვლევრები: თეიმურაზ ბაგრატიონი (თეიმურაზ ბატონიშვილი, 1948), ს. დოდაშვილი (დოდაშვილი, 1832), პ. იოსელიანი (ანტონ ბაგრატიონი, 1853; იოსელიანი, 1850), მ. ბროსე (ბროსე, 1838); ზ. ჭიჭინაძე (ჭიჭინაძე, 1887), ალ. ხახანაშვილი (ხახანაშვილი, 1889), რომელთა ცნობები და ძირითადად ალორძინების ხანის მწიგნობართა ნააზრევს და ზეპირ გადმოცემებს ემყარება და ზოგჯერ არასწორია. ეფრემ მცირის, ისევე როგორც საერთოდ ძველი ქართული ლიტერატურის სხვა წარმომადგენლების, შემოქმედების მეცნიერული შესწავლა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც XIX საუკუნის II ნახევრიდან ე. თაყაიშვილის, ა. ცაგარლის, თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, რ. ბლეიკის, ჟ. გარიტის და სხვათა მიერ აღინერა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ დაცული ქართული ხელნაწერები და შესაძლებელი გახდა ქართველ მწერალთა და მთარგმნელთა მიერ განეული მუშაობის მეტ-ნაკლები სისრულით წარმოდგენა.

პირველი სრულყოფილი დახასიათება ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობისა კორნელი კეკელიძეს ეკუთვნის, რომელმაც თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ (I გამოცემა 1923 წ.) ვრცლად გააანალიზა ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი, მოგვცა მისი თარგმანების ზოგადი მიმოხილვა. ეფრემ მცირის მთარგმნელობით პრინციპებს ეხებოდა კ. კეკელიძე ნაშრომშიც „მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“ (კეკელიძე, ეტ. I, 183-198). ეფრემის მოღვაწეობის არაერთი ასპექტია შესწავლილი მის ცალკეულ შრომებში (კეკელიძე, ეტ. II, 99-108; 237-269; ეტ. IV, 110-134; ეტ. V, 212-227; ეტ. VI, 18-41; ეტ. XI, 178-240).

ეფრემ მცირის მრავალმხრივი მოღვაწეობა არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი ყოფილა. ეფრემს სწავლობენ როგორც მთარგმნელსა და თარგმანის საკუთარი თეორიის შემქმნელს კ. კეკელიძე (კეკელიძე, 1923; 1956; 1980), თ. ბეგიაშვილი (ბეგიაშვილი, 1927), რ. ბლეიკი (ბლეიკი, 1926), ი. აბულაძე (აბულაძე, 1950), ე. მეტრეველი (მეტრეველი, 1959), ე. ხინთიბიძე (ხინთიბიძე, 1968; 1969; 1982), კ. დანელია (დანელია, 1974), ე. ნიკოლაძე (ნიკოლაძე, 1959), ლ. დათიაშვილი (დათიაშვილი, 1984), ქ. ბეზარაშვილი (ბეზარაშვილი, 1999; 2003; 2004), თ. ოთხმეზური (ოთხმეზური 1995; 1995ა; 2001; 2004), მ. რაფავა (რაფავა, 1995). ეფრემს როგორც გრამატიკოსსა და ლექსიკოგრაფს ეხებოდნენ ი. აბულაძე, (აბ-

ულაძე, 1950), ს. ყაუხჩიშვილი (ყაუხჩიშვილი, 1945), მ. შანიძე (შანიძე, 1968, 1987), ალ. ფოცხიშვილი (ფოცხიშვილი, 1979) ზ. სარჯველაძე (სარჯველაძე, 1984), ალ. ლლონტი, (ლლონტი, 1988), კ. დანელია (დანელია, 1982), თ. უთურგაიძე (უთურგაიძე, 1991) ნ. დობორჯგინიძე (დობორჯგინიძე, 1995; 1995ა; 1998; 2000; 2001; ლ. ქაროსანიძე (ქაროსანიძე, 1998); ეფრემი როგორც ისტორიკოსი და საქართველოს და ბიზანტიის ისტორიის ცალკეული საკითხების შესახებ უტყუარი ცნობების მომწოდებელი მწერალი დახასიათებულია ივ. ჯავახიშვილის (ჯავახიშვილი, 1977), მ. კახაძის (კახაძე, 1954), ს. გამსახურდიას (გამსახურდია, 1966), ვ. გოილაძის (გოილაძე, 1991) და სხვათა ნაშრომებში. ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ფილოსოფიური თხზულებები და ეფრემი როგორც ფილოსოფოსი არის ნ. მარის (მარი, 1909) შ. ნუცუბიძის (ნუცუბიძე, 1956; 1976; იოანე პეტრინი, 1937), ს. გორგაძის (გორგაძე, 1923; 1926), შ. ხიდაშელის (ხიდაშელი, 1952), დ. მელიქიშვილის (დ. მელიქიშვილი, 1975; 1983; 1987; 1999), თ. კუკავას (კუკავა, 1988); მ. რაფავას (იოანე დამასკელი, 1976), მ. ნემსაძის (ნემსაძე, 1981) ინტერესის საგანი; ეფრემ მცირის ფილოლოგიური და მეცნიერული მოღვაწეობა, ეფრემი როგორც ტექსტოლოგი შესწავლილია კ. კეკელიძის (კეკელიძე, 1980), ს. ყაუხჩიშვილის (ყაუხჩიშვილი, 1946), ი. აბულაძის (აბულაძე, 1950), ე. ხინთიბიძის (ხინთიბიძე, 1963; 1969; 1982), მ. შანიძის (შანიძე, 1975), ი. ლოლაშვილის (ლოლაშვილი, 1967; 1978) შრომებში; ეფრემის ლიტერატურულ შეხედულებებს, ეფრემ მცირეს, როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსსა და ისტორიკოსს სწავლობენ კ. კეკელიძე (კეკელიძე, 1980; 1957), ლ. მენაბდე (მენაბდე, 1980), რ. სირაძე (სირაძე, 1975; 1978), გ. ალიბეგაშვილი (ალიბეგაშვილი, 1988, 1992), ქ. ბეზარაშვილი (ბეზარაშვილი 2004).

ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებებზე მსჯელობს თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც მის მიერ თარგმნილი თხზულების შესწავლას თუ გამოსაცემად მომზადებას ჰკიდებს ხელს. კერძოდ: ს. ენუქაშვილი (პეტრე იბერიელი, 1961), რ. მიმინოშვილი (მიმინოშვილი, 1966), მ. რაფავა (დამასკელი, 1976; რაფავა, 1989; 1990, 1990, ა) თ. ბრეგაძე (ეფრემ მცირე, უწყება, 1959; ბრეგაძე, 1971), ნ. გოგუაძე (მეტაფრასული კრებულები, 1986), თ. ოთხმეზური (ოთხმეზური, 1989; 1989, ა; 1992, ა; 1995; 1995, ა; 2004), ნ. კანდელაკი (ნ. კანდელაკი, 1962), ქ. ბეზარაშვილი (ქ. ბეზარაშვილი 1989, ა; 1989, ბ; 1995; 2003; 2004), ნ. მელიქიშვილი (ნ. მელიქიშვილი, 1987; 1991; 1991, ა; 1999; 2001.),

ლ. ხაჩიძე (ლ. ხაჩიძე, 1991; 1994; 2009). ეფრემის მიერ შემუშავებულ მთარგმნელობით პრინციპებს გვერდს ვერ აუხვევს თარგმანის ისტორიისა და თეორიის მკვლევარიც (გაჩეჩილაძე, 1958; გაფრინდაშვილი, ოძელი, 1987; გაფრინდაშვილი, 1992).

ზემოთ ჩამოთვლილ მკვლევართა უმრავლესობა ეფრემის მთარგმნელობით მეთოდზე საუბრისას წინა მთარგმნელებთან შედარებით თარგმნისას მეტი სიზუსტის დაცვასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავს ეფრემის თარგმანებისთვის დამახასიათებელ ერთ თავისებურებას. ესაა ნათარგმნი თხზულებებისათვის მთარგმნელის მრავალრიცხოვანი შენიშვნების დართვა. შენიშვნები ჩვეულებრივ ხელნაწერის ამიებზეა გაკეთებული. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „ეფრემი, როდესაც რამეს თარგმნიდა, დედნის სიტყვებს „მარტივად, შეუზავებლად და შეუხებლად“ გადმოსცემდა ხოლმე, მაგრამ აზრის ნათელსაყოფად ის ამიებზე ურთავდა განმარტებასა და სქოლიოებს, რომლებითაც მოქარგულია ხოლმე ძირითადი ტექსტი ნათარგმნი თხზულებებისა“ (კეკელიძე, 1980, 254). გარდა ამისა, მთარგმნელის სიტყვა, ანუ „მოზრახული“, როგორც ეფრემი უწოდებს მათ, თარგმანს ერთვის თავშიც და ბოლოშიც, წინასიტყვაობისა და ანდერძის სახით, სადაც თარგმანთან დაკავშირებული მრავალი საკითხია განხილული. მთარგმნელის ამგვარი კომენტარები ეფრემ მცირეს წარმოგვიდგენენ ბიზანტიური ლიტერატურის ძეგლთა არა უბრალოდ მთარგმნელად, არამედ მთარგმნელ-კომენტატორად. ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის სწორედ ეს ასპექტი, ეფრემი როგორც ბიზანტიური მწერლობის ძეგლების მთარგმნელ-კომენტატორი ავირჩიეთ ჩვენ შესწავლის ობიექტად, რადგან ეს მხარე მისი შემოქმედებისა ნაკლებადაა შესწავლილი და ამასთანავე, გვაძლევს მეტად უხვ მასალას ეფრემის როგორც მრავალმხრივი მოღვაწის, ფრიად ერუდირებული მთარგმნელის, მეცნიერის, ტექსტოლოგის, ენათმეცნიერის, ლექსიკოგრაფის, ლიტერატურის ისტორიკოსისა და კრიტიკოსის შესასწავლად. ეფრემის კომენტართა მნიშვნელობა „განუზომელია ძველი ქართული მწერლობის ისტორიისათვის... მნიშვნელოვანწილად ისინი წარმოადგენენ ორიგინალური შემოქმედების ნაყოფს და გვითაღისწინებს ძველი ქართული ფილოსოფიური და მეცნიერული აზროვნების დონეს“ (მიმინოშვილი, 1966, გვ. 116).

ეფრემ მცირის კომენტატორული საქმიანობა მის მთარგმნელობით მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. ეფრემი კომენტარს ურთავდა მხოლოდ საკუთარ თარგმანებს. გამომდინარე



მისი ინტერესთა სფეროს მრავალფეროვნებიდან ეფრემის კომენტარებიც მრავალ განსხვავებულ საკითხს ეხება. აქ შევხვდებით მთარგმნელის შენიშვნებს ქართული და ბიზანტიური ლიტერატურის ცალკეულ პრობლემებზე, კონკრეტული ძეგლების თარგმნასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თეოლოგიური, ფილოსოფიური, ისტორიული, მითოლოგიური, ლექსიკური თუ გრამატიკული ხასიათის განმარტებებს გაკეთებულს საგანგებოდ ქართველი მკითხველისათვის.

ნათარგმნი თხზულებისათვის ამგვარ კომენტართა დართვა, რაც ეფრემის დროს ბიზანტიურ მწერლობაში გავრცელებული და მიღებული პრაქტიკა იყო (გარდტჰაუზენი, 1911-1913; გრონინგენი, 1955; ბეკი, 1959; საიდაკი, 1914; კაჟდანი, 1973.), ბერძნულ ტრადიციებზე აღზრდილმა და შავი მთის ქრისტიანულ სავანეში მოღვაწე ეფრემ მცირემ ბიზანტიელი მწიგნობრებისაგან ისწავლა და გადმოიღო. „ბერძენიცა ეგრეთ ჰყოფენო“, – არაერთხელ აღნიშნავს თავის ანდერძებში.

კომენტატორული საქმიანობა, რაც ჯერ კიდევ ანტიკურ და ელინისტურ პერიოდში იყო გავრცელებული საბერძნეთში (მხედველობაში გვაქვს ჰომეროსის პოემების მრავალი კომენტატორი, ელინისტურ ხანაში ალექსანდრიელი მოღვაწეებისა და სხვათა საქმიანობა (დინდოსფიუსი, 1875; სვიტი, 1914), განსაკუთრებით გაძლიერდა ბიზანტიურ პერიოდში (კრუმბახერი, 1897, 210, 216; კეკელიძე, ეტ. XI, 178-181). IV-V საუკუნეების ბერძენი კომენტატორები განმარტებებს ურთავდნენ, უწინარეს ყოვლისა, ბიბლიას, ძველი და ახალი აღთქმის ცალკეულ წიგნებს (პატრი, 25-42), განმარტავდნენ მათ ალეგორიულად (ალექსანდრიული სკოლა) და რეალისტურ-ისტორიულად (ანტიოქიის სკოლა) (კეკელიძე, ეტ. XI, 180). მაგრამ მოგვიანებით, VI საუკუნიდან, გარდა წმინდა ეგზეგეტიკური, ანუ საღმრთო წერილის თუ ეკლესიის მამათა სიბრძნის ალეგორიული თუ რეალისტური განმარტებისა, ბიზანტიელი კომენტატორები თავიანთ შენიშვნებში მრავალ ისეთ საკითხსაც ეხებოდნენ, რაც ფილოსოფიის, ისტორიის, ლიტერატურის, გრამატიკისა და სხვა მეცნიერული დისციპლინების სფეროს განეკუთვნება. მათმა ნააზრევმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ დისციპლინების შემდგომ განვითარებასა და წინსვლაში.

ბიბლიურ წიგნთა კომენტარების გარდა, ინერებოდა განმარტებები ეკლესიის მამათა ცალკეულ თხზულებებზე, რაც საეგზეგეტიკო მწერლობის ახალი ეტაპის დასაწყისია. ამგვარ კომენტართა სპეციფიკას, მათ შინაარსს განსაზღვრავდა ხშირ შემთხვევაში

ეპოქა და გარემო, რომელშიც იქმნებოდა კომენტარი. მაგალითად, ადრებიზანტიური სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნარმომადგენლის, გრიგოლ ნაზიანზელის (329-390წ. წ) მოძღვრება ქრისტიანობის ძირითადი დოგმების შესახებ, რომელიც მან თავის ჰომილიებში ჩამოაყალიბა, მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში იზიდავდა ცნობილ ბიზანტიელ სწავლულებს და ხშირად ხდებოდა მათი განსჯისა და განმარტების საგანი. გრიგოლის თხზულებების კომენტატორები იყვნენ ქრისტიანული მწერლობის ისეთი ცნობილი ნარმომადგენლები, როგორებიც არიან: დოროთე ლაზელი, მაქსიმე აღმსარებელი, იოანე გეომეტრი, ნონე, მიქელ ფსელოსი, ნიკიტა ჰერაკლიელი, ელია კრიტელი, ბასილი მინიშუსი და სხვ. (საიდაკი, 1914; 1929/30; ოთხმეზური, 1989, ა, 3-4; ბეზარაშვილი, 2004), რომლებიც გრიგოლის თხზულებებს სხვადასხვა კუთხით (რიტორიკული, მითოლოგიური, დოგმატიკური, თეოლოგიური და სხვ.) განმარტავდნენ.

„ყოველი მწერლის შემოქმედება ასე თუ ისე ჩართულია თავისი დროის ლიტერატურის განვითარების კონტექსტში და მრავალმხრივ კავშირში იმყოფება ეპოქის ცოცხალ ლიტერატურულ პროცესთან. ამასთან ერთად, იგი საზრდოობს ტრადიციით და ეყრდნობა წარსულის მხატვრულ მიღწევებს“ (ვინოგრადოვი, 1960, 11). ამ საყოველთაო კანონზომიერებას ექვემდებარება ეფრემ მცირის შემოქმედებაც. XI-XII საუკუნე ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების განმტკიცებით აღინიშნა. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, "ბიზანტიზმი ამ დროის ქრისტიანულ ქვეყნებში ყველგან თავისებურ „მოდად“ იყო გადაქცეული და კულტუროსნობის მაჩვენებლად (კეკელიძე, 1980, 62), ბიზანტიაში კი ამ დროს სხვა ფილოლოგიურ დისციპლინებთან ერთად ფართოდ იყო გავრცელებული ტექსტუალური კომენტარია და ქართული მნიგნობრებიც, რომლებიც "სამღრთო შურით დაენაფნენ" (კ. კეკელიძე) ბერძნულენოვან ქრისტიანულ მწერლობას, საეკლესიო მწერლობის მრავალი ძეგლის ქართულად თარგმნასთან ერთად მათზე დართულ კომენტარებსაც თარგმნიდნენ. ასე ითარგმნა „ელინთა ზღაპრობანის“ სახელით ცნობილი გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებისათვის ნონეს მიერ შედგენილი მითოლოგიური განმარტებანი (ფსევდონონე, 1989), ითარგმნა ნაზიანზელის სხვა კომენტატორთა ნააზრევი (Jer.13), ქართულად გადმოიღეს სხვადასხვა შინაარსის არაერთი განმარტება, რომელიც ახლდა ბასილი დიდის, გრიგოლ ნოსელის, დიონისე არეოპაგელის, იოანე დამასკელის და სხვათა თხზულებებს. და, რაც

მთავარია, ქართველმა მთარგმნელებმა ბერძენთა მიზაძვით თვითონაც დაიწყეს ამგვარი შენიშვნა-კომენტარების დართვა თავიანთი თარგმანებისათვის.

ხელნაწერთა აშეიბზე შენიშვნების გაჩენა ბიზანტიაშიც და საქართველოშიც, ისევე როგორც ალბათ ყველგან, ერთი მიზეზით იყო განპირობებული და ერთი მიზანი ჰქონდა – ტექსტის სწორად გაგება. ოღონდ ბერძენ კომენტატორთაგან ოდნავ განსხვავებული ფუნქცია ეკისრათ მთარგმნელ-კომენტატორებს და მათ შორის ქართველებსაც, რომლებსაც ტექსტის ზუსტად თარგმანის სურვილი ბევრი „სიტყვის ძალის უკეთ განცხადების“ (ეფრემი) საშუალებას ტექსტშივე არ აძლევდა. ამიტომ იძულებული ხდებოდა ასეთი „სიტყვს ძალის უკეთ განმაცხადებელი“ შენიშვნები აშიაზე, ანუ „კიდეთა ზედა ადგილ-ადგილ“ დაენერა. ნათარგმნი ტექსტისთვის ამგვარი შენიშვნების დამრთველი მთარგმნელიც კომენტატორია, უფრო სწორად მთარგმნელ-კომენტატორი, რომლის ნააზრევი ერთნაირად საინტერესოა ორივე ენაზე (როგორც ქართული, ისევე ბერძნული) შექმნილი ლიტერატურის მკვლევართათვის.

მართალია, ქართველ მთარგმნელ-კომენტატორთა შენიშვნებში იმთავითვე ცალკეული ლექსიკური ერთეულების განმარტებები ჭარბობდნენ (სარჯველაძე, 1984, 201-232), მაგრამ გვხვდება სხვა შინაარსის კომენტარებიც. ლექსიკურ განმარტებათა სიმრავლე კი იმით აიხსნება, რომ მთარგმნელის უმთავრესი პრობლემა „ქართული შემსგავსებული სიტყვის“ (ეფრემი) პოვნაა, რაც ზოგჯერ დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული და ამიტომაც ხშირად მის მიერ „მოპოვებული სიტყვით“ უკმაყოფილო მთარგმნელი აშიაზე შენიშნავს: „სხუაა უკეთესი ვერა ვპოვე და შემინდევით“ (ეფრემი), ამასთანავე, ამ სიტყვის მნიშვნელობის განმარტებასაც იძლევა.

მთარგმნელის ამგვარი შენიშვნები ადრეულ ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით ბევრია ისინი ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის და ელინოფილური სკოლის სხვა მნიგნობართა ნაწერებში. ეფრემ მცირესთან ამას მისი მთარგმნელობითი მეთოდი განაპირობებდა: ერთი მხრივ, სიზუსტის დაცვა – „დედასა არარაჲ ჩავრთო“ და მეორე მხრივ ის, რომ „თარგმანს სიტყვსა ძალი და მოქცევი დედნისაჲვე აქუნდეს“, რაც ამ მეთოდით მომუშავე მთარგმნელს ერთადერთ გზას უტოვებდა – ნათარგმნი თხზულებებისათვის შენიშვნები აშეიბზე დაერთო. ამიტომაც გამოიკვეთა ეფრემ მცირის მთარგმნელობითი საქმი-

ანობის ერთ-ერთ თავისებურებად თარგმანისათვის სქოლიო-კომენტარების დართვა.

მაგრამ ეფრემის კომენტატორული საქმიანობა ხელნაწერის კიდებზე შენიშვნების მოთავსებით არ ამოიწურება. ეფრემი ქართული მწერლობის და ხშირად არა მარტო ქართული, არამედ ბიზანტიური მწერლობის კომენტატორად გვევლინება თხზულებას დართულ ვრცელ ანდერძებსა და წინაბჭებებში, სადაც ძეგლის თარგმნასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებთან ერთად მრავალ ისეთ საკითხსაც ეხება, რაც ამ ანდერძებს ერთგვარ ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის გამოკვლევებად აქცევს.

ეფრემის ანდერძები, შესავალი წერილები, ხელნაწერის აშეებზე მოთავსებული მარგინალური შენიშვნები და „შეისწავებები“ ანუ მთარგმნელის მიერ ტექსტზე დართული ყველანაირი კომენტარი, ჩვენ ეფრემ მცირის ანდერძებში დადასტურებული ტერმინით **„მთარგმნელის მოზრახულით“** აღვნიშნეთ და სწორედ ისინი გავიხადეთ შესწავლის ობიექტად. **„მთარგმნელის მოზრახული“** მთარგმნელის ორიგინალური ნაშრომია, მისი შეხედულებების, განათლების, ინტერესთა სფეროს და ერუდიციის გამოვლენის საუკეთესო საშუალებაა. ეფრემ მცირის კოლოფონები – „თავისა და ბოლოსა ანდერძები“, „კიდეთა ზედა წარწერილი თარგმანები“ და „შეისწავებები“ საუკეთესო მასალას გვაძლევენ ეფრემის როგორც ფილოლოგის, ენათმეცნიერის, ლიტერატურის ისტორიკოსის, ფილოსოფოსისა და, რაღა თქმა უნდა, მთარგმნელის დასახასიათებლად. თარგმანებს დართულ კომენტარებში გამოვლინდა იგი როგორც შესანიშნავი მცოდნე ბიზანტიური და ქართული ლიტერატურისა, მეცნიერი მკვლევარი ბერძნული და ქართული ენისა, დაკვირვებული ტექსტოლოგი და ღრმად ერუდირებული კომენტატორი. კომენტატორული საქმიანობა მხოლოდ მრავალმხრივ განათლებულ ადამიანს ხელეწიფება. საეკლესიო მწერლობის კომენტატორი კარგად უნდა ერკვეოდეს არა მარტო ღვთისმეტყველების საკითხებში, არამედ ლექსიკოლოგიის, გრამატიკის, ლიტერატურის, ისტორიის, მითოლოგიის კარგი მცოდნეც უნდა იყოს. ეფრემ მცირე, როგორც კომენტატორი, თავის „მოზრახულში“ სწორედ ამგვარ მრავალმხრივ განსწავლულობას ამჟღავნებს. ზოგიერთი მისი ანდერძი თუ წინასიტყვაობა ლიტერატურათმცოდნეობითი ხასიათის მეცნიერული ნაშრომია, ზოგი „შეისწავე“- ჩამოყალიბებული გრამატიკული ტრაქტატი; ზოგჯერ ცალკეული სიტყვის მნიშვნელობის განმმარტავი სქოლიო ამ სიტყვის ისტორიის შესახებ დაწერილი ენათმეცნიერული

ნარკვევია და ა. შ. და, რაც მთავარია, მთარგმნელის ასეთი შენიშვნები გვაქვს არა თითოთოროლა, არამედ ძალიან ბევრი და ერთვის ეფრემის მიერ თარგმნილ თითქმის ყველა მნიშვნელოვან ძეგლს, რაც, ბუნებრივია, განაპირობებს შესასწავლი მასალის მოცულობით სიდიდესაც.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო ეფრემ მცირის ნათარგმნი თხზულებების შემცველი ხელნაწერებიდან ამოგვეკრიბა მთარგმნელის ყველანაირი კომენტარი: ანდერძები, წინასიტყვაობები და აშეიბზე გაკეთებული შენიშვნები. მთარგმნელის კომენტარის გარკვეულ სახეობად მიგვაჩნია ტექსტში ჩართული განმარტებებიც ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობისა, რაც აგრეთვე ჩვენი შესწავლის სფეროში შემოდის.

როგორც აღვნიშნეთ, მთარგმნელის „მოზრახული“ ეფრემის მიერ თარგმნილ თითქმის ყველა მნიშვნელოვან თხზულებას ახლავს, რომლებიც ჩვენამდე 160-მდე ხელნაწერთაა მოღწეული. ამიტომ ეფრემის კოლოფონების (ანდერძებისა და წინასიტყვაობების) და კომენტარების („შეისწავეების“, ხელნაწერის „კიდეთა და პატივთა ზედა“ მოთავსებული მთარგმნელის ყოველგვარი შენიშვნის) შესაკრებად საჭირო იყო ეფრემის თარგმანების შემცველი ყველა ხელნაწერის შესწავლა, რომ სრულად გვეჩონდა ხელთ ეფრემის „მოზრახული“. ამ მიზნით შევისწავლეთ თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი), დაცული 80-მდე ხელნაწერი, რომელთა დიდი ნაწილი XI-XIII საუკუნეების დაზიანებული ნუსხებია. ამასთან, ყველაზე მეტად დაზიანებულია ხელნაწერის კიდებზე მოთავსებული მთარგმნელის სქოლიოები და „თავსა და ბოლოსა წიგნისასა“ დართული კოლოფონები, რადგან წიგნის ხშირი ხმარებისას მისი სწორედ ეს ნაწილები იცვითებოდა და ზიანდებოდა. ამასთანავე, ჩვეულებრივ, აშეიბზე მოთავსებული შენიშვნები უფრო წვრილი ხელითაა ნაწერი და ხშირად ძალიან ცუდად გაირჩევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელთ ხელნაწერის მხოლოდ ფოტოები გვაქვს და არა დედანი. მიუხედავად ამისა, ეფრემის თარგმნილი ყველა მნიშვნელოვანი თხზულების ნუსხიდან გადმოვინერეთ მისი ან მისად მისაჩნევი სქოლიო თარგმანის იმ ტექსტთან ერთად, რომლის განსამარტავადაც იყო ის დაწერილი. იმ შემთხვევაში, როცა ხელნაწერზე ხელი არ მიგვინვდებოდა, დაკვამყოფილდით აღწერილობებში მოცემული ცნობებით და სამეცნიერო ლიტერატურაში ციტირებული მთარგმნელის შენიშვნების გადმოწერით. საბოლოოდ, ეფრემის ანდერძებისა და წინასიტყვაობების რიცხვმა

30-ს მიაღწია, ხოლო სქოლიო-კომენტარების რაოდენობამ 200-ს გადააჭარბა, რომელთა შესწავლის დროს ჩვენ წინაშე დადგა ზოგიერთი თეორიული საკითხის გადაჭრის აუცილებლობა. კერძოდ, დაზუსტება მოითხოვა ზოგიერთმა პალეოგრაფიულმა და კომენტატორულ საქმიანობასთან დაკავშირებულმა ტერმინმა; საჭირო გახდა ნათარგმნი თხზულების კომენტირების ეფრემისეული პრინციპების შესწავლა და მრავალრიცხოვანი სქოლიო-კომენტარების გარკვეული ნიშნით კლასიფიცირება, რადგან ეფრემის შენიშვნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც დანიშნულებით, ასევე კონსტრუქციულად და შინაარსითაც. ამიტომ წიგნის პირველი თავი მივუძღვენით ეფრემის მთარგმნელობითი და კომენტატორული საქმიანობის ზოგად მიმოხილვას, მთარგმნელის შენიშვნათა კლასიფიკაციის პრინციპებზე მსჯელობას და ზოგიერთ სხვა საკითხს. წიგნის მეორე თავი ეფრემის „თავისა და ბოლოესა ანდერძების“ ანალიზს ეთმობა, მესამე თავში განხილულია ეფრემის მოზრახულში დაცული ცნობები ბიზანტიური ფილოლოგიის ზოგიერთ საკითხზე, ეფრემ მცირის ანდერძები და „შეისწავეები“ შესწავლილია როგორც წყარო ბიზანტიური და ქართული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად.<sup>2</sup>

2 კოლოფონთა და სქოლიოთა შესწავლის დროს ცხადი გახდა, რომ ეფრემის მრავალმხრივი კომენტატორული საქმიანობის სრულყოფილად წარმოდგენა ამ ნაშრომში ვერ მოხერხდებოდა. ამიტომაც წიგნში ამჯერად ეფრემის ეფრემ მცირის „მოზრახულის“ მხოლოდ ნაწილის ანალიზს წარმოვადგენთ, კერძოდ, განვიხილავთ მთარგმნელის ყველა კოლოფონს, ანუ „მთარგმნელის მოზრახულ“ ანდერძებსა და წინასიტყვაობებს, როგორც ყველაზე ვრცელ და მრავალი საინტერესო საკითხის შემცველ ტექსტებს და ეფრემის იმ „შეისწავეებს“, რომლებიც ქართული და ბიზანტიური ლიტერატურის ამა თუ იმ საკითხს შეეხება. ეფრემის გრამატიკული და ლექსიკოლოგიური ხასიათის შენიშვნების ანალიზი წარმოდგენილი იქნება ცალკე ნაშრომი. ამ საკითხებზე უკვე გამოქვეყნებული გვაქვს რამდენიმე შრომა: კერძოდ, ეფრემ მცირის ერთი გრამატიკული ხასიათის სქოლიო, თსუ ახ. მეცნ. შრ. კრებული XVI, 1988, 2216-221; ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული ხასიათის სქოლიოებისა და სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიმართებისათვის: „მაცნე“, 1989, N3, გვ. 68-77; ეფრემ მცირის გრამატიკული ხასიათის სქოლიონი, მოხსენება ნაკითხული ა. შანიძის დაბადების 107-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 1994 წ. 15 მარტი; პუნქტუაციათან დაკავშირებული ტერმინოლოგია ეფრემ მცირის ანდერძებსა და სქოლიოებში: ბ. ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები თბ., 1995, გვ. 14-15; ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული ხასიათის სქოლიონი: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა

„ეფრემ მცირე შესანიშნავი, სწორუპოვარი ქართველი მეცნიერი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იყო და ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა მისი ნაღვანი და ყველა ნაშრომი ისე გამოვცეთ და შევისწავლოთ, როგორც მის დიად სულს, მაღალ გონებას და ღრმა სამეცნიერო ცოდნას და ნიჭს შეეფერება“, – ნერდა ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი, 1977, 175). აქ ეფრემის „ნაღვანსა და ნაშრომში“ მის თარგმანებთან და ორიგინალურ თხზულებებთან ერთად უთუოდ იგულისხმება მთარგმნელის მოზრახული შენიშვნები და ანდერძებიც, რომელთა დიდ მნიშვნელობაზე თვითონ ივანე ჯავახიშვილივე მიუთითებდა ჩვენი ნიგნი მოკრძალებული ცდაა ეფრემ მცირის თარგმანებს დართული „მთარგმნელის მოზრახული“ კოლოფონების შესწავლისა.

---

თეზისები, თბ., 1995, გვ. 50-51; ბერძნულიდან შემოსული რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობისათვის ეფრემ მცირის „შეისწავლების“ მიხედვით, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა მოხსენებათა მასალები, თბ., 1998, გვ. 48-49; „წმის საქცეველი“ ნიშნები ეფრემ მცირის თარგმანებში, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გრიგოლ კიკნაძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა მასალები, თბ., 1999, გვ. 56–58; ეფრემ მცირე და ქართული სალიტერატურო ენის ზოგიერთი საკითხი: ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, თბ., 2007, გვ. 119-124; ეფრემ მცირის თარგმანები – სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთი წყარო, აკად. სერგი ჯიქიას დაბადებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2008.

# თავი I

## ეფრემ მცირის მთარგმნელობითი და კომენტატორული მოღვაწეობა

ეფრემ მცირის მთარგმნელობითი საქმიანობის ზოგადი დახასიათება. ქართულმა მთარგმნელობითმა საქმიანობამ თავისი ისტორია დღეისათვის ცნობილი მასალების მიხედვით, როგორც ჩანს, V საუკუნიდან დაიწყო, როდესაც პირველად ითარგმნა ბიბლიური ნიგნები, ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები, რასაც შემდგომში მოჰყვა ქრისტიანული საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის მრავალი ნიმუშის გადმოღება. განსაკუთრებული ეტაპი ქართული ლიტერატურის ისტორიაში იწყება ათონის ლიტერატურული სკოლის ჩამოყალიბების შემდეგ, როცა ქართველ მთარგმნელთა წინაშე დგება საკითხი ბიზანტიური მწერლობის სწრაფი და სრულყოფილი ათვისებისა. ბერძნებთან პოლიტიკური და კულტურული მეტოქეობის იდეამ მთარგმნელთა მთავარ საზრუნავად აქცია იმ ხარვეზის უმოკლეს დროში ამოვსება, რომელიც ქართულ მწერლობას ბიზანტიურთან შედარებით ჰქონდა. ქართველმა მოღვაწეებმა ექვთიმე ათონელის მეთაურობით მიზნად დაისახეს ეთარგმნათ ბიზანტიური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები და დიდი მონდომებით შეუდგნენ ამ საქმიანობას. „მტკიცე საზრდელისათვის“ მოუზადებელ ქართველ მკითხველს ექვთიმე „სძითა ზრდიდა და მხალითა“ (Jer. 43, 2r; მარი, 1955, 73; ბრეგაძე, 1988, 148), ამიტომაც ბერძნულიდან თარგმნის დროს, როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, „იმას მუდამ მხედველობაში ჰქონდა მისი თანამემამულეების სულიერი მოთხოვნილებანი, მომზადებისა და განვითარების დონე, მათი „ფსიქიური“ სპეციფიკური თავისებურებანი და თავის თარგმანებს უფარდებდა ამ მოთხოვნილებებს, დონეს და თვისებებს. ჩვენ ვერ ვიპოვით მის თარგმანთა შორის ვერც ერთს ისეთს, რომელშიც დედანი გადმოღებული იყოს ისე, როგორც ის მისი ავტორის ხელიდან გამოსულა. ის ან მიუმატებდა დედანს, ან მოაკლებდა მას, ან შესცვლიდა თავისებურად თხზულების ამა თუ იმ ადგილს და იძლეოდა სათარგმნი თხზულების სავსებით ახალ რედაქციას“ (კეკელიძე, 1956, 174). მისივე დაკვირვებით, „თეორია „შემატება-შემოკლებისა“ მარტო ექვთიმე ათონელის თარგმანში როდი იჩენს თავს, ის ამა თუ იმ საზომით სხვების მუშაობასაც წარმართავდა“ (იქვე, გვ. 172).

ცნობილია, რომ მთარგმნელობის ექვთიმე ათონელისეულ



სტილს, რომელსაც ხშირად „თავისუფალი თარგმანის“ ან „კლება-მატების მეთოდის“ სახელით აღნიშნავენ, მკვეთრად გაემიჯნა გიორგი ათონელი, რომელიც „პრინციპულად ახლოს მივიდა ბერძნულ დედანთან, მაგრამ თარგმანის ქართულ ენაზე ბუნებრივად ამეტყველებისათვის ზოგჯერ არც გიორგი მთანმიდელი გაურბოდა შემატება-გამოკლების ხერხს“ (ხინთიბიძე, 1982, 169). გიორგისთვისაც რომ უცხო არ იყო კლება და მატება, ამის შესახებ ის თვითონ აღნიშნავს მის მიერ ხელახლა თარგმნილი „ფსალმუნთა წიგნის“ ანდერძში: „ჩუენ, რომელი ჯერ იყო, ჩაგვირთავს და, რომელი ჯერ იყო დაგვიკლია, ვითა ჩუენსა ენასა მოუვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდაო“ (ფსალმუნი, 1960, 027).

ასეთ ტრადიციებზე აღზრდილი ეფრემ მცირე, რომელიც აცხადებს, რომ „არა საღრამატიკოსოთა, არცა საფილოსოფოსოთა, არამედ შემდგომნი თარგმანნი პირველ დამამურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებითო“ (Jer.43, 1r; მარი, 1955, 72; ბრეგაძე, 1988, 148), ბუნებრივია, დიდ პატივს მიაგებს თავის წინამორბედ მთარგმნელებს და განსაკუთრებით კი ექვთიმე და გიორგი მთანმიდელებს, რომელთაც თავის მასწავლებლებად მიიჩნევს და დიდი მოკრძალებითა და მოწინებით იხსენიებს თავის წინასიტყვაობებსა თუ ანდერძებში. ეფრემი მათი მთარგმნელობითი მეთოდის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი და შემფასებელია. ქართულ ფილოლოგიაში საყოველთაოდ გაზიარებული აზრი ექვთიმესთვის დამახასიათებელი შემატება-დაკლების მეთოდის შესახებ სწორედ ეფრემის ანდერძებში მოცემული დახასიათებიდან მომდინარეობს. მისი თქმით, ექვთიმეს „მადლითა სულისა წმიდისაათა ჴელ-ენიფებოდა შემატებაცა და დაკლებაცა“ (A24, 2v; დამასკელი, 1976, 69), „მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩულ“ (Jer.43, 2r), ამიტომაც ექვთიმე „სძითა ზრდიდა და მხალითა“, მაგრამ „ან მის მიერ აღზრდილი ერი მისითავე მადლითა მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა“ (Jer.43,2r), – თვლის ეფრემი და ამიტომაც მიიჩნევს, რომ საჭიროა ქართველმა მკითხველმა არა შემოკლებულად, „სიტყუათა განზავებით“ შესრულებული თარგმანები იკითხოს, არამედ ყოველგვარი გაიოლების გარეშე გაეცნოს ბერძნულ ენაზე არსებულ უმდიდრეს ქრისტიანულ ლიტერატურას და ირჩევს დედანთან ზედმინეწითი სიზუსტის მეთოდს. ეფრემის აზრით, თხზულების თარგმანი „მისვე (დედისა) პირსა უნდა იტყოდეს“ .

ამიტომაც ეფრემს, მიუხედავად წინა ქართველ მთარგმნელთა მიმართ დიდი მოწინებისა, არ აკმაყოფილებს ექვთიმეს და

გიორგის თარგმანები, რადგან ისინი არ წარმოადგენენ ბერძნული დედნის პირებს, არამედ უფრო ხშირად მათი ქართული ვერსიებია. სწორედ ეს განაპირობებს ეფრემის მიერ წინამორბედ მთარგმნელთაგან ერთხელ უკვე თარგმნილი ნიგნების ხელახლა თარგმნას. თუმცა ეფრემი, რომელიც ექვთიმეს და გიორგის დიდ ავტორიტეტს აღიარებდა, ერიდებოდა ამგვარ რევიზიას, მაგრამ სხვათა იძულებით, დაჟინებული მოთხოვნით, როგორც არაერთხელ შენიშნავს ანდერძებში, მას მაინც უტვირთავს გიორგის ნარედაქციევი „სამოციქულოს“ ნიგნების ბერძნულთან შედარება, ექვთიმეს მიერ თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების ხელახლა თარგმნა და სხვ.

ბუნებრივია, ეფრემის ამგვარ საქმიანობას ქართველ საზოგადოებაში გაუგებრობა გამოუწვევია. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს: „ის ახალი მიმართულება, რომელიც მან მთარგმნელობაში დაამკვიდრა, იმდენად ეხამუშებოდათ, რომ მას ექვთიმეს და გიორგის უპატივცემლობას, მეტიჩრობასა და მწვალებლობასაც კი სწამებდნენ“ (კეკელიძე, 1980, 61; იხ. აგრეთვე, მარი, 1909, 36-39). ამით უნდა აიხსნას ის თავის მართლება, რასაც ეფრემის თითქმის ყოველ ანდერძში ვხვდებით. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ეფრემი მთარგმნელობით საქმიანობაში ბოლომდე თავის მიერ ერთხელ ჩამოყალიბებული პრინციპების ერთგულ მიმდევრად რჩება. აღსანიშნავია, რომ თვით ეფრემი ექვთიმე და გიორგი ათონელების საქმის გამგრძელებლად აღიქვამდა თავს. მის მიერ შემუშავებული მეთოდი მას წინამორბედ მთარგმნელთა მეთოდის სრულყოფად, შემდგომ დახვეწად მიაჩნდა და არა მასთან დაპირისპირებად. გრიგოლ ღმრთისმეტყველის თხზულებების თარგმანზე დართულ ერთ-ერთ ანდერძში (A 292, 282v, ბრეგაძე, 1988, 174) ეფრემი იმასაც კი აცხადებს, რომ მას გრიგოლის 19 სიტყვა („ათცხრამეტნი იგი აპორიტათაგან“) „მამისა და მოძღურისა კვალსა შედგომითა სიტყუადართვით“ უთარგმნია. ე. ი. ექვთიმეს მსგავსად თარგმანისათვის მასაც რაღაც ჩაუმატებია. მაგრამ მისგან განსხვავებით „არცა სხვსა საკითხავისა სხუასა ჩაურთავს“ და „არცა ჯერჩინებით და ნებსით უთარგმნელი სიტყვა დაუგდია“ (A292, 282v; ბრეგაძე, 1988, 174). ექვთიმე კი ხშირად იქცეოდა ასე – ტოვებდა თარგმნისას ცალკეულ, ზოგჯერ საკმაოდ ვრცელ მონაკვეთებს, რომელთა ქართულად გადმოღება რაღაც მიზეზით არ მიაჩნდა აუცილებლად (კეკელიძე, 1980, 192, 202; 1956, 169-174; ეგ. II, 237-269; 1912, 300; ეგ. VII, 14-54; ხინთიბიძე, 1968; ქურციკიძე, 1978, 24-34; მიმინოშვილი, 1963;

დვალი, 1966; ოთხმეზური, 1989; „ორიონი“, 1993). „მას ჟამსა ეს-რეთ შეჰგუანდაო“ (A292, 282v), –აცხადებს ეფრემი და ამით ხსნის დედნისადმი ექვთიმეს ამგვარ თავისუფალ დამოკიდებულებას. მაგრამ XI საუკუნის II ნახევარში, როცა დრომ და ჟამმა სხვა მოთხოვნები დააყენა ქართველ მთარგმნელთა წინაშე, ეფრემის აზრით, მთარგმნელმაც უნდა შეცვალოს დედნისადმი დამოკიდებულება. რადგან ბერძნები ხშირად საყვედურობდნენ ქართველებს და უწუნებდნენ არასრულად და არაზუსტად შესრულებულ თარგმანებს, ქართველებსაც ყველა ღონე უნდა ეხმარათ, რომ მათთვის ამის საბაბი არ მიეცათ. ეფრემ მცირე ერთ-ერთი იმ მოღვაწეთაგანი იყო, ვინც გაითვალისწინა, თუ რა დიდი მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა ბერძნებთან კულტურული გათანაბრების, მათთან მეტოქეობის იდეას ქართველთათვის. ამიტომაც დაისახა მიზნად ზუსტად, შეუცვლელად, შეურყვნელად და შეუზავებლად ეთარგმნა ბიზანტიური მწერლობის საუკეთესო ნიმუშები და ამისთვის თარგმნის საკუთარი მეთოდი და წინა მთარგმნელთაგან განსხვავებული მთარგმნელობითი თეორია შეიმუშავა, რომელიც ეფრემის ანდერძებში და აშიებზე მოთავსებულ მთარგმნელის შენიშვნებში გამოთქმული მოსაზრებებისა და ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. მთარგმნელმა თხზულების თარგმნის დაწყებამდე უნდა შეისწავლოს სათარგმნად არჩეული ძეგლის ირგვლივ არსებული ვითარება. დაადგინოს, ხომ არ არსებობს მისი ადრეული თარგმანი, მოიძიოს სანდო და სარწმუნო დედნები და შეაჯეროს ისინი ერთმანეთთან. მხოლოდ ასეთი ერთგვარი მეცნიერული სამუშაოს წინასწარ შესრულების შემდეგ შეიძლება მან მოჰკიდოს ხელი თარგმნას.
2. თხზულება უნდა ითარგმნოს იმ ენიდან, რომელზედაც ის არის შესრულებული.
3. მთარგმნელი უნდა შეეცადოს დაიცვას სიზუსტე, მოგვცეს დედნის სწორი თარგმანი, არ შეცვალოს სათაური ანუ „ზედწარწერილი“ და მინაწერიც კი. არც დააკლოს რამე და არც რა მიუმატოს დედნისეულ ტექსტს.
4. რადგან „ყოველსა თარგმანსა უჭმს შემატებაჲ სიტყუსაჲ“, „სიტყვს ძალის განმაცხადებელი“, აზრის დამაზუსტებელი და სხვა ხასიათის შენიშვნები, სქოლიო-კომენტარების, ანდერძებისა და წინასიტყვაობების სახით დაურთოს ნათარგმნ ძეგლს

თავსა და ბოლოში და კიდევბზე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი “შიგან გარევიტ დანერაჲ”.

ცხადია, რომ ეფრემის მიერ მთარგმნელობითი საქმიანობისათვის სახელმძღვანელოდ არჩეული პრინციპები ეფრემ მცირის მთარგმნელობითი შეხედულებების უაღრესად მაღალ დონეზე მიუთითებენ. ამ თეორიის მიხედვით ეფრემი გვევლინება არა მხოლოდ უბრალოდ მთარგმნელად, არამედ თარგმნის თეორეტიკოსადაც, რომელსაც მთელი სისრულით გააზრებული აქვს თავისი საქმიანობის პასუხისმგებლობა და მნიშვნელობაც. როგორც შენიშნავენ, „ეფრემი არსებითად პირველი კაცია ძველ ქართულ მწერლობაში, რომელმაც არა მარტო პრაქტიკულად განახორციელა, არამედ თეორიულად გაიაზრა საკუთარი მთარგმნელობითი მუშაობის პრინციპები“ (ჭუმბურიძე, 1958, 186). ეფრემის მიერ ჩამოყალიბებული თარგმნის მეცნიერულ თეორიას გარკვეულწილად დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ეფრემ მცირის თეორიის მიხედვით მთარგმნელის მუშაობა ორი ეტაპისაგან შედგება. პირველი – ესაა **მოსამზადებელი სამუშაოს შესრულება** და მეორე – თვით **თარგმნის პროცესი**. პირველ ეტაპზე მთარგმნელმა ერთგვარი მეცნიერული სამუშაო უნდა შეასრულოს ორი მიმართულებით:

**ა) დედნის შერჩევა, ბ) სათარგმნად არჩეული თხზულების ირგვლივ არსებული ვითარების შესწავლა.**

ეფრემის ღრმა რწმენით, თხზულების თარგმნა „სანდო და უეჭვი“ დედნის მოპოვებით იწყება. ასეთი კი, პირველ რიგში, შეიძლება იყოს მხოლოდ ორიგინალი და არა თუნდაც უზადოდ შესრულებული სხვაენოვანი თარგმანი. თხზულება უნდა ითარგმნოს იმ ენიდან, რომელზედაც ის დაინერა. რადგან ეფრემის მთარგმნელობითი საქმიანობა ბერძნულ სამყაროს უკავშირდება, ამიტომაც ეფრემისთვის დედნად საგულვებელი ტექსტი ყოველთვის ბერძნულია. მისი ხატოვანი შედარებით ბერძნული ტექსტი „დედაა“, თარგმანი კი „შვილი“, თარგმანიდან შესრულებული თარგმანი კი „შვილიშვილია“ ბერძნულისა (A292,312r), რომელიც, რა თქმა უნდა, ნაკლებადაა „უეჭვ და სანდო.“ მაგრამ ეფრემმა შესანიშნავად იცის, რომ ბერძნულ ენაზე არსებობს თხზულებათა რამდენიმე, ხშირად ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებული რედაქციები, ამიტომაც დედნის შერჩევის საკითხი მარტო ერთი ბერძნული ტექსტის მოპოვებით არ ამოიწურება. საჭიროა შედარება, შენამება ბერძნული დედნებისა, მეცნიერთა და სწავლულ კაცთა გამოკითხვა, ერთი სიტყვით, გამოკვლევა

საკითხისა, რაც წმინდა მეცნიერული ფილოლოგიური ხასიათის სამუშაოს წარმოადგენს, მაგრამ მხოლოდ ასეთი წინასწარი სამუშაოს შესრულების შემდეგ შეიძლება მოიპოვოს მთარგმნელმა „უცთომელად და გამონულილვით გამართული“ დედანი, სადაც „ყოველნი (სიტყვანი) დაჯერებულ იქნეს“ (Jer.43, 3r).

მაგრამ ეფრემ მცირის აზრით, ესეც არაა საკმარისი იმისთვის, რომ მთარგმნელი თხზულების ქართულ ენაზე გადმოლებას შეუდგეს. მან უნდა გაარკვიოს, რა ვითარებაა ამ ძეგლის ირგვლივ ქართულში; ხომ არ არსებობს მისი სხვა თარგმანები. ეფრემს ამის გარკვევა აუცილებლად მიაჩნია, „რათა არა მეორედ თარგმნილად შეირაცხოს წიგნი ესე“ (Jer.16, 1r), რაც, როგორც ჩანს, ერთგვარ უხერხულობასთან იყო დაკავშირებული (კეკელიძე, ეტ. II,ბ). „უკუეთუ ვისმე პირველად ეთარგმნოს, მეორედ თარგმანებული წინააღმდეგომად გამოჩნდების“ (მატბ. კრებ., 365) – ასეთი იყო იმდროინდელ მთარგმნელთა ლიტერატურული ეტიკეტი. ამიტომაც რომელიმე ძეგლის მეორედ თარგმნის ყოველ კონკრეტულ ფაქტს დამაჯერებელი დასაბუთება სჭირდებოდა. ეფრემს ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ თარგმნა შეუწყვეტია, როცა გაუგია, რომ არსებობდა ამ წიგნის პროკოპი მღვდლის მიერ შესრულებული თარგმანი და მხოლოდ 12 წლის შემდეგ გაუგრძელება, ისიც სხვათა დაჟინებული თხოვნით (A689, 187r; ჟორდანი, 1897, 39-40; ნინთიბიძე, 1968).

ერთხელ უკვე თარგმნილის ხელახლა თარგმნას ეფრემი რომ თავს საგანგებოდ არიდებდა, ჩანს „ფსალმუნთა თარგმანების“ მისეულ თარგმანზე დართული ერთ-ერთი შენიშვნიდანაც, რომელიც 67-ე ფსალმუნის ათანასი ალექსანდრიელისეული განმარტების თარგმნას შეეხება: „თარგმანი წმიდისა ათანასესი ამის ფსალმუნისა ვინათგან პირველ თარგმნილ იყო ნეტარის მამის დავით ტბელის მიერ, ამისთვის არლარა საჭირო იყო კუალად თარგმნაჲ მისი“ (Q37, 282v, მ. შანიძე, 1968, 122).

ეფრემის თეორიის მიხედვით უკვე თარგმნილი თხზულების ხელახლა თარგმნას მთარგმნელმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მოჰკიდოს ხელი: ა) როცა თარგმანი შესრულებულია არა იმ ენიდან, რომელზედაც შეიქმნა თხზულება. ასე მოიქცა ეფრემი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულების („ევნომიოსთა მიმართ...“) ხელმეორედ თარგმნისას, რადგან მისი სიტყვებით „სომეხისა შვილსა, ბერძენისა შვილიშვილსაჲა, ნუჟუკუე და არა უეჭველსა, თვთ უეჭჳ და საკუთარი შვილი“ არჩია (A 292, 312r; ბრეგაძე, 1988, 175) ან ბ) როცა დედანი ქართველი მთარგმნელის მიერ შემოკლებულია ან

განვრცობილი და ამიტომ თარგმანს ის სიღრმე და სიცხადე არა აქვს, რაც დედანში ჰქონდა. ასეთი თარგმანები თუნდაც ღრმად პატივსაცემ მწიგნობრებს, „თარგმანების წყაროდ და ძირად“ (Ath.18, 236) წოდებულ მამებს, ექვთიმე და გიორგი ათონელებს, ეკუთვნოდეს, მაინც უნდა ითარგმნოს ხელახლა, რომ არც „ბერძნები გვაყუედრებდეს“ (A292, 282v) და არც ქართველნი, „კუალად შემდგომნი მეცნიერნი ბერძულისანი“, რომლებიც „მაბრალებელ გუექმნებოდეს გამოუძიებელად დანერისათვის სიტყუათაჲსა“ (Jer. 16,2v). მართალია, გასწორება მასწავლებელთა თარგმანებისა, რომელთაგან „გვისწავია ანბანი ბერძულისა და ქართულისაჲ“ (Jer. 43,2r), ფრიად საჩოთირო საქმეა, მაგრამ ეფრემი იმის მომხრეა, რომ თუკი მათ თარგმანებში რაიმე აღმოჩნდება „დაშთომილად, ანუ სისწრაფისაგან, ანუ დედისა და თარგმანთა ვერ პოვნისაგან, ანუ შემდგომთა გადამწერთა გარყუნისა“ (Jer. 43,2r), ის „შიშით და ძრწოლით“ გასწორდეს და თავისი, და საერთოდ, შემდგომ მთარგმნელთა მუშაობის მიზანს ხატოვნად ასე წარმოადგენს: „მათითა ჩემდა დატევებულითა კეტებითა და უროებითა მათსა აწოდ გაკაფულსა და ლოდოვანებისაგან ყანობირ ქმნილსა შინა ადგილ-ადგილ სიმამურალითა დაშთომილი მათდა ძირი ანუ კლდე აღმოვჰკაფო“ (Jer. 43, 2r). ამასთანავე, ეფრემი შემდგომი დროის მთარგმნელებსაც ანდერძად უტოვებს მის თარგმანებში აღმოჩენილი უზუსტობების გასწორებას: „უკუეთუ თვნიერ შურისა, კრძალულებით გამოძიებით და ჭეშმარიტის მოყუართა ცნობითა ჩემთაცა ვინმე თარგმნილთა შეამთვკოს განმართებაჲ შეცთომილისაჲ, უფალმან მისცეს სასყიდელი გულსმოდგინებისაჲ“ (Jer. 43, 2v), – წერს ის გრიგოლ ნაზიანზელის სადღესასწაულო ჰომილიების კრებულისათვის დაწერილ შესავალ წერილში (მარი, 1955, 72; ბრეგაძე, 1988, 148).

II ეტაპზე, ანუ თვით თარგმნის პროცესში კი, ეფრემის თეორიის მიხედვით, მთარგმნელმა, რომელმაც კარგად უნდა იცოდეს „რაბამობაჲ ბერძენთა და ქართველთა ენებისაჲ“ (Jer.43, 1r), ზედმინვენითი სიზუსტე უნდა დაიცვას. უმთავრესი მოთხოვნა აქ ისაა, რომ თხზულება უნაკლულოდ ითარგმნოს „ვითარ იგი ბერძულად [არს] და ყოველივე ბერძულისაგან“ (A292,329r). არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიცვალოს „ზედწარწერილი“, ანუ სათაური, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეფრემი, რადგან ამან შეიძლება გაუგებრობა და თხზულებათა ერთმანეთში არევა გამოიწვიოს. ასე მოხდა, მაგალითად, ბასილი დიდის „ითიკასთან“ დაკავშირებით, როცა ერთმანეთში აირია ბასილის

„მორალური წესები“, რომელსაც ბერძნულად „ითიკა“ ეწოდება და ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი ჰომილეტიკურ-ეგზეგეტიკური შინაარსის კრებული, რომელიც ქართულად აგრეთვე „ითიკის“ სახელითაა ცნობილი. როგორც ბასილის „ასკეტიკონის“ მკვლევარმა ე. ხინთიბიძემ გაარკვია: „ამ ორ თხზულებას შორის არაფერია საერთო გარდა სახელწოდებისა. ერთს ქართული სახელწოდება ემთხვევა მეორის ბერძნულ სახელწოდებას. მათი ერთმანეთში აღრევაც ამ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო“ (ხინთიბიძე, 1982, 184-185). ამგვარი გაუგებრობის თავიდან აცილება, ეფრემის აზრით, შეიძლება, თუკი თხზულების ზედწარწერილ მთარგმნელი უცვლელად დატოვებს, განსაკუთრებით უნდა გაფრთხილდეს მთარგმნელი, როცა საქმე კრებულებს ეხება: „ამას წიგნსა ეწოდების „ფილოთეონ ისტორია“, რომელ არს ღმრთისმოყუარებითი თხრობაჲ, რამეთუ ვითარ-იგი „კლემაქსა“ და „დილოლონსა“ იგივე ბერძული სახელი უწოდიან ქართულადაცა, ეგრეთვე ამისთვის უსაკუთრეს არს წოდებად „ფილოთეონ ისტორია“, რომელი-ესე თვთ აღმწერელისა ამისსა თეოდორიტესგან სახელდებულ არს ამისდა“(A689,187r; ჟორდანი, 1897, 40), – შენიშნავს თეოდორიტე კვირელის თხზულების თარგმანის წინასიტყვაობაში ეფრემი. სათაურის შეუცვლელად თარგმნის შესახებ მსჯელობს ეფრემი იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ შესავალშიც: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ „წინამძღუარი“ სახელად წმიდისა ანასტასი სინელის თქუმულთათვს მინახავს ბერძულსა შინა, ხოლო ამის წიგნისათვს არასადა, თვნიერ ქართულისა. ამისთვის ესრეთ ჯერ უჩნდინ სინმიდესა თქუენსა, რაჲთა ვითარ-იგი ზედწარწერილსა ამისსა შინა ითქმის, „გარდამოცემა“ უწოდდეთ წიგნსა ამას, რომელი-იგი ბერძულსა შინა ესრეთვე წარწერილ არს; და „წინამძღუარ“ მასვე წმიდისა მამისა ეფთვემეს თარგმნისა სახელ-ედებოდენ, რამეთუ თვთ იგი ამისგანვე გამოკრებულ არსო“ (A24,3r).

ეფრემი იმის მომხრეა, რომ მთარგმნელმა შეუცვლელად გადმოიღოს არა მხოლოდ ძირითადი ტექსტი დედნისა, არამედ ის შენიშვნებიც, რომელიც დედანს ახლავს აშიებზე. დედნისადმი ასეთ უკრიტიკო დამოკიდებულებას ეფრემი ხანდახან შეცდომამდე მიჰყავს და ზოგჯერ თხზულების თარგმნისას ტექსტში შეაქვს ის შენიშვნა, რომელიც სინამდვილეში სხვას, კომენტატორს ეკუთვნის (ამგვარი შემთხვევები ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ თარგმანში განხილული აქვს ე. ხინთიბიძეს (ხინთიბიძე, 1968, 165-169; 1982, 163-169).

ეფრემ მცირის მთარგმნელობით თეორიაში გათვალისწინებულია ის სირთულეებიც, რომელიც თარგმნისას სიზუსტის დამცველი მთარგმნელის წინაშე წამოიჭრება. ეფრემის თეორიის მიხედვით, მთარგმნელმა „დედასა არარა უნდა ჩაჰროთოს“ (Ath.18, 237), ამასთანავე, მისივე განცხადებით „თარგმანს ხატი და მოქცევი დედნისაჲვე უნდა აქუნდეს“ (A689,187v), ე. ი. თარგმანმა დედნის აზრი, სიღრმე და სიცხადე ზუსტად და სწორად უნდა გადმოსცეს. ამის მიღწევა კი არ ხერხდება ისე, თუკი თარგმანს დედნის „სიტყვის ძალის განმაცხადებელი“ სიტყვა არ შეემატა. „ყოველსა თარგმანსა უკმს შემატებაჲ სიტყვსა, რეცა განმაცხადებელად ძალისა“ (A24,2v), – აცხადებს ეფრემი და რადგან ასეთ „სიტყვის ძალის განმაცხადებელ“ შენიშვნებს მთარგმნელი ტექსტში ვერ ჩართავს, ის მან „კიდეთა ზედა ადგილ-ადგილ“ ან „თავსა და ბოლოსა წიგნისასა“ უნდა დანეროს. თარგმანისათვის კიდეზე ადგილ-ადგილ მიწერილი და წიგნის თავსა და ბოლოში მოთავსებული მთარგმნელის შენიშვნების დართვა, ეფრემ მცირეს მთარგმნელობითი საქმიანობის აუცილებელ კომპონენტად მიაჩნია. „სიტყვის ძალის განცხადებასთან“ ერთად ასეთ შენიშვნებში მთარგმნელი შეიძლება შეეხოს სათარგმნად არჩეულ თხზულებასთან დაკავშირებულ ისტორიულ, ლიტერატურულ, ფილოსოფიურ, სარწმუნოებრივ-თეოლოგიურ, გრამატიკულ, მითოლოგიურ თუ სხვა საკითხს, რაც ეფრემის აზრით, დააინტერესებს „გამომეძიებელ მკითხველს“. ამიტომაც თარგმანის ამგვარი კომენტარებით აღჭურვა მისი მთარგმნელობითი საქმიანობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა, რის შესახებაც აღნიშნავს ყველა მკვლევარი, ვინც კი ეფრემის მთარგმნელობით მოღვაწეობას რაიმე კუთხით ეხება. „ეფრემს ჩვეულება ჰქონია –თითქმის ყველა მის მიერ ნათარგმნი თხზულებისათვის არშიაზე დაერთო ამა თუ იმ სიტყვის ან ადგილის განმარტება, რომელსაც ის „სიტყუადართულობას უწოდებს“, – აღნიშნავს კ. კეკელიძე (კეკელიძე, 1980, 67). მისივე დაკვირვებით, „სქოლიოები საზოგადოდ სხვადასხვა ხასიათისაა: გრამატიკული, ისტორიული, ლექსიკოგრაფიული, ეგზეგეტიკური, ფილოსოფიური და სხვ.“ (იქვე, გვ. 268).

თარგმანისათვის მთარგმნელის მიერ დართული ყველანაირ შენიშვნას ეფრემი **მთარგმნელის „მოზრახულს“** უწოდებს. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში ეფრემი საგანგებოდ მსჯელობს ამის შესახებ და მის თანამედროვე თუ შემდგომი დროის გადამწერებს თხოვნით მიმართავს: „უკუეთუ ამას დაინერდეს, ესე ილუანენ, რაჲთა არარა დააკლოს... არცა ჩემი ესე



**კადრებული და მოზრახული.** არა ხოლო შესავალსა ამას ვიტყვ, არამედ კიდესა წარწერილთა თარგმანთაცა, რომელთაგანი რომელნიმე ზეპირით დაწერილნია და რომელნიმე დედისაგან“(A24,2v). იმავე თხოვნას იმეორებს ეფრემი პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებაზე დართულ ანდერძშიც: „მცირეთა ამათ სიტყუათა ადგილ-ადგილ მოზრახულთა, ჩემ სანყალობლისა ეფრემ მცირისათა დაწერა ნუ გეწყინების, რამეთუ ესრეთ მაქუნდა ბრძანებაჲ, რაჲთა შინა არარაჲ ჩავრთო, არამედ კიდეთა ზედა და თავისა და ბოლოსა ანდერძთა შინა ვიკადრო დაწერად“(Ath.18,237); გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების კრებულისათვის ნამძღვარებულ წერილში ეფრემი გვიხსნის, რომ „**მოზრახვისა ამის ჩემისა მიზეზი (იგულისხმება ამ წერილის დაწერის მიზეზი) არს გულსავსე ყოფისა ძმათასა ნადიერება**“(Jer.43,2v).

ეფრემის მიერ აქ ხმარებული სიტყვა „**მოზრახული**“ „ზრახვა“ ზმნიდან ნაწარმოები ვნებითი გვარის მიმღეობაა. ამ ზმნის ძირითად მნიშვნელობებს შორის ი. აბულაძე უფრო გავრცელებულ „აზრთან“ და „ფიქრთან“ ერთად ასახელებს „ახსნა-განმარტებასაც“. „**ზრახვა** – აზრი, ფიქრი, ზრუნვა, „განზრახვა“, რჩევა, ახსნა-განმარტება“(აბულაძე, 1973, 167) და იქვე მოჰყავს იპოლიტე რომაელის „ქრონიკონიდან“ ერთი ადგილი, სადაც „ზრახვა“ ამჟამად ახსნა-განმარტების მნიშვნელობითაა ნახმარი: „ჩუენებაჲ იხილა ნაბუქოდონოსორ და ზრახვაჲ იგი ჰკითხა ქალდეველთა“(აბულაძე, 1961, 238). ამ ზმნიდან ნაწარმოებ მრავალ ფორმათა შორის ი. აბულაძის ლექსიკონში „მოზრახული“ შეტანილი არ არის, მაგრამ ის განმარტება რაც „ზრახვას“ შეეხება და ეფრემ მცირის ზემოთ დასახელებული ანდერძების კონტექსტი საშუალებას გვაძლევს ზუსტად განვმარტოთ ამ სიტყვის მნიშვნელობა. „მოზრახული“ – ესაა ნაფიქრი, ნააზრევი, ახსნა-განმარტების მიზნით დაწერილი რამ. „მოზრახული“ განმარტებულია როგორც „ნათქვამი“ ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში (სარჯველაძე, 1995, 132). ამდენად ეფრემის, როგორც მთარგმნელის, „კადრებული და მოზრახული“ მისი ნააზრევია, მის მიერ მკითხველისთვის მიწოდებული ახსნა-განმარტებაა. „**მთარგმნელის მოზრახული**“ ეფრემის ანდერძების მიხედვით ერთგვარი ტერმინია, რომელიც აერთიანებს მთარგმნელის მიერ სათარგმნი თხზულების გამო ხელნაწერის სხვადასხვა ადგილზე გაკეთებულ ყველა სახის კომენტარს: აშიაზე მინერილ სქოლიოებს, წიგნის თავში მოთავსებულ წინასიტყვაობას და ბოლოში დართულ ანდერძს.

ეფრემის მთარგმნელობითი თეორიის მიხედვით თარგმანისათვის „მთარგმნელის მოზრახულის“ დართვა აუცილებელია. ამასთანავე, მკაცრად უნდა იქნეს დაცული წესი მათი გადაწერისა. ისინი „შიგან გაურეველად“ უნდა დაინეროს; „ყოვლად უჯერო არს ვისგანმე კიდესა წარწერილისა მის თარგმანისა შიგან გარევიტ დანერაჲ, არამედ კიდესა წარწერაჲ, ვითარცა „ვისწავეთ ჩუენ ესე ოთხასოცთა მათგან წიგნთა თეოფილე პატრიარქისა მიერ სვეონწმიდას შეწირულთა...“ (A24, 2v).

**ეფრემის „მოზრახულის“ კვლევის ისტორია.** ეფრემ მცირის მოზრახული კომენტარები და ანდერძები იმთავითვე იპყრობდნენ მეცნიერთა ყურადღებას. ჯერ კიდევ თედო ჟორდანიამ, რომელმაც მრავალი ძველი ქართული ხელნაწერის აღწერილობა და მოკლე ანალიზიც მოგვცა, თავის „ქრონიკებში“ თითქმის სრულად გამოაქვეყნა ეფრემის მიერ თარგმნილ თხზულებებზე დართული ყველა ანდერძი, რაც კი მას ჰქონდა ხელთ და იმ სქოლიოთა ერთი ნაწილი, რაც, მისი აზრით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა (ჟორდანი, 1892, 217-218; ჟორდანი, 1897, 39-40, 40-42, 166-167, 203, 214, 215, 216, 237-38, 220, 223-225, 221-227). მან გამოაქვეყნა თეოდორიტი კვირელის „ფილოთეონ ისტორიის“ და ბასილი დიდის „ასკეტიკონზე“ დართული მთარგმნელის შენიშვნების ერთი ნაწილიც A689 ხელნაწერის მიხედვით (ჟორდანი, 1897, 40-42), „სამოციქულოს თარგმანების“ სქოლიოების ნაწილი და დიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმანზე დართული მთარგმნელის განმარტებანი (ჟორდანი, 1903, 381-383).

1910 წელს კ. კეკელიძემ გამოსცა ეფრემ მცირის ერთ-ერთი ვრცელი „მოზრახული“ „მოსაჯსენებელი მცირე სვეონისთვის ლოლოთეტისა და თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმანისათა“ (კეკელიძე, ეტ. V, ა, 223-226), რომელსაც ვრცელი გამოკვლევაჲ ახლავს რუსულ ენაზე (იქვე, გვ. 212-223). ეფრემის სქოლიოებსა და ანდერძებს ეყრდნობოდა მკვლევარი ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის არაერთი საკითხის გარკვევისას თავის ნაშრომში „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ (კეკელიძე, 1980, 61, 101-102, 170, 171, 179, 191, 192, 193, 199, 201, 202, 206, 207, 226, 227, 233, 247).

1926 წელს რობერტ ბლეიკმა ჟურნალ „მიმომხილველში“ გამოაქვეყნა ეფრემ მცირის თარგმნილ „სამოციქულოს თარგმანებაზე“ დართული ანდერძი ერთი იერუსალიმური ხელნაწერის მიხედვით (ბლეიკი 1926), რომელიც შემდეგ ნ. მარის იერუსალიმის

ხელნაწერთა აღწერილობაში (მარი, 1955, 55-63) და ი. აბულაძის მიერ გამოცემულ „საქმე მოციქულთაშიც“ (საქმ. მოციქ., 1950, 029-031) დაიბეჭდა. „საქმე მოციქულთაზე“ დართულ გამოკვლევებში ი. აბულაძე ეფრემის თარგმანების აშიებზე მოთავსებულ რამდენიმე სქოლიოსაც შეეხო (გვ. 012-013). მოგვიანებით ეფრემის თარგმნილ „სამოციქულოს თარგმანებაზე“ დართული მთარგმნელის შენიშვნები საგანგებოდ შეისწავლა კ. დანელიამ (დანელია, 1982, 328-335).

1959 წელს ე. მეტრეველმა ნაშრომში „ეფრემ მცირის ავტოგრაფი“ (მეტრეველი, 1959) პირველად დაბეჭდა ეფრემის ავტოგრაფულ ხელნაწერში (S1276) დაცული მთარგმნელის რამდენიმე „შეისწავე“ და ანდერძ-მინაწერი. იმავე წელს თ. ბრეგაძემ გამოსცა ეფრემის ორიგინალური ისტორიული შრომა „უნწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქსენების“ (ეფრემ მცირე, 1959) მასზე დართული სქოლიოები თურთ.

1961 წელს ს. ენუქიშვილმა გამოსცა ფსევდოდონისე არეოპაგელის თხზულებათა ეფრემ მცირისეული თარგმანი (პეტრე იბერიელი, 1961) და მასზე დართული მთარგმნელის კომენტარებიც (გვ. 261-263), თუმცა საგანგებო მსჯელობა ეფრემის კომენტართა შესახებ გამოკვლევაში, რომელიც ამ წიგნს უძღვის წინ, არა გვაქვს (გვ. 015-0199).

1966 წელს გამოვიდა რ. მიმინოშვილის წიგნი „იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები“ (მიმინოშვილი, 1966), სადაც ერთი თავი ეთმობა ამ თხზულების ეფრემისეულ თარგმანზე დართულ მთარგმნელის სქოლიოების ანალიზს (გვ. 116-143).

1968 წელს დაიბეჭდა ე. ხინთიბიძის მონოგრაფია „ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები“ (ხინთიბიძე, 1968), რომლის ერთი თავი მკვლევარმა „ასკეტიკონის“ ეფრემისეულ თარგმანზე დართულ ისტორიულ-ფილოლოგიურ, ტექსტუალური, სარწმუნოებრივ-თეოლოგიური და ლექსიკური ხასიათის სქოლიოების შესწავლას მიუძღვნა (გვ. 158-175). მანვე აღნიშნა, რომ „ეს სქოლიოები, რომლებიც დღემდე ქართველოლოგიაში შეუსწავლელი იყო, უადრესად საინტერესო ცნობებს იძლევა როგორც ეფრემ მცირის მსოფლმხედველობისა და მეცნიერულ-მთარგმნელობითი მუშაობის, ასევე ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესახებ. ამ სქოლიოების მნიშვნელობა ქართული მწერლობის ისტორიისათვის ძალზე დიდია“ (ხინთი-

ბიძე, 1968, 175).

იმავე 1968 წელს მ. შანიძემ გამოსცა სრული ტექსტი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების შესავლისა, რომელიც ეფრემის „მოზრახულთაგან“ ყველაზე ვრცელია და ამავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეც (შანიძე, 1968, 77-122), ფსალმუნთა თარგმანების შესავლის ტექსტის ნაწილი ამ თხზულებისთვის დაწერილ ეფრემის ანდერძთან ერთად პირველად ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა 1914 წ. (თაყაიშვილი, 1914, 243-263), ხოლო „შესავლის“ ბოლო ნაწილი ერთი იერუსალიმური ხელნაწერის (№1) მიხედვით აღადგინა რ. ბლეიკმა და დაბეჭდა ჟურნალ „მიმომხილველში“ (ბლეიკი, 1926, 159-160) 1926 წელს. მ. შანიძის გამოცემაში, რომელსაც ახლავს გამომცემლის ვრცელი გამოკვლევა, გარდა იმისა, რომ ტექსტი სრულადაა წარმოდგენილი, გათვალისწინებულია ყველა ნუსხის ჩვენება და ტექსტი კრიტიკულადაა დადგენილი.

1976 წელს მ. რაფაგამ გამოსცა იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართული თარგმანების ტექსტი (იოანე დამასკელი, 1976), რომელსაც დაურთო ვრცელი გამოკვლევა და ლექსიკონი. ტექსტის გამომცემელმა დაბეჭდა „დიალექტიკის“ ერთ-ერთი მთარგმნელის ეფრემ მცირის შესავალი წერილი და სქოლიოებიც, რომელიც ხელნაწერის კიდებზე მოუთავსებია მთარგმნელს. „დიალექტიკის“ წინასიტყვაობა ადრეც იყო გამოცემული თ. ჟორდანიას (ჟორდანია, 1892, გვ. 215-219) და ე. თაყაიშვილის (თაყაიშვილი, 1902, გვ. 710-717) მიერ.

ეფრემის მიერ თარგმნილ აგიოგრაფიულ თხზულებებზე დართული კომენტარების ერთი ნაწილი ამ თხზულებების ტექსტთან ერთად გამოაქვეყნა ნ. გოგუაძემ „მეტაფრასულ კრებულში“ (გოგუაძე, 1986). გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების თარგმანზე დართული ეფრემის ანდერძები და სქოლიოების დიდი ნაწილი შესულია თ. ბრეგაძის მიერ შედგენილ „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ (ბრეგაძე, 1988). ეფრემის მიერ თარგმნილი ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები და მთარგმნელისეული ჩანართები ამ თხზულებაში შეისწავლა თ. ოთხმეზურმა (ოთხმეზური, 1989). ეფრემის ცალკეული შენიშვნები გამოქვეყნებულია მისი თარგმანების შემცველი ხელნაწერების აღწერილობებში, მაგრამ ზოგჯერ არაზუსტად და არასრულად. აღწერილობებში ხშირად მხოლოდ მითითებულია, რომ ამა თუ იმ ხელნაწერს ახლავს მთარგმნელის შენიშვნები, „შეისწავეები“.

ეფრემ მცირის სხვადასხვა თარგმანებზე დართული მრავალი სქოლიო, განსაკუთრებით ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული ხასიათისა და ტექსტშივე მოცემული მთარგმნელისეული განმარტებები, შეისწავლა ზ. სარჯველაძემ, რომელმაც თავისი წიგნის „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი“ IX თავში („ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიის სათავეებთან“) (სარჯველაძე, 1984, 198-252) სხვა მთარგმნელთა შენიშვნებთან ერთად განიხილა ეფრემ მცირის მრავალი ლექსიკოგრაფიული და გრამატიკული ხასიათის კომენტარი, მოგვცა მათი მნიშვნელობის შეფასება და განსაზღვრა ეფრემის ადგილი ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში. ძველი ხელნაწერებიდან მის მიერ ამოკრებილი მრავალი აქამდე უცნობი შენიშვნიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისინი, სადაც ეფრემი მსჯელობს სალიტერატურო („წიგნური“) და არასალიტერატურო („სოფლური“) ფორმების ურთიერთმიმართების შესახებ, გვაძლევს ამა თუ იმ სიტყვის გრამატიკულ ფორმათა ანალიზს, შემოაქვს ზოგიერთი ახალი გრამატიკული ტერმინი, ცდილობს ბერძნული და ქართული ენის თავისებურებებით გამოწვეული სხვაობის ახსნას. მკვლევარმა ხაზგასმით აღნიშნა ეფრემის მრავალრიცხოვანი ლექსიკოგრაფიული ხასიათის შენიშვნების მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისა და ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის შესასწავლად (სარჯველაძე, 1984, 199-200).

ეფრემის სქოლიოები და განსაკუთრებით ანდერძები ფასდაუდებელ ცნობებს შეიცავს შავი მთის მნიგნობრული კერის ისტორიის შესასწავლად. არსებითად ეფრემ მცირის „მოზრახული“ წარმოადგენს საფუძველს ლ. მენაბდისათვის შავი მთის ლიტერატურული სკოლის ისტორიის წარმოსაჩენად (მენაბდე, 1980). მისი წიგნის „ძველი ქართული მწერლობის კერები“ იმ ნაწილში, რომელიც შავი მთის სავანეებს ეხება, მკვლევარი აანალიზებს ეფრემის მრავალ ანდერძსა და „შეისწავეს“ და მათი გათვალისწინებით ახასიათებს შავი მთის სავანეში მოღვაწე მრავალი ქართველი მნიგნობრის საქმიანობას.

ეფრემ მცირის ცალკეულ სქოლიოებსა და ანდერძებს განიხილავენ ი. ლოლაშვილი (ლოლაშვილი, 1967, 214-220; 1972; 1973; 1982), ე. ნიკოლაძე (ნიკოლაძე, 1959), ე. ხინთიბიძე (ხინთიბიძე, 1982, 171, 173, 176-186, 230-238), გ. გოზალიშვილი (გოზალიშვილი, 1965), ნ. მახარაძე (მახარაძე, 1986), ლ. დათიაშვილი (დათიაშვილი, 1984), თ. კუკავა (კუკავა, 1988), მ. რაფავა (რაფავა, 1990, ა, ბ; 1991; 1995), ქ. ბეზარაშვილი (ბეზარაშვილი, 1989, ა, ბ; 1995,

ა, ბ: 1999; 2001; 2002; 2003; 2004), თ. ოთხმეზური (ოთხმეზური, 1986; 1992; 1995; 1997; 1998; 2001; 2004; 2009), გ. ალიბეგაშვილი (გ. ალიბეგაშვილი, 1989), ე. ჭელიძე (ჭელიძე, 1994; 1995; 1996; 1999), ა. ჭუმბურიძე (ჭუმბურიძე, 1999; 2001) და სხვ.

ხელნაწერის კიდევბზე დართული მთარგმნელის შენიშვნების შესწავლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივ. ჯავახიშვილი, რომლის აზრით, მომავალში ქართული ხელნაწერების შესწავლას უნდა გამოემჟღავნებინა ქართველ მთარგმნელთა არაერთი შენიშვნა, რომელსაც ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის ექნებოდა გარკვეული მნიშვნელობა. „თვით ის ცალკეული გრამატიკული დაკვირვებანი, რომელნიც ეფთვემე და გიორგი მთაწმიდელებს, ეფრემ მცირეს, არსენი იყალთოელს და სხვებსაც სქოლიოებისა თუ კიდურწერილობის სახით მოეპოვებათ, ჯერ არავის ამოუკრეფია და გამოუქვეყნებია. ამიტომ იმ საგულისხმო საკითხის გასათვალისწინებლად, თუ რა თვისებისა და ღირებულებისა იყო ძველ ქართველ მეცნიერთა ქართული და ბერძნული ენების რაბამობის ცოდნა, ჯერ თითქმის არავითარი მასალები არ მოგვეპოვება“ (ჯავახიშვილი, 1937, 4), – წერდა ივ. ჯავახიშვილი 1937 წელს. მართალია, მას შემდეგ, როგორც ზემოთაც დავინახეთ, ამ კუთხით სერიოზული მუშაობა იქნა ჩატარებული, მაგრამ სრული სახით წარმოდგენილი, ერთად თავმოყრილი ქართველ მთარგმნელთა შენიშვნები და ანდერძები დღემდე არა გვაქვს. ეფრემის თარგმანების შემცველ ხელნაწერებში, როგორც დიდი მეცნიერი ვარაუდობდა, მართლაც უაღრესად დიდი მნიშვნელობის მასალა აღმოჩნდა არა მარტო ქართველ მთარგმნელთა ქართული და ბერძნული ენების რაბამობის ცოდნის შესახებ, რასაც განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ივ. ჯავახიშვილი, არამედ ქართული და ბიზანტიური ლიტერატურის მრავალ საკითხზეც. ეფრემის კოლოფონებსა და სქოლიოებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების, ზოგჯერ ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის კონკრეტული საკითხის დასასრულებლად. ისინი გვანჯდიან საინტერესო ცნობებს თვითონ ეფრემის მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ, მის წინამორბედ და თანამედროვე მთარგმნელებზე, გვიქმნიან წარმოდგენას იმ კულტურულ გარემოზე, რომელშიც მოღვაწეობდნენ ეფრემ მცირე და სხვა შავმთელი მთარგმნელები. ეფრემი თავისი „მოზრახულით“ წარმოგვიდგება როგორც მეცნიერი მთარგმნელი, დაკვირვებული ტექსტოლოგი, ფილოლოგი და ფილოსოფოსი, ბერძნული მითოლოგიისა და ისტორიის შეს-

ანიშნავი მცოდნე.

ჩვენი ნაშრომი მოკრძალებული ცდაა ქართველ მთარგმნელთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის ეფრემ მცირის „მოზრახული“ კოლოფონებისა და კომენტარების თავმოყრისა და შესწავლისა (წიგნში ქვეყნდება ეფრემის ყველა ანდერძი და შესავალი წერილი).

**კომენტატორულ საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინი და ნათარგმნი თხზულების კომენტარების ეფრემ მცირისეული პრინციპები.** ძველ ქართულ ხელნაწერებში კომენტატორულ საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე ტერმინი გვხვდება. კერძოდ: „აშია“//არშია, „კიდე“, „კიდური“, „კიდეთა წარწერილი“, „სხოლიო“, „მკკდრი“, „დანაშთენი მკკდრისაჲ“, „პატივი“, „შეისწავე“, „თარგმანი“, „მთარგმნელის მოზრახული“, „ანდერძი“, „წინაბჭე“, „გარემონერა“, „მოთხვითად წერა“, „კომენ-სხოლიონი“, „მართლგანყობა“, „თარგმანი“, „თარგმანიანი“, „იოტა“, „უსაკუთრესი“, „განსაზღვრებაჲ“ „განჩინებაჲ“, სამეცნიეროჲ“ „შუენიერი“, „იხილე“ და სხვ. (ჯავახიშვილი, 1949, 64; სურგულაძე, 1978, 60-64, 73-79). ნუსხებში შემორჩენილია მთარგმნელთა თუ გადამწერთა მიერ ხელნაწერის აშიებზე მოთავსებული სხვადასხვა დანიშნულების, განსხვავებული კონფიგურაციის პალეოგრაფიული ნიშნებიც, (ისრები, ჯვრები, ვარსკვლავები, სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები, ასტროლოგიური და ალქიმიური ნიშნები), რომლებიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება კომენტარებიან ხელნაწერებში (ქაჯაია, 1969). ძველ ხელნაწერებს ამ ნიშანთა ერთი ნაწილის სახელებიც შემოუწინაზავს, ხოლო ნაწილის შესახებ კი თითქმის არაფერი ვიცით.

ბიზანტიური მწერლობის ძეგლების ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მთარგმნელ-კომენტატორის ეფრემ მცირის თარგმანების შემცველი ხელნაწერების შესწავლამ და მათზე დართულ „მთარგმნელის მოზრახულში“ დაცულმა ზოგიერთმა ცნობამ საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა კომენტატორულ საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი პალეოგრაფიული ტერმინის მნიშვნელობა და, ამასთანავე, დაგვედგინა ის ძირითადი პრინციპები, რომლითაც ხელმძღვანელობდა ეფრემი თარგმანის კომენტარებისას.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიქცია ეფრემის კოლოფონებში დადასტურებულმა ორმა პალეოგრაფიულმა ტერმინმა: „**პატივი**“ და „**კიდე**“. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში ეფრემი წერს: „... ვითარცა ვისწავეთ

ჩუენ ესე ოთხას ოცთა მათგან წიგნთა თეოდორე პატრიარქისა მიერ სუმეონწმიდას შეწირულთა, რომელთა შინა არარაჲ ჰრთავს საგალობელი, თჳნიერ ყოველნივე საკითხავნი არიან – გარეშენი და საეკლესიონი და საჭიროჲსა სიტყჳსა თარგმანი **„პატივთა ზედა წიგნისათა უწერიი, ხოლო „შეისწავენი“ და „განსაზღვრებაჲ“ „განჩინებითურთ“ და „სამეცნიეროჲ ესე“** არა ოდენ ამას წიგნსა, არამედ ყოველთავე წიგნთა ბერძნულთა უწერიან კიდესა, რაჲთა რაჟამს სამეცნიეროსა რასმე სიტყჳსა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უჭმდეს მიმყოვრებული ჟამი, ანუ ყოველსავე გარდაკითხვაჲ“(A24, 3r; დამასკელი, 1976, 68, დამასკელი, 2000, 23).

ტერმინების **„პატივის“** და **„კიდის“** შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „პატივი“ ასონაკლებობის აღმნიშვნელი ნიშნის სახელია: „ასოს ან მარცვლის ნაკლებობის მაჩვენებელ ნიშანს „პატივი“ ან „ქარაგმა“ ეწოდებოდა (ჯავახიშვილი, 1949, 137). მისი აზრით, ეფრემ მცირის ზემოთ მოყვანილი ანდერძის იმ ნაწილში, სადაც ეს ტერმინია ნახმარი, გადამწერებს შეცდომა დაუშვიათ: „წინადადება ვგონებ გადამწერთაგან დამახინჯებული უნდა იყოს და დედანში ალბათ ასე ეწერებოდა **„პატივითა კიდეთა ზედა წიგნისათა უწერიო“**. ერთი სიტყვით, ეფრემ მცირეს უნდოდა ეთქვა, რომ ბერძნულ ხელნაწერებში განმარტებას კიდებზე წერდნენ დაქარაგმებული სიტყვით“ (ჯავახიშვილი, 1949, 138). ივ. ჯავახიშვილი ამ სიტყვას სპარსული წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს, რომელიც „თავსაკრავს“, უკეთ „შუბლსაკრავს“ აღნიშნავს შემდეგში კი თანამდებობასაც (იქვე, გვ. 138; 1982; 262-264). „პატივი სპარსული სიტყვაა და თავსაკრავსა და თანამდებობას ნიშნავდა. სომხურშიც შემოსული იყო, სადაც ქართულის მსგავსად, სხვათა შორის, სიტყვის შემოკლების ნიშანსაც ეწოდებოდა“, – შენიშნავს იგი (ჯავახიშვილი, 1949, 138). ტერმინ **„კიდეს“** შესახებ კი მკვლევარი წერს: „კიდე ძველად ეწოდებოდა ტექსტის ოთხივე მხრივ დაუწერელ ზოლებს... შემდგომში ქართულ მწერლობაში „კიდეს“ მაგიერ ტერმინად „არშია“ შემოდის“ (იქვე, გვ. 64).

ტერმინ **„პატივის“** მნიშვნელობა საგანგებოდ შეისწავლა თ. ხაჭომიამ (ხაჭომია, 1953, 221-227), რომელმაც ეფრემ მცირის ამ ანდერძისა და ვანის სახარების ანდერძის მონაცემების გათვალისწინებით, სადაც ეს ტერმინი ასეთ კონტექსტშია: „ან ვინცა სწერდეთ, ვითა აქა პოოთ ეგრე დანერეთ *წენტლიითა და პატივთა ზედა მეორითა სიტყვთა*“(A1335,266), დაადგინა, რომ „პატივი“



ქარაგმის აღმნიშვნელი ტერმინი არ არის და ეფრემის „პატივთა ზედა“ ნიშნავს „აშიათა ზედას“, „პატივი კი უდრის აშიას“ (ხაყო-  
მია, 1953, 226). ოლონდ მცირე სხვაობა ამ ორ სიტყვას შორის,  
მისი აზრით, მაინც შეინიშნება: „პატივი იგივე აშიაა... მხოლოდ  
მცირე ნიუანსით, რომელიც შესაძლებელია ზემო და ქვემო აშიე-  
ბი იგულისხმებოდეს ისე როგორც ვანის სახარებაშია ეს თვალ-  
საჩინოდ წარმოდგენილი, ხოლო „კიდე“ უდრიდეს ასწვრივ ზოლს,  
რომელიც ხელნაწერის სვეტებს შორისაა მოთავსებული და მის  
კიდეებს ასდევს“, – შენიშნავს სქოლიოში მკვლევარი. „პატივი“  
რომ ხელნაწერის აშიის ზედა და ქვედა ნაწილის აღმნიშვნელი  
პალეოგრაფიული ტერმინია, ამის შესახებ ვარაუდს მკვლევარი  
ნაშრომის დასკვნაშიც გამოთქვამს: „ამრიგად, პატივი ორივე ტე-  
ქსტის მიხედვით (ეფრემის წინასიტყვაობა და ვანის სახარების  
ანდერძი დ. თ.) ხელნაწერის აშიას (შესაძლებელია მხოლოდ ზემო  
და ქვემო აშიას) ეწოდებოდა“ (ხაყომია, 1969, 227).

განხილულ ტერმინებს ეხება მ. სურგულაძეც ნაშრომში „ძვე-  
ლი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები“ (სურგულაძე, 1978),  
„კიდის“ მისეული განმარტება ივ. ჯავახიშვილისას ეყრდნობა:  
„კიდე ძირითადი ტექსტის შემომსაზღვრელ დაუნერეულ ზოლებს  
ეწოდებოდა“ (გვ. 60), ხოლო „პატივის“ განმარტებისას მკვლევარი  
თ. ხაყომიას გამოკვლევის გათვალისწინებით შენიშნავს, რომ „პა-  
ტივი ნიშნავს აშიას, კიდე (კერძოდ, გვერდის ზედა და ქვედა კი-  
დეებს) და ამ მნიშვნელობით ესმის იგი ეფრემ მცირესაც“. სიტყვა  
„პატივს“ ნიგნის კიდის აღმნიშვნელად მიიჩნევდა ი. აბულაძეც (აბ-  
ულაძე, 1973, 338). მისი განმარტება ეფუძვნება A484 ხელნაწერის  
(ალავერდის ოთხთავი) გადამწერის ანდერძს: „განთესულნი არ-  
ღარა დაწნერენ... პატივიცა ნიგნისა დაუშუერდებოდა“(A484,10r).

ტერმინი „პატივი“, ზემოთ აღნიშნული „გარდამოცემის“ წინა-  
სიტყვაობის გარდა, კიდევ ორჯერ გვხვდება ეფრემ მცირის ან-  
დერძში, რომელიც პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების შემცველ  
ათონურ (№18) ხელნაწერშია დაცული (თვალთვაძე, 1988, 220-  
221). ამ ანდერძში ეფრემი აღნიშნავს, რომ მას პავლეს ეპისტო-  
ლეთა კომენტარების თარგმნისას დედნად გამოუყენებია იოანე  
ოქროპირის თარგმანების მიხედვით კირილე ალექსანდრიელის  
მიერ კატენური წესით შედგენილი თხზულება, სადაც კიმენური  
ტექსტი ხელნაწერის შუაში იყო ნაწერი, ხოლო ეპისტოლეთა მუხ-  
ლების განმარტებები კი ხელნაწერის აშიაზე ოთხივე მხარეს იყო  
მოთავსებული. ეფრემი ასეთი წესით წერას „გარემონერას“ ან  
„მოთხვითად“ წერას უწოდებს (იქვე, გვ. 221).

ეფრემის სიტყვით, „ვისმე მოსწრაფესა ეთხოვა დიდისა კვრილესგან, რაათა პატივთა ზედა სამოციქულოსა წიგნისათა წარუწეროს შემოკლებული ძილი სიტყვსაჲ, რაათა აქუნდეს მას ერთ წიგნად პავლე თარგმნიანი“(Ath.18,236). აქ „პატივთა ზედა“ კომენტარების წარწერა აშკარად გულისხმობს „აშიათა ზედა“ მათ მოთავსებას. ცოტა ქვემოთ ეფრემი აგრძელებს: „ვინაჲთა-გან გარემონერილი იგი პატივთა და რიცხუთა საძიებელი საეკლესიოდ საკითხავად და სანერელადაც ძნელ იყო, ამისთვის ვითა თუთ წმიდისა იოანე ოქროპირის დიდთა თარგმანთა შინა არს მართლგანყობილ, ეგრეთ უმჯობესად წამეს ბერთა ჩუენთა და იგი მოთხვითად მოწერილი კვრილეს მიერ მართლგავანწყვეთ უადვილესობად მწერალთა და მკითხველთა“ (Ath.18, 237; თვალთვაძე, 1988, 221). ვფიქრობთ, ამ კონტექსტში ტერმინ „პატივის“ მნიშვნელობა ნათელია. ის არ შეიძლება ნიშნავდეს ხელნაწერიის აშიის მხოლოდ ზემო და ქვემო ნაწილს, როგორც ვარაუდობდა თ. ხაუომია, რადგან **„მოთხვითად წერა“** და **„გარემონერა“**, როგორც თვითონ სიტყვებიც მიგვანიშნებენ, ოთხივე მხარეს დაწერას ნიშნავს. „მოთხვითი“- ოთხკუთხი, ასეა განმარტებული ეს სიტყვა ლექსიკონებში (საბა, 1991, 498; აბულაძე, 1973, 264; ცქიტიშვილი, 1976, 315). ეფრემს სათარგმნად შერჩეული თხზულების ისეთი დედანი ჰქონია ხელთ, რომელშიც „პავლეს“ ტექსტში „განუკვეთავად“ ე. ი. გაბმით იყო ნაწერი ხელნაწერის შუაში, ხოლო განმარტებები კი აშიებზე იყო მოთავსებული. მაგრამ თავისი მოძღვრების, საბა თუხარელისა და ანტონი ტბელის რჩევით, ეფრემს ამგვარად **„მოთხვითად მოწერილი“** თარგმანება პავლეს ეპისტოლეებისა **„მართლგაუწყვია“**, ე. ი. „პატივთა ზედა“ მოთავსებული განმარტება-კომენტარები „პავლეს“ შესაბამისი მუხლის შემდეგ დაუნერია.

ამის უმთავრეს მიზეზად ეფრემი ასახელებს იმას, რომ ასეთი „მოთხვითად მოწერილი“ წიგნები „საეკლესიოდ საკითხავად ძნელ-იყო“. ამასთანავე, სირთულეებს აწყდებოდნენ გადამწერებიც („სანერელადაცა ძნელ-იყო“), რომლებსაც პატივთა ზედა წარწერილი თარგმანების ანუ კომენტარების „რიცხუთა საძიებელი“ შეიძლებოდა არეოდათ (თვალთვაძე, 1988, 221). ამიტომაც უზრუნია ეფრემს და „უადვილესობად მწერალთა და მკითხველთა“ მართლგაუწყვია პავლეს თარგმანებანი.

ცხადია, ეფრემი აქ ე. წ. კატენური ხასიათის შრომაზე საუბრობს, რომელშიც, როგორც წესი, განსამარტავი ტექსტი, ანუ კიმენი ოთხივე მხრიდან გარშემორტყმულია კომენტარებით.

ამდენად, ეფრემის „პატივთა ზედა“, რა თქმა უნდა, აშოას, ანუ ხელნაწერის ოთხივე მხარეს დაუწერელად დარჩენილ ნაწილს გულისხმობს და არა მხოლოდ მის ზედა და ქვედა მხარეს. ამასთანავე, „პატივი“, რომ აშოის მხოლოდ ზედა და ქვედა ნაწილი იყოს, მაშინ, „გარდამოცემის“ წინასიტყვაობის მიხედვით, სადაც ეფრემი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საჭიროესა სიტყუსა თარგმანი პატივთა ზედა წერიო“, ასეთი ძნელად გასაგები („საჭირო“) სიტყვების განმარტება ხელნაწერის მხოლოდ ზედა და ქვედა აშოაზე უნდა იყოს მოთავსებული, მრავალ ხელნაწერში კი ასეთი განმარტებები, ზედა და ქვედა აშოის გარდა, ნაწერის მარჯვნივ და მარცხნივ დაუწერელად დარჩენილ ადგილებზეცაა მიწერილი, რასაც ჩვეულებრივ კიდეს უწოდებენ ხოლმე. ასეთი შენიშვნები გვაქვს: **A** 16,24,62,109,110,132,137,154,217, 689,1115, **H** 194, **S** 1276, **Ath.**18, **Jer.**9,13,15,23,43 და სხვა მრავალ ხელნაწერში, რაც გვაფიქრებინებს, რომ „პატივი“ იგივე აშოაა და ნიშნავს ხელნაწერის ირგვლივ ოთხივე მხარეს ძირითადი ტექსტის შემომსაზღვრელ თავისუფლად დარჩენილ დაუწერელ ზოლებს.

ტერმინი „აშოა“//„არაშოა“ ეფრემის „მოზრახულში“ არ გვხვდება. როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა, ის შედარებით გვიან დამკვიდრდა ხელნაწერის იმ ნაწილის აღმნიშვნელად, რასაც ჩვეულებრივ „კიდეს“ უწოდებდნენ (ჯავახიშვილი, 1949, 64). ეფრემის ანდერძში ეს ტერმინიც გვხვდება რამდენჯერმე და ძირითადად აშოის მნიშვნელობით: „არა ხოლო შესავალსა ამას ვიტყვ, არამედ კიდესა წარწერილთა თარგმანთაცა; რომელთაგანი რომელნიმე ზეპირით დაწერილნია და რომელიმე დედისაგან“(A24,2v; დამასკელი, 1976, 67; დამასკელი, 2000, 23). აქ „კიდე“ აშკარად აშოის სინონიმაა. „კიდე“ აშოის მნიშვნელობითაა ნახმარი შემდეგ კონტექსტშიც: „ყოვლად უჯერო არს ვისგანმე კიდესა წარწერილისა მის თარგმანისა შიგან გარევით დაწერაჲ, არამედ კიდესა წარწერაჲ“(A24,3r; დამასკელი, 1976, 68; დამასკელი, 2000, 24). „უკუეთუ რაჲმე ძალისა განმაცხადებელი უჭმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა ადგილ-ადგილ... დაწერო“ (A24,3r; დამასკელი, 1976, 67; დამასკელი, 2000, 24) „რაჲთა შინა არარაჲ ჩავრთო, არამედ კიდეთა ზედა და თავისა და ბოლოესა ანდერძთა შინა ვიკადრო დაწერად“ (Ath. 18, 238; თვალთვაძე, 1988, 221). ყველა ზემოთ მოყვანილ კონტექსტში „კიდე“ აშოის მნიშვნელობითაა ნახმარი და მასზე, ისევე როგორც „პატივთა ზედა“, იწერება მთარგმნელის შენიშვნა-განმარტებები. აქედან შეიძლება გავაკეთოთ ასეთი დასკვნა: დღევანდელი აშოის მნიშვნელობით ეფრემ მცირე თავის

„მოზრახულში“ ხმარობს ორ ტერმინს: „პატივი“ და „კიდე“. უმეტესწილად ისინი სინონიმებია. „პატივი“ უდრის „კიდეს“. „პატივთა ზედა წარწერილი საჭიროესა სიტყვს თარგმანი“ და „კიდეთა ზედა ადგილ-ადგილ წარწერილი თარგმანი“ ეფრემის მრავალ ანდერძში უთუოდ ხელნაწერის ერთსა და იმავე ადგილს გულისხმობს – ძირითადი ტექსტის გარშემო თავისუფალ ადგილს ანუ აშიას. მაგრამ „გარდამოცემის“ თარგმანზე დართულ ზემოთ მოყვანილ წინასიტყვაობაში ტერმინები „პატივი“ და „კიდე“ აშკარად უპირისპირდება ერთმანეთს. მთარგმნელის თქმით, „პატივთა ზედა“ წერია „საჭიროესა სიტყვს თარგმანი“, ხოლო „კიდეთა ზედა“ – „შეისწავე“, „განსაზღვრებაჲ“, „განჩინებაჲ“, და „სამეცნიეროჲ“. ამ კონსტექსტში „პატივი“ და „კიდე“ სინონიმები არ არიან. პატივი ნიშნავს აშიას, ხელნაწერის იმ ნაწილს, სადაც მთარგმნელის განმარტებები იწერება, კიდე კი მისგან განსხვავებული ნაწილია ხელნაწერის გვერდისა.

საგულისხმოა ამ მხრივ „სამოციქულოს თარგმანებზე“ დართული მთარგმნელის ანდერძ-წინასიტყვაობა, სადაც ეფრემი წერს: „ესევეთარი სიტყუანი სადაცა შემიცვალეზიან, კიდესა სტიქონისასა იოტაჲ დამისუამს და შინა სიტყუასა წინაჲთ ესე, ვითარმედ „უსაკუთრესი ესრეთ“. ან უკუჲ სადაცა კიდესა სტიქონისასა ანუ სიტყვასა ზედა იოტაჲ ჰპოო და სიტყუათა თანა „უსაკუთრესი“, ცან, ვითარმედ მცირედ ცვალეზაჲ ჰნებებია მას სიტყუასა, რომელიგი წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგის არა ეგოდენ სხვსა რაჲსმე მიზეზისაგან, რაოდენ ძუჴლისა პავლისა წაყოლისაგან დაუტეობია...“ (Jer.161r; მარი, 1955, 57). როგორც კ. დანელიამ გაარკვია (დანელია, 1974; დანელია, 1982, 341-342), „იოტა“ და „უსაკუთრესი“ ეფრემ მცირის მიერ გიორგი ათონელის თარგმნილი „სამოციქულოს“ რედაქტირებისას გამოყენებული პირობითი ნიშნებია, ამათგან „იოტა“ (4) დაისმის ხელნაწერის კიდეზე, უფრო ზუსტად იმ სტრიქონის გასწვრივ, რომელშიც რაიმე შეცვლილია გიორგისეულ თარგმანში და თანაც აღნიშნულია „უსაკუთრეს ესრეთ არისო“, ანუ – ასე უმჯობესია, კონტექტს ასე უფრო შეესაბამებაო. ეფრემის ამ ანდერძში ხაზგასმულია, რომ „იოტა“ „კიდესა სტიქონისასა“ დაისმის. „კიდე“ აქ აშიის მნიშვნელობით არაა ნახმარი, რადგან სტრიქონის კიდედ შეიძლება მხოლოდ ის ვიწრო ზოლი მივიჩნიოთ, რომელიც უშუალოდ ნაწერს ასდევს გვერდით და არა ნაწერის ირგვლივ დარჩენილი მთელი აშია.

ასეთივე მნიშვნელობა აქვს „კიდეს“ „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაშიც. „შეისწავენი“, „განსაზღვრებაჲ“, „განჩინებაჲ“ და

სამეცნიერო“ „იოტას“ მსგავსი პირობითი ნიშნებია, რომლებიც „კიდესა სტიქონისასა“, ანუ ნანერის გასწვრივ აშიის იმ ნაწილში კეთდება, რომელიც უშუალოდ ტექსტს ასდევს. ამ შემთხვევაში ტერმინ „კიდეს“ უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმ კონტექსტებში, სადაც ის აშიას აღნიშნავს.

ვიწრო გაგებით „კიდეზე“ („კიდესა სტიქონისასა“) კეთდება საგანგებო აღნიშვნები კომენტატორისა, მთარგმნელისა თუ გადამწერისა, რომლებიც ტექსტის რომელიმე ნაწილის ან კონკრეტული სიტყვის ვიზუალურად გამოკვეთას ისახავს მიზნად. ფართო გაგებით „კიდეზე“, რაც „პატივის“ სინონიმია (ე. ი. უდრის აშიას) კი „საჭიროესა სიტყვს თარგმანი“ იწერება, ანუ კომენტატორის, მთარგმნელის თუ გადამწერის, სიტყვიერი კომენტარი, განმარტება თავსდება. ეფრემ მცირე „გარდამოცემის“ წინასიტყვაობის იმ ნაწილში, სადაც ხელნაწერის კიდებზე მიწერილ „შეისწავეს“, „განსაზღვრებას“, „განჩინებას“ და „სამეცნიეროს“ განასხვავებს „პატივთა ზედა“ მიწერილი „საჭიროესა სიტყვსა თარგმანისგან“, ფაქტობრივად თხზულების კომენტირების ორ ძირითად სახეს გამოყოფს. ერთია **სიტყვიერი კომენტარი**, რომელშიც ტექსტთან დაკავშირებული მრავალი საკითხი შეიძლება იყოს განხილული („საჭიროესა სიტყვს თარგმანი“, რომელიც „პატივთა ზედა“ იწერება) და მეორეა **თვალსაჩინოებითი კომენტარი**, ტექსტის ამა თუ იმ ადგილის ვიზუალურად გამოსაყოფად, მისანიშნებლად გამიზნულ პირობით ნიშნები, რომლებიც „კიდესა სტიქონისასა“ დაისმის.

„საჭიროესა სიტყვს გამოსათარგმანებლად“ განკუთვნილი ადგილი ანუ „პატივი“ და აშია ხშირად, როცა კომენტარი ვრცელი არაა და იმავე გვერდზე თავსდება, ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომაცაა ეფრემის ანდერძში „პატივი“ აშიის სინონიმი, მაგრამ როცა კომენტარი ვრცელია და იმავე გვერდზე არ ეტევა, „პატივი“ აშიას არ უდრის. მ. სურგულაძე უთითებს ერთ-ერთ ხელნაწერს (Q105), რომლის გადამწერი შენიშნავს: „ესე ქალაღი მისთვის დავაგდე, დედას ასრე სჭირდა და თთუენის დასაწყისის პატივი არს“. სურგულაძე, 1978, 61). „თთუენის დასაწყისის პატივი, „თთუენის“ დასაწყისის კომენტარისათვის განკუთვნილი ადგილია, რომელიც სიდიდის გამო ხელნაწერის იმ გვერდის აშიაზე ვერ დატეულა და მეორე გვერდიც დაუჭერია. როგორც მ. სურგულაძე აღნიშნავს, „ხელნაწერში ამ წარწერას მოსდევს სრულიად დაუნერეული გვერდ-ნახევარი. ასე რომ პატივი ამ შემთხვევაში ნიშნავს არა მხოლოდ კიდეს, არამედ საერთოდ დაუნერეულ თავისუფალ ადგილს“ (სურგულაძე, 1978, 61). მკვლევარის ამ სავესებით სწორ

დასკვნას ჩვენი მხრით მხოლოდ იმას დავძენდით, რომ შესაძლოა „პატივი“ საგანგებოდ კომენტარის დასაწერად განკუთვნილი ადგილის აღმნიშვნელი ტერმინი იყოს, რასაც გვაფიქრებინებს ამ სიტყვის თავდაპირველი შინაარსიც.

პალეოგრაფიული ტერმინის მნიშვნელობით ამ სიტყვის ხმარების სულ რამდენიმე შემთხვევაა დადასტურებული: „გარდამოცემის“ ეფრემისეული თარგმანის წინასიტყვაობაში (A24, 3r), ვანის სახარების ანდერძში, (A1335, 266v); Q105 ხელნაწერის გადამწერის ანდერძში, რომელსაც განიხილავს მ. სურგულაძე ალავერდის ოთხთავის (A484) გადამწერის ანდერძში, რომელსაც იმონშებს ი. აბულაძე თავის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ ამ სიტყვის განმარტებისას და Ath.18 ხელნაწერში დაცულ პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებზე დართულ ეფრემის ანდერძში, სადაც ორჯერ ვხვდებით ამ ტერმინს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში „პატივი“ აღნიშნავს ხელნაწერის გვერდის გარკვეულ ნაწილს.

როგორც მიუთითებენ, „პატივი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა (ჯავახიშვილი, 1949, 138; 1982, 262-264; ხაჭომია, 1969, 227; სურგულაძე, 1978, 60; ანდრონიკაშვილი, 1966) და ნიშნავს თავსაბურავს, შუბლსაკრავს. გვიანდელ სპარსულში თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინიცაა. თავსაბურავის მნიშვნელობით ეს სიტყვა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშიც გვხვდება. კერძოდ, იერემიას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანის ერთ-ერთ XI საუკუნის იერუსალიმურ ნუსხაში: „და პატივნი და აღსაპყრობელნი და გვრგვნი... წარიღეს“ (დანელია, 1992, 214), ხოლო გელათურ ხელნაწერში სიტყვა „პატივი“ შეცვლილია მისი სინონიმით „ხვრებით“: და ხვრები და საპყრობილეები და გვრგვნი... წარიხუნეს“. საბას განმარტებით „ხვრი სამღვდელო თავსაბურავია“ (საბა, 1993, 436). როგორც ჩანს, ის სიტყვა, რომელიც თავისუფლად შეცვალეს გელათურ ბიბლიაში ხვრით, ასევე სამღვდელო თავსაბურავის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ე. ი. პატივი ამ კონტექსტში ნიშნავს სამღვდელო თავსაბურავს, სამკაულს. ხოლო სამკაულის აღმნიშვნელი სიტყვის პალეოგრაფიულ ტერმინ „პატივთან“ დაკავშირება სემანტიკურად სავსებით დასაშვებია, რადგანაც კომენტარი, რომელიც ძირითად ტექსტთან შედარებით წვრილი ხელით („მეორითა სიტყვათ“) სვეტებად იყო ნაწერი, ერთგვარად ალაპაზებდა, ამკობდა ხელნაწერს და გარკვეულწილად დეკორატიული დანიშნულება ჰქონდა. ამდენად შეიძლებოდა თავსამკაულის აღმნიშვნელის სიტყვა „პატივი“,

ხელნაწერის სამკაულად ქცეულ მოთხვითად მონერილი კომენტარების დასაწერი ადგილის აღმნიშვნელი გამხდარიყო. ეფრემის ანდერძების მიხედვითაც ტერმინი „პატივი“ ხელნაწერის გვერდის ის ნაწილია, რომელიც ნაწერის ოთხივე მხარეს დაუწერელად არის დატოვებული და რომელზედაც იწერება მთარგმნელის ან გადამწერის სიტყვიერი კომენტარი. ხოლო „კიდეს“ ეფრემის ანდერძების მიხედვით ორი მნიშვნელობა აქვს: ა) „კიდე“ უდრის აშისა და ბ) „კიდე“ უდრის ნაწერის გასწვრივ მარცხნივ და მარჯვნივ დარჩენილ ვიწრო ზოლს. კიდეა, აგრეთვე, სვეტებს შორის მოქცეული ვიწრო ასწვრივი ზოლიც.

როგორც აღვნიშნეთ, ეფრემ მცირე იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში, სადაც ერთმანეთს უპირისპირებს კიდეზე და პატივზე მონერილ შენიშვნებს, თხზულების კომენტარების ორ წესს გულისხმობს. „პატივთა ზედა“ წარწერილი „საჭიროესა სიტყუს თარგმანი – მთარგმნელის სიტყვიერი კომენტარია, ხოლო კიდეთა ზედა წარწერილი „შეისწავე“, „განსაზღვრებაჲ“, „სამეცნიეროჲ“ და „იხილე“ – ტექსტის ამა თუ იმ მოანკვეთის თვალსაჩინოდ გამოსაკვეთად გამიზნული მისათითებელი პალეოგრაფიული ნიშნებია, ანუ მარგინალური ნიშნები. თავისი თარგმანების „ბერძნულსა წესსა ზედა გამმართველი“ ეფრემი აქაც ბიზანტიულ მნიგნობართა კვალს მიჰყვება. სწორედ ბერძნულ მანუსკრიპტებში გვქონდა კიდეებზე სპეციალური დანიშნულების პირობითი ნიშნები ( დევრეესი, 1954, 30; გრანსტრემი, 1960, 10; ქაჯაია, 1969, 32-50; ოთხმეზური, 1992, 2009), მაგალითად ისეთი, როგორიც იყო შემოღებული ჯერ კიდევ ჰომეროსის ალექსანდრიელი კომენტატორების მიერ: –ὀβήλῳτς, >διπλῆ ἀπεριστῆκος; >διπλῆ περιεστῆμῆνυ; \* – ἀστῆρῆκος μετὰ ο ὀβῆλῳσ; ἀντιστῆμῆ; . . . δῖσ στῆμῆ და სხვ. (დინდორფიუსი, 1875, 42). მათს პრაქტიკაში დამკვიდრებას ალექსანდრიელ ფილოლოგს არისტარქეს მიაწერენ და ამიტომაც ამ ნიშნებს არისტარქურ ნიშნებს უწოდებენ (სვიტი, 1914, 59). როგორც აღვნიშნეთ, ეს ნიშნები ჰომეროსის ტექსტის კომენტარებისათვის გამოიყენებოდა და აღნიშნავდა მასში შეტანილ სხვადასხვა ხასიათის ცვლილებებს. მაგალითად, ისინი აღნიშნავდნენ პოემის ტექსტში შეცდომით შეტანილი სტრიქონის მდებარეობას, მიუთითებდნენ გადამწერთა მიერ გარყვნილ მონაკვეთებზე, შეცდომებზე, რომლებიც ჰომეროსის ერთ-ერთი პირველი კომენტატორის ზენოდეტისაგან მომდინარეობდა და სხვ. ე. ი. ყველა ამ ნიშნის დანიშნულება იყო მკითხველის ყურადღების მიქცევა ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთისადმი. მათ მიმითებული,

მიმანიშნებელი, დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდათ.

ანალოგიური დანიშნულების ნიშნები საეკლესიო მწერლობის თხზულებათა შემცველ ბიზანტიურ ხელნაწერებშიც გვხვდება, მათ „ჰექსაპლარულ ნიშნებს“ (სვიტი, 1914, 61) უწოდებენ, რადგან ისინი თავის „ჰექსაპლებში“ გამოიყენა ორიგენემ, რომელმაც ალექსანდრიელი გრამატიკოსების მიერ შემოღებულ ნიშნებს რამდენიმე ახალიც დაუმატა (მაგ. ~ ლემნისკუსი, = ჰიპოლემნისკუსი და სხვ.).

შუა საუკუნეების ბერძენმა გადამწერებმა შემოიღეს მცირე ზომის სხვადასხვა ნიშნები და ნიშანთა სისტემა, რაც ტექსტის გარკვეული ადგილისადმი მკითხველის ყურადღების მისაქცევად იყო გამიზნული და უადვილებდა მას საჭირო ადგილის პოვნას. ასეთია სხვადასხვაგვარი ჯვრები, ვარსკვლავები („ასტერიკები“), ისრები და სხვა პალეოგრაფიული ნიშნები, რომელთა ერთი ნაწილის სახელწოდება გადამწერთა შენიშვნებში არის დაცული, მეორე ნაწილის სახელი უცნობია, მაგრამ როგორც რ. შმერლინგი აღნიშნავს, ერთი რამ ცხადია, რომ ისინი ტექსტის შინაარსთან მიმართებაში დამხმარე მნიშვნელობისანი არიან“ (შმერლინგი, 1967, 69).

ე. გრანსტრემის დაკვირვებით (გრანსტრემი 1960,18), ბიზანტიელმა კომენტატორებმა თუ გადამწერებმა დაუდგენელი მიზეზების გამო შეიმუშავეს სპეციალური ნიშნები გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარებისათვის, თუმცა ამ ნიშანთა მსგავსი სისტემა იოანე ოქროპირის თხზულებების შემცველ რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერშიც დასტურდება (გალავარისი, 1969). მარგინალური ნიშნებით მონიშნულ ადგილებს მკითხველი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოჰყრობოდა.

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებისათვის შემოღებული პირობით ნიშანთა ეს სისტემა ქართულ ხელნაწერებშიც გვხვდება. კერძოდ, ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი გრიგოლ ღრმთისმეტყველის 16 ჰომილიის შემცველ ზოგ ხელნაწერში (A109, Jer. 43, Jer.15) და A24-ში, რომელიც იოანე დამასკელის „დიალექტიკისა“ და „გარდამოცემის“ ეფრემ მცირეულ თარგმანებს შეიცავს და S1276-ში, რომელიც ეფრემის ავტოგრაფს წარმოადგენს (მეტრეველი, 1959; ოთხმეზური, 1995).

აღსანიშნავია, რომ Jer. 43, ხელნაწერში ზანდუკის შემდეგ(4v) ამ ნიშნების გრაფიკული გამოსახულებანი და მათი ახსნაცაა მოცემული, რაც, როგორც ჩანს, ბერძნული დედნიდან მომდინარეობს, რადგან ნიშანთა ეს სისტემა და მათი ახსნაც დაცულია



რამდენიმე ბერძნულ ხელნაწერშიც (მოსეი, 1981), რომელთაგან ერთს გრანსტრემიცი იმონუმებს (მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ბერძნ. ხელნაწერი №60). ეს არის პერგამენტზე შესრულებული 975 წლის ხელნაწერი, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებებს შეიცავს და კიდევზე ახლავს მრავალრიცხოვანი სქოლიოები. ამ ხელნაწერის მე-2 გვერდზე არის სწორედ მოთავსებული კომენტარებისათვის გამოყენებული ნიშნების ახსნა (იხ. აგრეთვე, K. and S. Lake, Dated Greek Manuscripts to the year 1200 (Monumenta Paleographica Vetera) VI, Boston, 1936). თ. ოთხმეზურის მითითებით, ამ სქოლიოს ავტორია VI საუკუნის ანონიმი კომენტატორი (ოთხმეზური, 1992, 96 და იქ მითითებული ლიტერატურა: Ch. Astruc, Remarques de S. Gregoire de Nazianze - Analecta Bolandiana, 1974, t. 92. Fax. 3-4, p. 289-295).

Jer. 43 ხელნაწერში, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტში გამოყენებული ნიშანთა ახსნა ზანდუკს მოსდევს და ისევე, როგორც ამ ხელნაწერის მრავალრიცხოვანი სქოლიოები, წვრილი ნუსხურით არის დაწერილი. ხელნაწერის ფოტოპირზე ნიშნები ძალიან ცუდად გაირჩევა, მაგრამ ტექსტში გამოყენებული ნიშნები საშუალებას გვაძლევს, ადვადგინოთ მათი გრაფიკული გამოსახულება. ნიშანთა ახსნას წინ უძღვის სინგურით დაწერილი სათაურიც: „თარგმანი ნიშანთა ამა[თ] [... ...]“, რომელსაც მოსდევს განმარტების ტექსტი:

**♣ „მზისთუალის სახე** ესე ნიშანი განწესებულ არს ადგილთა, რომელთა შინა ღრმთისმეტყველებისათვის მეტყუჴლებდეს მოძღუარი, ვინათგან მზედ სიმართლისად სახელ-ედების ღმერთსა წერ-ილთა შინა“.

※ **„ვარსკულავის სახე** განწესებულ არს ადგილთა, რომელთა შინა ჴორციელებრივისა განგებულებისათვის დიდისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა მეტყუჴლებდეს ღრმთისმეტყუჴლი მოგუთა გამოჩინებულისა მის ვარსკულავისათს“.

**შწრი** „სასწაული ესე შუჴნიერისა განწესებულ არს ადგილთა, რომელთა შინა მეტყუჴლებაჲ შეიმკვებოდის, ანუ გულისჴმისსაყოფელობაჲ აღყუავენებოდის, ანუ ორივე ზეშთა აღემატებოდის“.

**შსწე** „შეისწავე ესე დაწესებულ არს ადგილთა, რომელთა შინა იპოვებოდეს უცხოჲ რაამე ანუ სჯულისდებითი, ანუ მოთხრობითი, ანუ გამომეტყუჴლებითი, რომლისაჲ უჴმს შესწავებაჲ მკითხველსა“ (Jer. 43, 4v; ბრეგაძე, 1988, 150; ოთხმეზური, 1992, 1995):

პირველი ნიშანი „მზისთუალის სახე“, (τὸ ἡλιακὸν σημεῖον) ბერძნულ ასტრონომიულ ტექსტებში მზეს აღნიშნავს და გრიგოლ

ნაზიანზელის თხზულებებში იმ ადგილას დაისმის, სადაც საუბარ-ია ღმერთზე, ღმრთისმეტყველებაზე, ღვთაებრიობაზე, რადგანაც საღრმთო წერილში ღმერთი სამართლიანობის მზედ იწოდებაო. ამ ნიშნის შესახებ ეფრემ მცირე „გარდამოცემის“ VIII თავის („წმინდისა სამებისათვის“) სათაურის გამო გაკეთებულ შენიშვნაშიც აღნიშნავს: „სადაც სამებისათვის თქუმილ იყოს, ყველგან შუენის და ზის ბერძულთა წიგნთა ესე მზისთუალის სახე ნიშანი არა საკითხავთა, არამედ საგალოებელთაცა შინა“ (A24, 40v; მიმინოშვილი, 1966, 117). Jer. 43-ში ეს ნიშნები ძალიან ცუდად გაირჩევა, მაგრამ ერთ ადგილას თითქოს უნდა ჩანდეს „მზისთუალი,“ რომელიც ნაზიანზელის თხზულების შემდეგ ადგილს უზის კიდეზე. „ვიქმნეთ ტკბილ, მოწყალე თანალმობელ; ვემსგავსნეთ სახიერებასა მეუფისასა, რომელი აღმოუბრწყინებს მზესა კეთილთა და ბოროტთა და ზრდის ყოველთა წმიდათა მსგავსებით“ (Jer. 43, 10v). ამ ნიშნის ხნარების რვა შემთხვევა დაადასტურა თ. ოთხმეზურმა A109 ხელნაწერში (ოთხმეზური, 1992).

მეორე ნიშანია „ვარსკვლავი“ (ἀστὴρ/στικ). იგი გრაფიკულად ასე გამოისახება ✱. ეს ნიშანი აღნიშნავს ისეთ ადგილებს ტექსტში, სადაც ლაპარაკია ქრისტეს ხორცშესხმის შესახებ, რადგანაც, როგორც კომენტატორი განმარტავს, ეს ამბავი მოგვებს ვარსკვლავის გამოჩინებით ეუწყათ.

ნაზიანზელის ჰომილიების ეფრემ მცირეული თარგმანების შემცველ ხელნაწერებში Jer. 15 და Jer. 43-ში რამდენჯერმე გვხვდება ეს ნიშანი და ყველგან იქ, სადაც ძე ღმერთის ხორციელებაზე, განკაცებაზე, მის ადამიანურ საქმიანობაზეა ლაპარაკი. მაგალითად: „და იქმნა თვნიერ ცოდვსა კაც, რამეთუ უვმდა შობისაცა პატივის-ცემად“ (Jer. 15, 203r) კიდეზე დიდი ვარსკვლავია დახატული; „ქრისტე ნათელ იღებს – თანა განებრწყინდეთ, ქრისტე დაეფლვის – თანაშთავიდეთ, რაჟთა თანააღმოვიდეთ (Jer. 15, 87r), აქაც კიდეზე „ასტერისკოა“. „ქრისტეს თანა სწერ, ქრისტეს თანა აღსწონ, თავისა თანა გამოცდი, სიტყვსა თანა ჰამარ-ჰყოფ“ (Jer. 43, 11r; Jer. 15, 17v) ნაზიანზელის თხზულების ეს ადგილიც ვარსკვლავის ნიშნითაა გამოყოფილი.

მესამე ნიშანია „შუენიერი“, რაც კიდეზე დაქარაგმებულად (შნრი) არის მიწერილი ამ ადგილების აღსანიშნავად, სადაც მეტყველება განმშვენებულია, შემკულია, „აზრი აყვავებული“. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს მხატვრული აზროვნების შემთხვევებთან.

ტერმინი თარგმანია ბერძნული ἄραϊσιν--ისა, <sup>3\*</sup> რასაც მრავალი მნიშვნელობა აქვს, 1. მნიფე, შემოსული, 2. სრული, დავაჯკაცე-ბული, 3. თანადროული, 4. შესაფერისი, 5. აყვავებული, კარგი. 6. დადგენილი, რეგულარული და სხვ. ტერმინისათვის, როგორც ჩანს, ამოსავალია ამ სიტყვის მეხუთე მნიშვნელობა (აყვავებული). ეს ნიშანი ხელნაწერებში ძალიან ხშირად იხმარება, აქ მხოლოდ ორიოდე მაგალითს მოვიყვანთ: „და ვითარცა უტკბილესთაგან მოვიდეს შემწუხებელნი, ეგრეთვე შესანუხებელთაგან კუალად ეგნენ უტკბილესნი“ (Jer.43,14v) „ვინ უფროჲს განათლდა ნათლითა მეცნიერებისაჲთა და შთაიხედნა სიღრმესა სულისასა და ღმრთისა თანა განიხილა ღმრთისათჳს, ვისმე აქუნდა სიტყუჲა უმჯობესი მთარგმანებლად მოგონებულთა, ვიდრე არცა ერთი საეჭუ იყო მისთჳს მსგავსად მრავალთა, ვითარმედ ანუ გონებასა სიტყუჲა არა აქუს, ანუ სიტყუჲა არა გონიერებად ვალს, არამედ ორკერძოვე მსგავსად სათნო იყო“. (Jer.43, 65v) ამ ადგილას კიდევ-ბზე შენიშვნა „შნი“. ე. ი. ნიშანი „შუენიერი“ ზის ტექსტის იმ ადგილების მოსანიშნად, სადაც თხრობა მხატვრული სახეებით ხდება.

მეოთხე ნიშანი (შსწე) – „შეისწავე“ თარგმანია ბერძნული სიტყვისა ἄραϊσιν (II პირის ფორმა ზმნისა ἄραϊσιν). ამ ზმნას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა. 1. აღნიშვნა, შენიშვნა. 2. med. ახსნა, განმარტება, 3. med. აღნიშნე, დაიხსომე. ჩვენს შემთხვევაში მას, ცხადია, აღნიშვნის მნიშვნელობა აქვს. კიდევუ დაქარაგმებულად მიწერილი „შეისწავე“ მკითხველს მიანიშნებს, რომ ტექსტში ისეთ რამეზეა საუბარი, რომელიც მისგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ამგვარი აღნიშვნები ძალიან ხშირად გვხვდება ქართულ ხელნაწერებში, განსაკუთრებით ხშირად კი ეფრემის თარგმანების შემცველ ნუსხებში. მრავალრიცხოვანი მაგალითებიდან მოვიყვანთ ორიოდეს: „ვიეთნიმე უკუჴ იტყჳან, ვითარმედ პირველ ყოველთა დაბადებულთა დაიბადეს ანგელოზნი, ვითარცა ღმრთისმეტყჳსლი გრიგოლი იტყჳს, ვითარმედ პირველად მოიგონა ანგელოზნი იგი ძალნი ზეცისანი და მოგონებაჲ იგი საქმე იყო“ (A24, 53v). ამ მსჯელობის გასწვრივ მთელ სიგრძეზე კიდევუ ჩამოწერილია „შეისწავე“. ან კიდევ: „რაჲთა დასაბამ ბორ-

3 აღსანიშნავია, რომ ამ ბერძნულ სიტყვას, რომელიც მონოგრამის სახით იწერებოდა ბერძნული ხელნაწერების კიდებზე, ყოველთვის არ თარგმნიდნენ ქართულად. ზოგჯერ ეს მონოგრამითვე გადმოჰქონდათ, რომელიც ორი ასომთავრული ასოს ო და რ-საგან შედგება. ო-ს მუცელშია რ ჩასმული. ამის შესახებ. იხ. ლ. ქაჯაია, პირობითი ნიშნები ქართულ კომენტარებიან ხელნაწერებში, პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბ., 1969. გვ. 34-35).

ოტისა იქმნების უდებებაჲ კეთილისაჲ (Jer.43,12r) კიდებუ აქაც „შეისწავა“ მიწერილი. მოყვანილი მაგალითებიდანაც ნათელია, რომ მარგინალური ნიშანი „შეისწავე“ ხაზგასმისათვის, მკითხველის მიერ დასამახსოვრებლად, აღსანიშნავად არის გამოყენებული და დაახლოებით იმგვარი დანიშნულება აქვს, რაც NB-ს. „შეისწავე“ ნიშნავს „აღნიშნე, დაიმახსოვრე,“ და ზემოთმოყვანილი სქოლიოს მიხედვით ის ზის ტექსტის იმ ადგილებში, სადაც რაიმე დოგმატური (ეფრემით „სჯულისდებითი“, ბერძნ δόγμα), ისტორიული („მოთხრობითი“ ბერძნ. ἱστορία) ან მხატვრული („გამომეტყველებითი“) ტექსტი გვაქვს.

როგორც ხელნაწერებიდან ჩანს, ეს სიმბოლოები მისათითებელი მარგინალური ნიშნები იყო, რომლებიც მკითხველის ყურადღებას ამახვილებდნენ თხზულების ამა თუ იმ ადგილზე, ერთგვარად ხაზს უსვამდნენ, გამოკვეთდნენ, ვიზუალურად გამოყოფდნენ ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთს და ამით გარკვეულ მიმართულებას აძლევდნენ მკითხველს.

როგორც ვხედავთ, ბერძნულ და ქართულ ხელნაწერებში კიდებზე მისათითებელი ნიშნების თუ სიტყვების მიწერა გავრცელებული იყო. ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მსგავსად, მარგინალურ, მკითხველის ყურადღების მისაქცევ ნიშანს, შენიშვნას წარმოადგენს ეფრემის მიერ „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში დასახელებული „შეისწავე“, „განსაზღვრებაჲ“ „განჩინებაჲ“ და „სამეცნიეროჲ“. ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, რომ „შეისწავე“ ბერძნული τημεῖσται-ის თარგმანია და მნიშვნელობით უდრის „აღნიშნე, დაიხსომეს“. „შეისწავეს“ მსგავსად მიმანიშნებელი ფუნქცია აქვთ ისეთ მინაწერებსაც, როგორიცაა „განსაზღვრებაჲ“, „განჩინებაჲ“ და „სამეცნიეროჲ“, „იხილე“, და „შუენიერი“, რომლებიც ასევე კიდებზე კეთდება და მკითხველის ყურადღებას ტექსტის ამა თუ იმ ადგილზე ამახვილებს. „განსაზღვრებაჲ“ ბერძნული სიტყვის ὁ ἔρως-ის ქართული შესატყვისია. ამ ტერმინის მნიშვნელობის ახსნაზე თვითონ ეფრემი მიგვითითებს: „განსაზღვრებისა თარგმანი თვთ წინა გეპოების საფილოსოფოსოთა თავთა შინა მეათექუსმეტედ თავად“ (A24, 3r). მართლაც, იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ეფრემისეულ თარგმანის მე-16 თავში ასეთი გამარტება გვაქვს: „განსაზღვრებაჲ არს სიტყუად მოკლე, საცნაურ მყოფელი ბუნებასა წინამდებარისა საქმისასა. (დამასკელი, 1976, 105). და სადაც რაიმე ცნების, საგნის ან მოვლენის განმარტება, განსაზღვრება, დეფინიცია გვაქვს, იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ და „გარდამოცემის“ ხელნაწერში (A

24) კიდევ მიწერილია „განსაზღვრება“. მაგალითად: „ვნება არს გრძნობადი აღძვრა ნებებითისა ძალისა ოცნებასა ზედა კეთილსა ანუ ბოროტსა(A24,70v); „განზრახვა არს აღძვრა და სურვილი რათასამე საქმისა მიმართ სიტყვერითი“(A24,72r); „მოქმედება არს ბუნებითი ძალი და ძვრად თითოეულისა არსებისა“(A24,73v). ასეთ შემთხვევებში კიდევ ყველგან არის მინაწერი: „განსაზღვრება“.

„განსაზღვრების“ მსგავსია „განჩინებაც“. ეფრემი ამის შესახებაც მიუთითებს „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში. „ხოლო განსაზღვრებასა და განჩინებასა იგივე და ერთი ძალი აქვს“(A24,4r). მსგავსი დანიშნულებით იხმარება მისათითებელი სიტყვები „სამეცნიერო“ და „იხილე“.

ამრიგად, ტერმინები „შეისწავე“, „განსაზღვრება“, „განჩინება“, „სამეცნიერო“, „იხილე“ ტექსტის კიდევზე გაკეთებული სპეციალური დანიშნულების მარგინალური ნიშნებია, რომელთაც მხოლოდ მისათითებელი, დამხმარე ფუნქცია აკისრიათ და მკითხველის ყურადღებას ამახვილებენ თხზულების ამა თუ იმ ადგილზე. ეს ნიშნები კიდევზე კეთდება ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა პირობითი ნიშანი, მაგალითად: „ქანწილი“, „ლელვავრცელი“ (ციტატის ნიშანი), ჯვარი ანუ „ასტერიკსო“ და „იოტა“, რომელიც ეფრემმა გიორგი ათონელის მიერ თარგმნილი „სამოციქულოს“ გასწორებული ადგილების აღსანიშნავად შემოიღო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ტექსტის ამგვანი დამუშავება, რაც ეფრემმა ბიზანტიელი მწიგნობრებისაგან გადმოიღო, თხზულების კომენტარების ერთგვარი სახეა, რადგან საგანგებო მითითებით კომენტატორი მკითხველს ყურადღებას ამახვილებინებს ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთზე, სწორედ იმაზე, რაც, მისი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია და დასამახსოვრებელი.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობა, ვფიქრობთ, საკმაო საბუთია იმისათვის, რომ დავასკვნათ: სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ხმარებული ტერმინი „შეისწავე“ ყოველთვის არ აღნიშნავს მთარგმნელის სიტყვიერ შენიშვნას, განმარტებას, მსჯელობას ტექსტთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხზე. ის ორგვარი შინაარსისაა. ერთ შემთხვევაში, როცა „კიდესა სტიქონისასა“ იწერება, ის არის მისათითებელი პირობითი ნიშანი, ხოლო როცა ამ სიტყვით აშიაზე მოთავსებული მთარგმნელის განმარტება იწყება, ტერმინი „შეისწავე“ მთარგმნელის სიტყვიერ კომენტარს აღნიშნავს. ამიტომაც აღრევის თავიდან აცილების მიზნით, მართებული იქნება აშიაზე ანუ „პატივთა ზედა“ მიწერილ მთარგმნელისეულ სიტყვიერ შენიშვნებს ეფრემ მცირისვე სიტყვებით „კი-

დეთა ნარწერილი თარგმანი“ ვუნოდოთ, რადგან ამ შენიშვნებს იგივე დანიშნულება აქვთ, რაც დღევანდელი გაგებით სქოლიოს და თხზულებას დართულ კომენტარებს გააჩნიათ, შესაძლებელია მათ აღმნიშვნელად ზოგადად ტერმინი *სქოლიო* ან *კომენტარიც*, ან *სქოლიო-კომენტარიც* გამოვიყენოთ. მით უმეტეს, რომ სიტყვა *სქოლიოს* ამ შინაარსით ძველ მთარგმნელებთანაც ვხვდებით, ხოლო საბას განმარტებით, „სხოლიო არს წიგნთ თარგმანი გარეშემონერილი“ (საბა, 1993, 126).

ამრიგად, თარგმანის კომენტარების ეფრემ მცირისეულ სისტემაში დანიშნულების თვალსაზრისით გამოიყოფა ორი ტიპის კომენტარი: 1) თვალსაჩინოებითი, მიმანიშნებელი კომენტარი, ანუ მარგინალური ნიშნები და 2) სიტყვიერი, განმარტებითი კომენტარი, ანუ მთარგმნელის სქოლიო.

მთარგმნელის სიტყვიერი კომენტარიც არაა ერთგვაროვანი. სიტყვიერ კომენტარში, რომელსაც ეფრემი, როგორც აღვნიშნეთ, „*მთარგმნელის მოზრახულს*“ უწოდებს, იგულისხმება არა მხოლოდ „*კიდეთა და პატივთა ზედა*“ ნარწერილი შენიშვნები, არამედ „*თავისა და ბოლოსა ანდერძებიც*“; ანუ თხზულებას ნამძღვარებული წინასიტყვაობაც და ბოლოში დართული ანდერძიც. მთარგმნელის სიტყვიერი კომენტარის ერთგვარი სახეობაა ტექსტში ჩართული განმარტებებიც, სადაც მთარგმნელი რომელიმე უცხოენოვანი სიტყვის თარგმანს გვაძლევს, ან სახელის ეტიმოლოგიას გვიხსნის. მთარგმნელის ამგვარი შენიშვნებიც, რა თქმა უნდა, კომენტარია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ, როგორც წესი, მხოლოდ ერთი სიტყვის განმარტება გვაქვს მოცემული. მაგრამ, ამის მიუხედავად, ისიც „*მთარგმნელის მოზრახულია*“, ოღონდ ტექსტშივე ჩართული. აღსანიშნავია, რომ ასეთი ჩანართები, ანუ „*ზედადართულები*“ და იმ ბერძნულ დედნებშიც ყოფილა, რომლებითაც სარგებლობდა ეფრემი. მაგალითად, ნაზიანზელის ჰომილიათა ერთ-ერთ კრებულში შემონახულ მთარგმნელის ანდერძში ეფრემი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჩემი მასწავლებლები მირჩევდნენ, „*რაათა ზედადართული ყოველი და თარგმანისაგან ჩართული დაუტერო და თვთ წმიდისა ოდენ სიტყუაჲ მარტოდ ვთარგმნე*“ (Jer.43,3r). მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში რაიმეს ჩართვა ეწინააღმდეგებოდა მის პრინციპებს, ეფრემს წინა მთარგმნელთა მსგავსად ზოგი უცხოენოვანი სიტყვის განმარტება ტექსტშივე მიუცია, ანუ სათარგმნი თხზულებისათვის „*სიტყუა დაურთავს*“ თვით ტექსტში. ამგვარ შენიშვნებს, ანუ მთარგმნელისეულ ჩანართებს, ჩვენ ქართველ მწიგნობართა

და მათ შორის ეფრემის მიერ ხმარებული ტერმინით „სიტყუა-დართულით“ აღვნიშნავთ და „კიდეთა ზედა წარწერილ“ კომენტარებთან ერთად განვიხილავთ ეფრემის ლექსიკურ ხასიათის სქოლიოების ანალიზის დროს.

თუკი ზემოთ თქმულს შევაჯამებთ, ჩვენი კვლევის სფერო ასე განისაზღვრება. ეფრემ მცირის კომენტატორული საქმიანობა ჩანს „**მთარგმნელის მოზრახულში**“, რომელშიც ეფრემი და მასთან ერთად ჩვენც ვგულისხმობთ:

- ა) „**თავისა ანდერძებს**“, ანუ მთარგმნელის წინასიტყვაობებს, შესავალ წერილებს;
- ბ) „**ბოლოჯა ანდერძებს**“, ანუ მთარგმნელის ბოლოსიტყვაობებს;
- გ) „**კიდეთა ზედა წარწერილ თარგმანებს**“, ანუ სქოლიოებს;
- დ) „**სიტყუადართულებს**“, ანუ ტექსტში ჩართულ მთარგმნელი-სეულ შენიშვნებს.

როგორც „მთარგმნელის მოზრახული“ ყველა ანდერძი არ შეიძლება იყოს ერთნაირი (ზოგი ვრცელია, ზოგი ძალიან მოკლე, ზოგი თხზულების თარგმნასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს ეხება, ზოგში კი მხოლოდ მთარგმნელის ვინაობაა დასახელებული) (მეტრეველი, 1959, 98), ასევე ერთმანეთისაგან განსხვავებულია როგორც სქოლიო-კომენტარები, ისევე „სიტყუადართულობანიც“. ამგვარი განმარტებების კონსტრუქციულ თავისებურებებს ყურადღება მიაქცია ე. ხინთიბიძემ, რომელმაც 3 ჯგუფად დაყო ისინი: 1. მთარგმნელი ბერძნული ფორმის განმარტებისას, სიტყვებით „*რომელ გამოითარგმანებს*“ მიუთითებს მის ქართულ მნიშვნელობაზე და შემდეგ იძლევათ ამ სიტყვის საკუთარ ეტიმოლოგიურ გააზრებს (ექვთიმე ათონელი). 2. მთარგმნელი განმარტავს ბერძნულ სიტყვას ქართული შესატყვისით და ტექსტშივე მიუთითებს: „*რომელ არს*“ (გიორგი მთაწმინდელი). 3. მთარგმნელი ბერძნულ სიტყვას იქვე, გვერდით მიუწერს შესაბამის ქართულ თარგმანს და ტექსტში საგანგებო მითითებას იმაზე, რომ თარგმანებასთან გვაქვს საქმე, არ ურთავს (ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი) (ხინთიბიძე, 1982, 75-176).

ეფრემ მცირის სქოლიოებიც კონსტრუქციულად სამი განსხვავებული ტიპის შენიშვნები გამოყოფა. 1) სქოლიოთა ერთი ნაწილი სხვებთან შედარებით ვრცელია და მასში მთარგმნელი ტექსტის თარგმნასთან ან კონკრეტულ ადგილთან დაკავშირებულ რომელიმე საკითხს ეხება. ამგვარ სქოლიოს ხშირად იწყებს

სიტყვა „შეისწავე“, რასაც მოსდევს მთარგმნელის მსჯელობა ამა თუ იმ საკითხზე. ამიტომაც ამ ტიპის სქოლიოებს ზოგადად „შეისწავეებს“ ვუწოდებთ. მაგალითები: „შეისწავე, ბერძულად პიტვ, ხოლო ქართულად კიცვ ფიტვსაჲ (Jer.8,163v); „შეისწავე, რამეთუ მამად დიდისა ბასილისი პონტოელი იყო“ ( Jer.43); „შეისწავე, ვითარმედ ბერძენთა ენითა ყოველი სიტყუაჲ ანუ მამალი არის, ანუ დედალი და ყოველთა დაბადებულთა ცასა და ქუეყანასა და ზღუასა და რაჲცა რაჲ არიან მათ შინა ნივთთა და მცენარეთა და ნერგთა და ყოველსა სიტყუასა და სახელსა, ვნებათა გინა სათნოებათა ანუ მამად იტყვან, ანუ დედლად. მამალმყოფელ სიტყვსა, გინა სახელისა არს ონი და დედალმყოფელი ინნი და ამათგან ერთი უეჭუელად უზის თავსა სიტყვსასა ანუ ონი ანუ ინი“(A292,319).

2) აშიაზე მოთავსებული შენიშვნების მეორე ჯგუფი უცხოენოვანი სიტყვების თარგმანს წარმოადგენს. უფრო ხშირია ბერძნული და ებრაული სიტყვების თარგმნა, ზოგჯერ მოცემულია სიტყვის ეტიმოლოგიის ახსნაც. ამ სქოლიოებში ხშირად იხმარება კონსტრუქცია „რომელ გამოითარგმანების“ ან ბერძნული სიტყვა, „გამოითარგმანების“ ქართულის სიტყვა. ამიტომ ამ ტიპის შენიშვნებს „რომელ გამოითარგმანების“ ტიპის სქოლიოებს ვუწოდებთ. მაგალითად „დაესრულა შესავალი წიგნისა ამის წმიდისა ბასილისი, რომელსა ასკეტიკონ ეწოდების, რომელ გამოითარგმანების სამოღვაწეო“ (A689,6v); „რამეთუ გენეთლია შობისად გამოითარგმანების (Jer.43,218r); „ანგელოზი ქადაგად გამოითარგმანების, ხოლო სატან ენითა ებრაელთაჲთა მწდომსა სახელედების“(Jer.9,91r). „აღვსიო, გინა აპოლვსიო ესრეთ გამოითარგმანების, ვითარმედ „განსასუენებელი უჯაჭო“. „რომელ გამოითარგმანების“ ტიპის კონსტრუქცია ხშირია ე. წ. სახისმეტყველებით განმარტებებში. მთარგმნელის ამგვარი შენიშვნები ეფრემ მცირის მთარგმნელობით თეორიის მიხედვით აშიაზე უნდა იყოს გაკეთებული. ხშირ შემთხვევაში ეს ასეც არის, მაგრამ მსგავსი კონსტრუქციის შენიშვნები ხშირად ტექსტშიც გვხვდება, რასაც ყოველთვის გადამწერთა თვითნებობით ვერ ავხსნივთ. საფიქრებელია, რომ ეფრემმა წინა მთარგმნელების მსგავსად ზოგიერთი უცხოენოვანი სიტყვა ტექსტშივე განმარტა.

3. ეფრემ მცირის შენიშვნათა მესამე ჯგუფში ერთი სიტყვა ახსნილია, განმარტებულია სხვა სიტყვით, ან სიტყვებით. შეიძლება ქართული სიტყვა, რომელიც შედარებით იშვიათად იხმარებოდა, აიხსნას ქართულივე უფრო გასაგები სიტყვით, ან



ლიტერატურული ქართულისათვის დამახასიათებელი „ნიგური“ სიტყვა, არალიტერატურული დიალექტური „სოფლური“ სიტყვით, ან ზოგ შემთხვევაში უფრო გავრცელებული უცხოენოვანი სიტყვითაც. ამ ტიპის შენიშვნებში ხშირია „ესე იგი არს“, „რომელ არს“ ან „რომელსა ეწოდების“ კონსტრუქციები. ჩვენ მათ პირობითად „ესე იგი არს“ ტიპის შენიშვნებს ვუნოდებთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თარგმნითი ხასიათის შენიშვნების მსგავსად ამ ტიპის განმარტებითი შენიშვნებიც ხშირად ტექსტშია ჩართული. „საგრობა, ესე იგი არს მგზავრობა“ (Jer.43,235r); „ომილია, ესე იგი არს პირისპირ ზრახუა“ (A292,319r); „მსახურთა დასი, ესე იგი არს დიაკონთა“ (A684,159r).

თემატურად, შინაარსის მიხედვით ანუ იმის მიხედვით, თუ რა კუთხითაა განმარტებული ტექსტის ესა თუ ის ადგილი, ეფრემ მცირის კომენტარებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

**1) თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათის შენიშვნები**, ახლავს ძირითადად დიონისე არეოპაგელის თხზულებათა კორპუსს, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებს, რამდენიმე ასეთი შენიშვნა იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ და „გადამოცემის“ შემცველ ხელნაწერებშიც გვხვდება. ამ შენიშვნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორიის წარმოსაჩენად.

**2) ფილოლოგიური კომენტარები**, სადაც ეფრემი ტექსტის დადგენის, რედაქტირების, დედნების მოპოვების, მათი ერთმანეთთან შეჯერების შესახებ მსჯელობს. ხშირ შემთხვევებში ეს შენიშვნები ღრმა ტექსტოლოგიური კვლევის შედეგებს გვაცნობენ. ასეთი შენიშვნები ერთვის ბასილი დიდის „სამოღვაწეო წიგნის“, ეფრემ ასურის „ასკეტიკონის“, დიონისე ასოეპაგელის თხზულებების, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების, სამოციქულოს კომენტარების ეფრემისეულ თარგმანებს. ისინი ცხადყოფენ მთარგმნელის მიერ განუღებულ სერიოზულ მუშაობას და ამასთანავე მის დიდ ერუდიციას. შენიშვნათა ამ რიგში შეიძლება განხილულ იქნას ეფრემის მიერ გიორგი ათონელის რედაქციის „სამოციქულოს“ ბერძნულთან შედარების შედეგად დედანთან დაახლოების მიზნით შეტანილი ცვლილებებიც, რომლებიც სამოციქულოს თარგმანების ტექსტში მას საგანგებოდ „იოტით“ და „უსკუთრესით“ აღუნიშნავს. ეფრემს უცვლელად მოაქვს განსამარტავი მუხლი „სამოციქულოს“ გიორგისეული თარგმანიდან, მაგრამ რადგანაც „ბერძენთა ენა უფსკრულ ღრმა არს და იგივე და ერთი ადგილი მრავალსა პირსა

აღიარებს“ (Jer16,1r), ე. ი. ერთი და იგივე სიტყვა ან ადგილი თხზულებისა სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებული, ამან კი შეიძლება გამოიწვიოს განსამარტავ ტექსტსა და მის თარგმანებას შორის სხვაობა, ამიტომ საჭირო გამხდარა სამოციქულოს ტექსტის ბერძნულთან ხელახალი შედარება და „ქართული შემსგავსებული სიტყვს“ მოიპოვება რამდენიმე სხვადასხვა თარგმანების (განმარტების) მონაცემების გათვალისწინებით. ეს სიტყვა, როგორც ეფრემი აღნიშნავს, „მაშინღა ძლით გულისწამიყოფებოდის, ოდეს სამნი გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგოდენნივე ლექსიკონნი ... . ერთად შემოვკრიბნი, მაშინღა ძლით მოუპოვი ქართული შემსგავსებული სიტყვა“ (Jer16, 1r.) და იქვე აგრძელებს: „პირველად სამოციქულოსა სიტყუასა გამოკულევად უნა და შედარებაჲ და ეგეთღა თარგმანსა მისსა დაწერად“ – ეს კი წმინდა ფილოლოგიური სამუშაოა: სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტება, ბერძნულთან შედარება-შეჯერება, რამდენიმე კომენტატორის აზრის გათვალისწინება და სალექსიკონო მუშაობა. „სამოციქულოს“ ტექსტის ეფრემისეულ ყოველ შესწორებას წინ მართლაც ამგვარი შრომატევადი სამუშაო უძღვოდა. ეფრემი ადარებდა გიორგის თარგმანს ბერძნულ დედანთან, ხშირად არა ერთთან, არამედ რამდენიმესთან, ცვლიდა ზოგიერთ სიტყვას, ზოგჯერ სიტყვის გრამატიკულ ფორმას იმ მიზნით, რომ ქართულ თარგმანს უფრო ზუსტად გადმოეცა დედნის აზრი. უმეტეს შემთხვევაში იქვე ტექსტში, მას შემდეგ რაც აღნიშნავს, რომ გიორგის თარგმანზე უსაკუთრეს, ანუ უმჯობესი, კონტექსტისათვის უფრო შესაბამისი ესრეთ არსო, ასაბუთებს ცვლილების შეტანის აუცილებლობას და შესაბამის ახსნა-განმარტებას იძლევა. ამგვარი მსჯელობა კი მთარგმნელის ერთგვარი კომენტარია, შენიშვნა, რომელიც შესაძლებელია „კიდეთა ზედა წარწერილ თარგმანთან“ ერთად იყოს განხილული, როგორც „მთარგმნელის მოზრახული“, მისი ნააზრევი, მისი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები.

**3) გრამატიკული კომენტარები** ეფრემის სქოლიოთა ერთ საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენენ და ძირითადად ქართული და ბერძნული ენის „რაბამობის“ გარკვევას ისახავენ მიზნად. აქ ეფრემის ინტერესის საგანია ართრონი, გრამატიკული სქესისა და რიცხვის კატეგორიები, სალიტერატურო ენისა და დიალექტის ურთიერთმიმართების საკითხი და სხვ. ეფრემი არკვევს რა ბერძნული ენის „რაბამობას“, მსჯელობს გრამატიკული სქესისა და რიცხვის შესახებ, ცალკეული ბერძნულ სიტყვებზე, პოლისემიურ სიტყვებზე, ნასესხობებზე, პროსოდის ნიშნებზე და

მათი ხმარების წესებზე, ბერძნულ ენის ფენოტიკურ სისტემაში მომხდარი ცვლილებების შესახებ და სხვ.

ქართული ენის „რაბამობის“ გარკვევას ემსახურება ეფრემის სქოლიოები „ნიგნიური“ და „სოფლური“ სიტყვების შესახებ, „ახლადმოპოვებული სიტყვების“ ანუ ნეოლოგიზმების თაობაზე, „შედგმული სიტყვების“ ანუ კომპოზიტა ორთოგრაფიის შესახებ, ზმინსნინათა ხმარებისას გასათვალისწინებელ ნიუანსებზე, ნასესხობებზე და სხვ. მეტად მნიშვნელოვანია მისი შენიშვნები პუნქტუაციისა და სადეკლამაციო ნიშნების გამოყენების შესახებ. ეფრემის გრამატიკული ხასიათის „შეისწავებში“ მრავალ ენათმეცნიერულ ტერმინს ვხვდებით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის.

**4) ლექსიკური ხასიათის კომენტარებში** მოცემულია ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის ახსნა-განმარტება ან სხვაენოვანი თარგმანი. მთარგმნელის ამგვარი შენიშვნები ახლავს ეფრემის ნათარგმნ თითქმის ყველა თხზულებას, უმეტესწილად აშიებზე, მაგრამ არც თუ იშვიათად თვით თარგმანის ტექსტშიც.

ლექსიკური კომენტარები ორი ტიპისაა: **ა) თარგმნითი კომენტარები**, სადაც რომელიმე უცხოენოვანი სიტყვის ქართული შესატყვისია მოცემული ან პირიქით, ქართული სიტყვების რომელიმე უცხოენოვანი თარგმანი გვაქვს. **ბ) გამმარტებითი ხასიათის შენიშვნები**, სადაც ქართული სიტყვის მნიშვნელობა ქართულად ვეა ახსნილ-განმარტებული. თარგმნითი ხასიათის სქოლიოებში უმეტესწილად ბერძნული სიტყვების ქართულად თარგმანთან გვაქვს საქმე. არის რამდენიმე ებრაული სიტყვის ქართული შესატყვისიც და ორიოდე ლათინური სიტყვის თარგმანიც. ქართული სიტყვების უცხო ენაზე თარგმნის შემთხვევაშიც უმეტესად მათი ფარდი ბერძნული სიტყვებია მოხმობილი, იშვიათად გვაქვს სომხური შესატყვისიც.

განმარტებითი ხასიათის ლექსიკოლოგიურ სქოლიოებში ცალკე გამოიყოფა **ა) სინონიმური შესატყვისები** ანუ სალიტერატურო ენის ლექსიკური ერთეულის („ნიგნიური სიტყვის“) არასალიტერატურო სიტყვით („სოფლური“, „უშუერი“) ახსნის შემთხვევები და **ბ) განსაზღვრებითი** ანუ აღწერითი ხასიათის სქოლიოები, სადაც სიტყვათა მნიშვნელობის ახსნის ეფრემისეული მეთოდი განმარტებითი ლექსიკონების შედგენისას გამოყენებული პრინციპის მსგავსია. ცალკე გამოიყოფა მთარგმნელის იმგვარი შენიშვნები, რონლებშიც საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიური განმარტებებია მოცემული.

**5) ლიტერატურადმცოდნეობითი ხასიათის სქოლიო-კომენტარებში** ვგულისხმობთ ეფრემის შენიშვნებს ქართული და ბიზანტიური საეკლესიო ლიტერატურის საკითხებზე, კონკრეტულ ცნობებს ამა თუ იმ თხზულების ბერძნული დედნებისა თუ ქართული თარგმანების შესახებ. ეფრემის ამგვარი ცნობები ხშირად მეტად მნიშვნელოვანია, ზოგჯერ უნიკალურიც ბიზანტიური თუ ქართული საეკლესიო მწერლობის ცალკეული საკითხის გადასაჭრელად. ამ ჯგუფში გამოიყოფა ქვეჯგუფები: ა) შენიშვნები, რომლებიც გვანვდიან ცნობებს ეფრემის წინამორბედ და თანამედროვე ქართულ მთარგმნელებზე. ბ) ბიზანტიური ლიტერატურის ცალკეულ საკითხებზე, ბერძენ მწერლებზე, ცალკეულ თხზულებებს და კრებულებზე. გ) შენიშვნები ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ. აქვე შევნიშნეთ, რომ განსაკუთრებით უხვ მასალას ამ მხრივ შეიცავენ ეფრემის ანდერძები და შესავალი წერილები, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ ერთ-ერთ პირველ მეცნიერულ ნაშრომებს, სადაც ეფრემი მიუკერძოებელ, მკაცრ ფილოლოგად, ლიტერატურის ისტორიკოსად და კრიტიკოსად გვევლინება.

**6) მითოლოგიური კომენტარები.** ეფრემმა თარგმნა გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიების მითოლოგიური პასაჟების განსამარტავად ნონეს მიერ დაწერილი კომენტარები („ელინთა ზღაპრობანი“, თ. ოთხმეზური, 1989), გარდა ამისა, მის ზოგიერთ თარგმანს აშიებზე დართული აქვს მითოლოგიური ხასიათის არაერთი განმარტება, რომლებშიც ახსნილია წარმართული პანთეონის თუ ანტიკური კულტურის ცალკეული რეალიები.

**7) ტექნიკური ხასიათის მინაწერები,** სადაც მთარგმნელი თარგმნის პროცესში წამოჭრილ მრავალ ტექნიკურ საკითხს ეხება, მაგ: „ესე ცთომილი დედასაცა იყო“, ან „ბერძნულად აქა ეწერა ესე თავი“ და ა. შ.

თარგმანზე დართული ყველა სახის კომენტარის მიზანი ერთია. მკითხველს გაუადვილოს ტექსტის გაგება, დაეხმაროს თხზულების შინაარსის სწორად გააზრებაში, მიაწოდოს მას აუცილებელი განმარტება. ეფრემის ღრმა რწმენით, „ყოველსა თარგმანსა უჴმს შემატებაჲ სიტყჴსა, რეცა განმაცხადებლად ძალისა,“ რომელიც მთარგმნელთა ტექსტში კი არ უნდა ჩართოს, არამედ სქოლიოების სახით მიაწეროს აშიაზე.

ეფრემის სქოლიო-კომენტარები მთარგმნელის მოზრახულ წინასიტყვავეობებთან და ანდერძებთან ერთად მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული

ლიტერატურის ისტორიის, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების, ზოგჯერ ბიზანტიური ლიტერატურისა და კულტურის ისტორიისათვის. მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ ისინი ქართული ენის ისტორიის, ლექსიკოგრაფიის, ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიის, ძველი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შესასწავლად. ეფრემ მცირე როგორც მოაზროვნე, როგორც ფილოლოგი, ლინგვისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი, ფართო განათლებისა და ერუდიციის ადამიანი ყველაზე კარგად სწორედ მის ორიგინალურ ნააზრევში, ნათარგმნ თხზულებას დართულ „მთარგმნელის მოზრახულში“ ჩანს.

ეფრემ მცირის მიერ შემუშავებული თარგმანის კომენტარების პრინციპები თითქმის თანამედროვე მეცნიერულ დონეზეა. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, „თხზულებანი, რომელნიც მისი ხელიდან გამოდიოდნენ, დამუშავებულია სასტიკი და რთული ფილოლოგიური მეთოდებით. არაფერი აქ უგულველყოფილი არაა, არც დადგენა და კრიტიკა ტექსტისა, არც სისწორე და სინამდვილე თარგმანისა, არც შედარება სხვადასხვა სწავლული კომენტატორების აზრებისა. ამ მხრივ, როგორც შეგნებული მეცნიერი-მთარგმნელი, ეფრემი იშვიათი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში“ (კეკელიძე, 1980, 254). მართლაც, ეფრემ მცირის თარგმანები აღჭურვილია, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, სამეცნიერო-საცნობარო აპარატით. თანამედროვე ტექსტოლოგიაში გაზიარებული განმარტების თანახმად „სამეცნიერო-საცნობარო აპარატი წარმოადგენს იმ ტექსტოლოგიური ხასიათის სამუშაოს ფიქსირებას, რასაც რედაქტორი (გამომცემელი) ეწევა ტექსტზე მუშაობის დროს – ტექსტის შეჯერება წყაროების მიხედვით, კანონიკური ტექსტის დადგენა და მისი მეცნიერული დასაბუთება, ვარიანტული სხვაობების ფიქსირება, დათარიღებისა და ატრიბუციისათვის ჩატარებული კვლევა, ტექსტის განმარტება როგორც ლინგვისტური, ისე ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, ტექსტში არსებული ყველა საჭირო ფაქტობრივი მასალის ზუსტი კომენტირება – ყველაფერი ეს თავის ასახვას პოულობს სამეცნიერო-საცნობარო აპარატში“ (გვარამაძე, 1970, 127-128).

ეფრემის „მოზრახულში“, რომელიც დღევანდელი სამეცნიერო-საცნობარო აპარატის ტოლფარდ ძველ ქართულ ტერმინად შეიძლება ჩაითვალოს, ზემოთჩამოთვლილ ყველა სახის კომენტარს ვხვდებით, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ ის, რაც

დღეს რედაქტორის ან გამომცემლის ფუნქციად ცხადდება, XI საუკუნეში მთარგმნელ-კომენტატორს ევალებოდა, რადგან, გარკვეულწილად, ის იყო სწორედ ტექსტის გამომცემელიც და რედაქტორიც. ეფრემის სახით საქმე გვაქვს ბიზანტიური მწერლობის ძეგლების მეცნიერ მთარგმნელ-კომენტატორთან, რომელსაც თარგმანის კომენტარების საგანგებო პრინციპები ჰქონდა ჩამოყალიბებული.

**ახალი მასალები ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიისთვის.** ეფრემ მცირე ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მთარგმნელია ბიზანტიური ლიტერატურისა. დღემდე აღნუსხულია მის მიერ ნათარგმნი 50-მდე ავტორის 130-ზე მეტი თხზულება, რომლებიც დაცულია სხვადასხვა დროის 160-მდე ხელნაწერში. ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფია შეადგინა თამარ ბრეგაძემ (ბრეგაძე, 1971), რომელმაც ქართულ ხელნაწერთა აღწერილობებისა და კატალოგების, აგრეთვე უშუალოდ ხელნაწერების შესწავლის შედეგად მოგვცა ეფრემის მიერ განუული მუშაობის თითქმის სრული სურათი. ამ ბიბლიოგრაფიაში აღნიშნულია, სად და რომელ ხელნაწერებშია დაცული ეფრემის მიერ თარგმნილი თხზულებანი. ეფრემ მცირის შემოქმედების ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის თ. ბრეგაძის ამ შრომას, მაგრამ თვითონ მკვლევარიც ბიბლიოგრაფიის შესავალ ნაწილში აღნიშნავს, „რასაკვირველია, შრომა ვერ იქნება სრული. დროთა განმავლობაში მას დაემატება ახალი ხელნაწერები და შეიძლება ჯერ კიდევ უცნობი თარგმანებიც ეფრემ მცირისა“ (ბრეგაძე, 1971, 429).

მართლაც, ეფრემ მცირის ნათარგმნი ძეგლების შემცველი ხელნაწერების შესწავლისას აღმოჩნდა კიდევ რამდენიმე თხზულება, რომელთა მთარგმნელად დასახელებულია ეფრემ მცირე. ხელნაწერებში ამ თხზულებათა მთარგმნელის შესახებ დაცული ცნობები მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მათი ქართულად მთარგმნელის ვინაობა აქამდე ცნობილი არ იყო.

იერუსალიმის ქართული ხელნაწერების ფოტოპირების შესწავლის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია ბერძნული საპატრიარქოს ქართული წიგნთსაცავის N30 ხელნაწერმა (ბლეკის აღწ., N24 მარის, N126), რომელიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდება და წარმოადგენს სადღესასწაულო ჰომილიების კრებულს. მასში შესულია სხვადასხვა მთარგმნელის მიერ ქართულად გადმოღებული სხვადასხვა ავტორის 23 თხზულება. ხელნაწერს ბოლოში

(261r) დართული აქვს ზანდუკი, რომელშიც ჩამოთვლილია კრებულში შეტანილი თხზულებანი და ზოგიერთი საკითხავის სათაურის გასწვრივ მიწერილია მთარგმნელის სახელი. კერძოდ, ზანდუკი ასახელებს 12 ჰომილიის ქართულად მთარგმნელს: ორი თხზულება მიჩნეულია ექვთიმე ათონელის ნათარგმნად, ერთი – გიორგი მთაწმიდლის და ცხრა კი ეფრემ მცირის თარგმანად. (თვალთვაძე, 1987), რომელთაგან შვიდის ეფრემის მიერ თარგმნა ეჭვს არ იწვევს. ისინი უდავოდ ეფრემის ნათარგმნია და ამის შესახებ აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაშიც. რაც შეეხება დანარჩენ ორს, ეს თხზულებებია: კრებულში პირველ სტატიად შეტანილი საკითხავი ანდრია იერუსლიმელისა „შობისათვის ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა მარადის ქალწულისა მარიამისა“ (1r-12r) და კრებულის რიგით მეორე თხზულება იოანე ოქროპირის ჰომილია „დღესასწაულსა ჯუართა აღპყრობისასა“ (12r-17v), რომლებიც ზანდუკის მიხედვით მიეწერება ეფრემს („თარგმნილი ეფრემისი“ 267r).

სამეცნიერო ლიტერატურაში ანდრია იერუსალიმელის ამ საკითხავის მთარგმნელის შესახებ ცნობები არა გვაქვს (კეკელიძე, ეტ. V, 14). ამდენად, XII-XIII საუკუნის კრებულის შემდგენლის თუ გადამწერის ცნობა ამ თხზულებების მთარგმნელის შესახებ ერთობ საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ როგორც გაირკვა (თვალთვაძე, 1987), მისი მსგავსი ხასიათის ცნობები თითქმის ყოველთვის უტყუარია და სანდო.

რაც შეეხება იოანე ოქროპირის „ჯუართა აღპყრობის საკითხავს“, არსებობს მისი სამი თარგმანი: ძველი რედაქცია ორი თარგმანით და მეტაფრასული, რომელიც არის შესული სწორედ Jer. 30 ხელნაწერში. კ. კეკელიძე თავის ნაშრომში „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ ამ საკითხავის მთარგმნელებს არ უთითებს (კეკელიძე, ეტ. V, 76). ეფრემ მცირის ავტოგრაფული ხელნაწერის (S1276) შესწავლის შედეგად ე. მეტრეველმა გამოთქვა ვარაუდი, რომ იოანე ოქროპირის ჯვართა აღპყრობის საკითხავი შესაძლოა ეფრემ მცირის თარგმანი იყოს (მეტრეველი, 1959, (თ. ბრეგაძე, 1971, გვ. 452-454) ალბათ იმ მოსაზრებით, რომ S1276 ხელნაწერის არაპირდაპირი 124). მაგრამ თ. ბრეგაძეს ეს თხზულება ეფრემის ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიაში არ შეუტანია (ბრეგაძე, 1971, 452-454), ალბათ იმ მოსაზრებით, რომ S 1276 ხელნაწერის არაპირდაპირი ცნობა საკმარისად არ ჩათვალა თარგმანის ეფრემისად მისაჩნევად. ე. მეტრეველის გამოთქმულ ვარაუდს ადასტურებს Jer.30 ხელნაწერის ზანდუკი, რომელიც ამ საკითხავის მთარგმნე-

ლად ეფრემს მიიჩნევს. რადგან ზანდუკის შემდგენელი თუ გადამწერი არ უშვებს შეცდომას არც ერთი სხვა საკითხავის მთარგმნელის დასახელების დროს (ჩვენ ეს საგანგებოდ შევისწავლეთ), მისი ცნობები ყოველთვის ემთხვევა სხვა ხელნაწერების მონაცემებს და სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულ მოსაზრებებს, შეიძლება სარწმუნოდ ჩავთვალოთ ზანდუკის ის ცნობაც, რომელიც ანდრია იერუსალიმელის „ღმრთისმშობლის შობისათვის საკითხავის“ და იოანე ოქროპირის „ჯუართა აღპყრობის საკითხავის“ მთარგმნელად ეფრემ მცირეს ასახელებს.

ამრიგად, Jer. 30 ხელნაწერის ზანდუკის მონაცემებით ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ძეგლების სიას უნდა დაემატოს კიდევ ორი თხზულება: 1. ანდრია იერუსალიმელის „შობისათვის ღმრთისმშობლისა“, რომელიც ამ ხელნაწერის გარდა კიდევ Q336(1r-4r) და Q652(1r-5r) ხელნაწერში გვაქვს და 2. იოანე ოქროპირის „ჯუართა აღპყრობის საკითხავი“, რომელიც, იერუსალიმური ხელნაწერის გარდა, K 4 მანუსკრიპტსაც შემოუნახავს.

Jer. 38 ხელნაწერში (XII-XIII ს.), რომელიც თავისი შედგენილობით ეფრემ მცირის ავტოგრაფული ხელნაწერის S 1276-ის მსგავსია (რაფავა, 1990, ა, 102-107), მეტაფრასულ აგიოგრაფიულ თხზულებებთან ერთად შეტანილია ცნობილ ბიზანტიელ მწერალთა სადღესასწაულო ხასიათის ჰომილიებიც, მათ შორის იოანე დამასკელის საკითხავი „შობისათვის ღმრთისმშობლისა“, რომელსაც ერთვის მთარგმნელის ანდერძი: „ლოცვა ყავთ, ქრისტესმოყუარენო, იოანესთვის, კვრიკეს ხუცისა, რომლისა ბრძანებითა და წარსაგებლითა ითარგმნა საკითხავი ესე ეფრემისაგან მცირისა“ (Jer.38, 12r).

იოანე დამასკელის ღვთისმშობლის შობის საკითხავი ეფრემ მცირეს ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არ არის (ბრეგაძე, 1971, 450-452). ამ თხზულების ქართული თარგმანების შესახებ ცნობებს გვანვდის კ. კეკელიძე თავის კატალოგში „უცხო ავტორებში ძველ ქართულ მწერლობაში“ (კეკელიძე, ეტ. V, 66), სადაც მითითებულია ამ სათაურის მქონე ორი ჰომილიის დასაწყისი და ხელნაწერები, რომლებშიც შენახულია ეს თხზულება. მთარგმნელად დასახელებულია თეოფილე.

იოანე დამასკელის „შობისათვის წმიდისა ღმრთისმშობელისა“, რომელსაც P.G. 96-ე ტომის 661-680 გვერდები უჭირავს, ქართულად ორი თარგმანითაა ცნობილი. ერთ-ერთი, რომლის დასაწყისი ასეთია: „მოვედით უკუე ყოველნი ტომნი...“, დაცულია Ath.20 (ცაგ. 29) ხელნაწერში (გვ. 57-63) და თეოფილეს თარგმანს



ნარმოადგენს. ხოლო მეორე, რომლის დასაწყისია: „მოვედით ყოველნი ნათესავნი და ტომნი და ყოველნი ენანი ძეთა კაცთანი“, კ. კეკელიძის მითითებით, ოთხ ხელნაწერშია შენახული: Jer.23 (გვ. 6-12), პეტერბურგის სააზიო მუზეუმის ქართული ხელნაწერი N150 b, S3648 და გელათ. 4 (გვ. 78-86) (კეკელიძე, ეტ. V, 66). ვფიქრობთ, ეფრემ მცირის ანდერძის ცნობა, საკმაო საბუთი უნდა იყოს იოანე დამასკელის ამ ჰომილიის ეფრემის თარგმნილ ძეგლთა რიგში მოსაქცევად. მით უფრო, რომ ეფრემის მიერ ამ ანდერძში დასახელებული იოანე კვირიკეს ხუცესი ცნობილია მისი სხვა ანდერძებიდანაც (S1276-ის ანდერძები), რომლის „ბრძანებითა და წარსაგებლით“ არაერთი თხზულება უთარგმნია ეფრემს. ამდენად შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს იოანე დამასკელის საკითხავის „შობისათჳს წმიდისა ღმრთისმშობლისა“ მეტაფრასული რედაქციის ქართულად არსებული ორივე ვერსიის მთარგმნელის ვინაობა ცნობილია. ათონურ ხელნაწერში დაცული ტექსტის მთარგმნელია თეოფილე, ხოლო იერუსალიმურ, გელათურ და პეტერბურგის სააზიო მუზეუმში დაცულ ხელნაწერში შემონახული ტექსტისა – ეფრემ მცირე.

Q92 ხელნაწერის მინაწერი ეფრემის ნათარგმნად აცხადებს ანასტასი ანტიოქელის „კითხვა-მიგებას ვიეთმე მორწმუნეთა კაცთა მიმართ, რომელთა ჰკითხეს ქუემონერილთა სიტყუათათჳს“ (Q92,3v-28r.); S 2406 ხელნაწერის შენიშვნის ავტორი კი ეფრემის თარგმნილად მიიჩნევს იმავე ავტორის მეორე თხზულებას „სიტყუაჲ კითხვა-მიგებითი საღმრთესა გულისჴმისყოფისათჳს“ (S 2406, 121-171); ერთ-ერთ ათონურ ხელნაწერში დაცული მთარგმნელის ანდერძის ჩვენებით (Ath.18) ეფრემ მცირის ნათარგმნი ძეგლების სიას უნდა დაემატოს კირილე ალექსანდრიელის მიერ შედგენილი ეგზეგეტიკური კატენები „პავლე თარგმანიანი“, რომელიც რამდენიმე ხელნაწერთაა ჩვენამდე შემონახული (Jer. 6, 9, 16, A390, Ath. 18, Q1158) და რომელიც ეფრემის ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიაში შეტანილია როგორც იოანე ოქროპირის თხზულება(ბრეგაძე, 1971, 464). ეფრემ მცირეს უთარგმნია კირილე ალექსანდრიელის ერთი ეპისტოლეც, „სხვსა ვისმე ეპისკოპოსისა მიმართ“, რომელიც ასევე არაა შეტანილი მისი ნათარგმნი ძეგლების კატალოგში (ბრეგაძე, 1971, 429-460).

ხელნაწერთა აღწერილობების დამუშავების დროს აღმოჩნდა ეფრემ მცირის თარგმანების შემცველი კიდევ რამდენიმე ათეული ნუსხა, რომელიც არაა მითითებული ეფრემის ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიაში (თვალთვაძე, 1987, ბ).

**ეფრემის მოზრახულდართული თარგმანები და მათი შემცველი ხელნაწერები.** როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დღეისათვის აღნუსხულია ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი 50-მდე ავტორის 130-ზე მეტი თხზულება (ბრეგაძე, 1971, 429-460; თვალთვაძე, 1987ა, 108-102; 1987, ბ, 202-203; ხაჩიძე, 1991, 137-154). მათ დიდ ნაწილს „მთარგმნელის მოზრახული“ ანდერძები, შესავალი წერილები და სხვადასხვა ტიპის სქოლიო-კომენტარები ახლავს. კერძოდ: მთარგმნელის შენიშვნები ერთვის ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ შემდეგ თხზულებებს:

1. ბასილი დიდის "ასკეტიკონს" (A 132 , 689);
2. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებს (A 16, 52, 109, 292, Jer. 8, 13, 15, 43);
3. დიონისე არეოპაგელის შრომებს (A 110, 163, 189, 684, H 194, S 159);
4. ეფრემ ასურის „ასკეტიკონს“ (A 62, 154, 362, 1115);
5. იოანე დამასკელის „დიალექტიკას“ და „გარდამოცემას“ (A 24, 406, S 1358);
6. თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიას“ (A 682, 689);
7. კასიანე ჰრომაელის „თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოსათა“ (A 154, 166, 682,);
8. „სამოციქულოს“ ეფრემისეულ რედაქციას (A 137, 677);
9. „სამოციქულოს თარგმანებას“ (A 390, Jer. 6, 9, 16, Ath. 18, Q 1158);
10. პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონს“ (A 128, 154, 362, 682).
11. „ფსალმუნთა თარგმანებას“ (Jer. 1, Q 37);
12. ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს (S 384, K 4, K 5, A 217, S 1276).

თითოთოროლა შენიშვნა ერთვის ეფრემის ნათარგმნ ზოგიერთ სხვა თხზულებასაც.

რადგან ჩვენი კვლევის საგანს სწორედ ეფრემის, როგორც მთარგმნელის, „მოზრახული“ კოლოფონები და კომენტარები წარმოადგენს, საჭიროდ ვცანით იმ ძირითად ხელნაწერთა მოკლე აღწერილობის წარმოდგენა, რომლებშიც ეფრემის შენიშვნებდართული თარგმანებია მოთავსებული.

**A 16.** გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული. ხელნაწერი გადანერილია 1737 წელს. შეიცავს 368 ფურცელს. ნუსხური. შედგება ორი ნაწილისაგან. თითოეულ ნაწილს აქვს თავისი რვეულებრივი აღრიცხვა. ფფ.

4-281 უჭირავს გრიგოლ ნაზიანზელის შრომების ექვთიმე ათონელისეულ თარგმანს, ხოლო ფფ. 282-368 კი ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ თხზულებებს. ხელნაწერში წარმოდგენილია ეფრემის ნათარგმნი გრიგოლის შვიდი თხზულება (43-ე, 99-ე, 42-ე, 41-ე, მე-16, მე-100-და მე-4 ჰომილიები) და ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარები. გადამწერი პავლე მღვდელი (367r). ტექსტს ახლავს ვრცელი სქოლიოები, ხელნაწერის კიდეებზე მიწერილია მისათითებელი სიტყვები: „შეისწავე“, „იხილე“, „შუწნიერი“ და სხვ. ამიაზე მოთავსებულია მთარგმნელის შენიშვნა-კომენტარებიც: 282v, 292r, 324v, 328v, 323v, 326v.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ თ. ჟორდანიას (ჟორდანია, 1903, 11) და ლ. ქუთათელაძეს (A1). მისი ვრცელი აღწერილობა მოცემულია თ. ბრეგაძის მიერ შედგენილ „გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ (ბრეგაძე, 1988, 114-124). აღსანიშნავია, რომ კრებულში, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ექვთიმე ათონისეულ (ფ. 4-281) და ეფრემ მცირისეულ (ფ. 282-368) თარგმანებს შეიცავს, კიდეზე წარწერილი შენიშვნები თითოთოროლა I ნაწილში, ხოლო II ნაწილში კი გაცილებით მეტია.

**A 24.** კრებული. 148 ფურცელი, ნუსხური. შეიცავს 1) იოანე დამასკელის „წყაროს ცოდნისას“ ა) „დიალექტიკა“ (5v-35v), ბ) „გარდამოცემა“ (36r-137v) 2) მიქელ სემონწმიდელის „იოანე დამასკელის ცხოვრებას“ (138r-145r). 3) ეფრემ მცირის „უნყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიწესნების“ (145v-147v). კრებული თარიღდება XI ს-ის II ნახევრით ან XII საუკუნის დასაწყისით. გადანუსხულია ეფრემ მცირის ავტოგრაფიდან (147v); მწიბრეკალი ბასკანაჲ (94v).

„წყარო ცოდნისას“ I წიგნს წამძღვარებული აქვს:

ა) ეფრემ მცირის შესავალი წერილი „ესე ერგასისნი თავნი რიცხუენდნი მათ თანა წართაულით თავებითურთ...“ 1r-v.

ბ) მესამე წიგნის „გარდამოცემის“ ზანდუკი და წინასიტყვაობა ეფრემ მცირისა („აჰა, ესერა, გქონან ასნი თავნი საეკლესიონი...“) 2v-4r. ტექსტს კიდეებზე მიწერილი აქვს: „თარგმანი“, „განსაზღვრებაჲ“, „შეისწავენი“ მთარგმნელის სქოლიოები გვაქვს შემდეგ გვერდებზე: 74v, 92r, 94r, 94v, 105r, 106v, 106v, 107r, 108v, 110r, 136r, 145v.

„წყარო ცოდნისას“ ანდერძები გამოცემულია რამდენჯერმე (ჟორდანია, 1892, 215-219; თაყაიშვილი, 1902, 710-717; გორგაძე, 1926, 182-192; დამასკელი, 1976, 66-70; დამასკელი, 2000, 23-25). ამ ხელნაწერის ამიებზე მოთავსებული მთარგმნელის სქოლიოების ნაწილი პირველად გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ (ჟორდანია, 1892, 219); „დიალექტიკის“ თარგმანზე დართული შენიშვნები – მ. რაფავამ (დამასკელი, 1976, 105, 111, 118.), ხოლო „გარდამოცემისა“ – რ. მიმინოშვილმა (მიმინოშვილი, 1966, გვ. 116-143). რაც შეეხება „უნყებაჲს“, იგი გამოცემულია ოთხჯერ. (თაყაიშვილი, 1891, XXXVII-გVII; ჟორდანია, 1892, 33-37; 47, 53-54, 75-76; ყაუხჩიშვილი, 1961, 214-221; ბრეგაძე, 1959).

ხელნაწერის სრული აღწერილობა მოცემულია A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის 1<sup>1</sup> ტომში და იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ მ. რაფავასეულ გამოცემაში.

**A 62.** ხელნაწერი გადანერილია 1706 წელს. მასში 364 ფურცელია. ნუსხ-

ური. შეიცავს ეფრემ ასურის „ასკეტიკონს“, ახლავს მთარგმნელის სქოლიოები შემდეგ გვერდებზე: 138r (ორი შენიშვნა), 154r, 188r, 237r, 271r, 310r, 389r, 487r, 350r. ეფრემის ამ შენიშვნათა ნაწილი გამოქვეყნებულია A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I, 1 ტომში ხელნაწერის ვრცელ აღწერილობასთან ერთად. (A1<sub>1</sub>, გვ. 211-213).

**A 79.** XII-XIII საუკუნის აგიოგრაფიული კრებული. 459 ფ. ნუსხური. კრებულში შესულია ეფრემ მცირის თარგმნილი თხზულებანიც. 382r-410r გვერდებზე მოთავსებულია „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრება“, რომლის ამიებზე მინერილია მთარგმნელის სქოლიოები (407r, 410r).

ხელნაწერი აღწერილი აქვს თ. ჟორდანიას (ჟორდანიას, 1903, 76-79), თ. ბრეგაძეს (A1<sub>1</sub>, 266-270.) მისი აღწერილობა შეტანილია გრ. ნაზიანზელის თხზულებათა შემცველი ქართული ხელნაწერების აღწერილობაშიც (ბრეგაძე, 1988, 206-207).

**A 90.** XIII საუკუნის ხელნაწერი, 35 ფურცელი, ნუსხური, მეტაფრასული კრებული, შეიცავს დეკემბრისა და იანვრის თვის აგიოგრაფიულ საკითხავებს, რომელთა ნაწილი ეფრემ მცირის ნათარგმნია. ხელნაწერის 159v-161v გვერდი უჭირავს ეფრემ მცირის „მოზრახულს“: „მოსაქსენებელი მცირე სემონისათვის ლოლოთეცისა და თხრობა მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმნისათა“, რომელიც გამოსცა კ. კეკელიძემ (კეკელიძე, ეტ. V, 223-226). ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა მოცემულია A ფონდის ხელნაწერი აღწერილობის I ტომში. (A1<sub>1</sub>, 316-325).

**A 109.** XIII საუკუნის ხელნაწერი. ტექსტი ალაგ-ალაგ გაცხოველებულია XVIII ს-ში, განსაკუთრებით სქოლიოები. 269 ფ. ქალაღი. ნუსხური. შეიცავს გრიგოლ ღვთისმეტყველის 19 ჰომილიის ეფრემისეულ თარგმანს. ამიებზე ახლავს მრავალრიცხოვანი სქოლიოები, რომელთა დიდი ნაწილი ბერძნულიდანაა ნათარგმნი (კეკელიძე, 1980, 267-268). ზოგჯერ განმარტებებთან მინერილია ავტორის სახელიც. მაგ.: „მაქსიმე“ 198v, 200r, 201v, 202r, 221v. ტექსტს კიდევზე ახლავს: ა) მინიშნებანი („იხილე“, „შუჭნიერი“ „შეისწავე“ და მითითება ზღაპრობათა რიგზე. ბ) მთარგმნელის შენიშვნა-კომენტარები: 4v, 7v, 11v, 35r, 74r, 87v, 80v, 150r, 194v. კიდევზე მოთავსებული განმარტებების ერთი ნაწილი დანერილია მკრთალი მელნით ხელნაწერის გადამწერის მიერ, მეორე ნაწილი (შედარებით მოგრძო ნუსხურით და მუქი ფერის მელნით) დანერილი უნდა იყოს სხვის მიერ, ხელნაწერის გადაწერის შემდეგ (დაახლ. XIV-XV ს-ში). მის მიერვე უნდა იყოს ნაწილობრივ გაცხოველებული მკრთალი მელნით ნაწერი სქოლიოებიც. გაცხოველების დროს დაშვებულია შეცდომები.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ თ. ჟორდანიას (ჟორდანიას, 1903, 123-124), თ. ბრეგაძეს (A1<sub>2</sub>, გვ. 34-41), გაიანე ალიბეგაშვილს (ალიბეგაშვილი, 1973, 117-148). ხელნაწერი ვრცლად აღწერა თ. ბრეგაძემ (ბრეგაძე, 1988, 151-158).

**A 110.** თარიღდება XII საუკუნით. 224 ფ. ქალაღი. წარმოადგენს დონისე არეოპაგელის თხზულებების შემცველი XII საუკუნის ორი ნაკლული, დაშლილი და გაბნეული ხელნაწერის ფურცლებისაგან შეკრულ ერთ მთლიან ხელნაწერს. ნაკლული ადგილები აღდგენილია XVIII საუკუნის ხელით. ახლავს მთარგმნელის ანდერძი (98r) და მარგინალური შენიშვნები: (23r, 55v, 67r, 99r, 115r).

დიონისე არეოპაგელის თხზულებებს წამძღვარებული აქვს:

ა) შესავალი: „შენეწნითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა წინაბჭე სიტყვას თხრობაჲ დიდისა დიონისისთვის და წიგნთა მათთვის მის მიერ აღწერილთა“ (1r-2v) (ლოლაშვილი, 1973, 107-116; მისივე, 1983, 70-77).

ბ) ხელნაწერში შემავალი ხუთივე წიგნის საერთო ზანდუკი: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ ხუთ წიგნად განიყოფის ერთი ესე წიგნი წმიდისა დიონისისი, ხოლო თვთოეულსა შინა არიან თავნი ესოდენი...“ (3r).

ხელნაწერის კიდევებზე მოთავსებულია კომენტარები, რომელიც ეკუთვნის მაქსიმე აღმსარებელს, გერმანე პატრიარქს ამ თხზულებისა და კომენტარების ქართულ ენაზე მთარგმნელს ეფრემ მცირეს.

თხზულების ტექსტი და მთარგმნელის კომენტარები გამოცემულია ს. ენუქაშვილის მიერ (პეტრე იბერიელი, 1961). გამოცემაში A 110 ხელნაწერი A ლიტერითაა აღნიშნული. იამბიკოები, რომელიც ამ თხზულებას უძღვის გამოქვეყნებული აქვთ ს. ყაუხჩიშვილს (ყაუხჩიშვილი, 1946, 67-74) და თ. კუკავას (კუკავა, 1988). ანგელოზურ ძალთა განამრტებათა ეფრემისეული თარგმანი გამოცემულია აქვს ა. ჭუმბურიძეს (ჭუმბურიძე, 2001).

ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა მოცემულია ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში (A1z).

**A 132.** 234 ფ. ნუსხური. ძირითადი ნაწილი ხელნაწერისა თარიღდება XII საუკუნით. ფ. 1-4 რესტავირებულია XVIII ს-ში. შეიცავს ბასილი დიდის „ასკეტიკონს.“ ამიებზე ახლავს მთარგმნელის შენიშვნა-განმარტებები: 10v, 15v 90v, 99v, 131v6v, , 133v, 137v, 139r, 146v, 191v. ხელნაწერის სრული აღწერილობა იხ. A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში (A1z, გვ. 148-149). ბასილის „ასკეტიკონის“ ქართული რედაქცია და მასზე დართული მთარგმნელის შენიშვნები შეისწავლა ე. ხინთიბიძემ, მასვე აქვს მიცემული ამ ხელნაწერის ვრცელი აღწერილობაც. (ხინთიბიძე, 1968, 75-80). გამოკვლევაში A 132 ხელნაწერი E ლიტერითაა აღნიშნული.

**A 137.** XIII-XII საუკუნის ხელნაწერი. 343 ფურცელი. ეტრატი. ნუსხური. შეიცავს ეფრემ მცირის რედაქციის „სამოციქულოს“.

ა) „საქმე მოციქულთა“(2r-97r) (საქმ. მოც., 1950. გამოცემაში A 137 (ხელნაწერი G ლიტერითაა აღნიშნული და შედის რედაქციის ნუსხათა ჯგუფში. იხ. აგრეთვე, ფ. გარიტი, 1955).

ბ) „კათოლიკე ეპისტოლენი“ (97v-142v) (კათოლიკე ეპისტ., 1956. გამოცემაში A 137 ხელნაწერი G ლიტერითაა აღნიშნული და შედის D რედაქციის ჯგუფში).

გ) „პავლეს ეპისტოლენი“ (143r-171v) (პავლენი, 1974. გამოცემაში A 137 ხელნაწერი ლიტერითაა აღნიშნული და შედის D რედაქციის ჯგუფში).

ამიებზე გადამწერის ხელითვე მიწერილია სიტყვათა განმარტება 19r, 44v, 119r, 162v, 170r, 173r, 173r(II), 182v, 325r. ხელნაწერი აღწერილი აქვს თ. ყორდანას(ყორდანა, 1903). აღწერილობა მოცემულია A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში (A1z, გვ. 161-162) და „სამოციქულოს“ შემადგენელი წიგნების გამოცემებში(იხ. ზემოთ).

**A 143.** XII საუკუნის კრებული. 188 ფ. ეტრატი. დაშლილი და დაზიანებული. ნუსხური. შეიცავს: ა)იოანე ოქროპირის თხზულებებს და 8) პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაკონის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანს. ხელნაწერის კიდევებზე მთარგმნელის რამდენიმე შენიშვნაა. გვ. 277, 294.

ვრცელი აღწერილობა მოცემულია A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I ტ. (A 12, 178-134)

**A 154.** XVIII საუკუნის ასკეტიკური კრებული. 366 ფ. დაზიანებული. შეიცავს:

ა) ეფრემ ასურის „სწავლანს“ (1v-266r).

ბ) პალადი ჰელენოპოლელის „ლაგსაიკონს“ (266r-338r).

გ) კასიანე ჰრომაელის ორი თხზულების ეფრემისეულ თარგმანს.

ხელნაწერს კიდევებზე მინერილი აქვს მთარგმნელის შენიშვნები: 16r, 100v, 255r, 309r.

ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა მოცემულია A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში (A 12, 215-220).

**A 163.** XVI საუკუნის ხელნაწერი. ნუსხური. 508 გვერდი. დაზიანებული. შეიცავს დიონისე არეოპაგელის თხზულებებს. უძღვის „წინაბჭე სიტყვსა თხრობაჲ დიდისა დიონისისთვის და წიგნთა მათთვის მის მიერ აღწერილთა“ (გვ. 1-10) (ლოლაშვილი, 1973, 107-116; მისივე 1983, 70-77). ხელნაწერის ყოველ გვერდზე მწუსხველის წვრილი ხელით ჩარჩოსებურად შემოწერილია კომენტარები, რომლებიც ეკუთვნის მაქსიმე აღმსარებელს, გერმანე პატრიარქს და ამ თხზულებების ქართველ მთარგმნელს ეფრემ მცირეს (გვ. 15, 17, 330, 453).

ფსევდოდონისე არეოპაგელის თხზულებები გამოცემულია, სადაც ამ ხელნაწერის ვრცელი აღწერილობაცაა მოცემული (პეტრე იბერიელი, 1961, 024-025). გამოცემაში A 163 ხელნაწერი ჩ ლიტერითაა აღნიშნული.

**A 166.** 1710 წლის ხელნაწერი. 622 ფურცელი, ნუსხური. შეიცავს: ა) ეფრემ ასურის „ასკეტიკონს“ (1r-450r); ბ) პალადი ჰელენოპოლელის „ლაკსაიკონს“ (454r-575r); გ) კასიანე ჰრომაელის „თხრობაჲ წესსა და განგებასა ეგვიპტისა და აღმოსავლეთისა მონასტერთა საკრებულოთასა“ (575r-588v). ტექსტს აშიებზე ახლავს მრავალი „შეისწავე“ და „იხილე“. გვხვდება სქოლიოებიც, რომლებშიც მთარგმნელი ან გადამწერი ტექსტთან დაკავშირებულ შენიშვნებსა და განმარტებებს იძლევა.

ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა მოცემულია A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის 12, ტომში (A12, 248-250).

**A 189.** XII საუკუნის კრებული (ფრაგმენტები). 101 ფურცელი. შეიცავს დიონისე არეოპაგელის თხზულებებს. ხელნაწერის კიდევები გაცვეთილია, ამის გამო დაზიანებულია მასზე მოთავსებული კომენტარები, რომლებიც ეკუთვნის მაქსიმე აღმსარებელს, გერმანე პატრიარქს და ამ თხზულებებისა და კომენტარების ქართველ მთარგმნელს ეფრემ მცირეს.

ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა მოცემულია არეოპაგელის შრომების გამოცემაში (პეტრე იბერიელი, 1961) და A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობაში (A12, გვ. 325-326). გამოცემაში A 189 ხელნაწერი D ლიტერითაა აღნიშნული.

**A 217.** XI-XII საუკუნის კრებული. 152 ფ. ეტრატი. ნუსხური. თავბოლონაკლული. შეიცავს ოთხ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას. მათ შორის ეფრემის „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ არასრული სახით (82r-152v). ახლავს მთარგმნელის შენიშვნები: 29r, 35r, 52r, 107r, 114v, 147v. თხზულების ტექსტი და მთარგმნელის შენიშვნები დაბეჭდილია წიგნში „ძველი მეტაფრასული კრებულები“ (გოგუაძე, 1986). ხელნაწერის აღწერილობა მოცემული აქვს მე-

ტაფრასული კრებულის გამომცემელს ნ. გოგუაძეს. ვრცელი აღწერილობა გვაქვს A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I, 3 ტომში (A13, გვ. 18-19).

**A 272. 1898 წლის ხელნაწერი.** „წლის მეტაფრასი“. შეიცავს მეტაფრასულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს, მათგან 19 ეფრემის თარგმანია, ნუსხური, 312 გვერდი. კიდევებზე ახლავს მთარგმნელის რამდენიმე შენიშვნა. ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა იხ. A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობაში (A13, გვ. 137-146).

**A 292. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული, 1800 წლის ხელნაწერი.** მხედრული. 405 ფურცელი, გადამწერი იოანე ოსეს ძე. ეს კრებული გამოირჩევა თავისი სისრულით ნაზიაზელის ეფრემისეული თარგმანების შემცველი ყველა სხვა კრებულებიდან. შეიცავს 43 სტატიის, აქედან 17 სიტყვა გვხვდება ეფრემის თარგმანების შემცველ ყველა კრებულში, დანარჩენი 25 კი მხოლოდ ამ კრებულმა შემოგვინახა. სიტყვებს ბოლოში ერთვის „გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრების“ ეფრემისეული თარგმანი (386r-403v)

ხელნაწერში ეფრემ მცირის რამდენიმე ანდერძია დაცული.

1) „დიდება ღმერთსა ყოვლისავე სრულმყოფელსა, რამეთუ, აჰა, მეორეცა განქიქება ივლიანესი სრულ იქმნა, პირველსავე თანა დიდისა დავით ტბელისა მიერსა, მცირისა ეფრემის მიერ თარგმნილი ბერძნულისაგან...“ 218v. (ბრეგაძე, 1988, 171-172).

2) „საცნაურ იყავნ, ვითარმედ ესე საკითხავი ქართულსა შინა არს და ესრეთ იწყების: „რაასათჳს, ძმანო ჩემო, უდებ იქმნენით . .“. 289v. (ბრეგაძე, 1988, 174).

3) „ლოცვა ჰყავთ, ნმიდანო, ქრისტეს მოყუარენო, ეფრემისთჳს თარგმანისა, რომლისა მიერ მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი, რამეთუ ნეტარისა გრიგორი უშკელის მიერ. .“ 312r. (ბრეგაძე, 1988, 175).

4) „დიდება შენდა, ნმიდაო სამებაო, ბუნებით ერთო, ხოლო გუამით სამო, შეურწყმელად შეერთებულო და განუყოფელად განყოფილო, რომელმან ჯერ-იჩინე მეოხებითა ყოვლადნმიდისა ღმრთისმშობელისა და ყოველთავე ნმიდათა თანა...“ 329 r-v. (ბრეგაძე, 1988, 180-181).

ხელნაწერს ერთვის აკროსტიხი, რომლის კიდურწერილობაა: „ფრიად მოძღურებისა უფსკრულთაგან სრულითა მით საზომითა სრულქმნილითა შემწე ჩემდა იქმენ დღესა განშჯისასა, რომლისათჳს გხადი უნდოდ მცირე ეფრემ“ (404 r-v).

ხელნაწერის კიდევებზე მრავალი მინიშვნებაა: „შეისნავე“, „იხილე“, „შუენიერი“ „იხილე შუენიერი“, „იხილე საშინელი“, „შეისნავე განსაზღვრებაა“, თხზულების რიგითი სათვალავის აღმნიშვნელი ასოები და სხვ. ამათგან მოთავსებულია მთარგმნელის (ზოგჯერ გადამწერის) მრავალი შეისნავე-შენიშვნა, ტექსტის ამა თუ იმ ადგილის განმარტება: 4r, 6v, 57r, 78v, 87r, 89v, 98r, 110r, 120r, 128r, 129v, 134v, 158r, 163r, 201v, 246r, 251r(სამი შენიშვნა), 252r, 253, 253r, 253v, 254r, 264r, 268r, 278v, 317r, 319r, 321r, 330v, 332r, 357r, 359v, 360r, 365v, 368r, 375v.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ თ. ჟორდანიას (ჟორდანია, 1903, 292-295), ლ. ქუთათელაძეს (A13, 183-191). სრული აღწერილობა მოცემული აქვს თ. ბრეგაძეს (ბრეგაძე, 1988), რომელმაც გამოაქვეყნა მთარგმნელის შენიშვნებიც.

**A 362.** XVIII საუკუნის ხელნაწერი. 367 ფ. ნუსხური, ბოლონაკლული. შეიცავს ეფრემ ასურის „ასკეტონს“ და პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონს“ ახლავს მთარგმნელის შენიშვნები შემდეგ გვერდებზე: 10v, 16v, 96r, 123r, 134r, 170r, 250r, 307r. (A I, გვ.81-87).

**A 390.** ხელნაწერი თარიღდება XI საუკუნით. 136ფ. ნუსხური, ნაკლული, შეიცავს პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემ მცირისეულ თარგმანს. ხელნაწერში გამოყენებულია სხვადასხვა პირობითი ნიშნები, მათ შორის „იოტა“ და „უსაკუთრესი“ ეფრემის მიერ გასწორებული „სამოციქულოს“ ტექსტის აღსანიშნავად. მთარგმნელის შენიშვნები გვაქვს: 23r,33v და 38v-ზე. ხელნაწერი მოკლედ აღწერილი აქვს თ. ჟორდანია (ჟორდანია, 1903, 382-384) იხ. აგრეთვე A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I, 4 ტომი. პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებაზე დართულ ეფრემ მცირის შენიშვნათა ნაწილი ამ ხელნაწერის მიხედვით შეისწავლა კ. დანელიამ (დანელია, 327-335).

**A 677.** XI საუკუნის ან XII საუკუნის დასაწყისის ხელნაწერი. ეტრატი. დაზიანებული. 245 ფურცელი, ნუსხური. შეიცავს ეფრემ მცირის რედაქციის „სამოციქულოს“:

ა) საქმე მოციქულთა, 1r-65v; ბ) კათოლიკე ეპისტოლენი 66r-100v; გ) პავლეს ეპისტოლენი 101r-241r. სამოციქულოს ერთვის: 1. ე. წ. „ნამებათა“ (დამონმებულ ადგილთა) ცხრილი 242r-243v და 2) ანდერძი მთარგმნელისა (ნაკლული სახით) 244r-245v.

ხელნაწერი პირველად თ. ჟორდანია აღწერა (ჟორდანია, 1902, 51). მისი შედარებით სრული აღწერილობა მოცემულია ი. აბულაძის გამოცემულ „საქმე მოციქულთას“ დართულ უამოკვლევამში(საქმ. მოციქლ., 1950, 028-031).

**A 682.** XIII-XIV საუკუნის ხელნაწერი. 293 ფ. ნუსხური. შეიცავს: ა) პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონს“ (1r-91v) და თეოდორიტე კვრელის „ფილოთეონ ისტორიას“ (80v-155v), რომელსაც უძღვის ეფრემ მცირის წინასიტყვაობა (91v) და ერთვის ანდერძი. ხელნაწერის კიდევზე მთარგმნელის მრავალი შენიშვნა: 97v, 99v, 100, r 101v, 105r, 107r, 113r, 119v, 120r, 141r, 142v, 143v, 149v, 169v, 179v.

ხელნაწერი აღწერილია თ. ჟორდანია მიერ. (ჟორდანია, 1963, გვ. 154-155). თეოდორიტე კვრელის „ფილოთეონ ისტორიის“ ეფრემისეული თარგმანი და მასზე დართული მთარგმნელის შენიშვნები შეინაველა ვიქტორია ჯუღელმა (ჯუღელი, 2008).

**A 684.** XI საუკუნის ხელნაწერი. 203ფ. შეიცავს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომებს. ახლავს „შეისწავებები“, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია თ. ჟორდანია მიერ შედგენილ საეკლესიო საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობის II ტომში (ჟორდანია, 1903, 156-158). ტექსტი გამოცემულია ს. ენუქაშვილის მიერ (პეტრე იბერიელი, 1961). გამოცემაში A 684 ხელნაწერი B ლიტერიითაა აღნიშნული.

**A 689.** XII საუკუნის ხელნაწერი. ნუსხური. (ჟორდანია ხელს XII საუკუნის დასაწყისსად მიიჩნევს). ქალაქი. 602 გვერდი. თავბოლონაკლული. გადწერილია ორ სვეტად. შეიცავს: 1) ბასილი დიდის „ასკეტიკონს (1r-87v) და 2) თეოდორიტე კვრელის „ფილოთეონ ისტორიას“ (187r-369v). ახლავს:

1. მთარგმნელის, ეფრემ მცირის, ანდერძი, რომელიც შეეხება „ასკეტიკონის“ ქართულად თარგმნის ისტორიას: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ:



უმეტეს ათორმეტისა წლისა ჟამთა მოველოდენით... “(187r) (ჟორდანია, 1897, 39-40);

2. ეფრემის შესავალი წერილი „ფილოთეონ ისტორიის“ გამო: „ამას ნიგნსა ეწოდების ფილოთეონ ისტორიაჲ, რომელ არს ღვთისმოყუარებითი თხრობაჲ “(187r-v). (ჟორდანია, 1897, გვ. 40-42).

3. ეფრემ მცირის ანდერძი: „დიდებაჲ და მადლობაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ... “ (277r-v) (ჟორდანია, 1897, 43; შდრ. მისივე, 1892, 220).

4. მრვალრიცხოვანი სქოლიო-კომენტარები: 43r, 44r, 47v, 73r, 75r, 84r, 111r, 111v, 114r, 115v, 121r, 158r, 187v, 191v, 194r, 195r, 200v, 203r (ორი „შესწავა“), 208r, 214r, 214v, 228r, 237v, 239r, 245v, 265r, 267v, 268v, 269v, 270r, 298r.

ხელნაწერი აღწერა თ. ჟორდანია (ჟორდანია, 1903, 164-168) და ის ეფრემის ავტოგრაფად მიიჩნია. ვრცელი აღწერილობა მოცემულია ე. ხინთიბიძის ნიგნში „ბასილი კაბადოკიელის „სამოღვაწეო ნიგნის““ქართული რედაქციები“ (ხინთიბიძე, 1968, 73-74). ხელნაწერში გვხვდება მახვილის ნიშნები და კომენტარის ტექსტთან დამაკავშირებელი პირობითი ნიშნები. თეოდორიტე კურელის „ფილოთეონ ისტორიის“ ეფრემისეული თარგმანი და მასზე დართული მთარგმნელის შენიშვნები შეისწავლა ვიქტორია ჯუღელმა (ჯუღელი, 2008).

**A 1115.** XI საუკუნის ხელნაწერი. 245 ფ. ნაკლული, დაზიანებული. შეიცავს ეფრემ ასურის „ასკეტიკინის“ ტექსტს. მრავალ ადგილას კიდებზე არის მინიშვნები: „იხილე“, „შეისწავე“. მთარგმნელის შენიშვნა-კომენტარები გვაქვს 60r, 138v, 153v, 208v, 223r -ზე. ხელწერის აღწერილობა მოცემულია A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის IV ტომში (A IV, 1954, გვ. 11)

**A 1338.** გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული. 828 ფ. გადანერილია 1822 წელს. ტექსტს ახლავს მრავალი შენიშვნა და სქოლიო. წარმოადგენს A 16-ის პირს. ვრცელი აღწერილობა იხ. თ. ბრეგაძის მიერ შედგენილ გრ. ნაზიაზელის თხზულებათა ქართულ თარგმანების შემცველ ხელნაწერთა აღწერილობაში, (ბრეგაძე, 1988, 125-132), აგრეთვე A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობაში. (A, V, 1955, 412-417).

**A 1490.** XII-XIII საუკუნის ხელნაწერი. 185 ფ. ნუსხური. დაზიანებული. შეიცავს ეფრემ მცირისეულ თარგმანებს გრ. ნაზიაზელის შრომებისა. ამოაზე მოთავსებული შენიშვნები რესტავრაციის დროს ჩამოუჭრიათ, რის გამოც მათი ნაკითხვა გაძნელებულია. შენიშვნები გვაქვს 70v, 80v, 120r-ზე. ვრცელი აღწერილობა იხ. თ. ბრეგაძის მიერ შედგენილ აღწერილობაში (ბრეგაძე, 1988, 141-14) და A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის V ტომში (A V, 32-34)

**S 384.** თარიღდება XI საუკუნის დამლევით. 888 ფ. ნაკლული. ნუსხური. მეტაფრასული კრებული. შეიცავს ეფრემ მცირის თარგმნილ საკითხავებსაც, რომელთაგან რამდენიმეს ახლავს მთარგმნელის ანდერძიც:

1 „იოანე ოქროპირის ცხოვრების““ბოლოს დართული ანდერძი: „დიდებაჲ შენდა ღმერთო, მიზეზო კეთილთაო... “(გვ. 121) (გოგუაძე, 1986, 07).

2) „დიმიტრი თესალონიკელის წამების“ ანდერძი: „გვედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხნეთ წამებასა ამას... “ (გვ. 488) (ჟორდანია, 1892, ნ. გოგუაძე, 1973, 62).

3) „მინა მეგვიპტელის წამების““ანდერძი: „მამანო! ესე წმიდისა მინას წამებაჲ იყო... “(გვ. 643) (ჟორდანია, 1892, 222).

4) „გრიგოლ საკრველმოქმედის ცხოვრების ანდერძი“<sup>4</sup> „ლოცვა ყავთ, ნმიდანო ღმრთისანო, რომელნიცა მიემთხვნეთ...“ (გვ. 728) (S I, 469)  
ხელნაწერის აშიებზე ფერემ მცირის რამდენიმე შენიშვნაცაა. გვ. 58, 62, 340...

ხელნაწერის აღწერილობა იხ. S ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში. (S I, 462-469).

**S 1276.** XI-XIII ს. მეტაფრასი. 220 ფურცელი. ეს ხელნაწერია სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილი ნუსხაა, რადგან მისი ერთი ნაწილი აღმოჩნდა ეფრემ მცირის ავტოგრაფი (მეტრეველი, 1959, 115-125). S 1276 აერთიანებს სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა დროის ორ ხელნაწერს. პირველი (1-115 ფ) ძირითადად ჰომილეტიკური ხასიათისაა და თარიღდება XI საუკუნის II ნახევრით, II ნაწილი (117-220 ფ) – ჰაგიოგრაფიული ხასიათისაა და XII-XIII საუკუნეშია გადაწერილი. ხელნაწერი შეიცავს ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ თხზულებებს, რომელთაც ახლავს მთარგმნელის ანდერძები (56r, 80v და 115v) და შენიშვნები: (1r, 4v, 9v, 12r, 18r, 76v, 78v, 111v, 113v). ხელნაწერში შეტანილი სექტემბრის თვის საკითხავები გამოცემულია (გოგუაძე, 1986). ხელნაწერი საგანგებოდ შეისწავლა ე. მეტრეველმა, რომელმაც მოგვცა მისი ვრცელი აღწერილობაც (მეტრეველი, 1959, 115-125; S II, 136-142)<sup>4</sup>.

**H 194.** 183 ფ. 1812 წლის ხელნაწერი. ნუსხური. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა ეფრემ მცირისეული თარგმანი, რომელსაც უძღვის „წინაბჭე“ და „ზანდუკი“ (გვ. 1-14) ხელნაწერის აშიებზე მოთავსებულ სქოლიოთა ნაწილი ეფრემ მცირეს ეკუთვნის. (პეტრე იბერიელი, 1961, 261-263). ს. ენუქაშვილის გამოცემაში H 194 ხელნაწერი E ლიტერთაა აღნიშნული.

ხელნაწერის აღწერილობა მოცემულია H კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში და ფსევდოდონისე არეოპაგელის თხზულებათა ქართული თარგმანის გამოცემას დართულ გამოკვლევაში. (პეტრე იბერიელი, 1961, 026-029).

**Q 37.** 1091 წელს იოანე მთავარაღმძის მიერ გადაწერილი ფსალმუნთა თარგმანების ხელნაწერი. შეიცავს 333 ფურცელს. ეს ხელნაწერი H 1758-თან ერთად (რომელიც ამ ნუსხის ნაწილია) სრულად შეიცავს ეფრემის თარგმნილი ამ ეგზეტიკური თხზულების პირველ ნაწილს (76-ე ფსალმუნის თარგმანებამდე). ხელნაწერის სრული აღწერილობა გვაქვს Q ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში (Q I, 43-44) და H კოლექცია ხელნაწერთა აღწერილობის IV ტომში, სადაც მოცემულია H 1758 ხელნაწერის აღწერილობა, რომელიც Q 37-ის ნაწილია. ამჟამად ორივე ხელნაწერი შეერთებულია და 37-ე ნომრით ინახება Q კოლექციაში. ხელნაწერის ბოლო აღწერილობა ეკუთვნის მ. შანიძეს (შანიძე, 1968, 102-103).

**Q 1158.** XI საუკუნის ხელნაწერი. 317 ფურცელი. თავბოლონაკლული, აკლია შიგადაშიგაც. ნუსხური. შეიცავს: „საქმე მოციქულთას თარგმანებას“ (1r-101v); „პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებას“ (103r-281v); „კათოლიკე ეპის-

4 S ფონდის ხელნაწერებიდან მთარგმნელის რამდენიმე შენიშვნა გვაქვს S 1358-ში (XVII-XIX ს. კრებული), სადაც სხვა თხზულებებთან ერთად შეტანილია ეფრემ მცირის თარგმნილი იოანე დამასკელის „გარდამოცემა“; S 2561-ში და S 3639-ში.

ტოლეთა თარგმანებას “(281v-316r)

„საქმე მოციქულთას თარგმანებას“ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა („უსაკუთრესთათვს“) მცირედ თავნაკლული (1r-v) და ერთვის ანდერძი (101v). მთარგმნელის ანდერძებია 103v და 316 r-ზე.

**Q 1158** ნუსხა ხელნაწერთა ისნტიტუტის ახალ ფონდში (Q) შედარებით გვიანა შემოსული, რის გამოც ეს ხელნაწერი არ მოხვედრილა Q ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის ორტომეულში. პირველი ცნობები ამ ხელნაწერისა და მასში დაცული ეფრემის ანდერძების შესახებ გამოაქვეყნა თ. კოჭლამაზაშვილმა (კოჭლამაზაშვილი, 1995), მასვე ეკუთვნის ამ მანუსკრიპტის ვრცელი აღწერილობა და მასში დაცული ეფრემის კოლოფონების პირველი პუბლიკაცია (კოჭლამაზაშვილი, 2003, გვ. 338-345). „სამოციქულოს თარგმანების“ ეფრემისეული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და „მოციქულთა საქმის“ განმარტებები გამოაქვეყნა ე. კოჭლამაზაშვილმა (სამოციქულოს განმარტება, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2000).

**K 5.** ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი XVI საუკუნისა. 579 ფ. ნუსხური. შეიცავს დეკემბრის თვის მეტაფრასულ საკითხავებს, რომელთა ერთი ნაწილი ეფრემ მცირის თარგმნილია. კრებულში ბოლო თხზულებად (31 დეკემბრის საკითხავი) შეტანილია „ცხოვრება მელანია ჰრომისა“ ეფრემ მცირისეულ თარგმანი, რომელსაც მოსდევს ეფრემ მცირის „მოზრახული“ – „მოსაწყენებელი მცირე სვეონისათვის ლოლოთეცისა და თხრობა მიზეზსა ამათ საკითხავთა თარგმნისათა“ (576v-579v). (კეკელიძე, ეტ. V, 223-225).

**Jer 1<sup>5\*</sup>.** XIII საუკუნის ხელნაწერი. ნუსხური. შეიცავს ფსალმუნთა თარგმანების ეფრემისეული თარგმანის ტექსტს. თავნაკლულია. 1r-6r უჭირავს „შესავალს“, რომლის დასაწყისი დაზიანებულია. ეს ხელნაწერი ერთადერთია, რომელსაც შემოუნახავს „შესავლის“ ბოლო ნაწილი სრული სახით. „შესავლის“ ტექსტი გამოქვეყნებულია: (თაყაიშვილი, 1914, 243-269; ბლეიკი, 1926, 159-160; შანიძე, 1968, 77-122). 115 r-ზე და 199 r-ზე გვაქვს მთარგმნელის „შეისწავე“. ხელნაწერის აღწერილობა მოცემულია რ. ბლეიკის (ბლეიკი, 1924, 12), ნ. მარის (მარი, 1955, 9) აღწერილობებში. ხელნაწერის ფოტოპირი აღწერილი აქვს მ. შანიძესაც (შანიძე, 1968, 104).

**Jer 8 (ცაგ.131, მარი 19).** გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული. XII საუკუნის ხელნაწერი 192 ფ. ბოლონაკლული. დაზიანებული აქვს კიდევები. შეიცავს გრიგოლ ნაზიანზელის 10 ჰომილიის ეფრემ მცირისეულ თარგმანს. ხელნაწერის კიდევებზე არის მინიშვნები: „შეისწავე“, „იხილე“, „შუენიერი“ და მთარგმნელის შენიშვნა-კომენტარები (145r, 163r, 178v, 180r).

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (ცაგარელი, 1882, 180, მისივე, 1886, 98), ნ. მარს (მარი, 1955, 49), რ. ბლეიკს (ბლეიკი 1924, 27-29). ბლეიკი ხელნაწერს ათარიღებს XIII-XIV საუკუნით. ვრცელი აღწერილობა მოცემული აქვს თ. ბრეგაძეს (ბრეგაძე, 1988, 138-140).

**Jer 9 (მარი 5).** სამოციქულოს თარგმანება. XI-XII ს. ნუსხური. ნაკლული. 198 ფ. გადამწერი დოსითე. შეიცავს პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების ტე-

5 ეერუსალიმის და ათონის ხელნაწერთა ნომრებს ვუთითებთ ბლეიკის აღწერილობების მიხედვით. ფრწხილებში მოგვყავს შესაბამისი ნომრები და ალ. ცაგარელისა და ნ. მარის აღწერილობებიდან.

ქსტს. ახლავს მთარგმნელის „შეისწავეები“ შემდეგ გვერდებზე: 39r, 119r, 71r, 76r.

ხელნაწერის ვრცელი აღწერილობა მოცემულია რ. ბლეიკის (ბლეიკი, 1924, 30) და ნ. მარის მიერ. (მარი, 1955, 11-12). ა. ცაგარელის აღწერილობაში ეს ხელნაწერი არ მოხვედრილა. მთარგმნელის ენობრივ-ლექსიკური და ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის სქოლიონი განხილული აქვს კ. დანელიას (დანელია, 1982, 328-335). მასვე აქვს მოცემული ამ ხელნაწერის მოკლე აღწერილობაც (იქვე, გვ. 317). ამ ხელნაწერში დადასტურებული მთარგმნელისეული შენიშვნები შეისწავლა ზ. სარჯველაძემ (სარჯველაძე, 1984, 227-229).

**Jer 13 (ცაგ.128, მარი 8).** XIII-XIV საუკუნის ხელნაწერი, 384 ფ. შეიცავს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ეფრემ მცირისეულ თარგმანებს. შედგება ორი ნაწილისაგან. I ნაწილია გრიგოლის 16 ჰომილია, რომელსაც მოსდევს სოფრონ იერუსალიმელის „სიტყუაჲ შესხმისა წმიდისათჳს და დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ“ (250v-277r), ხოლო II ნაწილი (279r-დან ბოლომდე) წარმოადგენს გრიგოლ ღვთისმეტყველის ამ სიტყვათა კომენტარებს. განმარტებები დალაგებულია იმ რიგით, როგორითაც ჰომილიები. ზოგიერთ განმარტებასთან მიწერილია ავტორის სახელი. ხელნაწერი ნაკლებულია. აკლია დაახლოებით 45 ფურცელი. გადამწერია გიორგი ქვიტირელი (277r). ერთვის ეფრემ მცირის ანდერძი (250r, და აკროსტიქი (277v-287v). ხელნაწერის ორივე ნაწილის აშიებზე გვხვდება სხვადასხვა მინიშნებანი და მთარგმნელის შენიშვნა- „შეისწავენი“. 48r, 119r, 135r, 137r, 213r, 232v, 241v, 248r, 262r, 269r, 292v, 319r, 344r, 382r, 398v.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (ცაგარელი, 1888, 180; მისივე, 1894, 22-23), ნ. მარს (მარი, 1955, 19-29), რ. ბლეიკს (ბლეიკი, 1924, 33-36). ბლეიკი ხელნაწერის მეორე ნაწილს ქალაქისა და ხელის მიხედვით XVII საუკუნით ათარილებს, რასაც არ ეთანხმება ამ ხელნაწერის ბოლო ვრცელი აღწერილობის ავტორი თ. ბრეგაძე, რომელსაც ის ერთი ხელით (XIII-XIV ს.) დაწერილად მიაჩნია (ბრეგაძე, 1988, 159-167)

**Jer 15 (ცაგ.99, მარი 10).** XII საუკუნის ხელნაწერი. 282 ფ. თავბოლონაკლებული, ნუსხური. შეიცავს გრიგოლ ღვთისმეტყველის 17 ჰომილიის და გრიგოლ ხუცესის „გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრების“ ეფრემ მცირისეულ თარგმანს. აშიებზე მოთავსებულია სქოლიოები, რომლებიც წვრილი ნუსხურითაა ნაწერი. სქოლიოთა დიდი ნაწილი ბერძნული დედნიდანაა გადმოღებული, მაგრამ ზოგიერთი შენიშვნა აშკარად ქართველ მთარგმნელს ეკუთვნის. კიდევზე მოთავსებულია მინიშნებანი: „იხილე“, „იხილე შეუნიერი“, „იხილე ესე ადგილი“, „ზღაპრობანის“ თავების მითითებანი და სხვა პირობითი აღნიშვნები. კომენტარის ტექსტთან დასაკავშირებლად გამოყენებულია მრავალი პირობითი ნიშანი (ქაჯაია, 1969). ხელნაწერის აღწერილი აქვთ ცაგარელს (ცაგარელი, 1892, 171) რომელმაც ის XII-XIV საუკუნეებით დათარიღა, მარს (მარი, 1955, 30-32), ის ხელნაწერს XIII საუკუნისად მიიჩნევდა და რ. ბლეიკს (ბლეიკი, 1924, 41-42), რომელმაც იგი ასევე XIII საუკუნით დაათარიღა. ვრცელი აღწერილობა ეკუთვნის თ. ბრეგაძეს (ბრეგაძე, 1988, 133-138), რომელსაც ხელნაწერი XII საუკუნის ნუსხად მიაჩნია.

**Jer 16 (ცაგ.138, მარი 25).** XII საუკუნის ხელნაწერი, 280 ფ. ნუსხური. შეიცავს ტექსტს და თარგმანებებს მოციქულთა საქმისა და შვიდივე კათოლიკე

ეპისტოლისა. უძღვის ევრემ მცირის ანდერძი(2რ-3v), რომელიც „სამოციქულოს თარგმანებაზე“ მის მიერ განეული შრომის შესახებ გვანვდის ცნობებს. (ბლეიკი, 1926, 160-166; აბულაძე, 1950, 029-031, კოჭლამაზაშვილი, 2000, 12-15. მისივე, 2003, 327-331). ახლავს მთარგმნელის შენიშვნა-კომენტარები. ხელნაწერი აღწერილი აქვთ ა. ცაგარელს (ცაგარელი, 1894, 25-26), ნ. მარს (მარი, 1955, 55-62), ე. კოჭლამაზაშვილს (კოჭლამაზაშვილი, 2003, 326-334). მოკლე აღწერილობა მოცემული აქვს კ. დანელიასაც (დანელია, 1982, 315-316). „სამოციქულოს თარგმანების“ ევრემისეული თარგმანის ტექსტი გამოცემად მოამზადა და „მოციქულთა საქმის“ განმარტებები გამოაქვეყნა ე. კოჭლამაზაშვილმა (სამოციქულოს განმარტება, I, ტექსტი გამოცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2000).

**Jer 30 (ცაგ.126, მარი 24).** სადღესასწაულო კრებული 257 ფ. ნუსხური. თარიღდება XII-XIII საუკუნით. შეიცავს ანდრია იერუსალიმელის, იოანე ოქროპირის, გიორგი ნიკომიდელის ეპიფანე კვიპრელის, გრ. ღვთისმეტყველის, მეთოდის, იოანე დამასკელის, ბასილი დიდის ჰომილიათა თარგმანებს, რომელთა დიდი ნაწილი ევრემ მცირის თარგმანია.

ხელნაწერს ერთვის ზანდუკი, „შენვენითა ღმრთისაჲთა ზანდუკი წიგნისა ამის, რომელსა უწოდებენ სადღესასწაულოჲ“ 257r. მანუსკრიპტი აღწერილი აქვთ რ. ბლეიკს (ბლეიკი, 1924, 64-67), ნ. მარს (მარი, 1955, 52-54) და თ. ბრეგაძეს (ბრეგაძე, 1988, 201-202).

**Jer 38.** მეტაფრასული კრებული. XII-XIII ს. 479 ფ. დაზიანებული. სხვა საკითხავებთან ერთად შეიცავს ევრემ მცირისეულ თარგმანებსაც, რომელთაგან ზოგიერთს ერთვის მთარგმნელის ანდერძიც. (16r). და „შეისწავენი“ 25r, 28v, 34r, 36r, 145v, 153r, 172v, 226v, 408v, 410v. ხელნაწერი აღწერილია რ. ბლეიკის (ბლეიკი, 1924, 78-82), ნ. მარის (მარი, 79-81) და თ. ბრეგაძის მიერ (ბრეგაძე, 1988, 208-209). რ. ბლეიკი ხელნაწერს ათარიღებს XIII-XIV საუკუნით.

**Jer 43 (მარი 34).** XII-XIII საუკუნის ხელნაწერი. 307 ფ. შეიცავს გრიგოლ ღვთისმეტყველის 17 ჰომილიას, „გრიგოლ ნაზიანზელის ცხოვრება“, ფსევდონონეს მითოლოგიურ კომენტარებს და „მუწლები იამბიკოსს“ ევრემ მცირისეულ თარგმანს. ხელნაწერს უძღვის:

ა) ევრემ მცირის ეპისტოლე კვირიკე ბერისადმი (1რ-4r); ბ) აკროსტიქი, რომლის კიდურწერილობაში იკითხება გადამწერის სახელი გეორგი (4r); გ) ზანდუკი საეკლესიოთა ათექუსმეტთა ღმრთისმეტყველისა საკითხავთაჲ.

დ) სქოლიოებზე და ტექსტში დასმული მინიშნებების განმარტება („მზი-სთუალი“ „ვარკულავი“, „შუენიერი“, „შეისწავე“) 4v.

ხელნაწერის კიდევებზე მოთავსებულია კომენტატორთა ვრცელი სქოლიოები, სხვადასხვა სახის მითითებანი, მთარგმნელის შენიშვნები. გვ. 25r, 51r, 140r, 162r.

ხელნაწერი აღწერილი აქვთ რ. ბლეიკს (რ. ბლეიკი, 1924, გვ. 86-90), ნ. მარს (მარი, 1955, 71-78) და თ. ბრეგაძეს (ბრეგაძე, 1988, 144-151). ხელნაწერის კიდევებზე მოთავსებულ კომენტართა დიდი ნაწილი ბერძნული დედნიდან მომდინარეობს. იგივე კომენტარები სხვა იერუსალიმურ ხელნაწერს (Jer.13) გრიგოლის 16 ჰომილიის შემდეგ ცალკე თხზულებების სახით აქვს დართული. (ოთხმეზური, 1989, 18-31).

**Ath 18 (ცაგ. 82)<sup>6</sup>.** ხელნაწერი თარიღდება XV-XVI საუკუნით, შეიცავს 256 გვერდს. რ. ბლეიკის აღწერილობის მიხედვით (ბლეიკი, 1932, 116), ნაწერია ოდნავ მოშავო აღმოსავლურ ქალაღდზე, შემორჩენილია ხეზე გადაკრული ყავისფერი ტყავის ყდის მხოლოდ ქვედა მხარე, რომელიც შემკულია ნახატებით. ტექსტი ნაწერია ნუსხური ანბანით, ორ სვეტად. სვეტში 35 სტრიქონია. ფურცლის ზომაა 34, 0 X 23, 5 სმ, ნაწერისა – 26, 0 X 18, 0; სვეტებს შორის მანძილი 1, 2 სმ. მელანი შავი, სათაურები და დასაწყისები სინგურით. შემორჩენილია რვეულბრივ პაგინაციის ნიშნები კ“ა-დან ლ“ბ-მდე (21-დან 32-მდე). თავნაკულია. ხელნაწერის თავსა და ბოლოში მიკერებულია სხვა ნუსხის ფრაგმენტები: 1) 6 ფურცელი აღმოსავლურ ქალაღდზე შავი მელნით, ორ სვეტად ნაწერი ნუსხური ტექსტი, სვეტში 38 სტრიქონით, ფურცლის ზომაა 33, 0 X 23, 0 სმ, ნაწერისა 27, 5 X 17, 0; სვეტებს შორის მანძილი 2, 0 სმ. თარიღდება XIV-XVII ს-ით და წარმოადგენს თელოგიურ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულების ფრაგმენტს. 2) 243-256 გვერდები უჭირავს ასევე აღმოსავლურ ქალაღდზე დანერილ ლიტურგიკული ხასიათის თხზულების ფრაგმენტს. ტექსტი ნაწერია ნუსხურით, შავი მელნით, ერთ სვეტად. სვეტში 26 სტრიქონი, ფურცლის ზომა 25, 5 X 17, 7 სმ, ნაწერისა – 20, 0 X 13, 0 სმ. მიკროფირიდან დამზადებული ფოტოპირის პაგინაცია გვერდობრივია. ხელნაწერის ძირითადი ნაწილი (გვ. 13-234) უჭირავს პავლე მოციქულის ეპისტოლეტა კომენტარების ეფრემ მცირისეულ თარგმანს, რომელიც თავნაკულია (ინყება ებრ. 6, 10 მუხლის თარგმანებით), ერთვის მთარგმნელის ანდერძი (გვ. 235-238), კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლე ("მოსწრაფება და სწავლისმოყუარება სინმიდისა შენისა... გვ. 238-242) და მთარგმნელის იამბიკო (გვ. 234-235). აშიებზე მოთავსებულია მარგინალური შენიშვნები (სქოლიოები: გვ. 37, 132, 141, 154, 238 და მითითებანი: გვ. 86, 88, 121, 129, 132, 151, 152, 166. ხელნაწერში. გვხვდება სასვენი ნიშნები და პირობითი აღნიშვნები. მთარგმნელი – ეფრემ მცირე (გვ. 235).

ხელნაწერი შეიცავს შემდეგ თხზულებებს:

1. გრიგოლ ნოსელის „პასუხი ექუსა მათ დღეტათს“ (ფრაგმენტი) გვ. 1-12<sup>7</sup>.
2. [პავლე მოციქულისა წიგნი ებრაელტა მიმართ] ... თარგმანი: მრავალყამ მხი... ეს ახა. . მათ აწ კუალად ... სცემისა სიტყვტა განკურნება წყლულებტათა, რაჲთა აღივსნეს... გვ. 13-108.  
 შენიშვნები: 1) ებრაელტა მიმართ ეპისტოლეს თარგმანება თავნაკულია. ინყება მე-6 თავის მე-10 მუხლის თარგმანებით. 2) თარგმანების ბოლოს არის მინაწერი ტექსტშივე ასომთავრული „ებრაელტა მიმართ მინერა წიგნი ესე იტალიაჲთ ტიმოტეს მიერ. მუჭლი ლ“გ, თავნი კ“ბ წამებანი ლ“ (გვ. 108)
3. პავლეს მოციქულისა წიგნი ტიმოტეს მიმართ პირველი“ - პავლე მოციქული

6 ხელნაწერი აქამდე ვრცლად არ ყოფილა აღწერილი. ამიტომ წარმოვადგენთ მის სრულ აღწერილობას.

7 ფრაგმენტის რაობა დაადგინა ე. კოჭლამაზაშვილმა, იხ. პავლეს ეპისტოლეტა განმარტება გამოკრებული იოანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან თარგმნილი ექვთიმე მთაწმიდელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა, თბ., 2003.

იესუ ქრისტესი, ბრძანებითა ღმრთისა მაცხოვრისა ჩუწნისაათა და უფლისა იესუ ქრისტეს სასოებისა ჩუენისაათა, გუაკურთხენ, მამაო. ჩუწლებად დაუცავს ნესი... გვ. 110-169.

შენიშვნები: 1) უძღვის: ა) „უნყება მიზეზსა ტიმოთეს მიმართ პირველისა ეპისტოლისასა“ (გვ. 108) და ბ) „თავნი ტიმოთეს პირველისა ეპისტოლისანი“ (გვ. 109) 2) ერთვის მინაწერი ასომთავრულით: „ტიმოთეს მიმართ მიწერა ეპისტოლე პავლე ლაოდიათ, რომელ არს დედაქალაქი ფრიგსაჲ, მუჭლი სზ“, თავნი იზ“

4. „პავლე მოციქულისა წიგნი ტიმოთეს მიმართ მეორე“ - პავლე მოციქული ქრისტე იესუსი ნებითა ღმრთისაათა აღთქუმისა მისებრ ცხოვრებისა ქრისტეს მიერ, გუაკურთხენ, მამაო. აჰა, ესერა ცხადყო, ვითარმედ... გვ. 169-206.

შენიშვნები: 1. უძღვის: ა) „უნყება მიზეზსა ტიმოთეს მიმართ მეორისა ეპისტოლისასა (გვ. 169); ბ) თავნი ტიმოთეს მეორისა წიგნისანი“ (გვ. 170). 2. ერთვის მინაწერი ასომთავრულით: „ტიმოთეს მიმართ მეორე ეპისტოლე მიწერა ჰრომით მეორედ რაჲ განკითხულ იყო ნერონის მიერ. მუჭლი რ“, ო“ბ, თავნი თ“. (გვ. 206).

5. „პავლე მოციქულისა წიგნი ტიტეს მიმართ“. – პავლე მონაჲ ღმრთისა და მოციქული ქრისტე იესუსი საწმინდობისაებრ რჩეულთა ღმრთისათა და მეცნიერებითა ჭეშმარიტისაათა, რომელ არს ღმრთისმსახურებაჲ, გუაკურთხენ, მამაო, იხილე, ვითარ საზოგადო ჰყოფს სიტყუათა ამით თავისა თჳსითჳს... გვ. 207- 227.

შენიშვნები: 1) უძღვის: ა) „წება მიზეზსა ტიტეს მიმართ ეპისტოლისასა (გვ. 206), ბ) „თავნი ტიტეს მიმართ ეპისტოლისანი“ (გვ. 207). 2) ერთვის: „ტიტეს მიმართ პირველისა ეპისტოლისისა კრიტელთაჲსა მიწერა ნიკოპოლით მაკედონისათ. მუჭლი ჟ“ზ, თავნი ვ“ “ (გვ. 227).

6. „პავლე მოციქულისა წიგნი ფილიმონის მიმართ. “ -პავლე მოციქული ქრისტე იესუსი და ტიმოთე ძმაჲ ფილიმონს საყუარელსა და თანაშემწესა ჩუწნსა და აჰფიას დასა და არქიპოსს თანამესაგრესა ჩუწნსა და სახლისა შენისა კრებულთა მადლი თქუენდა და მშუდობაჲ ღმრთისა იესუ ქრისტესსა, გუაკურთხენ, მამაო. მყის დასაბამსავე კრულად სახელისდებითა თავისა თჳსისათა... გვ. 228-234.

შენიშვნები: 1) უძღვის: ა) უნყება მიზეზსა ფილიმონის მიმართ ეპისტოლისანი (გვ. 227); ბ) „თავნი ფილიმონის ეპისტოლისანი“ (გვ. 227) 2) ერთვის: „ფილიმონის მიმართ მიწერა ჰრომით ონისიმეს მონისა, რაჟამს ერთგვის განკითხულ იყო ნერონის მიერ. მუჭლი ლზ“, თავნი ბ“, (გვ. 235)

7. „უნყება მიზეზსა წიგნისა ამის მრავალთა წიგნთა ერთად“- ვითარმედ მოციქულისათა... გვ. 235-238.

შენიშვნა: წარმოადგენს ეფრემ მცირის ანდერძს, რომელშიც მთარგმნელი განიხილავს პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ქართულად გადმოღების საკითხს. ანდერძი გამოქვეყნებულია (თვალთვაძე, 1989, 220-221) ამის შესახებ იხ. აგრეთვე, დ. თვალთვაძე, 1995; ანდერძის მეორე პუბლიკაცია იხ. ე. კოჭლამაზაშვილი 2003, გვ. 335- 338).

8. „წმიდისა მამისა ჩუწნისა კრილე ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისაჲ, რომელმან თარგმნნა ყოველნივე საწინაწარმეტყულონო წიგნი და აღწერნა სხუანი წიგნი მრავალნი, ეპისტოლე სხჳსა ვისიმე ეპისკოპოსისაჲ მიმართ,

რომელი ვედრებულ იყო მისდა, რათამცა აღწერა მოკლე თარგმანება ნმიდისა მოციქულისა პავლეს ებისტოლეთაჲ. – მოსწრაფება და სწავლისმოყუარებაჲ სინმიდისა შენისაჲ ფრიად მთნდა მე, ნმიდაო მამაო...“ გვ. 238-241.

შენიშვნები: 1) 238-ე გვერდზე არის მინაწერი ნუსხურით. „თარგმნილი მამისა ეფთჳმესი“

2) ებისტოლე დაცულია კიდეც ერთ ათონურ ხელნაწერში (Ath. 39 ბლეიკით, 79 ცაგარლით, სადაც ის წინ უძღვის კირილე ალექსანდრიელის შრომას „მოკლე თარგმანებაჲ პავლეს ებისტოლეთაჲ (P.G.t. 74 col. 773-1006) (იხ. კეკელიძე ეტ. V. 87; დ. თვალთვაძე, 1989(ა), 14-17. ებისტოლეს ქართული თარგმანის ტექსტი გამოქვეყნებულია (თვალთვაძე, 1995, კოჭლამაზაშვილი, 2003, გვ. 291-292)

9. პარაკლიტონის ფრაგმენტი. წყდება: „წინამორბედო მზისა სიმართლისაო, ქრისტეს ნათლისმცემლო, იოანე დიდებულო, ლამპარო სულისა ჩემი...“

შენიშვნები: I ხელნაწერი შეიცავს პავლე მოციქულის ებრაელთა მიმართ (6, 11 მუხლიდან), ტიმოთეს მიმართ I, ტიმოთეს მიმართ II, ტიმოთეს მიმართ და ფილიმონის მიმართ ებისტოლეთა თარგმანებას. ამათგან ტიმოთეს მიმართ II, ტიტეს და ფილიმონის მიმართ ებისტოლეთა თარგმანების ტექსტი აქამდე არ იყო ცნობილი (იხ. დანელია, 1983, 315-318) და შენახულია მხოლოდ ამ ხელნაწერში.

II. თარგმანი ეკუთვნის ეფრემ მცირეს. (იხ. კეკელიძე 1920, XIX-XXII, ან ეტ. XI, 1973, 189-191; მისივე, 1960, 256-257; მისივე, პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან, პრომეთე, I, 1918, 66); დანელია, 1974, 27-46; დანელია, 1983, 296; 386; აბულაძე, 1950, 012; მისივე, ძველი ქართულის ლექსიკიდან, 1959, 162; ჯავახიშვილი, 1949, 38. ; შანიძე, 1965, 253; სარჯველაძე, 1984, 211, 219, 227; კოჭლამაზაშვილი, თბ., 2003).

III. ხელნაწერის აშიებზე მოთავსებულია: 1) შეისწავნი:

ა) „**შეისწავე**, რამეთუ რვა შთასავალ უწოდინ წიგნსა მას ორიგენესგან რვა კაპატონად დაწერილსა, რომელსა მოიქსენებს წმიდაჲ ეპიფანე კპრელი მთავარებისკოპოსი, რამეთუ იგივე და ერთი სიტყუაჲ ძუწლთა წიგნთა რვაჯერ წერილ არს, რათაჲ შეატყუნეს ურთიერთას, პირველად ებრაული ებრაულითა ასოთა, მეორედ ებრაული სიტყუაჲ ბერძულითა ასოთა, მესამედ სამეოცდაათთა, მეოთხედ აკკლასი, მეხუთედ უმმახოჲსი, მეექუსედ თეოდოტიონისი, მეშვედ და მერვედ ჭურსა შინა პოვნილნი იგი იერიქოს, რომელთა სახელები უცნაურ არს თუ ვიეთ თარგმნეს“ (გვ. 37). ბ) „**შეისწავე**, რამეთუ ეპისკოპოსი ბერძნულისა ენისაგან ზედამხედველად გამოითარგმანების“ (გვ. 132). გ) „**შეისწავე**, რამეთუ რომელნი იგი საქმელთა მეგინებულად ქადაგებთა იმახვიდეს, მათ ეწოდების წვალებაჲ მმარხველთაჲ“ (გვ. 141). დ) „**შეისწავე**, რამეთუ ბერძნულად ერთ არს სახელი ხუცისა და მოხუცებულისა, ხოლო ამას თარგმანი ცხად-ჰყოფს, თუ აქა მოციქული ხუცესსა იტყვს, ანუ თუ მოხუცებულსა“ (გვ. 154). ე) „**შეისწავე**: ესე იგი ონისიმე არს, რომელი [უამთა] ტერტულ[იანეს... [ე]პარხოზისათა... [იერუსალე] მს შინა... [ლირს]იქმნა წამებითა სრულ [ყო]ფად, მიილო რაჲ მისგან ჩინებაჲ და მუს[რვი]თა წვეთათა“ (გვ. 230).

2. მითითებანი: კანონი საეკლესიოჲ ა(გვ. 121); კანონი საეკლე-



სიო ბ(გვ. 129); კანონი საეკლესიო გ(გვ. 132); კანონი საეკლესიო დ(გვ. 151); კანონი საეკლესიო ე(გვ. 152); კანონი საეკლესიო ვ (გვ. 166). „ესე თავი ბერძნულად აქა იყო“(გვ. 86), „ხოლო ქართულად აქა არს“ (გვ. 88) (შენიშვნა გაკეთებულია ალბათ იც“ თავის გამო).

**3. იოტა (7)**, რომელიც აღნიშნავს პავლეს ეპისტოლეთა გიორგი ათონისეულ თარგმანში ეფრემ მცირის მიერ შესწორებულ ადგილებს და ტექსტში მის გასწვრივ ყოველთვის არის სიტყვები: „უსაკუთრეს არს ესრეთ“. (იხ. კ. დანელია, 1974, გვ. 27-46). „იოტა“ გვხვდება: გვ. 16, 22, 26, 36, 37, 41, 44, 49, 50, 55, 58, 59, 62, 63, 86, 88, 94, 97, 102, 106, 111, 119, 154, 180, 184, 192, 196, 197, 202, 203, 224.

**4.** აშიაზე მიწერილია, აგრეთვე, ტექსტში გადამწერის მიერ შემთხვევით გამოტოვებული სიტყვები და წინადადებები, რის აღსანიშნავადაც გამოყენებულია ჩამატების აღმნიშვნელი საგანგებო ნიშანი (გვ. 16, 26, 50, 69, 74, 132, 137, 189).

**IV.** ხელნაწერში სინგურით და ასომთავრულით არის გამოყოფილი ზოგიერთი კომენტარის ავტორის სახელი: კუმენისი – გვ. 27, 37, 38, 39, 50, 57, 82, 92.; ისიდორესი – გვ. 132, 144, 147, 196, 198.; დიდისა ბასილისი – გვ. 15.; კკრილესი – გვ. 157.

**V.** ნუსხაში გამოყენებულია პუნქტუაციური ნიშნები: ერთწერტილი, ორწერტილი და სამწერტილი. სამი წერტილი (:) გამოიყენება ციტირებული ტექსტის მოსანიშნავად.

**VI.** მინაწერები მხედრულით: „ღმერთო, შეინყაღე უღირსი ხუცეს-მონაზონი იაკობ ქართველი საბრალო“ (გვ. 1); „სულო ჩემო, სულო აღდეგ, რაჲსა გძინავს: აღსასრული მოახლებულა, განიღძე, რაჲთა შეგიწყალოს შენ [ქრისტემან ღმერთმან], რომელი ყოველგან არს და ყოველსავე ალავესს“. მინაწერებია აგრეთვე გვ. 60, 84, 103, 121, 127, 131, 134, 147, 150, 159, 161, 162, 165, 166.

**VII.** 234-ე გვერდზე მოთავსებულია ეფრემ მცირის იამბიკო, რომლის კიდურწერილობაა **ეფრემ**.

ესრეთ უხარინ მწერალსა და მთარგმნელსა

ფურცელი იგი წერად დასასრულისაჲ

რაოდენ უცხოთა სახიდ თჳსსა მოსრულსა

ერთილა ბიჯი შინა შემყვანებელი

მხიარულებით ჰმადლოზნ და აქებნ ღმერთსა.

ამას მოსდევს ჯვრის ფორმით დანწერილი სიტყვები (გვ. 235)

თ  
ა  
ეფრემ რ იტყვს

ბ

მ

ა

ნ

ი

## თ ა ვ ი II

### მთარგმნელის მოზრახული „თავისა და ბოლოჲსა ანდერძები“

ანდერძი, ა. შანიძის განმარტებით, არის "ნიგნის ბოლოს მოთავსებული ცნობა ნიგნის დანერასთან დაკავშირებულ გარემოებათა შესახებ, ბოლოსიტყვა. ანდერძი (ავტორისა, მთარგმნელისა ან გადამწერისა) დღევანდელი გაგებით წინასიტყვაობას უდრის, მაგრამ მას ნიგნის ბოლოს ათავსებდნენ ხოლმე" (შანიძე, 1946, 84). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც ანდერძი არის "მინაწერი ძველი ხელნაწერების ბოლოში, რომელიც ჩვეულებრივ გვამცნობს დამწერის ვინაობას, დანერის დროს ან ადგილს" (ქეგლ., 1986, 34). ამგვარი ანდერძები ერთვის უძველეს ქართულ ხელნაწერ კრებულებს: "სინურ მრავალთავს", "შატბერდის კრებულს", მიქელ მოდრეკილის "იადაგარს", ექვთიმე და გიორგი ათონელების, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, თეოფილე ხუცესმონაზონის და სხვათა თარგმანებს.

იმის მიხედვით, თუ ვის ეკუთვნის ანდერძი, მისთვის დამახასიათებელია რამდენიმე აუცილებელი კომპონენტი. უპირველეს ყოვლისა, ყველა ანდერძი იწყება ღვთაების შექებით, რასაც შემდეგ მოსდევს მომგებლის, დამკვეთის ან მუშაობის პროცესში ხელშემწყობი პირების ლოცვა-კურთხევა, მოხსენიება საკუთარი თავისა; თუკი ანდერძი გადამწერისაა, დასახელებულია ხელნაწერის გადანერის თარიღი და ადგილი. ავტორის ან მთარგმნელის ანდერძებში შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვაგვარი ცნობები თხზულების დანერისა და თარგმნის შესახებ. ანდერძი, ჩვეულებრივ, მთავრდება ისევ ღვთაების ქებით და "მომავალთა ნათესავთაგან" ლოცვა-კურთხევის გამოთხოვით.

ამგვარი ანდერძები, როგორც წესი, ნიგნებს ბოლოს დაერთვის და ზომითაც პატარაა. მაგრამ ქართულ ხელნაწერებს ახლავს სხვაგვარი ანდერძებიც (უმთავრესად მთარგმნელის ან ავტორისა), რომლებიც, როგორც ე. მეტრეველი აღნიშნავს, "ჩვეულებრივ შეიცავენ ცნობებს ამა თუ იმ ძეგლის თარგმნის ისტორიიდან, ამჟღავნებენ ამ ძეგლისადმი ავტორის დამოკიდებულებას და ამასთან დაკავშირებით მის ისტორიულსა და ლიტერატურულ თვალსაზრისს. ამ რიგის ანდერძებით ხშირად ვეცნობით იმ სიძნელეებს თუ ხელშემწყობ პირობებს, რომლებიც ანდერძის ავტორს ხვდებოდა მუშაობის პროცესში" (მეტრეველი, 1959, ა,

98). აქ, ანდერძებისთვის დამახასიათებელი ზემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი კომპონენტების გარდა, გვაქვს საკმაოდ ვრცელი დახასიათება განეული მუშაობისა, თხზულებასთან დაკავშირებულ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები, ხშირად საღვთისმეტყველო მსჯელობაც. ამგვარი ანდერძები ჩვეულებრივი კოლოფონის ჩარჩოებში ვერ ეტევიან და უფრო მთარგმნელის (ან ავტორის) დამოუკიდებელ ნაშრომებს წარმოადგენენ სათარგმნად არჩეული თხზულების შესახებ. ხშირად მთარგმნელის ასეთ ვრცელ ანდერძში მოცემულია არა მარტო თხზულების თარგმნის ისტორია (ვის მიერ ითარგმნა, როდის ითარგმნა, არსებობდა თუ არა ადრე სხვა თარგმანი, რატომ ითარგმნა ხელახალა და ა. შ.), არამედ მიმოხილულია ბერძნული დედნებიც, მოცემულია ცნობები ბერძნულ ენაზე სხვადასხვა რედაქციათა არსებობის შესახებ და სხვ. ერთი სიტყვით, მთარგმნელის ეს ანდერძები ერთგვარი ფილოლოგიური ნაშრომებია, რომლებიც "თავისი შინაარსით და დანიშნულებით ავტორის (ან მთარგმნელის) წინასიტყვაობას ან ბოლოსიტყვაობას უდრის" (მეტრეველი, 1959, ა, 98).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წინასიტყვა, ანუ წინასიტყვაობა ასეა განმარტებული: "თხზულების ძირითადი ნაწილის წინ მოთავსებული მოკლე წერილი (საცნობარო ხასიათისა) დაწერილი ავტორის ან რედაქტორის მიერ (ქეგლ, ტ. VIII, 1122); ბოლოსიტყვა, ანუ ბოლოსიტყვაობა კი განსაზღვრულია როგორც "ნიგნის ბოლოს დართული მცირე სტატია, რომელიც შეიცავს წინა ნაწილის შესახებ რაიმე განმარტებას // დასკვნითი ნაწილი სიტყვაკაზმული მწერლობისა" (ქეგლ, ტ. I, 096). ეფრემ მცირის თარგმანებს დართული "თავისა და ბოლოსა ანდერძები" სწორედ ამ ტიპის წინასიტყვეები და ბოლოსიტყვეებია. ისინი იმ მეცნიერული აპარატის ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად გვევლინებიან, რომლითაც აღჭურვილია ეფრემის თარგმანები.

ანდერძების ერთი ნაწილი წინა მთარგმნელთა მსგავსად ეფრემ მცირესაც ნათარგმნი თხზულების ბოლოს, ანუ "ბოლოსა ნიგნისასა" მოუთავსებია. ასეთი ანდერძები ახლავს ბასილი კესარიელის "ასკეტიკონს" (A689, 187r), გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცალკეულ თხზულებებს (A292v; 215v; 272v; 312r, 329r-v;), ზოგიერთ აგიოგრაფიულ თხზულებას (S 1276,8r; 56r,115v; S 384, 242; 318; 364; 488; A 90, 310-314; K 5, 576-579). მაგრამ ეფრემის თარგმანთა უმრავლესობას „მთარგმნელის მოზრახული“ ანდერძები **"თავსა და ბოლოსა ნიგნისასა"** უწერია ე. ი. უძღვის წინასიტყვაობა, ანუ **"თავისა ანდერძი"** და ერთვის ბოლოსიტყვაობა ანუ **"ბოლოსა ან-**

**დერძი**". ასეთია:

1. იოანე დამასკელის "წყარო ცოდნისას" თარგმანი, რომელსაც უძღვის მთარგმნელის ვრცელი წინასიტყვაობა და ზანდუკი (A24,1r-4r; S 1358,8r-11r; A406,1v-7v) და ერთვის ეფრემის მოკლე ანდერძი (A24,137v);

2. „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“, რომელსაც უძღვის შესავალი – „უნწყებაჲ მიზეზსა და ვითარებასა და თხრობაჲ წესსა და საჭმარებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“ (Q37,1r-7v; Jer.1,1r-6r; S1472,1r-4v; A14,1r-4v; Q675,3r-5v) და პირველი წიგნის ბოლოს<sup>8</sup> ერთვის მთარგმნელის ანდერძი (Q37,316v);

3. „სამოციქულოს თარგმანებას“ იწყებს შესავალი წერილი მთარგმნელისა, რომელიც ეხება არა მხოლოდ „საქმე მოციქულთას“, არამედ ეპისტოლეთა თარგმანების საკითხებსაც (Jer.16,1r-2r; A677, 244r-245v) და ამთავრებს ეფრემის ანდერძ-ბოლოსიტყვაობა – „უნწყებაჲ მიზეზსა წიგნისა ამის მრავალთა წიგნთა ერთად შემოკრებულისასა“ (Ath.18, 235-238), რომელშიც მთარგმნელი, მართალია, „სამოციქულოს“ ერთი ნაწილის, კერძოდ, პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებაზე მსჯელობს, მაგრამ მთლიანად „სამოციქულოს თარგმანების“ ქართულად გადმოღების საკითხებსაც ეხება და სხვათა შორის ახსენებს და იმონებს „თავსა ზედა წერილი უწყებასაც“ (იხ. ამის შესახებ ქვემოთ);

4. თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიას“ წინ უძღვის მთარგმნელის „თავისა ანდერძი“ (A689, 187r) და ერთვის „ბოლოჲსა ანდერძი“ (A689, 277r-v);

5. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმანს უძღვის „წინაბჭე სიტყუსა-თხრობაჲ დიდისა დიონისისთჳს და წიგნთა მათთჳს მის მიერ აღწერილთა“ (A110, 1r-2v; A163, 1-15) და ბოლოში ერთვის მთარგმნელის ანდერძ-ბოლოსიტყვაობა (A110,98r; S159, 174; K416,151 v);

6. გრიგოლ ნაზიანზელის სადღესასწაულო ჰომილიების კრებულს წამძღვარებული აქვს მთარგმნელის ეპისტოლე ბერი კვირიკესადმი, რომელიც ამ კრებულის წინასიტყვაობის მაგივრობას სწევს. ეს შესავალი უძღოდა ალბათ გრიგოლ ღმრთისმეტყველის ჰომილიათა ეფრემისეული თარგმანების შემცველ სხვა კრებულებსაც (Jer.13, Jer.15), მაგრამ ისინი თავნაკლულია და ამიტომ ეფრემის ეს წინასიტყვაობა არ შემოუნახავთ. ნაზიანზელის თექვსმეტსიტყვიან კრებულებს ბოლოში, როგორც ჩანს, ერთვოდა

8 ეფრემის ამ შრომის II ნაწილი ჩვენამდე არ შემონახულა

„ბოლოვსა ანდერძიც“ მთარგმნელისა, რომელიც იმავე მიზეზით დღეს მხოლოდ ერთ კრებულშია (Jer. 13, 249 r) შენახული.

როგორც ვხედავთ, ეფრემისათვის დამახასიათებელი ყოფილა მთარგმნელის მოზრახული ანდერძების დართვა წიგნის თავსა და ბოლოში. ამის თაობაზე ეფრემი თვითონაც არა ერთხელ აღნიშნავს: თავსა და ბოლოსა მოქცეული ჩემი მოზრახული შეუცვლელად დაწერეთო. გადამწერებსაც შეუსრულებით მისი მრავალგზისი თხოვნა და ქართულმა ხელნაწერებმა ეფრემ მცირის თარგმანებზე დართული მთარგმნელის 30 ანდერძი შემოგვინახეს. კერძოდ:

1. იოანე დამასკელის "წყარო ცოდნისას ("დიალექტიკა" და "გარდამოცემა") ანდერძ-წინასიტყვაობა ("ესე ერგასისნი თავნი რიცხუდნი...") დაცულია A24(1r-v), S 1358(8r-v), A406(1r-2v) ხელნაწერებში (ჟორდანი, 1892, 215-219; რაფავა, 1976, 66-67; გორგაძე, 1926, 182-192).

2. „გარდამოცემის“ თარგმანს ბოლოში ერთვის მთარგმნელის მოკლე ანდერძი („ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, გაბრიელისთვის, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა...“), რომელიც მხოლოდ ერთ ხელნაწერს შემორჩა, კერძოდ XII საუკუნის ნუსხას A24(137v) (რაფავა, 1976, 47)

3. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა თარგმანებისათვის ეფრემ მცირეს წაუძღვარებია „წინაბჭე სიტყვსა – თხრობაჲ დიდისა დიონისისთვის და წიგნთა მათთვის მის მიერ აღწერილთა“, რომელიც დღეს ორ ხელნაწერშია დაცული. A110(1r-2v) და A163 (1-15) (ლოლაშვილი, 1973, 107-116; მისივე, 1983, 70-77).

4. დიონისე არეოპაგელის „საღმრთოთა სახელთათვს“ ქართული თარგმანის ანდერძი („კურთხევაჲ ვრცელთა დიონისიოს ოხათა იეროთეთოთურთ სამ ხელნაწერში გვაქვს: A110(98r), S159 (გვ. 174) და K416 (151v) (პეტრე იბერიელი, 1961, გვ. 019).

5. გრიგოლ ნაზიანზელის თექვსმეტსიტყვიანი კრებულების „თავისა ანდერძი“ („ბერსა კკრიკეს მცირე ეფრემ...“) ერთადერთ იერუსალიმურ ხელნაწერს შემორჩენია. კერძოდ, Jer.43(1r-4r) (ბლეიკი, 1926, 57-172; მარი 1955, 71-76; ბრეგაძე, 1988, 147).

6. გრიგოლ ნაზიანზელის კრებულების „ბოლოვსა ანდერძიც“ („დიდებაჲ და მადლობაჲ დასაბამსა და სრულმყოფილსა ყოველთა კეთილთასა... რომელმან სრულ ყვნა ათექუსმეტნი ესე საეკლესიონი სიტყუანი...“), ასევე ერთ ხელნაწერშია შენახული: Jer.13 (249r) (ბლეიკი, 1926, 171-172; მარი, 1955, 22-23; ბრეგაძე, 1988, 163).

7. შემოგვრჩა გრიგოლ ნაზიანზელის ცალკეულ თხზულებებს დართული მთარგმნელის რამდენიმე ანდერძი. კერძოდ: ეფრემის ანდერძი, რომელიც ერთვის ივლიანეს II განსაქიქებელ სიტყვას ბოლოში („დიდება ღმერთსა ყოვლისავე სრულმყოფელსა, რამეთუ აჰა, ესერა, მეორეცა განქიქება ივლიანესი სრულ იქმნა...“) A 292, 218v (ბრეგაძე, 1988, 171).

8. ანდერძი, რომელიც ერთვის გრიგოლის თხზულებას „მიმნოდებელთა და არადამთხვეულთა მიმართ“ („საცნაურ იყავნ, ვითარმედ, ესე საკითხავი ქართულსა შინა არს და ესრეთ იწყებოს...“) A292, 282v (ბრეგაძე, 1988, 174).

9. მისივე სიტყვის "ევნომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყველებისათჳს წინაგანბჭობაჲ" ბოლოში დართული ანდერძი მთარგმნელისა ("ლოცვა ჰყავთ, წმიდანო და ქრისტესმოყუარენო, ეფრემისათჳს თარგმანისა, რომლისა მიერ მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი... ") A292,314r (ბრეგაძე, 1988, 175).

10. ანდერძ-ბოლოსიტყვაობა ნაზიანზელის თხზულებათა კორპუსის თარგმანის დასრულების გამო („დიდება შენდა, წმიდაო სამებაო, ბუნებით ერთო, ხოლო გუამით სამო, ... რომელმან ჯერიჩინე...“) A292, 331r-v. (ბრეგაძე, 1988, 182).

11. „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალი („უწყება მიზეზსა და ვითარებასა და თხრობაჲ წესსა და საწმარებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“) შემონახულია რამდენიმე ხელნაწერით: Q37(1r-7v); Jer.1(1r-6r); S1472(1r-4v); A14(1r-4v) და Q 677(3r-5v). (შანიძე, 1968, 77-122).

12. ფსალმუნთა თარგმანების I წიგნის ბოლოს დართული მთარგმნელის ანდერძი („დიდებაჲ და პატივი, თაყუანისცემაჲ და მადლი სამგუამოვნებით ცნობილსა და ერთარსებით აღსარებულ წმიდასა სამებასა...“) მხოლოდ Q37 ხელნაწერს შემორჩა (Q37,316v). (ჟორდანია, 1892, 214).

13. ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ ბოლოს მოთავსებული ანდერძი („საცნაურ იყავნ, ვითარმედ, უმეტეს ათორმეტისა წლისა ჟამთა მოველოდენით პატიოსნისა მღვდლისა პროკოპის მიერ თარგმნილსა ასკეტიკასა...“) გვაქვს A689 ხელნაწერში (187r) (ჟორდანია, 1897, 39-40; ხინთიბიძე, 1968, 176).

14. თეოდორიტი კვირელის „ფილოთეონ ისტორიის“ შესავალი („ამას წიგნსა ეწოდების ფილოთეონ ისტორიაჲ“, რომელ არს ღმრთისმოყუარებითი თხრობაჲ...“) A689 (187r-187v) და A682(91v-93v) ხელნაწერებში (ჟორდანია, 1897, 40-42).

15. „ფილოთეონ ისტორიის“ ანდერძ-ბოლოსიტყვაობა („დიდე-

ბა და მადლობა, პატივი და თაყუანისცემა მამასა და ძესა, რომელმან... სრულყო ესეც ნიგნი მამათა ლოცვითა ბერთა ჩუენ-თათა... ") იმავე A 689 ხელნაწერის 277r-v-ზე და A 682-ის 183v-ზე (ჟორდანია, 1892, 220. თ. ჟორდანია მას შეცდომით პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონის“ ანდერძად მიიჩნევს).

16. „სამოციქულოს თარგმანების“ ანდერძ-წინასიტყვაობა („ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი მიემთხვნეთ წმიდასა ამას ნიგნსა...“) სამ ხელნაწერში გვაქვს დაცული: Jer.16(2r-3v), ფრაგმენტულად A677(244v-245v) და Q 1158(102r-v), (ბლეიკი, 1926, 160-166; საქმ. მოციქულ., 1950, 029-031; მარი, 1955, 55-62; კოჭლამაზაშვილი, 2000, 12-15; 2003, 327-331).

17. პავლეს ეპისტოლეთა კომენტარებზე დართული ანდერძი, „უნყებად მიზეზსა ამის მრავალთა ნიგნთა ერთად შემოკრებულისასა“, რომელიც მთელი „სამოციქულოს თარგმანებისთვის“ დანერილ „ბოლოესა ანდერძად“ გვევლინება. იგი ერთადერთ ათონურ ხელნაწერშია დაცული (Ath. 18, 235-238; თვალთვაძე, 1989, 220-221).

18. „მოციქულთა საქმის თარგმანების“ ანდერძი („დიდება და მადლობა დასაბამსა და სრულებასა ყოველთასა არსთასა...“) ერთადერთ Q1158 ხელნაწერშია შემორჩენილი (Q1158, 101, კოჭლამაზაშვილი, 1996; 2003, 341).

19. „კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანების“ ბოლოს დართული ანდერძი („ლოცვა ყავთ ანდრიასთვს ხუცეს-მონაზონისა, რომელ ყოფილ არს მწერალი ბერძნულისა ამის ნიგნისა...“), რომელიც იმავე Q 1158 ხელნაწერშია დაცული (Q 1158, 316, კოჭლამაზაშვილი, 1996, კოჭლამაზაშვილი, 2003, 343).

20. პავლეს ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლეს თავთა ჩამინათვალზე დართული ანდერძი მთარგმნელისა, რომელიც მხოლოდ Q1158 ხელნაწერშია დაცული (Q 1158, 103v, კოჭლამაზაშვილი, 2003, 343-344)

21. „იოანე ოქროპირის ცხოვრების“ ბოლოს დართული ანდერძი („დიდება შენდა, ღმერთო მალალო, ყოველთა კეთილთაო დასაბამო...“) S384, 121-122 (ჟორდანია, 1892, 221-22; SI,462; გოგუაძე, 1986, 307-308).

22. „დიმიტრი თესალონიკელის ცხოვრების“ ანდერძი („გვედრები ყოველთა, რომელნი მიემთხვნეთ წამებასა ამას...“) S384, გვ. 488 (ჟორდანია, 1892, 239; S,I, 465).

23. „მინა მეგვპტელის წამების“ ანდერძი („წმიდანო მამანო! ესე წმიდის მინაჲს წამება იყო ძუელადვე თარგმნილი კიმენისა-

გან...“) S384, 643, (ჟორდანი, 1892, 222); SI,467).

24. გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკრველმოქმედის ცხოვრების“ ბოლოს დართული ანდერძი მთარგმნელისა („ლოცვა ყავთ, წმიდანო ღმრთისანო, რომელნიცა მიემთხვნეთ აღწერილსა ამას წმიდისა გრიგოლ ნოსელისასა ცხორებასა დიდისა გრიგოლი საკრველთმოქმედისასა...“) S 384, 728 (ჟორდანი, 1892, 224; S I, 468).

25. მიქაელ სუმეონწმიდელის „იოანე დამასკელის ცხოვრების“ ბოლოში მინერილი ანდერძი („ლოცვა ყავთ, ქრისტემოყუარენო, იოანესთვის მღდელისა და მონაზონისა, რომლისა ბრძანებითა ვთარგმნე...“) დაცულია სამ ხელნაწერში S 1276,56r; Jer.38,16r და Sin 91.გვ... (კეკელიძე, ეტ. VII, გ136-177); მეტრეველი, 1959; S I,137).

26. მეტაფრასული კრებულის ანდერძი „მოსაწსენებელი მცირე სუმეონისათვის ლოლოთეტიისა და თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმნისათა“ A90, 310-314; K4, 576-579 (კეკელიძე, ეტ. V, 223-226).

27. მთარგმნელის ანდერძ-მინაწერი ახლავს გრიგოლ ნოსელის სიტყვას „შობისათვის და ჩჩვლთა ბეთლემს მონყუედილთა“ ეფრემის ავტოგრაფად მიჩნეულ ხელნაწერში S 1276,80r. („უფალო, შეინყალე მღდელი იოანე...“ მეტრეველი, 1959; S II, 137).

28. ეპიფანე კპრელის საკითხავს „მუცლადღებისათვის ანაფსა“ („შემინდევით, სხუაჲ საკითხავი მუცლადღებისაჲ ვერ ვპოე...“) S 1276, 56r. (მეტრეველი, 1959, S II, 136).

29. მთარგმნელის ანდერძ-მინაწერი ახლავს სოფრონ იერუსალიმელის თხზულებას „სიტყუაჲ შესხმისაჲ წმიდისათვის და დიდისა გრიგორი ღმრთისმეტყუელისა“ იმავე S 1276 ხელნაწერში 115v-ზე. („უფალო მიეც მადლი მამასა იოვანეს...“ (მეტრეველი, 1959, 120, S II, 139).

30. მთარგმნელის მოკლე ანდერძი ერთვის იოანე დამასკელის საკითხავს „შობისათვის ღმრთისმშობლისა“, რომელიც Jer.38 ხელნაწერშია მხოლოდ დაცული („ლოცვა ყავთ, ქრისტესმოყუარენო, იოანესთვის, კვრიკეს ხუცისა...“ 12r). (რაფაგა, 1990, ა, 107).

ზემოთ წარმოდგენილი ანდერძების ნუსხა, შეიძლება ითქვას, ეფრემის ორიგინალური შრომების სიას წარმოადგენს, რადგანაც ამ ანდერძნამატა დიდი უმრავლესობა თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერულ ფილოლოგიურ ნაშრომებად.



**„სამოციქულოს თარგმანების“ კოლოფონები.** ეფრემ მცირის მოზრახული ანდერძების დიდი ნაწილის პირველი გამოცემა თ. ყორდანას ეკუთვნის, რომელმაც თავის "ქრონიკებში" დაბეჭდა ისინი. შემდგომში ცალკეულმა მკვლევრებმა ეფრემის ნათარგმნ თხზულებებთან ერთად მასზე დართული მთარგმნელის წინასიტყვაობა თუ ბოლოსიტყვაობაც გამოაქვეყნეს (რ. ბლეიკი, ნ. მარი, ს. გორგაძე, ე. მეტრეველი, ს. ენუქაშვილი, ე. ხინთიბიძე, მზ. შანიძე, მ. რაფავა, ი. ლოლაშვილი, თ. ბრეგაძე, ნ. გოგუაძე). ეფრემის ანდერძების უმრავლესობა დაბეჭდილია ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის შესაბამის ტომებში, მაგრამ ხელნაწერთა არც ერთ აღწერილობაში არ არის მითითება ეფრემ მცირის კიდევ ერთ ანდერძზე, რომელიც ერთვის პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანის ტექსტს Ath. 18 ხელნაწერში.

საზოგადოდ ათონური ხელნაწერები და კერძოდ Ath. 18 ხელნაწერიც ქართველ მკვლევართათვის ბოლო ხანებამდე მიუწვდომელი იყო. რ. ბლეიკის და ა. ცაგარლის მიერ მოცემული აღწერილობა ამ ხელნაწერებისა ძალიან მოკლეა და ხშირად მხოლოდ ძირითად ცნობებს გვანვდის მანუსკრიპტის შესახებ. ამით აიხსნება ის გაერეობა, რომ Ath. 18 ხელნაწერის შესახებ, რომელიც პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ტექსტს შეიცავს, ამ ძეგლის ქართული თარგმანების მკვლევარი პროფ. კ. დანელია, რომელიც მიუთითებს A390, Jer.6, Jer.9 ხელნაწერებთან ერთად ამ ათონურ ხელნაწერზეც, მისი მხოლოდ ზოგადი დახასიათებით კმაყოფილდება და აღნიშნავს: „სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ ხელნაწერზე ხელი არ მიგვიწვდებოდა“ (დანელია, 1983, გვ. 318). ათონიდან ქართულ ხელნაწერთა მიკროფირების ჩამოტანის შემდეგ შესაძლებელი გახდა ამ ხელნაწერების შესწავლა. პირველი გამოკვლევა ათონური ხელნაწერების სიახლეების შესახებ დაბეჭდა ი. ლოლაშვილმა (ლოლაშვილი, 1982), გამოიცა ხელნაწერთა ერთი ნაწილის (სულ 18 ხელნაწერის) ვრცელი აღწერილობაც (ათონ. ხელნ. აღწ., 1986), მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი მათ რიცხვში არ მოხვედრილა. ამიტომაც ვცანით საჭიროდ წარმოგვედგინა მისი სრული აღწერილობა და იქ დაცული ეფრემ მცირის ანდერძის ვრცელი ანალიზი.

ხელნაწერი, რომელიც რ. ბლეიკმა XV-XVI საუკუნით დაათარილა (ბლეიკი, 1932, 116), შეიცავს 256 ფურცელს. აქედან პირველი 6 ფურცელი (გვ. 1-12) და ბოლო 6 ფურცელი (გვ. 243-256), რომლებიც სხვა თხზულების ფრაგმენტებია, როგორც ჩანს, ჩაკ-

ერებუღია გვიან. განსხვავებულია როგორც ხელი, ასევე ნაწერის ზომა და სვეტი სტრიქონთა რაოდენობაც. ხელნაწერის ძირითადი ნაწილი (გვ. 13-235) პავლე მოციქულის ეპისტოლეთა კომენტარების ტექსტს უჭირავს, რომელსაც მოსდევს მთარგმნელის, ეფრემ მცირის ბოლო დრომდე უცნობი ანდერძი (გვ. 235-238; თვალთვაძე 1989, 210-221,) ანდერძს კი თავის მხრივ მოჰყვება კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლე (გვ. 238-242), რომელიც ასევე უცნობი იყო ათონური ხელნაწერების შესწავლამდე (თვალთვაძე, 1989, 14-17; 1995, 359-361).

ხელნაწერი პირველად ა. ცაგარელმა აღწერა, რომელმაც იგი 82-ე ნომრით შეიტანა თავის კატალოგში (ცაგარელი, 1886, 93) და XIV-XVI საუკუნით დაათარიღა. ა. ცაგარლის აღწერილობა ძალიან მოკლეა, იგი მხოლოდ ძირითად ცნობებს გვანვდის ამ ხელნაწერის შესახებ. აღნიშნულია, რომ ხელნაწერი შეიცავს პავლეს ეპისტოლეთა განმარტებებს, შესრულებულია ქალაღდზე, ნუსხურით, და როგორც საერთოდ ყველა ხელნაწერს ათონის მონასტრისა, მასაც ცუდი ტყავის ყდა აქვს გადაკრული. აღსანიშნავია, რომ 1883 წელს, როცა ცაგარელმა იმოგზაურა ათონზე და აღწერა იქაური ქართული სიძველენი, ამ ათონურ ნუსხაში გვერდების რაოდენობა ნაკლები ყოფილა. ცაგარელი უთითებს 117 ფურცელს (ე. ი. 234 გვერდს), ანუ სწორედ იმდენს, რამდენიც უჭირავს ხელნაწერის ძირითად თხზულებას – პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებას. ჩანს, მასში ჯერ კიდევ არ ყოფილა ჩაკერებული ის ფურცლები, რომლებიც სხვა თხზულების ფრაგმენტებს წარმოადგენენ და რომლებიც ბლეიკის მიერ ამ ხელნაწერის აღწერისას უკვე ამ ნუსხის ნაწილად აღიქმებოდა.

აღ. ცაგარლის მოკლე აღწერილობაში თხზულების მთარგმნელი მითითებული არ არის. რა თქმა უნდა, აღწერილობაში არაფერია ნათქვამი არც მთარგმნელის ანდერძზე და არც კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლეზე.

ხელნაწერი შედარებით სრულადაა აქვს აღწერილი რ. ბლეიკს (ბლეიკი, 1932, 116). მანვე მიუთითა, რომ ხელნაწერი შეიცავს პავლე მოციქულის ეპისტოლეთა თარგმანების ტექსტს ეფრემ მცირის თარგმანით (ებრაელთა 6, 11-დან ბოლომდე). რ. ბლეიკის აღწერილობაში ეფრემ მცირის ანდერძი შესახებ მითითება არ არის, არ არის იქ ცნობა არც კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლეზეც, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ეფრემის ანდერძს მოსდევს. ბლეიკის აღწერილობაში არც ხელნაწერის ამიებზე მოთავსებული შენიშვნების შესახებ არის აღნიშნული. მითითებულია

მხოლოდ ერთი გვიანდელი მინანური, რომელიც ნიგნის შემკაზმეულს ეკუთვნის.

ეფრემ მცირის „მოზრახული“ ანდერძებისა და „შეისწავების“ შეგროვება-შესწავლისას, როდესაც ეფრემის თარგმანების შემცველი თითქმის ყველა ხელნაწერი გადავითვალიერეთ, ათონიდან ჩამოტანილ მიკროფირებს შორის წავაწყდით სწორედ ამ ხელნაწერს (Ath. 18/82), რომელშიც, გარდა ეფრემ მცირის მანამდე უცნობი ანდერძისა და კირილე ალექსანდრიელის ზემოთ დასახელებული ეპისტოლისა, აღმოჩნდა ძველი ქართული მწერლობისათვის მეტად მნიშვნელოვანი ტექსტები: განმარტება პავლეს ტიმოთეს მიმართ II, ტიტეს და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეებისა, რომლებიც აქამდე დაკარგულად ითვლებოდა (დანელია, 1983, 318).

ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ეს ეგზეგეტიკური თხზულება „სამოციქულოს თარგმანების“ ერთი ნაწილია. ეფრემისეული თარგმანის ტექსტი სრული სახით შემონახული არ არის. მისი ცალკეული ნაწილები დაცულია რამდენიმე ხელნაწერში (კერძოდ: Jer.16(ბლ)/138(ცაგ)/25 (მარ); A390; Jer.9, 15(მარ.) ცაგარლის აღწერილობაში ეს ხელნაწერი არ მოხვედრილა); Jer. 6(ბლ)/21(მარ), Ath. 18(ბლ) /82(ცაგ); მაგრამ ეს ხელნაწერები გარკვეულწილად ავსებენ ერთმანეთს. როგორც პავლეს ეპისტოლეთა და მისი თარგმანებების მკვლევარი კ. დანელია შენიშნავს: „ჩანს, პავლეს ეპისტოლეთა თარგმანება ყველაზე მეტად დაზიანებულია, როგორც მოსალოდნელი იყო, თავსა და ბოლოში, თავიდან გვაკლია: ჰრომაელთა და კორინთელთა ეპისტოლეების თარგმანება (I კორინთელთასი ნაწილობრივ), ბოლოდან კი II ტიმოთეს, ტიტეს და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეებისაც. (გვაკლიაო რომ ვამბობთ, ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ დაკარგული იყოს ეს ნაწილები, შესაძლოა, ისინიც მოიპოვებოდეს პირადად ჩვენთვის ამჟამად გამოუყენებელ ხელნაწერში“ (დანელია, 1983, 318). მართლაც, Ath.18 ხელნაწერში, რომლის გამოყენება პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების ტექსტის შესწავლის დროს მკვლევარს არ შეეძლო, აღმოჩნდა ამ ეგზეგეტიკური შრომის ეფრემისეული თარგმანის ბოლო ნაწილი, კერძოდ: ებრაელთა მიმართ ეპისტოლისა (6, 11-დან ბოლომდე), I ტიმოთეს, II ტიმოთეს, ტიტეს და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეთა თარგმანება, რომელთაგან ბოლო სამი ( II ტიმოთეს, ტიტეს და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეებისა), როგორც აღვნიშნეთ, არც ერთ სხვა ხელნაწერში არა გვაქვს. Ath. 18 ხელნაწერის მონაცემების გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების ეფრემისეული

თარგმანის ტექსტის ბოლო სრული სახით არის დაცული ზემოთაღნიშნულ ათონურ ხელნაწერში. მას შემდეგ, რაც ე. კოჭლამაზაშვილმა Q 1158 ხელნაწერში მიაკვლია პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემისეული თარგმანის დასაწყისს – ჰრომაელთა მიმართ და კორინთელთა მიმართ I ეპისტოლის თარგმანებას (კოჭლამაზაშვილი, 1996; მისივე 2003), შეიძლება ითქვას, რომ პავლე მოციქულის ეპისტოლეთა განმარტებების ეფრემ მცირისეული თარგმანი სრული სახით გვაქვს ხელთ.

პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებას, რომელიც, როგორც ჩანს, ასრულებდა „სამოციქულოს თარგმანების“ კორპუსს, ერთვის მთარგმნელის იამბიკო, რომლის კიდურწერილობა გვაძლევს ნაკითხვას „ეფრემ“ და მთარგმნელის ანდერძი (გვ. 235-238), რომლის სათაურია „უწყებაჲ მიზეზსა წიგნსა ამის მრავალ წიგნთა ერთად შემოკრებულობისა“ (თვალთვაძე, 1988, 220-221)

ანდერძში, როგორც სათაურიდანაც ჩანს, მთარგმნელს გადაუწყვეტია გვესაუბროს იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც გამოიწვიეს პავლეს ეპისტოლეთა განმარტებების „მრავალთა წიგნთაგან ერთად შემოკრება“ ე. ი. შედგენა კომპილაციური, გამოკრებილი თარგმანებისა. ეფრემი დასაწყისშივე გვაფრთხილებს, რომ პავლე მოციქულის ეპისტოლეების თარგმანება წმინდა იოანე ოქროპირის ეკუთვნის, რის დასტურად „იოანე ოქროპირის ცხოვრებაში“ დაცული ერთი ცნობა მოჰყავს, რომლის მიხედვითაც იოანეს მოწაფეს, პროკლეს, უხილავს, თუ როგორ კარნახობდა თვით მოციქული თავისი ეპისტოლეების განმარტებას იოანე ოქროპირს („იყო პავლე მოციქული მიყრდნობილ მისა ზურგით კერძო თავადმდე იოვანწსა და პირი მისი ყურსა თანა მარჯუწინესა იოვანესსა და ჰზრახვიდა მას, ... ხოლო იგი წერდა“ (იოანე ოქროპირი, 1986, 51-56). მოციქულის ჩაგონებით და კარნახით დანერილი ამ განმარტებების მიხედვით შემდგომში მოკლე თარგმანება შეუდგენიათ, რომლის შექმნის ისტორიაზეც გვესაუბრება ეფრემი.

ანდერძის მიზანი ნათელია: მთარგმნელმა შენეწენითა ღმრთისაჲთა მოკლედ უნდა განაცხადოს „თუ ვითარ დიდთა თარგმანთაგან შემოკრებითი ესე თარგმანი გამოკრებულ არს“ (Ath.18, 235).

ეფრემი ამ საკითხის შესახებ მსჯელობას იმ მიზეზების აღნიშვნით იწყებს, რამაც გამოიწვია იოანე ოქროპირის ვრცელი თარგმანების შემოკლება. სახარებების თარგმანებათა მსგავსად, სამოციქულოს წიგნთა განმარტებებიც „ვრცლად თავ-თავთან და სწავლიან არს და მრავალ წიგნად განყოფილი“ და მრავალწიგნო-

ბის გამო „საჭირო არს გლახაკთა კაცთა მიერ მოგებაჲ მათი“: ე. ი. იოანე ოქროპირის ვრცელი, თავებად და სწავლებად დაყოფილი თარგმანებანი, სადაც სამოციქულოს წიგნების ყოველი თავის მუხლობრივ განმარტებას ოქროპირის ვრცელი „სწავლაჲ“ მოსდევს, სიდიდის გამო მრავალ წიგნადაა განყოფილი და ამიტომაც გაძნელებული ყოფილა მათი შექმნა („საჭირო არს მოგებაჲ მათი“). ამისთვისაც წინასწარ იზრუნა ყოვლისა წინაგანმგებელმან ღმერთმან და არა ლიტონი კაცის, არამედ წმინდა კირილე ალექსანდრიელის ხელით შედგენილ იქნა შემოკლებული თარგმანება. თუ ვითარ მოხდა ეს, „ამის ვითარებასა ვისწავებთ ეპისტოლისა მისგან დიდისა კვრილე ალექსანდრიელისა“, რომელსაც დაინტერესებული მკითხველი, ეფრემის თქმით, იპოვის „თავსა წიგნისა მის პავლეს თარგმნად გარემონერილისასა“, ე. ი. წიგნის დასაწყისში. ეფრემი, როგორც კეთილსინდისიერი მეცნიერი, გამოკრებული თარგმანების შექმნის ისტორიაზე მსჯელობისას კირილე ალექსანდრიელის ამ ეპისტოლეს მიმართავს, რომელიც კირილეს მიუწერია დამკვეთისათვის, „სხვსა ვისმე ესპისკოპოსისათვს“: „ამის წიგნისა თავით კერძოჲ იგი ეპისტოლეჲ ამას ცხადყოფს, – წერს ანდერძში ეფრემი, – „ვითარმედ ვისმე მოსწრაფესა ეთხოვა დიდისა კვრილესგან, რაჲთა პატივთა ზედა სამოციქულოჲსა წიგნისათა წარუწეროს შემოკლებული ძალი სიტყვსაჲ, რაჲთა აქუნდეს მას ერთ წიგნად **პავლე თარგმნინი**. ამისთვს წმიდაჲ იგი მიუწერს, გულმოდგინებასა მისსა აქებს და ცხად-ჰყოფს, ვითარმედ იოანე ოქროპირისა თარგმანთაგან გამოუკრებიეს მას მოკლე ძალი სიტყვსაჲ და ადგილ-ადგილ სხუათაცა წმიდათაჲ დაურთავს, სადაცა უპოვნიეს საკითხავთა შინა განმარტებაჲ სამოციქულოჲსა სიტყვსაჲ“ (Ath. 18, 236). ეფრემის ამ დებულებას სავსებით შეესაბამება კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლეს შინაარსიც, სადაც კირილე დაწვრილებით მსჯელობს მის მიერ განუწერი სამუშაოს ხასიათზე: რადგან პავლე მოციქულის ეპისტოლეები, წმინდა იოანე ოქროპირის გარდა, რომელმაც სრული თარგმანება მოგვცა ყველა ეპისტოლესი, გრიგოლ ღმრთისმეტყველს, დიდ ბასილი კესარიელს და ათანასი ალექსანდრიელსაც განემარტათ, „არღარა ჰელ-ვყავ ყოვლისავე თავით ჩემით თარგმანებად, არამედ მათ წმიდათა მიერ აღწერილისაგან გამოვკრიბე და რომელიმე ჩემმიერიცა შევძინეო“, – აცხადებს კირილე (Ath.18, 238; თვალთვაძე, 1995, 359).

ეფრემი ანდერძში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პავლეს კომენტარების გამოკრებილი თარგმანება, შედგენილი კირილეს

მიერ, არ არის მისი ორიგინალური შრომა: „ვინაჲცა ვითარცა ან ბერძულისაგან გვსწავიეს, **არა კვირლეს თარგმნილი არს გარემონ-ერილი იგი თარგმანი პავლეს სიტყუათაჲ**, არამედ ვითარცა იტყვს დასაბამსა, ოქროპირისა თარგმნილთაგან წიგნთა შემოუკრების მოკლე ძალი თითოეულისა სიტყვსაჲ“. ეფრემი გვაძლევს კირილეს მიერ განეული მუშაობის სრულყოფილ დახასიათებას, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ისტორიისათვის (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). ეფრემ მცირის ცნობით, კირილე ერიდებოდა "სამოციქულოს" ტექსტის განკვეთას და ამიტომ კიდებოზე, ანუ ეფრემის სიტყვებით **"პატივთა ზედა"** გარემოწერია სხვადასხვა კომენტატორის განმარტებანი პავლეს ეპისტოლეთა შესაბამისი ადგილისა. ეფრემი შენიშნავს, რომ ამ სახის თარგმანება განსხვავდება სხვა თარგმანებათაგან (თუნდაც იოანე ოქროპირის ვრცელი თარგმანებისაგან, რომელშიც კომენტარების ტექსტი გაბმით არის ნაწერი და მთლიანად თარგმანება კი დაყოფილია თავებად და სწავლებად, ისევე როგორც სახარებების თარგმანებანიო), და მათ განსაკუთრებულ სახელს უძებნის **"პავლე თარგმანიანი"**, (resp. პავლე თარგმანიანი), ხოლო ჩვეულებრივ თარგმანებათა ტექსტს უწოდებს **"პავლეს თარგმანს"**: "ხოლო გარემონწერაჲ იგი ამისთვის უქმნია, რაჲთა არა განიკუთნოს სამოციქულოჲ სიტყუაჲ, არამედ რიცხვთა ოდენ და ნიშნითა კიდეთა ზედა თარგმანი მოიღებოდის. ამისთვის მას არა **პავლეს თარგმანი** ჰქვან, არამედ **"პავლე თარგმანიანი"** (Ath. 18, 336).

ეფრემი განსაკუთრებულ ღირსებად უთვლის კირილეს შედგენილ თარგმანებას მის „ერთნიგნობას“ და „სიტყვის ძალის“ მოკლედ წარმოჩენას, რადგან ვრცელ თარგმანებაში „განთესულსა ძალსა სიტყვსაჲსა“ მცირედნილა მიხვდებიან, აქ კი თვით წმინდა კირილე ალექსადრიელის მიერ შემოკრებულ არს, თანაც არა მხოლოდ იოანე ოქროპირის „დიდისა პავლეს თარგმანისაგან“, არამედ სხვა წმინდა მამების საკითხავებიდანაც, სადაც კი „იპოების სამოციქულოჲსა სიტყვსა თარგმანებაჲ, ... ყოველივე აქა შემოუკრებიეს და თითოფერთა ყუავილთაგან ერთად გოლად საუკუნოჲსა სიტკობებისა მორწმნეთად დააუნჯებიეს“ (Ath.18, 337). ეფრემის აზრით, „რაოდენ იგი (ე. ი. ოქროპირის „პავლეს თარგმანი“) ჰმატს სივრცითა და სწავლათა სიმრავლითა, ეგოდენ ესე (კირილეს „პავლე თარგმანიანი“) სხვთ კერძო ჰმატს ერთ წიგნად შემოკრებითა და მოკლედ ძალისა სიტყვსა განცხადებულობითა“. თუმცა ეფრემს, რომელიც ყოველთვის მომხრეა ბერძნული დედ-

ნის ქართულად ზუსტად გადმოტანისა და ქართული ხელნაწერი ნიგნების „ბერძნულსა წესსა ზედა გამართვისა“, ამ შემთხვევაში დაურღვევია ეს სახელმძღვანელო პრინციპი, და წმინდა მამების, თავისი მოძღვრების – საბა თუხარელის და ანტონი ტბელის – მითითებით, კირილეს **“გარემონერილი”, “მოთხვითად მონერილი”**, განმარტებების ნაცლად ე.წ. **“მართლგანყობილი”** თარგმანება მოუცია. ანუ განსამარტავი მუხლის ირგვლივ აშიებზე მიწერილი კომენტარები, რომლებიც საგანგებო პირობითი “ნიშნებით უკავშირდებოდნენ ტექსტს და რომელიც “საეკლესიოდ საკითხავად და სანერელადცა ძნელ იყო”, ერთმანეთის მიყოლებით “მართლგანყობით” დაუნერია „უადვილესობად მწერალთა და მკითხველთა“ Ath. 18, 237). „ეგრეთ უმჯობესად წამეს ბერთა ჩუწნათა, “ – გვარწმუნებს ეფრემი.

ანდერძიდან ირკვევა, რომ ეფრემს, როგორც მკაცრ ფილოლოგს, ღრმა და საფუძვლიანი წინასწარი მუშაობა ჩაუტარებია ამ ძეგლის თარგმნის დაწყებამდე. მას წინასწარ მოუკვლევია და შეუსწავლია პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ბერძნული დედნები და იმ დასკვნამდე მისულა, რომ არსებობს ამ კომენტარების სამი რედაქცია ა) ვრცელი, იოანე ოქროპირის „პავლეს თარგმანი“, ბ) გამოკრებილი ანუ გარემონერილი თარგმანება შედგენილი კირილე ალექსანდრიელის მიერ („პავლე თარგმანიანი“) და გ) გვიანდელ კომენტატორთაგან შევსებული რედაქცია „პავლე თარგმანიანისა“, რომელიც შეურჩევია სწორედ სათარგმნად ეფრემს და რომლის ბერძნული დედნები მისთვის უშურველად მოუწოდებია, სკიმეონწმიდის ლავრის წინამძღუარყოფილს კლიმის, „კაცსა ბრძენსა და ჩუწნდა დიდად თანაშემწესა“ (Ath. 18, 238). (ეფრემის მიერ ბერძნული დედნების შესახებ მოწოდებული ცნობების მნიშვნელობაზე იხ. ქვემოთ, თავი III.)

განსაკუთრებით საინტერესოა ეფრემის ანდერძის ერთი ადგილი, სადაც მთარგმნელი მიმართავს გადამწერებს: „ჩუენ ერთნიგნობაჲ გვხარკებია, რაჲთა, მსგავსად „სამოციქულოჲსა“ თარგმანიცა მისი ერთ ნიგნ იყოს და ამის პირისათჳს ზოგი ადგილი ძლით იკითხვების, ხოლო თქუენ ჳელ-გენიფების ორ ნიგნად ფართოდ დაწერაჲ, რომელსა ღმერთმან ძალი მოგცეს გარდაწერად, მხოლოდ უსაკუთრესათჳს თავსა ზედა წერილი იგი უწყებაჲ ორისავე ნიგნისა თავსა მიახუჭდროთ და მცირედთა ამათ სიტყუათა ადგილ-ადგილ მოზრახულთა, ჩემ სანყალობლისა ეფრემ მცირისათა დაწერაჲ ნუ გენყინების, რამეთუ ესრეთ მაქუნდა ბრძანებაჲ, რაჲთა შინა არარაჲ ჩავრთო, არამედ კიდეთა ზედა და

თავისა და ბოლოესა ანდერძთა შინა ვიკადრო დაწერად. "(Ath.18, 238).

პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებაზე დართულ ამ ანდერძში არსად არის საუბარი "უსაკუთრესთა" შესახებ, რაც როგორც კ. დანელიამ გაარკვია (დანელია, 1974, 37-39), არის არა რაიმე განსაკუთრებული პირობითი ნიშანი (როგორც ეს მიაჩნდათ ადრე), არამედ სიტყვიერი აღნიშვნა ტექსტის შიგნით სამოციქულოს შეცვლილი მუხლების წინ ("უსაკუთრეს არს..."), თვითონ თარგმანში კი სისტემატურად არის გატარებული "იოცითა" () და "უსაკუთრესით" ტექსტის კორექტირების ეს ცნობილი ეფრემისეული მეთოდი. კერძოდ: (გვ. 16, 36, 37, 44, 49, 50, 58, 59, 62, 64, 86, 88, 94, 97, 106, 108, 154, 196, 203). საფიქრებელია, რომ ეფრემის "უნყებაჲ", რომელშიც ლაპარაკი იყო "უსაკუთრესთათჳს" და მისივე ცნობით "თავსა ზედა წერილ იყო", არის სამოციქულოს თარგმანებაზე დართული ეფრემის ის ცნობილი წინასიტყვაობა, რომელიც დაცულია Jer. 16/25, A 677 ხელნაწერებში და კარგად არის შესწავლილი (ბლეიკი, 1926, 160-166; მარი, 1955, 55-62; საქმ. მოციქულ., 1950, 029-030). ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ ამ ორი ანდერძის მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა და ერთგვარად ავსებენ კიდევაც ერთმანეთს. ჩვენი აზრით, Jer. 16/25-ში დაცული ეფრემ მცირის „მოზრახული“, რომელსაც ამ ხელნაწერის დასაწყისშია მოთავსებული (2r-4r), არის საერთო შესავალი წერილი, მთარგმნელის წინასიტყვაობა, ანუ „თავისა ანდერძი“, რომელიც ეფრემს დაუწერია არა მხოლოდ „საქმე მოციქულთას თარგმანების“ გამო (ამ ხელნაწერში მხოლოდ მოციქულთა საქმის განმარტებები გვაქვს), არამედ „სამოციქულოს“ სამივე წიგნის თარგმანებათა ქართულად გადმოღებასთან დაკავშირებით. „თავისა ანდერძში“ რამდენჯერმე არის მითითებული იმაზე, რომ ეფრემის მიერ განეული მუშაობის შესახებ მოყვანილი მსჯელობა ეხება მთელ „სამოციქულოს“: „რამეთუ მათივე თარგმნილი საქმე მოციქულთაჲ, კათოლიკენი და ეპიტოლები წინამესხნიან და სამოციქულოჲ სიტყუაჲ მიერ დამინერია“ (Jer.16,2r): „სადაც უჭმდა შეცვალებაჲ და სხუჭბრ ცვალებაჲ სიტყუასა სამოციქულოსა ქართულსა, რომელი მაშინდა ძლით გულისწმაიყოფებოდის, ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგოდენნივე ლექსიკონნი, რომელ არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა განწყობილნი სიტყუანი, ერთად შემოვკრიბნი“ (Jer.16,2r); „წმიდასა მამასა ჩუწნსა გიორგის არა ეგოდენ სხვსა რაჲსმე მიზეზისაგან, რაოდენ ძუჭლისავე პავლის წაყოლისაგან დაუტეობია“ (Jer.16,2r);



„ამის პირისათვის გვედრები ყოველთა ქრისტესმოყუარეთა, რაჲთა პავლეს შინა გინა სხუასა სამოციქულოსა ამათ თარგმანთანაგან ცვალებული სიტყუაჲ არავინ ჩაჰრთოთ, არამედ უცვალებელად იპყართ“ (Jer.16,3r).

აშკარაა, რომ ეფრემი ამ „თავისა ანდერძის“ წერის დროს „სამოციქულოს“ სხვა წიგნების თარგმანებთან ერთად პავლეს ეპისტოლეთა განმარტებებსაც გულისხმობდა. მართალია, ჩვენამდე ამ ეგზეგეტიკურმა შრომამ ერთიანი სახით ვერ მოაღწია, იგი გაბნეულია სხვადასხვა ხელნაწერებში, მაგრამ, როგორც ჩანს, თავის დროზე, ყოველ შემთხვევაში მისი მთარგმნელისათვის, ეს იყო ერთიანი ძეგლი, სამი ნაწილისაგან შემდგარი და ამდენად ეფრემისათვის ნიშანდობლივი მთარგმნელის მოზრახული თავისა და ბოლოსა ანდერძებით აღჭურვილი. თავში მოქცეულია მთარგმნელის ანდერძ-წინასიტყვაობა შესავალი წერილი (Jer.16,2r-4r), რომელიც ეხება მთლიანად „სამოციქულოს თარგმანების“ ქართულად გადმოღების საკითხებს, ხოლო ბოლოში, პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების შემდეგ, რომელიც ამთავრებს „სამოციქულოს თარგმანებს“, დართული აქვს „ბოლოსა ანდერძი“, ანუ ანდერძ-ბოლოსიტყვაობა, „უნყებაჲ მიზეზსა წიგნისა ამის მრავალთა წიგნთა ერთად შემოკრებულისასა“ (Ath. 18, 235-238), რომელშიც მთარგმნელი, მართალია, უპირატესად პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებაზე მსჯელობს, მაგრამ მთლიანად „სამოციქულოს თარგმანების“ ქართულად გადმოღების საკითხებსაც ეხება და სხვათა შორის იხსენიებს და იმონმებს „თავსა ზედა წერილ უწყებასაც“.

აქვე შევეხებით „სამოციქულოს თარგმანების“ ქართულად გადმოღების ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვან ეფრემ მცირის ბოლო დრომდე უცნობ სამ ანდერძსაც, რომელიც Q 1158 ხელნაწერში აღმოჩნდა დაცული.

Q 1158 ხელნაწერი XI საუკუნით თარიღდება. ის ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალ ფონდში შედარებით გვიან შემოსული ნუსხაა და ამიტომ Q ფონდის სხვა ხელნაწერებთან ერთად არ ყოფილა აღწერილი. მას ყურადღება მიაქცია ე. კოჭლამაზაშვილმა, რომელიც „სამოციქულოს თარგმანების“ ეფრემ მცირისეულ თარგმანის ტექსტზე მუშაობდა და ამ ხელნაწერში მიაკვლია ეფრემისეული თარგმანის დასაწყის ნაწილს, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა. ამასთანავე, იპოვა ეფრემ მცირის სამი უცნობი ანდერძიც, რომელთაგან ერთი „საქმე მოციქულთას თარგმანებას“ ერთვის ბოლოში (ფ. 101), მეორე – „კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანე-

ბას“ მოსდევს (ფ. 316; კოჭლამაზაშვილი, 1995; 1999), მესამე კი პავლეს ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლეს თავთა ჩამინათვალზეა დართული (Q 1158, 103v, კოჭლამაზაშვილი, 2003, 343-344). გამოდის, რომ ეფრემს მთარგმნელის მოზრახული დაურთავს არა მხოლოდ “თავსა და ბოლოსა წიგნისასა“, არამედ „სამოციქულოს“ შემადგენელი თითოეული ნაწილის თარგმნის გასრულების გამოც დაუნერია კოლოფონები.

განსაკუთრებით ფასეულია „საქმე მოციქულთას თარგმანებაზე“ დართული ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ ეფრემს ჯერ უთარგმნია პავლეს ეპისტოლეთა და კათოლიკე ეპისტოლეთა განმარტებები, ვითარცა უსაჭიროესთანი“, ხოლო შემდეგ „მოციქულთა საქმის თარგმანება“, რომლის ქართულად გადმოღება „რეცა მძიმედ მიჩინაო ეშმაკმან“, მაგრამ „ვითარცა საკრველითა ეგრეთ მიპყრა ბერმან ანტონი და არა მიტევა უსრულად დატევებაჲ ამისი“ (Q1158, 101), – შენიშნავს მთარგმნელი. „სამოციქულოს“ სამივე წიგნის თარგმანების გასრულების შემდეგ უნდა იყოს დაწერილი „შესავალი“ (Jer.16), რადგან იქ ეფრემი პავლეს და კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანებთან ერთად საქმე მოციქულთას თარგმანებასაც ახსენებს (Jer.16, 1r; 2v). შესავლის შემდეგაა დაწერილი „ბოლოსა ანდერძი“, ანუ Ath.18-ში პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების თარგმანზე დართული ვრცელი მოზრახული ეფრემისა, რომელშიც დამონშებულია „უსაკუთრესთათვს თავსა წერილი უწყებაჲ“ ანუ შესავალი „სამოციქულოს თარგმანებისა“.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად (აბულაძე, 1950; ლორთქიფანიძე, 1956; დანელია, 1974, 1983), ეფრემს სამოციქულოს წიგნების ქართულად გადმოღებისას ყველაზე მეტი ცვლილება გიორგისეული „პავლეს“ თარგმანში შეუტანია. შესაძლოა ამგვარი „უსაკუთრესი ადგილების“ გაჩენის მიზეზის ასახსნელად ითხოვდა ეფრემ მცირე გადამწერთაგან „უსაკუთრესთათვს თავსა ზედა წერილი უწყებაჲს“ დაწერას არა მარტო „სამოციქულოს თარგმანების“ დასაწყისში, არამედ უშუალოდ „პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების“ წინ და თუ ეს თხოულება ორ წიგნად გადაინერებოდა, მაშინ ორივე წიგნის თავში.

Q 1158 ხელნაწერში დაცული კიდევ ერთი ანდერძი, რომელიც მთარგმნელს ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლეს თავთა ჩამონათვალის შემდეგ ჩაურთავს, მეტად საყურადღებო ცნობას გვანვდის: ირკვევა, რომ ეფრემს, რომელმაც საგრძნობლად შეცვალა პავლეს ეპისტოლეთა გიორგისეული თარგმანი, ათონელი მამის მიერ თარგმნილი „უწყებანი მიზეზთანი“ და „თავნი“ ხელახლა არ

უთარგმნია, რადგან „არღარა უჭმდა უნაკლულოდ თარგმნილსა დიდისა მის მოძღურისა გიორგი მთანმიდელისასა მეორედ თარგმნა“ (Q 1158, 103v).

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემისეულ თარგმანზე დართულ მთარგმნელის ანდერძში დაცულ ერთ ცნობაზე, რომელიც ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი საქმიანობის აქამდე უცნობ ფაქტს შეეხება. კერძოდ, ექვთიმეს მიერ პავლეს ორი ეპისტოლის თარგმანების ქართულად გადმოღებას. ანდერძში ეფრემი აღნიშნავს, რომ ექვთიმეს დაუწყია კირილე ალექსანდრიელის მიერ „გარემონერილი თარგმანის“ ანუ მისივე ტერმინოლოგიით „პავლე თარგმანის“ ქართულად თარგმნა „... ბერძულისაგან თარგმნად ენყო ჩუენსა მას ახალს ოქროპირსა, წყაროსა და ძირსა თარგმანებისასა, მამასა და მოძღუარსა ეკლესიათასა ეფთჳმის მთანმიდელსა და უთარგმნია ორთა ოდენ ეპისტოლეთაჲ მცირედ ნაკლულ, ხოლო მიზეზი უსრულობისა მათისაჲ ღმერთმან იცის“ (Ath.18, 235. თვალთვაძე, 1988, 219-221).

ექვთიმე ათონელს რომ პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების გადმოღებაზე უმუშავია, ამის შესახებ ცნობებს ექვთიმეს მამის ანდერძში და გიორგი ათონელის „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრებაშიც“ ვხვდებით. გიორგის ცნობით, ექვთიმეს უთარგმნია „თარგმანებაჲ გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომაელთა ეპისტოლეთაჲ“ (გიორგი მთანმიდელი, 1967, 63). იგივე ცნობაა დაცული ექვთიმეს მამის ანდერძშიც, რომელშიც ერთ-ერთ ათონურ ხელნაწერში ერთი გლოსაა დამატებული: „თარგმანი გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომაელთა ეპისტოლისაჲ წმიდისა ოქროპირისაჲ“ (Ath.10, 335r). ე. ი. იოანეს და გიორგის ცნობით, ექვთიმეს უთარგმნია იოანეს ოქროპირის განმარტება პავლეს სამი ეპისტოლისა (გალატელთა, თესალონიკელთა და ჰრომაელთა). კ. კეკელიძე თვლიდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო ერთი თხზულება, სადაც პავლეს 14 ეპისტოლედან მხოლოდ ამ სამის თარგმანება იყო მოცემული. ის ეძებდა მას ქართულ ხელნაწერებში, მაგრამ როგორც თვითონ წერს: „ასეთ სათაურიან თხზულებას ჩვენ ვერც ერთ ხელნაწერში ვერ ვპოულობთ, შეუძლებელია, ის ასე უგზო-უკვლოდ დაკარგულიყო“ (კეკელიძე, 1980, 199). მისი აზრით, ეს თხზულება შენახული უნდა ყოფილიყო იმ ნაშრომში, რომელსაც ეწოდება „თარგმანი ძნიად გულისწმისაყოფელთა მოციქულისა პავლისა სიტყუათაჲ, გამოკრებული წმიდისა იოანე ოქროპირის თქუმულთაგან (A445, 226r-330v. იგივე თხზულება არის კიდევ

ორ ხელნაწერში: K 234, 337r-438v და S 4579, 159r-190v), მაგრამ როგორც ი. ლოლაშვილი შენიშნავს, „ამ ძეგლის შედგენილობა შინაარსობლივად არ შეესატყვისება იმ სათაურს, რომელსაც იოანე და გიორგი მთაწმიდელები იმონებენ, ამიტომ იგი კვლავ საძიებელია“ (ლოლაშვილი 1982, 71; კოჭლამაზაშვილი, 1995). ვფიქრობთ, ამ ძიებისას გასათვალისწინებელი იქნება ის ფაქტიც, რომ ექვთიმეს მამისა და მისი ბიოგრაფის ცნობაშიც შესაძლებელია, არა ამგვარსათაურიანი ერთი თხზულება ივარაუდებოდეს, არამედ პავლეს ჩამოთვლილ ეპისტოლეთა ცალ-ცალკე თარგმანი, მით უმეტეს, რომ ამგვარი სათაურის მქონე თხზულება არც ბერძნულ ენაზე გვაქვს.

როგორც აღვნიშნეთ, იოანეს და გიორგი ათონელების მიერ მოწოდებული ცნობის გვერდით გვაქვს ეფრემ მცირის ანდერძის ცნობა, რომელიც ექვთიმეს მიანერს კირილე ალექსანდრიელის მიერ შედგენილი კატენური კრებულის „პავლე თარგმანიანის“ გვიანდელი რედაქციის ქართულად გადმოღების დაწყებას და „ორთა ოდენ ეპისტოლეთა თარგმანების“ ქართულად თარგმნას. ეფრემის ანდერძის მიხედვით, ექვთიმემ დაიწყო კირილეს ამ ეგზეგეტიკური შრომის თარგმნა („თარგმნად ეწყო ჩუენსა მას ახალსა ოქროპირსა...“), მაგრამ რალაც მიზეზით ვერ გაასრულა. „მიზეზი უსრულობისა ღმერთმან იცისო“, – შენიშნავს ეფრემი. ამ კონტექსტში „თარგმნად ეწყო“ ნიშნავს, თარგმნა დაიწყო; დაიწყო, რასაკვირველია, თავიდან. „პავლე თარგმანიანი“ კი ამ კატენური კრებულის შემდგენელის- კირილე ალექსანდრიელის დამკვეთისადმი მიწერილი ეპისტოლეთი იწყებოდა (ამის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი III,), რომელსაც მოსდევს ჰრომაელთა და კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლის თარგმანება. სწორედ პავლეს ამ ორი ეპისტოლეს განმარტება უთარგმნია, ეფრემის ცნობით, ექვთიმეს, მაგრამ ამათგან მეორე არ დაუსრულებია.

ცნობილია, რომ ძველ ქართველ მწერალთა და მწიგნობართა მიერ მოწოდებული ამგვარი ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობების სიზუსტის შესამოწმებლად ყველაზე დიდი მნიშვნელობა ხელნაწერებს ენიჭებათ. თუკი ქართულ ხელნაწერთა შორის აღმოჩნდებოდა ეფრემის მიერ მითითებული თარგმანი პავლეს ჰრომაელთა და კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლეების კომენტარებისა („მცირედ ნაკლული“), რა თქმა უნდა, ეს საუკეთესო საბუთი იქნებოდა ეფრემის ცნობის სასარგებლოდ. მართლაც, ერთ-ერთ ათონურ ხელნაწერში (N 39 ბლეიკით, N 79 ცაგარლით) მივაგენით პავლეს ზემოთ დასახელებულ ეპისტოლეთა თარგ-

მანების ახალ, მანამდე უცნობ, ეფრემ მცირის თარგმანისაგან განსხვავებულ თარგმანს.

ხელნაწერი XI საუკუნით თარიღდება, ნაწერია ორი ხელით, აქედან ერთ-ერთი, რომლითაცაა ნაწერი ჩვენთვის საინტერესო ნაწილი, გიორგი ათონელის ავტოგრაფად მიაჩნია რ. ბლეიკს (ბლეიკი, 1932, 228). ხელნაწერი, გარდა პავლეს ჰრომაელთა და კორინთელთა მიმართ ეპისტოლეების თარგმანებისა, რომელთაც 18v-101v გვერდები უჭირავთ, შეიცავს კიდევ კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლეს, რომელიც უძღვის ჰრომაელთა ეპისტოლის თარგმანებას (16r-18v), გრიგოლ ნოსელის სამ თხზულებას (1v-6v; 13v-15v; 102v-126v) და ეპიფანე კვიპრელის ერთ საკითხავს (7r-13v). სულ ხელნაწერში 126 ფურცელია.

პირველი, რაც თვალში საცემია ამ ხელნაწერის მიკროფირისა და ფოტოპირის გადათვალთვალებისას, არის ის, რომ იგი ძალზე დაზიანებულია და ფურცლები არეული. წიგნი შეუკაზმავთ გვიან, XIX საუკუნეში (შემკაზმავი ბერი ვენედიქტონ): „მე გლახაკმან და ცოდვილმან ვენედიქტონ მღვდელმონაზონმა ესე სამოციქულოს თარგმანი ნაჰხე დაბნეულად და დაშლილად და შეეკაზმე და ვინცა იხილოთ, მომიხსენეთ ღმრთისათჳს. ქრისტეს აქეთ ჩყკბ“ (=1822 წ). ხელნაწერს აქვს სხვა მინაწერებიც მხედრულით, რომელთაგან საყურადღებოა ერთი: „ესე სამოციქულოს თარგმანი გიორგი მთაწმიდლისაგან თარგმნილი [... ] კარგი პატიოსანი არს (ბლეიკი 1932, გვ. 177).

პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ქართულად თარგმნა ეფრემ მცირის სახელთანაა დაკავშირებული. მან გადმოიღო მთელი სამოციქულოს თარგმანება, რომელიც რამდენიმე ხელნაწერთაა მოღწეული, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და აგრძელებენ, მაგრამ პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების დასაწყისი, კერძოდ, ჰრომაელთა და კორინთელთა მიმართ I ეპისტოლის თარგმანება (9, 21 მუხლამდე) არც ერთში არ შენახულა (დანელია, 1983, 315-318; თვალთვაძე, 1995, 346-361).

ბუნებრივია, როდესაც ჩვენს ხელთ აღმოჩნდა პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების დასაწყისი ნაწილი, თანაც სწორედ იმ ეპისტოლეთა თარგმანებანი, რაც სხვა ხელნაწერებში არ იყო, ვიფიქრეთ, რომ მივაგენით დასაწყისს ეფრემის მიერ თარგმნილი ამ ეგზეგეტიკური თხზულებისა და შესაძლებელი იქნებოდა მისი სრული სახით აღდგენა. მით უფრო, რომ Ath.39-ში დაცული კორინთელთა მიმართ I ეპისტოლეს თარგმანება წყდება მე-8 თავის მე-2 მუხლის კომენტარით და მანამდე ცნობილ ხელნაწერებში

კი ტექსტი ამ ეპისტოლეს მე-9 თავის 21-ე მუხლიდან გვექონდა (Jer.9). ამასთანავე, ამ ხელნაწერში პავლეს ეპისტოლე თარგმანებას წინ უძღვის მისი შემდგენელ-რედაქტორის, კირილე ალექსანდრიელის, ეპისტოლე, რომელიც Ath. 18 ხელნაწერში ეფრემის ანდერძს ერთვოდა. ვარაუდი იმის შესახებ, რომ კირილეს ეპისტოლე პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემისეული თარგმანის თავში უნდა ყოფილიყო, უკვე გამოთქმული გვექონდა (თვალთვაძე, 1989, 14-17). ამიტომაც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ Ath.39 ხელნაწერს ეფრემ მცირის თარგმნილი „პავლე თარგმანიანის“ დასაწყისი ნაწილი შემოენახა. მაგრამ ამ ხელნაწერებში დაცული თარგმანების ერთმანეთთან შედარებამ სხვა დასკვნამდე მიგვიყვანა. რადგან პავლეს კომენტარების ეფრემისეულ თარგმანში და Ath.39-ში შედარებისთვის თანმხვედრი ადგილები არ აღმოჩნდა, რაც ყველაზე ნათლად დაადასტურებდა თარგმანთა იდენტურობას თუ სხვაობას, საჭირო გახდა სხვა არაპირდაპირი მონაცემების ძიება, რომელთაგან მნიშვნელოვანია შემდეგი:

ა) პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებებს, ისევე როგორც პავლე მოციქულის ეპისტოლეთა ტექსტს CD რედაქციის ხელნაწერებში (გიორგი ათონელისა და ეფრემ მცირის რედაქცია) ახლავს სტიქომეტრიული აპარატი, „უნყებანი“ და „თავნი“. ეფრემისეულ „თარგმანებაში“ და მისი რედაქციის „პავლეს“ ხელნაწერებში „უნყებანი“ და „თავნი“ იდენტურია, Ath.39-ში კი სხვა ტიპისაა. ბ) რაც უფრო მნიშვნელოვანია, Ath.39 ხელნაწერში დაცულ თარგმანებათა ტექსტში არ ჩანს ეფრემის მიერ პავლეს ტექსტის გიორგისეული თარგმანის გასწორების კვალი, რაც ჩვეულებრივ მას „უსაკუთრესითა“ და „იოტით“ აღუნიშნავს (დანელია, 1974), მაშინ როდესაც იმავე კორინთელთა მიმართ I ეპისტოლეს ეფრემისეული თარგმანის შემორჩენილ ტექსტში (9, 21 მუხლიდან) ასეთი „იოტები“ და „უსაკუთრესები“ ყოველ გვერდზე გვხვდება.

ვფიქრობთ, ზემოთ თქმული უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ Ath.39-ში დაცული თარგმანი პავლეს ორი ეპისტოლეს განმარტებისა არ არის ეფრემ მცირის თარგმანი. ეფრემის თარგმნილი „პავლე თარგმანიანის“ დასაწყისი ნაწილი ისევ საძიებელია.<sup>9</sup>

რადგან ეს ტექსტი ეფრემის თარგმნილი არ ყოფილა, დგება მისი მთარგმნელის ვინაობის გარკვევის საკითხი. ხელნაწერის გვიანდელი მინაწერი მთარგმნელად გიორგი ათონელს ასახელებს.

9 „პავლე თარგმანიანის“ ეფრემ მცირისეული თარგმანის დასაწყის ნაწილს მიაგნო ე. კოჭლამაზაშვილმა Q 1158 ხელნაწერში.

მინანერი XIX საუკუნისაა (1822 წ) და ამდენად მას არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ბლეიკის მიხედვით Ath.39 გიორგის ავტოგრაფია (ბლეიკი, 1932, 228). ა. ცაგარელის აზრით, ამ ხელნაწერში შენახული ყველა თხზულების მთარგმნელი გიორგი ათონელია (ცაგარელი, 93), თუმცა არც ერთი და არც მეორე აღმწერი ამ ხელნაწერისა არ მიუთითებს, რის საფუძველზე აკეთებენ ამგვარ დასკვნას. ხელნაწერში შესულ სხვა თხზულებათაგან ლიტერატურაში მხოლოდ ერთის, გრიგოლ ნოსელის საკითხავის „ქალწულებისათვის და საღმრთოესა მოქალაქობისათვის“ მთარგმნელია მითითებული (კეკელიძე, ეტ. V, 28), დანარჩენი თხზულებების მთარგმნელის ვინაობა უცნობია.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში არც აღმწერელთა ცნობა და არც გვიანდელი მინანერები არ არის საკმარისი მთარგმნელის ვინაობის გასარკვევად. აქ უმთავრესია თვითონ ტექსტის შესწავლა და მისი ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნები. ამ მხრივ კი გიორგი ათონელის ამ თხზულების მთარგმნელად მიჩნევას მხარს არ უჭერს ზოგიერთი არსებითი ხასიათის მონაცემი, კერძოდ: Ath.39 ხელნაწერში დაცული ჰრომაელთა მიმართ და კორინთელთა მიმართ ეპისტოლის „უნყება“ და „თავნი“ მკვეთრად განსხვავდება გიორგისეული რედაქციის „პავლეს“ დართული „უნყებებისა“ და „თავებისაგან“ იქამდე, რომ აქ ტერმინ „უნყებს“ ნაცვლად, რომელიც ბერძნული ἄπιθεις-ის ქართული შესატყვისია, სხვა სიტყვა, კერძოდ, „პირი“ გვხვდება. („პირი ჰრომაელთა ეპისტოლისა“, „პირი კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლისა“). განსხვავებულადაა თარგმნილი როგორც „უნყებანის“ ტექსტი, ასევე „თავნის“ ქვეთავების სათაურები. აქ ქვეთავების აღსანიშნავად საგანგებო ნიშანია გამოყენებული „ასტერიკო“ და ახსნილია, რომ ეს ნიშანი იხმარება მაშინ, „რაჟამს ერთისა რაამდე პირისათვის იტყვნ და მას შინა სხუად პირი შემოვიდის“.

ერთი შეხედვითაც ნათელია, რომ აქ ორ სხვადასხვა მთარგმნელთან გვაქვს საქმე. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ეფრემისეულ თარგმანებაში და მისი რედაქციის „პავლეს“ ტექსტში „უნყებანი“ და „თავნი“ ერთმანეთს ემთხვევა ( როგორც Q 1158 –ის ერთი ანდერძი ცხადყოფს, ეფრემს „უნყებანი“ და „თავნი“ ხელახლა არც უთარგმნია, მას გიორგის თარგმნილი ტექსტი უცვლელად გადმოუტანია პავლეს განმარტებათა ტექსტში (Q1158, 103v). Ath. 39-ში დაცული პავლეს ეპისტოლეთა ტექსტიც უფრო AB (ძველ) რედაქციას მისდევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაფერს ამბობს გიორგი მთანმიდლის მიერ ამგვარი თხზულების

თარგმნის შესახებ გიორგი მცირე. მართალია, ბიოგრაფი სრულ პავლეს გადმოღებასთან ერთად გიორგის გამოკრებულ პავლეს თარგმნასაც მიაწერს („კულად თარგმნა პავლე სანელინდო“, გიორგი მცირე, 1967, 128, 147), მაგრამ ეს „სანელინდო პავლე“ თვით ეპისტოლეთა ტექსტს გულისხმობს და არა თარგმანებას. ყველაფერი ზემოთ თქმული, ჩვენი აზრით, საეჭვოს ხდის ამ თხზულების მთარგმნელად გიორგი მთანმიდლის მიჩნევას.

ამავე დროს, გვაქვს მეორე ათონური ხელნაწერის (N 18) ანდერძის ცნობა, რომლის მიხედვით ექვთიმეს დაუწყია კირილე ალექსანდრიელის შედგენილი კატენური თარგმანების „პავლე თარგმანიანის“ ქართულად გადმოღება და უთარგმნია პირველი ორი ეპისტოლეს (ჰრომაელთა და კორინთელთა მიმართ | ეპისტოლის) თარგმანება „მცირედ ნაკლულ“. ე. ი. სწორედ ისინი, რაც გვაქვს Ath.39-ში და თანაც ნაკლულად. რადგან კირილეს ამ შრომას წინ მისი ეპისტოლე უძღოდა, ექვთიმემ ალბათ ის ეპისტოლეც თარგმნა. ამ ვარაუდის გამოთქმის უფლებას ისიც იძლევა, რომ Ath.18 ხელნაწერში ამ ეპისტოლეს ქართულ თარგმანს კიდევ მიწერილი აქვს: თარგმანი მამისა ეფთჳმესი“. მართალია, ხელნაწერი შედარებით გვიანდელია (XV-XVI ს. ს), მაგრამ ამ შემთხვევაში გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმასაც, რომ მანუსკრიპტი ათონური წარმოშობისაა და ალბათ გარკვეულწილად სწორად ასახავს ამ სავანეში არსებულ ზეპირ თუ ლიტერატურულ ტრადიციას (თვალთაძე, 1989, 14-17).

ამ თხზულების მთარგმნელად ექვთიმე ათონელის მიჩნევას თითქოს ეწინააღმდეგება რამდენიმე ფაქტი. უპირველეს ყოვლისა, ის, რომ არაფერია ნათქვამი ამის შესახებ „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრებაში“ და ისიც, რომ ექვთიმეს მამაც და გიორგი ათონელიც დაბეჯითებით აღნიშნავენ, რომ მან თარგმნა „გალატელთა, თესალონიკელთა და ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლეთა თარგმანება წმიდა იოანე ოქროპირისაჲ“ და არა ჰრომაელთა და კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლისა „მცირედ ნაკლული“, როგორც ასევე დაბეჯითებით წერს ამგვარი ცნობების მოწოდებისას ყოველთვის ძალიან სანდო ეფრემ მცირე. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ აქ ურთიერთგამომრიცხველი ცნობები გვაქვს (მხოლოდ ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლეა დასახელებული ორივეგან). სინამდვილეში ეს ორი ცნობა ერთმანეთის საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს. ექვთიმემ, როგორც ჩანს, მართლაც თარგმნა ამ სამი ეპისტოლეს ოქროპირისეული ვრცელი განმარტებანი (ხელნაწერები ჩვენამდე არ შემონახულა), მაგრამ რაღაც მიზეზ-



ით სხვა ეპისტოლეთა განმარტებები არ გადმოუღია. შესაძლოა, აქ გარკვეული როლი ითამაშა იმანაც, რომ ოქროპირის თარგმანებები ძალიან ვრცელი იყო და ეფრემის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სივრცესა შინა სწავლათასა განთესულსა ძალსა სიტყვასა გამომრჩეველად მცირედნი ვიეთნიმე იპოებიან“ (თვალთვაძე, 1988, 220), ამიტომაც ექვთიმემ სათარგმნელად აირჩია გამოკრებილი, მოკლე თარგმანება პავლეს ეპისტოლეთა, კირილეს მიერ კატენური წესით შედგენილი და დაიწყო მისი გადმოღება. თარგმნა კიდევაც დასაწყისი: კირილეს ეპისტოლე და პირველი ორი ეპისტოლეს თარგმანება, მაგრამ დასრულება კი ვერ მოახერხა. „მიზეზი უსრულობისაჲ ღმერთმან იცის“, – აღნიშნავს ეფრემი, რომელმაც სწორედ ექვთიმეს მიერ დაწყებული საქმის გასრულება ითავა და განახორციელა კიდევ.

საგულისხმოა კიდევ ერთი ფაქტი. ცნობილია, რომ „პავლეს“ ტექსტის ხელახალ თარგმნაზე ექვთიმეს არ უმუშავია. შესაბამისად არც „პავლეს“ ტექსტს დართული სტიქომეტრიული აპარატი უთარგმნია. ის ფაქტი, რომ Ath.39-ში დაცული „უნწყებანი“ და „თავნი“ არ ემთხვევა არც გიორგის და არც ეფრემის თარგმნილ ტექსტს, გვაფიქრებინებს, რომ ის ვილაც მესამის თარგმნილია. „პავლეთა“ ტექსტიც ძველ AB რედაქციის ხელნაწერებს მისდევს, რაც ასევე იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს თარგმანი უფრო ადრინდელია, ვიდრე გიორგისა და ეფრემის რედაქციის პავლეს ტექსტი გვექნებოდა.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით Ath.39-ში დაცული პავლეს ჰრომაელთა მიმართ და კორინთელთა მიმართ I ეპისტოლის მთარგმნელად ჩვენ ექვთიმე ათონელს მივიჩნევთ. უმთავრესი არგუმენტი ჩვენთვის მაინც ამ მხრივ მეტად სანდო მეცნიერისა და მთარგმნელის ეფრემ მცირის ცნობაა. ამ ვარაუდის დასამტკიცებლად Ath. 39-ში დაცული თარგმანების ტექსტის დეტალური შესწავლა და ექვთიმე ათონელის სხვა თარგმანებთან მისი შედარებაა საჭირო<sup>10</sup>.

ამრიგად, ეფრემ მცირის ანდერძის ცნობაზე დაყრდნობით ექვთიმე ათონელის ნათარგმნი ძეგლების სიას უნდა დაემატოს კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლე “სხვსა ვისმე ეპისკოპოსისა მიმართ” (Ath.39 16v-17v; თვალთვაძე, 1995, გვ. 359-361) და მისივე

10 ჩვენი ვარაუდი, რომ Ath.39-ში პავლეს ჰრომაელთა და კორინთელთა მიმართ ეპისტოლეთა განმარტების ექვთიმე ათონელისეული თარგმანია შემონახული, დაადასტურა ე. კოჭლამაზაშვილის გამოკვლევებმა, რომელმაც გამოსცა ეს ტექსტი ექვთიმეს მიერვე თარგმნილ სამოციქულოს გამოკრებულ თარგმანებასთან ერთად (კოჭლამაზაშვილი, 2003)

შედგენილი კატენური კრებულის „პავლე თარგმანიანის“ დასაწყისი: „თარგმანება ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლისაჲ“ (სრულად) და „თარგმანებაჲ კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლისა“ (8, 2 მუხლამდე) (Ath.39, 18v-101v).

**თეოდორიტე კვირელის "ფილოთეონ ისტორიის" კოლოფონები.** V საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი მწერლის თეოდორიტე კვირელის "ფილოთეონ ისტორიის" ეფრემ მცირისეული თარგმანიანი ორი ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული XII საუკუნის ნუსხა A689 (189v-369v) და (XIII-XIV საუკუნის ხელნაწერი A682 (80v-155v). ორივე ხელნაწერის მოკლე აღწერილობა მოცემული აქვს თ. ჟორდანიას (ჟორდანია, 1903, 164-168). A689 ხელწერის აღწერილობა გვაქვს ე. ხინთიბიძის წიგნშიც „ბასილი კაპადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები“ (ხინთიბიძე, 1968, 73-74). თეოდორიტეს „ფილოთეონ ისტორიას“ ორივე ხელნაწერში უძღვის მთარგმნელის შესავალი (A689, 187r-v; A682, 91v; ჟორდანია, 1897, 40-42) და ბოლოში ერთვის ანდერძი (A689, 177r-v; A682, 183 r-v; ჟორდანია, 1892, 43), რომელიც ეფრემ მცირის ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიის შემდგენელს, თ. ბრეგაძეს, მიაჩნია არა „ფილოთეონ ისტორიის“ ანდერძად, არამედ თეოდორიტეს თხზულების „სიტყუაჲ საღმრთოჲსა სიყუარულისათჳს“ ბოლოსიტყვად (ბრეგაძე, 1971, 449). „სიტყუაჲ“ ბერძნულ დედანშიც და ქართულ თარგმანშიც მოსდევს „ფილოთეონ ისტორიაში“ აღწერილ წმინდა მოღვაწე მამათა ცხოვრების შესახებ თხრობებს და მიჩნეულია „ფილოთეონ ისტორიის“ ბოლო თავად (P.G. 82, col. 1283-1552). „სიტყუაჲ“ „ფილოთეონ ისტორიის“ ნაწილად მიაჩნია ეფრემ მცირესაც, რომელსაც წინასიტყვაობის შემდეგ მოთავსებულ ზანდუკში, სადაც ჩამოთვლილია წიგნში შესული „თხრობანი“, ბოლო თავად სწორედ „სიტყუაჲ საღმრთოჲსა სიყუარულისათჳს“ შეუტანია (A689, 187v). თ. ბრეგაძე კი, როგორც აღვნიშნეთ, მას ცალკე თხზულებად თვლის და ამიტომაც მის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიის მიხედვით „ფილოთეონ ისტორიას“ მთარგმნელის მხოლოდ შესავალი წერილი უძღვის, ხოლო ანდერძი კი თეოდორიტის მეორე თხზულებას („სიტყუაჲ“) ერთვის. ხელნაწერის შესწავლამ კი სხვა სურათი აჩვენა. A 689 ხელნაწერის ბოლოში მოთავსებული ანდერძიც „ფილოთეონ ისტორიის“ ანდერძია და არა მხოლოდ „სიტყუაჲსა“, ამრიგად, გამოდის, რომ „ფილოთეონ ისტორიისთვისაც“ ეფრემს ჩვეულებრივსამებრ წინასიტყვაობაც დაურთავს და ბოლოსიტყვაობაც, რომლებშიც ამ წიგნის ავტორის

შესახებ, თხზულების ბერძნული დედნის და ქართული თარგმანის შექმნის ისტორიაზე გვესაუბრება.

„თავისა ანდერძში“ ეფრემი, უპირველეს ყოვლისა, განმარტავს, რომ ამ წიგნს „ფილოთეონ ისტორია“ ეწოდება, რაც ქართულად „ღმრთისმოყუარებით თხრობას“ ნიშნავს, მაგრამ სასურველი იქნება, მასაც „კლემაქსისა“ და „დიალოღონის“ მსგავსად ბერძნული სახელი შევუნარჩუნოთ ქართულად. შემდეგ კი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს წიგნის აღმწერელ თეოდორიტზე, მსჯელობას კი ასე იწყებს: „ხოლო საჭირო არს თქუმად თვთ მისდა თეოდორიტესთჳს, რაჲთა უწყოდით“. ე. ი. ეფრემი მიიჩნევს, რომ ქართველმა მკითხველმა არა მხოლოდ თარგმანი უნდა გაიცნოს რომელიმე თხზულებისა, არამედ მის ავტორზეც უნდა ჰქონდეს წარმოდგენა, იცოდეს მისი ვინაობა და დამსახურება. ეს ეფრემის როგორც მთარგმნელ-კომენტატორის ერთ-ერთი პრინციპი ჩანს, რომელსაც ის სხვა დროსაც განუხრელად იცავს.

ეფრემის ცნობით, თეოდორიტე ანტიოქელი ყოფილა, რომელსაც სწავლა-განათლება ანტიოქიაშივე მიუღია. მის გონიერებას და განსწავლულობას „ცხად-ჰყოფენ აღწერილი მისნი, რომელთა მიერ თავთა გამომეტყუელთა და აღმწერელთა თანა შერაცხილ არს ბერძენთა შორის“. თეოდორიტე ანტიოქიის მახლობლად მდებარე ქალაქის კვიროსის ეპისკოპოსი ყოფილა და დიდად უღვანია მართლმადიდებლური ეკლესიის გაძლიერებისათვის. ეფრემის ცნობით, თეოდორიტეს, რომელსაც ღრმა სიბერემდე მიუღწევია, მრავალი წიგნი დაუწერია, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოყოფს „ყოველთა ძუჴლთა და ახალთა წიგნთა თარგმანებებს დაბადებთგან ვიდრე სამოციქულომდე“. მაგრამ მოულოდნელად „შურითა ეშმაკისათა დაკნინდა წარმატებულება მისი“, რადგან ნესტორიანობის მძლავრობის ხანაში კირილე ალექსანდრიელთან პაექრობა „შემწეობად ნესტორისსა შეურაცხეს და განაგდეს ეკლესიით“, მაგრამ ლეონ ჰრომთა პაპის ბრძანებით, მალევე შეინწყნარეს და მას შემდეგ ქალკედონის კრების ყველა შემწყნარებელი თეოდორიტე კვირელსაც შეინწყნარებს და დიდ მოღვაწედ აღიარებსო, – გვაუწყებს ეფრემი. აღსანიშნავია, რომ თეოდორიტე კვირელის ბიოგრაფიის ამ მომენტს სხვაგანაც იხსენებს ქართული მწიგნობარი. კერძოდ, „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალში, იქ, სადაც დედნად გამოყენებული თხზულებების შესახებაც მსჯელობს, აცხადებს, რომ ფსალმუნთა წიგნის თეოდორიტესეულ თარგმანებას შეგნებულად ავარიდე თავი, „მცირედისა მისთჳს სიტყვსგებისა, რომელი იქმნა რეცა წინააღდგომით შორის მასსა და

წმიდისა კვრილესა, რომელი-იგი უკუანაასკნელ დაიწსნა და უჩინო იქმნა, რაჟამს თეოდორიტეს მიერვე შეიჩუენნეს ათორმეტნი იგი თავნი, რომელ ალენერნეს მას წინააღსადაგომელად ღმერთმომოსილისა კვრილესა“ (შანიძე, 1968, 80). აქ ეფერმი კიდევ რამდენიმე ცნობას გვანვდის თეოდორიტეზე, კერძოდ: ეფრემის თანახმად, თეოდორიტეს დაუწერია კირილეს წინააღმდეგ 12 თავი, რომელიც შემდეგ თვითონ უარყვია და დაუწერია ფსალმუნთა სრული თარგმანება, რომელიც, მართალია, ეფრემს დედნად არ გამოუყენებია, მაგრამ როგორც ჩანს, იცნობდა მას. ამ „შესავლის“ მიხედვით „თეოდორიტე ყოვლისავე ბერძენთა ნათესავისა მიერ მამად მართლმადიდებლობისა შერაცხილ არს, ვითარცა სახელოვანი მთარგმნელობითა ყოველთავე ძუელისა შჯულისა წიგნთაჲთა და ყოვლით კერძო თანაშემწე მართლმადიდებლობისა“ (შანიძე, იქვე).

ეჭვსგარეშეა, რომ ეფრემ მცირის ცნობები თეოდორიტე კვირელის შესახებ ბიზანტიურ წყაროებს ემყარება. ერთ-ერთ მათგანს ეფრემი კიდევ ასახელებს „ფილოთეონ ისტორიის“ შესავალში. ესაა თეოდორიტეს წერილი ლეონ ჰრომთა პაპისადმი, სადაც ის, როგორც ჩანს, თავს იმართლებდა კირილე ალექსანდრიელთან დაკავშირებით მომხდარი ინციდენტის გამო და თავის დამსახურებათა შესახებაც წერდა: „სამასი ეკლესიაჲ შევესძინე მწვალებელთა და მეკერპეთაგანი მართლმადიდებელთა ეკლესიასა“ (A689,187v). რაც შეეხება ცნობებს თეოდორიტეს მიერ თარგმნილი წიგნების შესახებ, შესაძლოა ეფრემ მცირე, რომელიც სემეონწმიდის საპატრიარქოს წიგნთსაცავის ხშირი სტუმარი იყო, მათ იქ გასცნობოდა, ეფრემის ცნობა თეოდორიტე კვირელის მიერ ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თარგმანებათა დაწერის შესახებ სწორია. თეოდორიტეს მართლაც განუმარტავს ძველი აღთქმის წიგნები დაბადებიდან წინასწარმეტყველთა წიგნებამდე (P.G. 80-82), და „წიგნი ახალი აღთქმისანი“ (P.G. 82). ბერძნულად შემონახულია ეფრემის მიერ დამონმეზული „ათორმეტნი იგი თავნიც“, (P.G. 76, col.385-402) და „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲც“ (P.G. 80, col.857-1198; ჯუღელი, 2008).

„ფილოთეონ ისტორიის“ „თავისა ანდერძის“ მეორე ნაწილში კი ეფრემი თეოდორიტეს ამ შრომის ქართულად თარგმანის საკითხებს შეეხება. წიგნის თარგმნა მისთვის უთხოვია ანტონი ბერს (ანტონი ტბელს), რომელიც ამ წიგნში აღწერილ მოღვაწეთა მსგავსად იყო „მათებრვე სრულ ღუანლითა და მათითავე შემკულ გვრგვნითა“. თეოდორიტეს ამ თხზულებას, ეფრემის აზრით,

„აქუს ფრიადი სიღრმე სიტყუათაჲ, უმრავლესი ბერძნულად და არამცირედი ქართულადცა“, რისი შეცვლაც ეფრემს შეგნებულად არ მოუსურვებია, რადგან ის მიიჩნევს, რომ თარგმანმა დედნის სიტყვათა სიღრმე უნდა გადმოსცეს „რათა (ქართველები) განჰმზადნეს უღრმესთადრე წიგნათს“.

ეფრემის წინასიტყვაობას მოსდევს „ზანდუკი წიგნისა ამის“, რომელშიც ჩამოთვლილია 30 მოღვაწის ცხოვრების შესახებ თხრობის სათაური და 31-ედ „სიტყუაჲ სიყუარულისათს“. ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ეფრემის ის შენიშვნა, რომელიც ზანდუკს მოსდევს: „რამეთუ შვიდნი თხრობანი თავით კერძონი სხუაგან სმენილნი დაუნერიან ძუჴლად ყოფილთანი, ხოლო რვითგან ოცდაათამდე მათნი, რომელნი მისთა ჟამთა აღსრულებულ არიან და თუალითაცა უხილავნ, ხოლო ოცდაერთითგან სხუანი ყოველნი ჯერეთ მაშინ ცოცხალ ყოფილ არიან, ოდეს ესე მათთს დაუნერიან“ (A689, 187v). ეფრემის ცნობით, თეოდორიტეს თავის წიგნში აღუწერია წინაპართა (*„ძუელად ყოფილთა“*) ამბავი, რომელიც სხვათაგან გაუგონია, (ესენია თხრობა იაკობისთვის, ივლიანესთვის, მარკიანესთვის, ევსევისთვის, პოპლიოხსთვის, სუმეონისთვის ძუჴლისა, პალადისთვის (რომელ არს პალადე წმიდაჲ), *უფროს თანამედროვეთა*, რომელთაც ცოცხლებს მოსწრებია (თხრობაჲ აფრათესთვის, პეტრესთვის, თეოდოსისთვის, რომელსა არასუსისა თეოდოს წმიდაჲ აუშენებია, რომანოსისთვის, ზიანონისთვის, მაკედონიოხსთვის, მაისუმაჲსთვის, აკეფსიმაჲსთვის, მარონოხსთვის, აბრაჰამისთვის, ევსევისთვის, სალამანისთვის, მარისთვის) და თავის თანამედროვეთა, რომლებიც *„ჯერეთ მაშინ ცოცხალ ყოფილ არიან“* (თხრობაჲ იაკობისთვის, თალასოხსთვის და ლიმანასიოხსთვის, იოანესთვის, ლევიანაჲსთვის და პოლუტრონოხსთვის, ასკილიპიოხსთვის, სუმეონისთვის ჰალაბელისა, ვარადატისთვის, მალელესთვის, მარანაჲსთვის და კკრაჲსთვის, დომინიანსთვის).

„ფილოთეონ ისტორიის“ ბოლოში დართული ანდერძი კი ტიპური ნიმუშია მთარგმნელის მოკლე ანდერძისა, სადაც ღმერთის დიდებას მოსდევს ვედრება *„მკითხველთა, მსმენელთა და გარდამწერელთადმი, რომ ილოცონ ღმერთმემოსილისა ანტონი ტბელისათვის, რომლის ბრძანებითაც უთარგმნია ეს წიგნი ბერძნულიდან „პირუტყულ სახეობასა ჩემ მცირისა და უნდოხსა ეფრემ უნარჩევესსა მოწაფეთა მისთაჲს“*. საინტერესოა ამ ანდერძის ერთი ადგილი, სადაც ეფრემი წერს: *„რათა სახედ სინმიდისა მისისა (ანტონი ტბელისა დ. თ) გამოვთარგმნო ბერძნულისაგან*

**ახლად** ქართველთა ენასა ცხორებაჲ ესე წმიდათა ამათ მამათაჲ" (A689,677r)., ხომ არ ნიშნავს ეს „ბერძნულისაგან ახლად გამოთარგმნა“ აქ „ფილოთეონ ისტორიის“ ხელახლა, მეორედ თარგმნას და ხომ არ გულისხმობს ეს ცნობა იმას, რომ უკვე არსებობდა ამ წიგნის ადრეული თარგმანი? „ახლად თარგმნა“ აშკარად მეორედ თარგმნას ნიშნავს ეფრემის სხვა ანდერძში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ბერმა კვრიკე ალექსანდრიელმა „მძლავრა და კადნიერ მყო მე **ახლად** თარგმანებად ათექუსმეტთა სადღესასწაულოთა“ (A292,282v). მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ ეფრემი, ჩვეულებისამებრ, როცა ერთხელ თარგმნილის ხელახლა თარგმნა უხდება, ერთგვარად თავს იმართლებს და მკითხველს უხსნის, თუ რატომ თარგმნა „ახლად“ ესა თუ ის თხზულება (იხ. Jer.43, A292-ის ანდერძები და სხვ.), აქ კი ასეთი რამ არა გვაქვს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეფრემის „ახლად გამოთარგნა“ აქ შეიძლება პირველად თარგმნას ნიშნავდეს. მით უფრო, რომ „ფილოთეონ ისტორიის“ სხვა თარგმანი, გარდა ეფრემის თარგმანისა, ქართულ ხელნაწერებში აღმოჩენილი არ არის (კეკელიძე, ეტ. V, 58).

**„ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალი და ანდერძი.** ეფრემ მცირის მიერ ბერძნულიდან გადმოღებული "თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ", ქრისტიანული ეგზეტიკური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელმაც ქართველ მკვლევართა ყურადღება ადრევე მიიპყრო. პირველი ცნობები ეფრემის მიერ თარგმნილი ამ თხზულების შესახებ თ. ჟორდანიას "ქრონიკებში" გვხვდება. (ჟორდანიას, 1892, 214). მისი შემცველი ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი, რომელიც მარტვილში ინახებოდა, აღწერა ე. თაყაიშვილმა (თაყაიშვილი, 1914, 81). ეფრემის ამ შრომას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კ. კეკელიძე, რომელიც მას ეფრემის ორიგინალურ თხზულებად მიიჩნევდა: "შინაარსით, აზრებით და საზოგადოდ, მასალით ეს თხზულება ორიგინალური არაა, ხოლო არქიტექტონიკითა და გეგმით, რომელიც გამოიხატება მასალისა და წყაროების შერჩევაში და მათ დალაგებაში, ის ეფრემის ორიგინალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს", – ასკვნის მკვლევარი თავის ფუნდამენტურ შრომაში (კეკელიძე, 1980, 257) და იქვე მიუთითებს ამ თხზულების შემცველ ხელნაწერებსაც.

ეფრემ მცირის ამ თხზულებას საგანგებოდ იკვლევს მზ. შანიძე, რომელმაც ეფრემის "თარგმანება" გამოიყენა "ფსალმუნის" კრიტიკული ტექსტის დადგენის ერთ-ერთ საშუალებად (ფსალმუნი, 1960). მანვე საგანგებოდ შეისწავლა ის ხელნაწ-

ერები, რომელთაც კ. კეკელიძე უთითებდა, და გაარკვია (შანიძე, 1968, 100-101, მისივე, 1971), რომ ეფრემის თარგმანის შემცველად მიჩნეული 9 ხელნაწერიდან ეფრემისეულ თარგმანებას ნამდვილად მხოლოდ სამი შეიცავს: მარტვილისა (Q 37), იერუსალიმისა (Jer 1) და ლენინგრადისა (N 18 ყოფილი პეტერბურგის სააზიო მუზეუმის ხელნაწერი N 137). ეფრემ მცირის ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიის შემდგენელი თ. ბრეგაძე ასახელებს კიდევ ერთ ხელნაწერს H 3186 (ბრეგაძე, 1971, 448). დანარჩენი ხელნაწერები კი ე. წ. „გამოკრებილი თარგმანების“ შემცველია. ქართული წყაროების კომპილაციის გზით XII საუკუნეში უცნობი მწიგნობრის მიერ შედგენილი ეს ეგზეგეტიკური თხზულება, მ. შანიძის აზრით, ძირითადად ეფრემ მცირის შრომას ეყრდნობა. ასევე ფიქრობს ნ. დობორჯგინიძეც, რომელმაც გამოსაცემად მოამზადა ფსალმუნთა გამოკრებილი თარგმანების ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით, და რომელსაც საინტერესო დაკვირვებანი აქვს ამ საკითხზე (დობორჯგინიძე, 1994, 1996).

ეფრემის „თარგმანების“ შემცველ ხელნაწერთაგან უძველესია Q 37, რომელსაც ახლავს თვით ეფრემისა და გადამწერის ანდერძები, საიდანაც ცხადი ხდება, რომ თარგმანი 1080 წელსაა შესრულებული (ქრონიკონი ტ), ხოლო ხელნაწერი კი 1091 წელს (ქრონიკონსა ტია) გადაუნუსხავს იოანე მთავარაღსძეს „კასტანას ეფრემის მამობასა“ (Q37,317r).

ხელნაწერი იწყება ეფრემ მცირის ცნობილი შესავლით, რომლის სათაურია „უნყებაჲ მიზეზსა და ვითარებასა და თხრობაჲ წესსა და საჭმარებასა წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“ (1r-7v). ეფრემ მცირის შესავალი ამ ხელნაწერის მიხედვით ნაკლული სახით 1914 წელს გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა (თაყაიშვილი, 1914, 243-268).

ქალაქდზე შესრულებული ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია, აკლია რამდენიმე ფურცელი და დალაქავებულია ნესტისაგან. სამაგიეროდ, შედარებით უკეთესად შემონახულა ჩვენამდე XII საუკუნის იერუსალიმური ნუსხა N 1, რომელიც ტექსტობრივად თითქმის პირდაპირ იმეორებს მარტვილის ხელნაწერს (Q37) და რომელსაც შემოუნახავს ეფრემის შრომის სწორედ ის ნაწილები, რაც სხვა ნუსხებში დაზიანებულია. ამ იერუსალიმური ხელნაწერის მიხედვით 1926 წელს რ. ბლეიკმა გამოაქვეყნა ეფრემის „შესავლის“ ბოლო ნაწილი, რომელიც ე. თაყაიშვილის გამოცემას აკლდა (ბლეიკი, 1926, 159-160). „შესავლის“ საბოლოო, კრიტიკული გამოცემა ეკუთვნის მ. შანიძეს (შანიძე, 1968, 77-99), რომელმაც

ტექსტს გამოკვლევაც დაურთო (იქვე, გვ. 99-122), სადაც მოცემულია ეფრემის ამ ორიგინალური ნაშრომის მნიშვნელობის შეფასება, მისი შემცველი ხელნაწერების აღწერილობა და ტექსტის ენობრივი ანალიზი. საგანგებო ყურადღება ექცევა „შესავლის“ შუა ნაწილს, ლექსიკონს, როგორც ქართულ ენაზე შედგენილ პირველ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომს.

ეფრემ მცირის „შესავალი“ სამეცნიერო ლიტერატურაში საზოგადოდ კარგად შესწავლილი ძეგლია. მ. შანიძემ ეფრემის ამ მეტად საყურადღებო შრომას ზემოთდასახელებული გამოკვლევის გარდა კიდევ რამდენიმე შრომა უძღვნა, კერძოდ: 1971 წელს დაიბეჭდა მისი სტატია „ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანების ტექსტისათვის“ (შანიძე, 1971), 1975 წელს მკვლევარმა რუსულ ენაზე დაბეჭდა წერილი "Некоторые сведения Ефрема Мцире о грузинской и греческой филологии", სადაც შეეხო ქართული და ბიზანტიური ფილოლოგიის საკითხებზე „შესავალში“ დაცულ მეტად საყურადღებო ცნობებს. (შანიძე, 1975, 66-77). ეფრემის ამ შრომას შეეხება მისი სტატიაც ეფრემ მცირის „ფსალმუნთა თარგმანება“ როგორც საბას ლექსიკონის წყარო“ (შანიძე, 1987) „შესავლის ზოგიერთი საკითხი განიხილა რ. სირაძემ, რომელმაც შენიშნა, რომ ეფრემის ამ შრომაში საღვთო ატრიბუტები არეოპაგიტულ წიგნებში შემუშავებული პრინციპების მიხედვითაა განმარტებული (სირაძე, 1968). „შესავალი“, როგორც სახისმეტყველებითი ეგზეგეტიკის შესახებ ეფრემის თეორიული შეხედულებების შემცველი ძეგლი, შეისწავლა გ. ალიბეგაშვილმა (ალიბეგაშვილი, 1988), რომელმაც თავის სადისერტაციო ნაშრომში ერთი თავი მიუძღვნა მას.

„შესავლის იმ ნაწილს, რომელიც ლექსიკონს ეთმობა, ხშირად იმონებენ როგორც ქართულ ენაზე შედგენილ პირველ ლექსიკონს (ლლონტი, ალ. ფოცხიშვილი, 1995, სარჯველაძე, 1984 წ.).

ყველა ზემოთ დასახელებული მკვლევარი, ვინც კი ამა თუ იმ კუთხით შეხებია ეფრემ მცირის „შესავალს“, მას ეფრემის ორიგინალურ შრომად მიიჩნევს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ „შესავალი დამოუკიდებელი ნაწარმოები არაა ეფრემისა. ეფრემმა ის „ფსალმუნთა თარგმანების“ თარგმანს წარუძღვარა და მასში თარგმნის პროცესში წამოჭრილი საკითხები განიხილა. იგი უკავშირდება სათარგმნ თხზულებას და ამდენად წარმოადგენს არა დამოუკიდებელ ნაწარმოებს, არამედ „მთარგმნელის მოზრახულს“.

ფსალმუნთა თარგმანების შესავალი, როგორც მისი სათაურიც მიგვანიშნებს, არის უწყება ამ წიგნის შექმნის ვითარებათა და



მკითხველთაგან მისი მოხმარების წესის შესახებ ("უნწყბაჲ მიზეზ-სა და ვითარებასა და თხრობაჲ წესსა და საწმარებას წინამდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს "თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ"), სადაც მოცემულია ამ ეგზეგეტიკურ ძეგლის ჯერ ბერძნულ ენაზე შექმნის ისტორია, ხოლო შემდეგ კი ცნობები მისი ქართულად გადმოღების შესახებ. გარდა ამისა, ბერძნულ წიგნთა მსგავსად ეფრემს თავისი თარგმანისათვის ლექსიკონიც შეუდგენია და სწორედ "შესავალსა წიგნისასა" მოუთავსებია. ფსალმუნთა თარგმანების შესავალი ეფრემის "მოზრახულთაგან" ყველაზე ვრცელია. იგი თავისი დანიშნულებით ე. წ. "თავისა ანდერძია", რომელსაც ჩვეულებისამებრ ეფრემი "ბოლოესა ანდერძსაც" მოაყოლებდა ხოლმე. არც ფსალმუნთა თარგმანების გადმოღებისას უღალატნია ეფრემს პრინციპებისათვის და ამ ეგზეგეტიკური ძეგლის I წიგნის დასასრულს მოუთავსებია კიდევ "ბოლოესა ანდერძი", რომელიც Q 37 ხელნაწერს შემოუნახავს, რომელშიც საყურადღებოა ის ადგილი, სადაც მთარგმნელი „თავისა ანდერძს“ ანუ „შესავალსა წიგნისასა“ იმონებებს: „... ხოლო თარგმანი მუჴლთაჲ ყოველი ახლად ითარგმნა ბერძნულისაგან, ვითარცა ყოველივე გეუნყოს შესავალსა წიგნისასა“ (Q37,316v).

მიუხედავად იმისა, რომ ფსალმუნთა თარგმანების შესავალი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა კუთხით კარგადაა შესწავლილი, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მისი, როგორც ქრისტიანული ლიტერატურის ამ უმნიშვნელოვანესი ეგზეგეტიკური ძეგლის შესახებ დაწერილი „მთარგმნელის მოზრახულის“ მოკლე ანალიზი მაინც წარმოგვედგინა.

ეფრემის სიტყვებით, ეს შესავალი „წინამაჴწყებელ ექმნება სწავლის მოყუარეთა, თუ რაოდენნი არიან თარგმანებანი დავითისანი, ანუ თუ ჩუენი ესე თარგმანი დავითისაჲ რაოდენთა წიგნთაგან ერთად შემოკრებულ არს“ (შანიძე, 1968, 78)<sup>11</sup>. და მართლაც, "შესავლის" საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ ამ ორი საკითხის განმარტებას ეხება: 1) ფსალმუნთა წიგნის რამდენი განმარტება არსებობს ბერძნულად ("რაოდენნი არიან თარგმანებანი დავითისანი") და 2) რა წყაროებით ისარგებლა ქართული თარგმანის შემსრულებელმა ("ჩუენი ესე თარგმანი დავითისაჲ რაოდენთა წიგნთაგან ერთად გამოკრებულ არს").

ამ საკითხების შესახებ მსჯელობას ეფრემი იმის აღნიშვნით იწყებს, რომ "პირველთა მათ ჟამთა არარაჲ აქუნდა სხუაჲ საგალობელად საეკლესიოდ თვნიერ ფსალმუნთა წიგნისა" (იქვე). ფსალ-

11 ქვემოთ ამ გამოცემის მიხედვით ვუთითებთ გვერდებს.

მუნთა გამოთარგმანებაც იმ დროიდან დაიწყო. წმინდა მამები იმ ფსალმუნებს განუმარტავდნენ მსმენელთ, "რომელსა ფსალმუნსა ზედა დაემთხვის ეკლესიად შესვლაჲ წმიდათა მათ მამათაჲ". ასე შეიქმნა წმინდა ბასილის "თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ", რომელშიც თავმოყრილია მის მიერ "ადგილ-ადგილ თარგმანებული" ფსალმუნები და რომელიც "უნაკლულოდ ითარგმნა ენასა ამას ჩუენსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ეფთჳმეს მიერ" (გვ. 79). როგორც მიუთითებენ (შანიძე, 1975, 69), ეფრემის მიერ დასახელებული ბასილის ეგზეგეტიკური შრომა ბერძნულ ენაზე 14 ფსალმუნის თარგმანების შემცველია. ექვთიმე ათონელის მიერ შესრულებულ თარგმანში კი 15 ფსალმუნის განმარტება გვაქვს. ეფრემის სიტყვებით, ბასილი კესარიელი არაა "სრულებით მთარგმნელი ფსალმუნთა წიგნისაჲ", რადგან მისი სახელით ცნობილ თხზულებაში ყველა ფსალმუნის განმარტება არაა მოცემული.

ფსალმუნის "სრულებით მთარგმნელებად" ეფრემი ასახელებს ათანასე ალექსანდრიელს, კირილე ალექსანდრიელს, ევსუქი იერუსალიმელს, ასტერი ამასიელს და თეოდორიტე კვრელს.

ეფრემი იქვე შენიშნავს, რომ ზოგიერთები იოანე ოქროპირსაც მიაწერენ დავითის სრულებით თარგმანებას, მაგრამ, მისი აზრით, ეს სწორი არ არის. იოანეს მხოლოდ ერთი ნაწილის თარგმანება მოუცია ("ჭირის კანონითგან დანყებული ვიდრე... მიყვანებული". სამწუხაროდ, შესავლის ეს ნაწილი დაზიანებულია და არ ჩანს ფსალმუნის რომელ ნაწილზე მიუთითებს ეფრემი).

ცნობილია, რომ ათანასე ალექსანდრიელის და კირილე ალექსანდრიელის თარგმანებანი სრული სახით მოღწეული არ არის (შანიძე, 1975, 68). ორივე ალექსანდრიელი მოღვაწის კომენტართა უმეტესობა ცნობილია მხოლოდ გვიანდელი კატენებით ან ციტატების სახით, რომლებიც ამ ავტორთა ეგზეგეტიკურ თხზულებებზე მეტად ფრაგმენტულ წარმოდგენას გვიქმნიან (დევრესი, 1970, 224, 239). ეფრემ მცირის "შესავალში" კი ამ ავტორთა მიერ შედგენილი "ფსალმუნთა თარგმანების" შესახებ ფრიად მნიშვნელოვანი ცნობები გვაქვს, რომლებიც, როგორც მ. შანიძე შენიშნავს, გათვალისწინებული უნდა იქნას როგორც ათანასეს და კირილეს შრომათა მოცულობის, ასევე მათი სახელით მოღწეული ბერძნული ფრაგმენტების ავთენტურობის დადგენისას (შანიძე, 1975, 68). ეფრემის ცნობით, ათანასე და კირილე იყვნენ "სრულებითნი მთარგმნელნი ფსალმუნთა წიგნისანი". ე. ი. მათ განუმარტავთ მთელი ტექსტი დავითის ფსალმუნებისა. მეტიც "არა ერთითა, არამედ ორ-ორითა თარგმანითა უთარგმნით ყოველი

მუჭლი დავითისაჲ, ერთი იგი შემოკლებულად და ლიტონად მარტივთათჳს და ლიტონთა, მეორე იგი უვრცელესად და უღრმესად გამოძიებულთათჳს და გულისწმისყოფელთა" (გვ. 79). ეფრემი ხაზგასმით აღნიშნავს, ქართული თარგმანის შესრულებისას "სხუად წიგნად მაქუნდა ათანასესი და სხუად კკრილესი, ორნივე სრულებითნი და შემოკლებითნი "თარგმანნი დავითისანი". მისივე ცნობით, მის მიერ შედგენილ "ფსალმუნთა თარგმანებაში" ათანასეს და კირილეს შემოკლებული თარგმანებანი სრულადაა წარმოდგენილი ("და ან არს ჩუენდა ამას "დავითის თარგმანსა" შინა **შემოკლებითი** იგი თარგმანები მუჭლთაჲ ათანასესი და კკრილესი ყოველი უნაკლულოდ" (გვ. 81), რაც მნიშვნელობას მოკლებული არ არის, რადგან როგორც აღვნიშნეთ, ათანასეს და კირილეს თარგმანებები ბერძნულად მხოლოდ ფრაგმენტულადაა მოღწეული (P.G.27; P.G.69).

ეფრემ მცირის ცნობით, მის მიერ დასახელებულ ავტორთა გარდა, ფსალმუნთა განმარტებები სხვებსაც დაუწერიათ, მაგრამ ისინი არიან „არა უეჭუელნი, არამედ ფრიადცა საეჭუელნი“. ეს ის მწერლები არიან, რომლებიც „არიანოზთა და ორიგინიანთა თანა შეიჩუენებთან“, მაგრამ ბერძენნი წმინდა მამების მიერ თარგმანებულს მათი ნააზრევითაც აზავებენ, რადგან მათ „ძალ-უც ნამლიათაგანცა მჴეცთა შემზადებაჲ ნამლისა საკურნებელისაჲ“. ეფრემის ეს ცნობა მეტად საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ წარმოაჩენს ბენძნული ორთოდოქსალური ეკლესიის დამოკიდებულებას მწვალებლობისადმი – „მწვალებელთაჲცა რაჲმე კეთილად აღწერილი ძალად გულისწმის-ყოფისა იჴუმონ“ (იქვე).

ეფრემ მცირის ცნობით, ბერძნულ ენაზე, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თარგმანებებისა, არსებულა **"სხუანიცა წიგნნი ორნი"**, სადაც "ყოველთაჲვე დავითის თარგმანთაგან ერთად შემოკრებულ იყვნეს სრულებითნი და განვრცელებითნი თარგმანნი დავითისანი". ეს წიგნები ეფრემის მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, კომპილაციური ხასიათის თხზულებებია, რომლებშიც ათანასეს და კირილეს თარგმანებებთან ერთად შეტანილია სხვა წმინდა მამათა განმარტებანიც. მათგან ეფრემი ასახელებს ევსუქი იერუსალიმელს და ასტერი ამასიელს, რომელთა შრომებს ის მხოლოდ ამ კომპილაციური კრებულებიდან იცნობს, რადგან, როგორც თვითონ შენიშნავს, "ამათი დედანი სრულებით" (ან სრული სახით) ვერ უპოვია.

ეფრემის მიერ დასახელებულ ამ ორ წიგნში თავმოყრილი ყოფილა ათანასეს, კირილეს, ევსუქის და ასტერის განმარტებები

ფსალმუნისა, ამოკრებილი არა მარტო მათი "ფსალმუნთა თარგმანებებიდან", არამედ სხვადასხვა თხზულებებიდანაც, "ადგილ-ადგილ სადაცა პოვნილ არს დავითის სიტყუათა ძალი, ყოველივე შემოკრებულად ვპოვე ორთა მათ წიგნთა შინაო, " - აღნიშნავს ეფრემი (გვ. 80). მისივე ცნობით, ამ წიგნში შეტანილი ყოფილა გრიგოლ ღვთისმეტყველის, გრიგოლ ნოსელის და "სხუათა ჳიეთმე საკითხავთა შინა განმარტებული მუჴლი" (იქვე). ერთი სიტყვით, ეფრემის მიერ დახასიათებული წიგნები დავითნის კომენტარების კრებულებია, სადაც მართლმადიდებელ მამათა "ადგილ-ადგილ აღმოცენებული ყვავილები" ერთ თაიგულად ანუ "გოლად სიტკბოებისა არის დაუნჯებული" (გვ. 83).

ეფრემის "შესავლის" იმ ნაწილში, რომელიც ეხება იმის გარკვევას, თუ "რაოდენნი არიან თარგმანებანი დავითისანი", დასახელებულია კიდევ ერთი ავტორი და მისი ეგზეგეტიკური შრომა. ესაა თეოდორიტე კვირელი და მისი "თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ". ეფრემის ცნობით, თეოდორიტე ფსალმუნთა "სრულებითი მთარგმნელია". ე. ი. მას განუმარტავს ფსალმუნის ყველა მუხლი, მაგრამ ეფრემს მისი კომენტარები არ უთარგმნია, მიუხედავად იმისა, რომ იგი "მამად მართლმადიდებლობისა შერაცხილ არს". "თეოდორიტესსა თარგმანსა დავითისასა ვერლარა ჳელ-შევყავ" კირილე ალექსანდრიელთან გამართული პოლემიკის გამო, - აცხადებს მთარგმნელი. ეფრემ მცირის დახასიათებით, თეოდორიტეს შრომა "თაფლებერ დამატკობელი" ყოფილა გონებისა, ამიტომაც ძნელი იყო თავის შეკავება ცდუნებისგან, მაგრამ როგორც ეფრემი შენიშნავს, "აღვრ-ვახსენ გულის-სიტყუასა... და კმა-ვიყვენ მცირედნი ესე და შემოკლებულნი თარგმანნი უეჭუელობისათჳს და ღირსებისა სახელოვანთა მათ თარგმანთაჲსა" (გვ. 80).

თუ ზემოთ თქმულს შევაჯამებთ, ეფრემის შესავლის მიხედვით ბერძნულ ენაზე ყოფილა ფსალმუნთა წიგნის სამი ტიპის თარგმანება:

I. "ადგილ-ადგილობითი", ანუ არასრული თარგმანებები, სადაც ფსალმუნთა მუხლები არა თანმიმდევრულად, არამედ შერჩევით არის განმარტებული. ასეთია, ეფრემის აზრით, ბასილი კესარიელის (P.G. 29, col.386-388) და იოანე ოქროპირის თარგმანებები.

II. "სრულებითი თარგმანნი დავითის წიგნისანი", სადაც ყველა ფსალმუნია მუხლ-მუხლად განმარტებული. ასეთია:

1. ათანასე ალექსანდრიელის "თარგმანებაჲ ფსალმუნისაჲ"

(ვრცელი რედაქცია "გამომეძიებელთათვის და გულისწმის-  
მყოფელთათვის"; P.G. 27, შემორჩენილია ფრაგმენტები)

2. მისივე „თარგმანება ფსალმუნთაჲ“ (მოკლე რედაქცია „მარტივთათვის და ლიტონთათვის“.
3. კირილე ალექსანდრიელის „ფსალმუნთა თარგმანების“ (ვრცელი რედაქცია, P.G. 69. ფრაგმენტები).
4. მისივე თარგმანების მოკლე რედაქცია.
5. ევსუქი იერუსალიმელის „თარგმანება ფსალმუნთაჲ“ (P.G. 74)
6. ასტერი ამასიელის „თარგმანება ფსალმუნთაჲ“ (P.G. 40. ფრაგმენტები).
7. თეოდორიტე კვრელის „თარგმანება ფსალმუნთაჲ“ (P.G. 80, col. 857-1198).

III. **„გამოკრებილი თარგმანებანი“** – ანუ კატენური კრებულები „დავითნის“ კომენტარებისა. ასეთია ეფრემის მიერ დასახელებული „სხუაჲ წიგნნი ორნი“, სადაც სხვადასხვა მართლმადიდებელ მამათა განმარტებები ყოფილა თავმოყრილი.

გარდა ამისა, ეფრემი ასახელებს მწვალებელთა და გარეშეთა საეჭვო თარგმანებებსაც (ევსევი პამფილელი, ორიგენე, გვ. 82).

ფსალმუნთა თარგმანების შესავლის ერთი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ქართული თარგმანის წყაროების შესახებ მსჯელობას ეთმობა, ანუ „ჩუენნი ესე თარგმანნი დავითისაჲ რაოდენთა წიგნთაგან ერთად გამოკრებილ არს“. აქ ეფრემ მცირე პირდაპირ აცხადებს: „მე კუალთა წმიდისა მის მამისა და მოძღუარისა ჩემისა გიორგი მთანმიდლისათა შეუდეგ, რომლისაჲ-იგი სათუეოჲ საგალობელი არა ერთის, არამედ მრავალთა დედათაგან ერთად შეკრებულ არს და ერთსა წიგნსა შინა ბერძულად არა რომელსა იპოების ეგოდენი საგალობელი“ (გვ. 80). ეფრემს, გიორგის მსგავსად, რომელმაც მრავალი ბერძნული წყაროს გამოყენებით „თუენის“ თავისი რედაქცია მოგვცა, თვითონ გამოუკრებია სხვადასხვა წიგნებიდან კომენტარები: „რომელი ოდენ ჯპოვე მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებული სიტყუაჲ დავითისი, ყოველივე ერთად წიგნად შეეკრიბე. რამეთუ რაოდენნიცა იყვნეს წიგნისსაცავსა სუმეონწმიდისასა „თარგმანნი დავითისანი“, ყოველივე დედად მაქუნდეს და ფრიადითა შრომითა მათ ყოველთაგან ერთად შევაერთე, რომელი ოდენ იპოებოდა მათ შინა მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებული... თვნიერ თევდორიტესა არცა ერთი სხუაჲ დამიგდიაო, “ – აღნიშნავს ეფრემი.

სვიმეონწმიდის წიგნსაცავში კი, ეფრემის ცნობით, ამ დროს

ყოფილა ათანასეს და კირილეს თარგმანებანი ორ-ორი რედაქციით და "სხუანი წიგნი ორნი", სადაც ევსუქის და ასტერის ვრცელი თარგმანებიდან გამოკრებილი კომენტარებიც ყოფილა შეტანილი. სწორედ ისინი გამოუყენებია ეფრემს თავისი თარგმანების შედგენისას ძირითად წყაროდ. მათზე დაყრდნობით ეფრემმა შეადგინა დამოუკიდებელი რეცენზია კატენებისა, რომელსაც ის **"ჩუენსა დავითის თარგმანსა"** უწოდებს და რომლის შედგენაზე მან მართლაც "ფრიადი შრომაჲ" გასწია. ეფრემის "დავითის თარგმანებაში" შემონახულია ფსალმუნთა კომენტარების მკვლევართათვის საინტერესო მასალა, რომლებიც გარკვეულწილად ამ ეგზეგეტიკური თხზულების ბერძნული დედნების შესახებაც გვიქმნიან წარმოდგენას.

ეფრემის ეს მოზრახული მრავალმხრივ საინტერესო ძეგლი ქართული და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის მკვლევარისათვის. აქ დაცულია ცნობები ფსალმუნთა წიგნის შედგენილობაზე, ცალკეული ფსალმუნის ავტორობის საკითხზე, ფსალმუნთა წიგნის დაყოფაზე, ბერძნულად არსებულ სხვადასხვა კომენტატორთა წიგნებზე, მათ ურთიერთმიმართებაზე, ცნობები ცალკეულ მწერლთა (როგორც ქართველ, ასევე ბერძენთა) შესახებ. ეს არის ლიტერატურის ისტორიკოსის მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც შესანიშნავ მასალას იპოვის როგორც ქართული ისე ბიზანტიური სასულიერო მწერლობის მკვლევარი.

როგორც აღვნიშნეთ, "ფსალმუნთა თარგმანებას" ერთვის "ბოლოჲსა ანდერძიც", რომელიც ტიპური ნიმუშისა მთარგმნელის მოკლე ანდერძისა. ეს ანდერძი 1091 წელს გადაწერილ ხელნაწერშია შემონახული და გამოცემულია რამდენჯერმე (ძვ. საქ., III, 81-82; ჟორდანი, 1892, 214; Q I, 43-44). Q ფონდის ხელნაწერთა აღწერილობაში ეფრემის ამ ანდერძის ბოლო ნაწილი („დაინერაჲ წმიდაჲ ესე წიგნი“...) გადამწერის ანდერძადაა მიჩნეული (Q I, 44), რაც არაა სწორი. შეცდომის მიზეზი შეიძლებაა გამხდარიყო ანდერძის სიტყვები: „დაინერა წმიდაჲ ესე წიგნი შავსა მთასა, სანახებსა წმიდისა სემეონისასა, მონასტერსა მამის ეზრასსა ჴელითა იოვანე ხუცისა მთავარაჲსდისაჲთა“, სადაც დასახელებულია წიგნის გადაწერის ადგილი და გადამწერის ვინაობაც, რაც ჩვეულებრივ გადამწერთა ანდერძებში უფრო გვხვდება, ვიდრე მთარგმნელის ანდერძში. მაგრამ აღწერილობის მიხედვით გადამწერის I ანდერძად მიჩნეული ტექსტი რომ ეფრემს ეკუთვნის და არა იოანე მთვარაჲსძეს, ეს თვით ამ ანდერძის ტექსტიდან ჩანს: „ღმერთო, შეიწყალე და ადიდენ სასუფეველსა შინა მამანი მნათობნი ჩუენნი,

ანტონ ტბელი და კვრიკე ალექსანდრიელი, სიტყვით და საქმით **ძალ-მნე მეყვნეს თარგმანსა ამას**. ლოცვითა აცხოვენ ყოველნი ძმანი ეზრას მონასტრისანი ... ". ცხადია, "ძალ-მნე მეყვნეს თარგმანსა ამას" – ამჟამად ეფრემ მცირის სიტყვებია და არა გადამწერისა. ანდერძის ეს ნაწილი ეფრემის ანდერძის გაგრძელებად მიაჩნია მ. შანიძესაც (შანიძე, 1971, 71-72) ეფრემის ცნობით, "ფსალმუნთა თარგმანების" Q37-ში შენახული ნუსხა ეზრას მონასტერში თვით ეფრემისთვის გადაუწერია იოანე მთვარაასძეს.

ზემოთ მოყვანილი ტექსტი ანდერძისა რომ მთარგმნელს ეკუთვნის, ამას გადამწერის ანდერძიც ადასტურებს: „ეფრემ თარგმანისა მიერ ზემოწესენებულმან და პირველისა ნიგნისა მისთვის დამწერელმან, იოანე ხუცესმან მთავარაასძემან ესე ან ჩემთვის გარდამოვიწერე, ვითარ ვჰგონებ უნაკლულოდ და მართლად“ (Q 37,317). იოანე მთვარაასძის ამ ანდერძის „ეფრემ თარგმანის მიერ ზემოხსენებული იოანე“ სწორედ აღწერილობით გადამწერის | ანდერძში ხსენებული იოანე ხუცეს-მთავარაასძეა, რომელმაც ქრონიკონს ტია (1091 წ.) კასტანას ეფრემის მამობასა შინა, თავისთვის გადმოწერა მის მიერ ადრე (1080 წ.) ეფრემისთვის გადაწერილი ნუსხიდან ფსალმუნთა თარგმანება.

„ფსალმუნთა თარგმანების“ ბოლოსა ანდერძი იწყება წმინდა სამებისადმი მიმართული ლოცვით და ღირსთა მამათა, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების, მოხსენიებით, რასაც მოსდევ ეფრემის მოძღვრის, მისთვის „თანადგომითა და უფროსლა ოხითა და წინაძლომით“ ხელშემწყობი ბერის საბა სულაასძე თუხარელის ხსენება. როგორც ეფრემი აღნიშნავს, მხოლოდ მისი თანადგომითა და მეოხებით გახდა შესაძლებელი „განზოგება“<sup>12\*</sup> ნიგნისა ამის, რომელსა უწოდებენ **თარგმანნი და ვითისანი**, ანუ თუ **თარგმანი და ვითისაჲ**“. აქ ეფრემი ჩვეულებისამებრ ყურადღებას ამახვილებს ნიგნის სათაურის სწორად თარგმნაზე. ეფრემის მიერ თარგმნილ ეგზეგეტიკურ ძეგლს უნდა უწოდონ ან **"თარგმანნი და ვითისანი"**, რადგან მასში მრავალი მთარგმნელის კომენტარია გაერთიანებული და ამიტომ სიტყვა "თარგმანი" მრავლობით

12 ცნობილია, რომ „ფსალმუნთა თარგმანების ეფრემისეული თარგმანის სრული ტექსტი შემონახული არ არის. ჩვენ მხოლოდ მისი პირველი ნაწილი (სულ 76 ფსალმუნის თარგმანება) შემოგვრჩა. მ. შანიძის ვარაუდით, რომელიც ეფრემის „შესავლის“ და „თარგმანების“ ტექსტის ურთიერთმიმართებას ემყარება, ეფრემს ბოლომდე უნდა ეთარგმნა ეს ნიგნი. ეფრემის შრომის მეორე ნაწილი ექსცერპტების სახით შემორჩენილია ფსალმუნთა ე. წ. „გამოკრებულ თარგმანებაში“.

რიცხვში უნდა იყოს, ან "თარგმანი დავითისაჲ", რადგან განმარტება ერთი მთლიანისა "ერთგუამობისათჳს და ურთიერთას შენანწერებისა პატიოსანთა მათ ასოთა, მისივე და ერთისა თავსაკიდურისა ქრისტესდა დამოკიდებულთაჲსა"(Q37,316v) ამ სიტყვას მხოლობითი რიცხვის ფორმით („თარგმანი“) ხმარობენო.

აღსანიშნავია, რომ ეგზეგეტიკული თხზულებების სათაურებს ეფრემი, როგორც ჩანს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, მისი აზრით, განსხვავებული ტიპის თარგმანებანი ერთმანეთისაგან სათაურითაც უნდა ყოფილიყვნენ გარჩეულნი. ამიტომაც სთავაზობს პავლეს ეპისტოლეთა კომენტარებზე დართულ ანდერძში ქართველ მკითხველს, იოანე ოქროპირის ვრცელ თარგმანებას **"პავლეს თარგმანი"** უნოდეთ, ხოლო კირილე ალექსანდრიელის შედგენილ კატენურ შრომას კი **"პავლე თარგმანიანიო"** (Ath.18, 236).

„შესავალში“ ხაზგასმით ნათქვამს ეფრემ მცირე „ბოლოდა ანდერძში“ კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ სათარგმანებელი ტექსტი ფსალმუნისა გიორგი მთანმიდლის თარგმანიდან აიღო, რომელიც უნაკლულად თარგმნილად მიაჩნია, ხოლო „თარგმანი მუხლთაჲ“, ანუ განმარტება კი, როგორც შესავალშიც გვაუწყებს, ახლად ითარგმნა (ახლად თარგმნა აქაც პირველად თარგმნას ნიშნავს).

ანდერძის დასასრულს ეფრემი სთხოვს ყველას, ვინც „მიემთხვევიან წმიდასა ამას წიგნსა“, ილოცონ ზემოხსენებული მამებისთვის – საბა თუხარელისა და ეფრემ ოშკელისთვის, „მოძღუართა, მშობელთა, ძმათა და შვილთა მათთვს,“ რადგან მხოლოდ მათი წინაძღომით, ანუ „საჭეთმპყრობელობით, მათი საწმარითა და წარსაგებელით ქმნულ არს ყოველივე კეთილი ჩუენ ზედა ღმრთისა მიერო“, -შენიშნავს ეფრემი.

მხატვრული თვალსაზრისით საინტერესო შედარება გვაქვს ანდერძის ბოლოს. ღმერთმან „ძუჴლ ოდესმე კარულიცა ბალაამისი აღატყუა, რომლისა არარაჲ უნაკლულევანეს არს აღტყუჴბაჲ პირუტყუთ სახესა ამას გონებასა ჩემ მცირისა და უნდოჲსა ეფრემისსა, რომელმან ესე ვთარგმნე ბერძენთა ენისაგან ქართველთა ენად“ (Q37,316v; QI, 43-44).

**გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმანზე დართული კოლოფონები.**

**ა) თექვსმეტსიტყვიანი ლიტურგიკული კრებულის "თავისა ანდერძი" და "ბოლოჲსა ანდერძი".** ეფრემ მცირის თარგმნილი გრ-



იგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა თექვსმეტსიტყვიანი კრებულები სადღესასწაულო დღეებში წასაკითხ 16 სიტყვას შეიცავენ, რასაც ხშირად ერთვის გრიგოლის სიტყვა "ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს" და ზოგჯერ კი "ასეულნი იამბიკონიც". გარდა ამისა, ამ კრებულებში ხშირად შეტანილია გრიგოლ ხუცესის "გრიგოლ ღმრთისმეტყველის ცხოვრება", სოფრონ იერუსალიმელის "სიტყუად შესხმისაჲ გრიგოლ ღმრთისმეტყუელისაჲ" და ფსევდონონეს მითოლოგიური კომენტარებიც (ბრეგაძე, 1988, 7; 133-187; რაფავა, 1990, 66-67).

16 სადღესასწაულო სიტყვის შემცველი ეფრემისეული კრებული დაცულია სულ თერთმეტ ხელნაწერში. ამათგან 8 ხელნაწერი XII-XIII საუკუნეს განეკუთვნება (A109; A1490; K.9; Jer.8; Jer.13; Jer.15; Jer.43; Sin 79), ხოლო 3 ნუსხა გვიანდელია (A292, S369, S1189). შედგენილობისა და თხზულებათა რიგის მიხედვით ზემოთ ჩამოთვლილი 11 ხელნაწერიდან 9 ერთნაირია. გამოჩაღებისა A292 და Sin 79 ხელნაწერები, რომელთაგან პირველი 1800 წელს გადაწერილი ნუსხა, გრიგოლის სადღესასწაულო სატყვეობის გარდა, კიდევ 25 თხზულების თარგმანს შეიცავს და ეფრემ მცირის თარგმანების თითქმის სრულ კრებულს წარმოადგენს (ლაფონტენი, მეტრეველი, 1977, 69-73), ხოლო Sin 79-ში მხოლოდ 5 სიტყვის თარგმანია წარმოდგენილი ოდნავ განსხვავებული რიგით (ბრეგაძე, 1988, 143-144).

თექვსმეტსიტყვიანი კრებულებიდან მოცულობისა და შედგენილობის მიხედვით ყველაზე სრულია ორი ნუსხა: Jer. 43 და Jer.13. სწორედ ამ ორ ხელნაწერშია შემორჩენილი მთარგმნელის „თავისა ანდერძი“ (Jer.43,1r-4r) და „ბოლოჲსა ანდერძი“ (Jer.13,250r).

მთარგმნელის წინასიტყვაობას აქ ეპისტოლეს ხასიათი აქვს. მისი ადრესატია ბერი კვირიკე ალექსანდრიელი, რომელმაც, ეფრემის სიტყვით, „ზედმინვნით უწყის რაბამობაჲ ბერძენთა და ქართველთა ენებისაჲ“ და რომელსაც, როგორც ჩანს, დაუვალებია ეფრემისათვის გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვათა კრებულის თარგმნა.

ეს ეპისტოლე, ისევე როგორც საერთოდ ბიზანტიური ეპისტოლე (პოპოვა, 1974, 182), მიუხედავად კონკრეტული ადრესატის არსებობისა, მკითხველთა ფართო წრისთვისაა გათვალისწინებული და ფაქტიურად გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებულისათვის დაწერილ მთარგმნელის შესავალს წარმოადგენს. როგორც აღვნიშნეთ, იგი ერთადერთ ხელნაწერს შემორჩენია და ისიც საკმაოდ დაზიანებულად. განსაკუთრებით დაზიანებულა

დასაწყისი ამ ეპისტოლისა, სადაც ზოგიერთი სიტყვის ამოკითხვა არც ხერხდება. გრიგოლის 16-სიტყვიანი კრებულებიდან Jer.43 ერთადერთია, რომელიც თავნაკლული არ არის. ამიტომ შემოგვრჩა იქ ეფრემის ეს ეპისტოლე, რომელიც საფიქრებელია, რომ წინ უძღოდა ამ ტიპის ყველა კრებულს და „თავისა ანდერძის“ ანუ წინასიტყვაობის ფუნქციას ასრულებდა. გრიგოლის ლიტურგიკულ კრებულებს ამთავრებდა „ბოლოასა ანდერძი“, რომელიც კრებულთა ბოლონაკლულობის გამო დღეს ასევე ერთადერთი (Jer.13) ხელნაწერთაა შემონახული.

ორივე ანდერძი რამდენჯერმეა გამოქვეყნებული. პირველად ისინი რ. ბლეიკმა გამოაქვეყნა 1926 წელს (ბლეიკი, 1926, 166-172); ხოლო შემდეგ დაიბეჭდა ნ. მარის მიერ შედგენილ იერუსალიმურ ხელნაწერთა აღწერილობაში (მარი, 1955, 22-23, 71-76). უკანასკნელი გამოცემა ამ ანდერძებისა თ. ბრეგაძეს ეკუთვნის (ბრეგაძე, 1988, 147-149; 163). ეფრემის ამ ანდერძებს ხშირად იმონმებენ ნაზიანზელის შემოქმედებითი მემკვიდრეობისა და განსაკუთრებით მისი ქართული თარგმანების მკვლევარნი (რაფავა, 1995, ოთხმეზური, 1995ა, ბ.; 1997; 1998; 2001; 2002; ქ. ბეზარაშვილი, მ. მაჭავარიანი, 1995; ქ. ბეზარაშვილი, 1998; 1999; 2001, ა, ბ; 2002; 2003; 2004).

„თავისა ანდერძის“ ძირითადი პათოსი თავმდაბალი ბერის თავის მართლებაა, რომელიც შიშობს, ვინმემ მის საქმიანობაში „თავისა უმჯობესად გამოჩინების სურვილი“ არ დაინახოს და კადნიერების გამო მაცყვდრებელ არ ექმნეს მას. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ „თავისა განმართლებაა უცხო არს წესთაგან მონაზონთაასა“, მთელი ეპისტოლე ფაქტობრივად თავის მართლებაა. მაგრამ ამასთან ერთად ეფრემი თავის მთარგმნელობით პრინციპებსაც აყალიბებს, ასაბუთებს რა ექვთიმესაგან ერთხელ თარგმნილის ხელმეორედ თარგმნის აუცილებლობას. ანდერძი შეიცავს ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის საყურადღებო მრავალ ცნობასაც.

უნ. ყოვლისა, ეფრემის ეპისტოლე არკვევს, რომ მას გრიგოლ ღვთისმეტყველის თექვსმეტსიტყვიანი კრებულები უთარგმნია ბერი კვირიკეს დავალებით, რომლის თხოვნა დიდი ხნის მანძილზე ყურად არ უღია, რადგან "დიდ საკადრებელ იყო ჩემდა შესვლად შეუვალთა" და ახლაც, როდესაც "მრავალწელინდუელი ურჩებაა, უფროასლა მოშიშებაა", დაარღვია, ამის მიზეზი ისევ კვირიკე ბერია, რომელიც ეფრემს "მოსედ და შუამდგომლად, უფროასლა ჯიდად წიაღმყვანებელად" ეგულება. "შესავლის" შემდეგი ნაწილი

იმის მტკიცებას უჭირავს, რომ "შემდგომნი თარგმანნი პირველ დამშურალთა თარგმანთა ნიგნებისაგან განისწავლებიან". ეფრემ მცირე ამიტომაც თვლის თავს ექვთიმე ათონელის მოწაფედ და მის მიერ თარგმნილი თხზულებების შიშითა და ძრწოლით გამართვის უფლების მქონედ.

ეფრემის სიტყვით, გრიგოლ ღვთისმეტყველის ამ თექვსმეტი საკითხავის თარგმნისათვის მას საკმაოდ დიდი დრო მოუნდომებია: "რამეთუ არა ვითარ ვჰგონებ ექუსეულ, არამედ მრჩობლ ექუსეულცა იქმნეს თუენი ჩემისა ამათ ათექუსმეტთა საკითხავთა შრომისანი და მცირედ წარმართ"(2v). მიუხედავად იმისა, რომ კვირიკე ბერი, რომელსაც ჰქონდა „შიში ამიერ მიცვალები-საჲ“, აჩქარებდა მას, ეფრემს „მრჩობლ ექუსეული“ თვე უმუშავია ამ საქმეზე, რადგან „არა შეუძლებელ იყო გარენარ ქმნაჲ ამათ ადგილთაჲ, სადა სიტყუათა შეცვალებაჲ მიხუდებოდა“, რადგან, როდესაც თარგმანში რომელიმე სიტყვას ცვლიდა („რა-ჟამს ცვალებაჲ მინდის სიტყვისაჲ“), ჯერ თარგმანებას ანუ კომენტარებს ჩახედავდა და შეუდარებდა („პირველად თარგმნითა გავჰმართი“), მაგრამ ამასაც არ ჯერდებოდა და საექვო სიტყვათა მნიშვნელობებს ანტიოქიის საპატრიარქოს ფილოსოფოს-თა და მიტროპოლიტთა და „თვთ მათ ყოველთა უბრძნესისა და წმიდისა მეუფისა“ დახმარებით გამოიძიებდა, რასაც, ბუნებრივია, გარკვეული დრო სჭირდებოდა.

ეფრემის ცნობით, მუშაობა სხვა მიზეზითაც ფერხდებოდა: მას დავალებული ჰქონდა „წმიდისა ოდენ სიტყუანი მარტოდ“ ეთარგმნა და „ზედადართული ყოველი და თარგმანისაგან ჩართული“ დაეტოვებინა. მაგრამ ექვთიმეს მიერ „შემატებისა და კლების“ მეთოდით შესრულებული თარგმანები ეფრემს ზეპირად სცოდნია, ამიტომაც ზოგჯერ „ძუელი წარზიდავდა“, ანუ თარგმნისას მისდაუნებურად ძველი თარგმანის ესა თუ ის ადგილი აგონდებოდა, რომელიც ხშირად დედანს არ შეესაბამებოდა. ამიტომაც, „დალაცათუ დაწერი რაჲმე, რომელი არა იყვის დედასა, არა დავიცონი კულა აჟოცად და მართლად დაწერად“, რაც, რა თქმა უნდა, ახანგრძლივებდა თარგმანზე მუშაობას. „ამის პირისათვს დიდად დავიყოვნეო“, – აღნიშნავს ეფრემი.

მიუხედავად კვირიკე ბერის გამხნევებისა, როგორც ჩანს, ეფრემს მაინც ანუხებდა, რომ მან ექვთიმეს თარგმნილ ჰომილიებს ხელმეორედ თარგმნა შეჰბედა, ამიტომაც ანდერძის ბოლო ნაწილში ისევ უბრუნდება ამ საკითხს.

აღსანიშნავია ამ ანდერძში ეფრემის მიერ გაკეთებული

განცხადება: „ხოლო მართლისა სარწმუნოებისათვის მზა ვარ სიტყვსგებად ყოველთა გამომეძიებელთა და შევარჩუნებ ყოველსა წვალებასა და წინააღმდეგობსა წმიდათა მამათა და მართლმადიდებელთა კრებულთა სჯულისდებისასა. და ესრეთ მსწამს, ვითარცა ქადაგებს დიდი გრიგოლი ღმრთისმეტყველი. ხოლო თუ ვითარ, ანუ რასა ქადაგებს, ეს თვთ მას ჰკითხვით, ხოლო მე მართლმორწმუნესა შვილსა თქუენ ყოველთა კათოლიკე ეკლესიისა, ცალიერსა ყოველთა კეთილთა საქმეთაგან, წმიდაა ლოცვაჲ თქუენ მომმადლეთ წინდად საუკუნოჲსა ცხოვრებისა (4r). ეფრემის ამ სიტყვებს თითქოს აპოლოგიური იერი დაჰკრავს. ჩანს, მას საყვედურობდნენ არა მარტო იმისთვის, რომ ექვთიმეს თარგმნილი თხზულებების ხელახლა თარგმნა გაბედა, არამედ მის თარგმანებში ზოგიერთნი „მართალი სარწმუნოების“ საწინააღმდეგო აზრებსაც ხედავდნენ. შესაძლოა, ამიტომაც უხდებოდა ეფრემს იმის ხაზგასმაც, რომ „ბერძულსა შინა ესრეთ არს და ღვთისმეტყველსა ესრეთ უთქუამს და მიერთგან ნულარა მე, არამედ წიგნსა ემჯოდეს და ღმრთისმეტყველსა ამისსა გამომეტყველსა“ (3v).

შესავლის ბოლოს, ჩვეულებისამებრ, დასახელებულია ამ წიგნის თარგმნისას ხელშემწყობი პირი – ბერი საბა, რომლის ლოცვითაც გაძლიერებულ ეფრემს ბოლომდე მიუყვანია დაწყებული საქმე.

Jer. 43 ხელნაწერში შენახული ეფრემის ეს „მოზრახული“, როგორც აღვნიშნეთ, ეპისტოლეა და მისი ადრესატია ბერი კვირიკე. იგივე კვირიკე ბერი, ოღონდ ამჯერად როგორც ბერი კვირიკე ალექსანდრიელი დასახელებულია გრიგოლის თექვსმეტსიტყვიანი კრებულის „ბოლოჲსა ანდერძში“, რომელიც Jer.13 ხელნაწერში გვაქვს (Jer.13,250r). „ბოლოჲსა ანდერძის“ ბერი კვირიკე ეფრემის „სულიერი მამაა“ და გრიგოლის სადღესასწაულო ჰომილიების „კუალად მეორედ ბერძულისაგან ქართულად თარგმნის“ ინიციატორი. კვირიკესთან ერთად ანდერძში დასახელებულია ისევ საბა, რომლის ლოცვითაც „სრულყვნა ღმერთმან ათექვსმეტნი ესე საეკლესიონი სიტყუანი დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყველისანი“ და იოანე ხუცი მთავარაჲსძე, „რომელმან არა დაგკურვა თვისი ქაღალდი სასურელად და პური საზრდელად თანადგომითურთ თვისით, რაჲთა ესრეთ სრულ იქმნეს მრავალყამეული იძულებით ბრძანებაჲ სულიერისა მამისა ჩუენისა ბერი-სა კვირიკე ალექსანდრიელისაჲ“ (250r).

„ბოლოჲსა ანდერძში“ ეფრემი ისევ უბრუნდება თავში დართულ წერილში დანვრილებით განხილულ საკითხს, მისგან გრ-

იგოლის ჰომილიების ხელმეორედ თარგმნას და აღნიშნავს, რომ მისი თარგმანები ცხადად უჩვენებენ „მეძიებელთა და მაცუენდრებელთა, თუ ვითარისა სიღრმისა და სიტყუა-მოკლეობისაგან, ვითარ სივრცედ და განათლებად მიეწინეს ესენი (ქართველები დ. თ.) წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳმეს დიდისა პავლეს მსგავსად სძითა მზრდელსა ჩუენისა სარჩოებისასა და ესოდენ ჰასაკად მიმან-ევნელსა, ვიდრელა აწ უმტკიცესისა საზრდელისათჳს აღვისურ-ვეთო“. ეფრემის აზრით, მისი თარგმანები „მტკიცე საზრდელია“ ქართველი მკითხველისათვის, რომელიც, მართალია, „სძითაა გაზრდილი“, მაგრამ იმ ასაკამდეა მიწვეული, რომ უკვე მაგარ საკვებს ითხოვს.

ანდერძს ეფრემი ჩვეულებრივი ვედრების ფორმულით ამთავრებს: „გევედრები... ყოველთა..., რაათა უსასყიდლოდ ლოცვასა მომიწსენოთ მრავალ საღმობიერად მკჳდრი ჯოჯოხეთისაჲ, ყოვლად უბადრუკი მცირე ეფრემ; შემინყალეთ, წმიდანო, შემინყალეთ და სასოებასა ჩემსა ნუ არცხუენთ (Jer.13,250r).

გრიგოლ ნაზიანზელის თექვსმეტსიტყვიანი კრებულის „თავისა ანდერძში“ (Jer.43,1r-4r) ეფრემი ამ კრებულის თარგმნასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს ეხება, მათ შორის, დედნად შერჩეულ ბერძნულ ტექსტებსაც. ეფრემის ცნობით, მას დედნად ჰქონია ბასილი გრამატიკოსის მიერ “უცთომელად და გამონუ-ლილვით გამართული” ბერძნული ტექსტი, რისთვისაც მადლობით მოიხსენიებს მას თავის წერილში: “ღმერთმან თქუენითა მადლითა აკურთხენ და ნეტარ ყვენ სული ბასილი ღრამატიკოსი-საჲ და შეუნდვენ ამის დედისა ჩემდა მომცემელთა, უცთომელად და გამონულილვით გაემართა და ყოველნი დაჯერებულ იქმნეს ამას დედასა” (Jer.43,3r). ეფრემის მიერ აქ დასახელებულ ბასილი გრამატიკოსს კ. კეკელიძე ეფრემის ორიგინალურ ისტორიულ თხზულებაში („უნყებაჲ მიზეზთა ქართველთა მოქცევისასა...“) ნახსენებ ბასილი გრამატიკოსად მიიჩნევს და აღნიშნავს: „ეს ბასილი, ალბათ, ის ბასილი გრამატიკოსია, რომელიც ანტიოქიის პატრიარქს მეთერთმეტე საუკუნის ორმოციან წლებში საქართველოში გამოუგზავნია, ეფრემისავე ცნობით, „წვალებისათჳს აკაკთაჲსა“ (კეკელიძე, 1980, 265). მართალია, ეფრემის „უნყებაჲში“ მითითებული არ არის თარიღი, თუ როდის „წარივლინა ბასილი ღრამატიკოსი წვალებისათჳს აკაკთაჲსა“ საქართველოში, მაგრამ აღნიშნულია, რომ ეს იყო „ნეტარისა თეოდორე პატრიარქისა დღეთა“ (ეფრემ მცირე, 1959, 10). კ. კეკელიძის აზრით, ეს მომხდარა 1042 წელს. „როგორც ნიკონ შავმთელი მოწმობსო“, – შენიშნავს

პატივცემული მკვლევარი სქოლიოში (გვ. 265), თუმცა ნიკონ შავმთელის რომელ თხზულებაშია ამაზე ლაპარაკი, იგი არ მიუთითებს. ვფიქრობთ, „უნწყებას“ ბასილი ღრამატიკოსის ეფრემის ეპისტოლეს ბასილისთან გაიგივება არ არის აუცილებელი. ჩვენი აზრით, ეფრემის მიერ კვირიკე ბერისთვის მიწერილ ეპისტოლეში დასახელებული ბასილი ღრამატიკოსი შესაძლოა იყოს X საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწე, კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსი ბასილი, რომელიც თავმდაბლობის ნიშნად „ἐλαχιστός“-ად “Minimus“-ად ანუ „მცირედ“, „უნდოდ“ იწოდებოდა, საპირისპიროდ IV საუკუნის საეკლესიო მამის, ასევე კესარია-კაპადოკიის ეპისკოპოსის, ბასილი დიდისა. ამ ბასილი უნდოს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VII პორფიროგენეტისათვის (913-959 წ. წ.) ქრისტეშობის დღესასწაულზე მიუერთმევია გრიგოლ ნაზიანზელის 16-სიტყვიანი კომენტირებული კრებული, რომელსაც წინ უძღოდა მისივე ეპისტოლე იმპერატორისადმი (ოთხმეზური, 1989, 18-31), საიდანაც ირკვევა, რა სამუშაო ჩაუტარებია ბასილის. მას შეუკრებია გრიგოლის ჰომილიებზე არსებული კომენტარები, შეუმოკლებია, ნაწილობრივ გაუმარტივებია, დაურთავს საკუთარი განმარტებებიც და ამ სახით მიუერთმევია კრებული კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის.

ეფრემ მცირეს დედნად სწორედ ბასილი უნდოს ანუ ბასილი ღრამატიკოსის შედგენილი ამგვარი კრებულები ჰქონია, რასაც, ეფრემის ეპისტოლეს გარდა, ხელნაწერთა ჩვენებაც ადასტურებს. ეფრემის მიერ თარგმნილი გრიგოლის 16-სიტყვიანი კრებული სწორედ კომენტირებული კრებულია (A109, Jer.13, Jer.15, Jer.43, A16, A1338), რომელთაგან ზოგიერთს ამ კრებულის შემდგენელ-რედაქტორ-კომენტატორის სახელიც შემოუნახავს. კერძოდ, Jer.13 ხელნაწერში გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის „ეპიტაფიად დიდისა ბასილისათვის“ კომენტარებს ასეთი სათაური აქვს: *“თქუმული ბასილი კესარიელ პროტოთრონისაჲ უწყებაჲ მიზეზსა რაჲსათვის ეპიტაფიად ზედანარწერილ არს საკითხავი ესე”* (Jer.13.299 r).

ამასთანავე, როგორც გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ეფრემ მცირისეული კრებულების მკვლევარმა მ. რაფავამ შენიშნა, ეფრემის კრებულებში ჰომილიები დალაგებულია იმ რიგით, როგორც ეს ბასილი უნდოს კრებულშია. ამავე დროს, ბასილის კომენტარების შემცველ ბერძნულ ნუსხებში არის რამდენიმე მცირე მოცულობის ტექსტი (საიდაკი, 1914, 71), რომლებიც დასტურდება ეფრემის თარგმანების შემცველ ზოგიერთ ნუსხაში (Jer.15, Jer.43), რაც მკვლევარს აძლევს შემდეგი ვარაუდის გამოთქმის უფლე-

ბას: „16 ლიტირგიკული ჰომილიის ეფრემ მცირის თარგმანის შემცველი კრებულის დედანი შესაძლოა იმ ბერძნულ ხელნაწერებში ვიგულოთ, რომელშიც ბასილი მცირის კომენტარებია დადასტურებული“ (რაფაეა, 1990, ა, გ78). რადგან ეფრემმა სწორედ ბასილი მცირის მიერ კომენტირებული კრებული თარგმნა კვირიკე ბერის დაჟინებული თხოვნით და ლოცვა-კურთხევით, სავარაუდოა, რომ მოძღვრისადმი მიწერილ ეპისტოლეშიც სწორედ ბერძნული დედნის „უცთომელად და გამონულილვით“ გამმართველი ბასილის მოიხსენიებდა, რომელიც X საუკუნის მოღვაწეა და არა სხვა ბასილის (მართალია, ასევე ღრამატიკოსად წოდებულს), რომელიც XI საუკუნის 40-იან წლებში ანტიოქიიდან საქართველოში წარმოუგზავნიათ არიანობის ნიაღში აღმოცენებული აკაკიელთა ერესის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ის, რომ ეფრემის ეპისტოლეში ეფრემის ხელთ არსებული ბერძნული დედნის გამმართველი ბასილი იხსენიება ღრამატიკოსად და არა „მინიმუსად“, „უნდოდ“ ან „პროტოთრონად“, როგორც იწოდება ის სხვა წყაროებში, ვფიქრობთ, ხელს ვერ შეუშლის ეფრემის ეპისტოლეს ბასილის ბასილი მინიმუსთან გაიგივებას, რადგან ბასილის ღრამატიკოსად წოდებით ხაზგასმულია მის მიერ განეული მუშაობის ხასიათი. გრამატიკოსობა ეფრემის ერთი სქოლიოს მიხედვით, კომენტირებას, განმარტებას, „სიღრმით შეყინებული“ ადგილების გასაგებად გადმოცემასაც გულისხმობს (A24,14v; თვალთვაძე, 1993)<sup>13</sup>. ბასილი უნდოს მიერ კომენტირებულ კრებულში სწორედ ნაზიანზელის ჰომილიათა ამგვარი „ძნადად გულისწმისაყოფელი“ ადგილებია განმარტებული. ალბათ ამიტომაც უწოდებს ტექსტის ამგვარად დამმუშავებელ მნიგნობარს ეფრემ მცირე გრამატიკოსს.

გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ქართულ თარგმანზე ეფრემ მცირის მიერ დართული არა ერთი „შეისწავე“ მოწმობს, რომ ეფრემსაც დიდი შრომა გაუწევია, რომ ბასილი გრამატიკოსის ნაღვანის მსგავსად მისი თარგმანებიც „უცთომელი და გამონულილვით გამართული“ ყოფილიყო. როგორც ჩანს, ეფრემი ბერძნულ ტექსტებსაც უდარებდა ერთმანეთს და თუკი მათ შორის რედაქციულ სხვაობას შენიშნავდა, ამის შესახებ ქართველ

---

13 „ღრამა“ წერილად გამოითარგმანების, ხოლო „ტიკოსი“ – დამადნობელად რაფთა რაჟამს სთქუა „ღრამატიკოსი“, უწყოდი, ვითარმედ დამადნობელსა იტყვ წერილისასა, ესე იგი არს, რომელი დაჰჰსნის სიმყრტლესა სიტყუათასა, სიღრმით შეყინებულთასა“ (A24.14v; გრამატიკოსის მოვალეობის შესახებ ეფრემ მცირის ნააზრევი იხ. დ. თვალთვაძე, გრამატიკული ხასიათის შენიშვნები ეფრემ მცირის თარგმანებში).

მკითხველსაც აფრთხილებდა: “ხოლო სხუასა დედასა ბერძულსა” სხვაგვარად ეწერაო. ასეთი შენიშვნა აქვს დართული მაგალითად გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვას “კჳპრიანესათჳს”, სადაც ტექსტში იკითხება: “და ვითარ შეჰგავს მასთა საკუთრებით პატივისმცემელთა ჴორცთა დაცლად, სულისა აღსლვად, სიბოროტისა ლტოლვად და სათნოებისა აღორძინებაჲ” (Jer.13,248r). მთარგმნელი საგანგებო ნიშნით გამოყოფს აქ სიტყვას “აღსლვად” და კიდევ შენიშნავს: “ხოლო სხუასა დედასა ბერძულსა სულისა აღდგომილებაჲ” (Jer.13,248r).

მსგავსი ხასიათის შენიშვნა ერთვის გრიგოლ ნაზიანზელის იმავე ჰომილიას სხვა ადგილსაც, სადაც ტექსტში ნახსენებია „მამა“, მთარგმნელი აშიაზე შენიშნავს: „შეისწავე, რამეთუ ბერძული ღმრთისმეტყუელი ვანახვე თარგმანსა და მამად ეწერა, არა დედაჲ, არცა მშობელი ზიარ სახელი“ (Jer.13,241r). როგორც ჩანს, ეფრემის ხელთ არსებულ გრიგოლ ღვთისმეტყველის ამ ჰომილიის განმარტებაში („თარგმანში“) აქ ყოფილა სიტყვა „დედა“, რომლის სისწორეში ეფრემს ეჭვი შეჰპარვია, ამიტომაც „ბერძნული ღმრთისმეტყველით“ ანუ გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის ბერძნული ტექსტით შეუთმონებია ეს ადგილი, იქ კი, როგორც „შეისწავეში“ შენიშნავს, „მამად ეწერა“ და „არა დედაჲ“. ეფრემი იმასაც კი აღნიშნავს, ბერძნულ ღმრთისმეტყველში არ წერია არა თუ დედა, არამედ „მშობელიც“ კი, რომელიც „ზიარ სახელია“, ანუ საერთო აღმნიშვნელია დედისა და მამისა, ამიტომაც ქართულ თარგმანშიც „მამას“ ტოვებს.

გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიებთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეფრემ მცირის გრიგოლ ღმრთისმეტყველის 41-ე ჰომილიას („მეერგასისათჳს და სულის წმიდისა) ერთი ადგილის გამო დაწერილი ეფრემის ორი „შეისწავე“. ორივე „შეისწავე“ გრიგოლ ნაზიანზელის 41-ე ჰომილიის ერთსა და იმავე ადგილს განმარტავს. მათგან ერთი დაცულია Jer.43 (231r), ხოლო მეორე - Jer.13(213v) ხელნაწერში. ღვთისმეტყველის ტექსტის იმავე განსამარტავი პასაჟის გასწვრივ აშიაზე ორივე სქოლიო ერთად არის წარმოდგენილი A 109 ნუსხაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ სქოლიოებს სხვადასხვა დანიშნულება აქვთ.

გრიგოლის ჰომილიაში საუბარია რიცხვ „შვიდის“ პატივისცემის შესახებ. „შვიდეულსა პატივ სცემენ ებრაელთა ყრმანი სჯულისდებითგან მოსესით ... დღეთა უკუე შჯდეულნი შობენ მეერგასესა. ესრეთ შჯდრიცხოებისა პატივისცემამან პატივი მეერგასისაჲ შემოიყვანა, რამეთუ შჯდი თავისა თჳსისა ზედა დართული



შობს მეერგასესა ერთითა ნაკლულ დღითა... ხოლო პატივისათჳს შჳდისა მრავალნი ნამებენ, გარნა ჩუენ მრავალთაგან მცირედი კმა გუეყოს”-ო, აღნიშნავს ნაზიანზელი და ჩამოთვლის რამდენიმეს: „ცოდვათაგან არა ხოლო შჳდგზის, არამედ სამეოცდაათ-შჳდგზის შეენდობვის, კაენ შჳდგზის დაისჯების... შვიდგზის დღესა შინა ღმერთი იქების... გულისჯმა-ვყოფ შჳდ საყვრთაცა ისო-ნავეან-ისათა და ესოდენთავე გარემოვლათა და დღეთა და მღდელთა შჳდობასა, რომელთაგან დაიძრჳნ ზღუდენი იერიქოჳსნი, ვითარ-იგი სამ შთაბერვასაცა ელია წინაჲსწარმეტყუელისასა სარეფთეს ქურივის ძისა ცხორებისა მიმფენელსა...“ (Jer.43,231r).

გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიიდან ეს ვრცელი ნაწყვეტი საგანგებოდ მოვიყვანეთ, რომ ადვილი დასანახი ყოფილიყო, რამ გამოიწვია ეფრემ მცირის დაეჭვება. მთელი მსჯელობა იქითკენა მიმართული, რომ შვიდი განსაკუთრებული, საკრალური რიცხვია, რისთვისაც არაერთი მაგალითია დამონმებული და ამ კონტექსტში ნახსენებია ელია წინასწარმეტყველის მიერ სარეფთელი ქვრივი ქალის შვილის გაცოცხლება *სამ შთაბერვით*. ამიტომაც ეფრემს, რომელსაც შეუმჩნევია შეუსაბამობა მის ხელთ არსებულ გრიგოლის ბერძნული ტექსტის ამ მონაკვეთსა და ამ პასაჟის ბასილი მინიმუსისეულ კომენტარს შორის (საკითხავში იყო „სამ-შთაბერვა ელიაჲსი“, ხოლო ბერძენ კომენტატორს განმარტებული ჰქონდა „შვიდმოქცევა ელიაჲსი“), საგანგებოდ გამოუკვლევია ეს საკითხი და კვლევის შედეგები კიდევ დართულ “შეისწავეში” შეუჯამებია: “შეისწავე”, რამეთუ ესე *შჳდმოქცევაჲ ელიაჲსი* არცა საწინასწარმეტყუელთა შინა იპოების და არცა ზოგთა ღმრთისმეტყუელთა. ვინაჲცა საძიებელ არს, თუ სადაჲათ მოღებულ არს ამისა შჳდმოქცევაჲ ელიაჲსი, რომელი მე მას დედასა, რომლისაგან ვთარგმნენ ესე ღმრთისმეტყუელისა საკითხავნი, ესრეთ ვპოე, ვითარმედ: “*ვითარ-იგი საიდუმლოდ სამ შთაბერვასაცა ელია წინაჲსწარმეტყუელისასა*” და ეგრეთვე მითარგმნია სიტყუჲა ესე, ვითა მუნ ვპოენ. რამეთუ *ელისესთჳს* ოდენ წერილ არს საწინასწარმეტყუელოსა შინა *შჳდგზის მოქცევაჲ*, რომლისა თანა შჳდგზის შეიკუნძა, ხოლო აქა კულა ესრეთ ვთარგმნე, ვითა ვპოე და ეგრეთვე *სხვათაცა ზოგთა ღმრთისმეტყუელთა იპოების ბერძულად და მამასა ეფთჳმეს ეგრეთვე უთარგმნია*, შემინდევით, თუ ესე იყოს, აჰა, წინაშე არს, თუ [სამის]თვის, ვითა ჩემსა დედასა შინა ეწერა, მაშინ ესე თარგმანი სამ შთაბერვისათჳსცა იგი თარგმნის, თუ ვითარ სწორ რიცხუედ არს სამი შჳდისაჲ” (Jer.43,231r.).

ეფრემის ეს სქოლიო შექმნილი უნდა იყოს ეფრემის მიერ

გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილის ტექსტისა და მისი კომენტარების თარგმნის პროცესში. მასში დაფიქსირებულია საექვო ადგილის შესახებ მთარგმნელის მიერ ამ ეტაპზე ჩატარებული კვლევის შედეგები: ეფრემს შეუომონმებია მის ხელთ არსებული დედნის ნაკითხვის სისწორე, რისთვისაც რამდენიმე მიმართულებით წარუმართავს მუშაობა: ერთმანეთისათვის შეუდარებია გრიგოლ ღვთისმეტყველის ამ ჰომილიის ბერძნული ნუსხები, მაგრამ ამას საკითხის გადაწყვეტის საშუალება არ მიუცია, რადგან *“ზოგთა ღმრთისმეტყველთა”* ელიას *შვიდმოქცევა* ეწერა, ხოლო *“სხუათა ბერძულთა დედათა”* კი *“სამ შთაბერვა* ელია წინადაწარმეტყუელისა*”*. ნაზიანზელის ჰომილიის ბერძნული დედნების შედარების შემდეგ ეფრემს პირველწყაროსთვის მიუმართავს, *“საწინასწარმეტყუელოთა შინა”* მოუძებნია შესაბამისი ადგილები და ასეთ დასკვნამდე მისულა, რომ *“ესე შვიდმოქცევა ელიასი არცა საწინასწარმეტყუელოთა შინა იპოების...”,* რამეთუ ელისესთს ოდენ წერილ არს საწინასწარმეტყუელოსა შინა შვიდგზის მოქცევაჲ, რომლისა თანა შვიდგზის შეიკუნძა” (IV მეფ. 4, 34-35)<sup>14</sup>, ხოლო ელიას შესახებ არსად წერია, რომ *“მსგავსად ელისესსა შვიდგზის მოქცეულ და შეკუნძვილ იყო ელიაცა. გარნა სამგზის შთაჰბერა ოდენ”* (III მეფ. 17, 17-20)<sup>15</sup> შემდეგ ეფრემს ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარებშიც მოუძებნია შესაბამისი ადგილი, მაგრამ *“თარგმანიც ამასვე თარგმნის”*, ე. ი. იქაც ელიას შვიდმოქცეობაზე ყოფილა საუბარი. ეფრემს შეუომონმებია ამ ჰომილიის ექვთიმე ათონელისეული თარგმანის შესაბამისი ადგილიც, რომელშიც ეს მუხლი ასეა თარგმნილი: *„ გულისჴმა ყავ შვიდგზის მოქცევასა მას ელია წინასწარმეტყუელისასა“*. რადგან მის ბერძნულ დედანში ექვთიმეს ბერძნული დედნისგან, აგრეთვე, ბიზანტიელი კომენტატორის, ბასილი მინიმუსის მიერ განსამართავად აღებული ბერძნული ტექსტისაგან განსხვავებული ვარიანტული ნაკითხვა დასტურდება, ბერძნულ ნუსხებს შორის არსებული სხვაობა ეფრემს არჩევანის წინაშე აყენებს, რომელი მათგანის ჩვენებას მიანჭოს უპირატესობა და მიუხედავად ყველაფრისა, ერთგული რჩება თავისი ბერძნული დედნისა, რომელსაც *„უექჴ და სანდოდ“* მიიჩნევს: *„მას დედასა, რომლისაგან ვთარგ-*

14 და აღჴდა და დაანვა ზედა ყრმასა და დასდვა პირი თჳსი ზედა პირსა მისსა და თუალნი მისნი ზედა თუალთა მისთა, ჴელნი მისნი ჴელთა მისთა და შეიკუნძა მას ზედა და განტფეს ჴორცნი ყრმისანი მის. და აღსდვა ელისე და მივლო სახლსა მას შინა იმიერ-ამიერ და აჴდა მეორედ, დაანვა ყრმისა მას ზედა შვიდგზის და აღიხილა ყრმამან მან თუალნი თჳსნი“ (მეფ. IV; 4, 34-35).

15 „და დაჰბერა სამგზის ყრმასა მას და ხადოდა უფალსა...“ (III მეფეთ. 17, 17-22)\*

მენ ესე ღმრთისმეტყუელისა საკითხავნი, ესრეთ ვპოე, ვითარმედ: „ვითარ-იგი საიდუმლოდ სამ შთაბერვასაცა ელია წინაჲსწარმეტყუელისასა“ და ეგრეთვე მითარგმნია სიტყუაჲ ესე, ვითა მუნ ვპოენ“. ეფრემი ამ განსხვავებული ვარიანტის ტექსტში გაჩენის ახსნასაც ცდილობს: „ესე თარგმანი სამ შთაბერვისათვისცა იგი თარგმნის, თუ ვითარ სწორ რიცხუედ არს სამი შვიდისა“.

ეფრემს ამ საკითხის კვლევა ამით არ დაუსრულებია. „საძიებელ არს, თუ სადაჲათ მოღებულ არს ამისა შვდმოქცევაჲ ელიაჲსი“- წერს ის. მეორე იერუსალიმური ხელნაწერის სქოლიოში Jer.13(213v) სწორედ შემდგომი კვლევის შედეგები უნდა იყოს ასახული. „შეისწავე, ვითარმედ სხუათა ბერძულთა დედათა ესრეთ იპოვა, „ვითარ იგი შვდ მოქცევასაცა ელია წინასწარმეტყუელისასა სარეფთე“ და თარგმანი ამასვე თარგმნის. გარნა ამას დედასა, რომელ მე მქონდა, ესე საიდუმლოდ სამშთაბერვაჲ ეწერა, ვითა აქა დამინერია. და არცა საწინასწარმეტყუელოთა შინა იპოების, თუცა მსგავსად ელისესსა შვდგზის მოქცეულ და შეკუნძვილ იყო ელიაცა, გარნა სამგზის შთაჰბერა ოდენ“ (Jer.13.213v.)

როგორც ამ შენიშვიდან ჩანს, ეფრემს უპოვია ისეთი ბერძნული ხელნაწერები, რომლებშიც დასტურდება ელიას შესახებ ვარიანტული ნაკითხვა – “შვდმოქცევაჲ ელიასი“, რის განმარტებასაც იძლევა ბერძენი კომენტატორი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეფრემი მაინც ერთგული რჩება იმ ბერძნული დედნისა, რომელიც მას თარგმნისას ჰქონია ხელთ.

ეფრემ მცირის „მოზრახულ“ ანდერძებსა და „შეისწავებებში“ დაცულ ცნობებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ როგორც გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა ბერძნული დედნების ურთიერთმიმართების, ასევე გრიგოლის ჰომილიათა ქართული თარგმანის დედნის დადგენისათვისაც. ეფრემ მცირის მიერ დედნად გამოყენებული მანუსკრიპტი იმ ნუსხათა შორისაა საძიებელი, სადაც „ელიას სამშთაბერვა“, „სულთა აღდგომილება“ და ეფრემის მიერ მითითებული ამგვარი განსხვავებული ნაკითხვები გვაქვს.

**ბ) გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა თარგმანზე დართული სხვა ანდერძები.** თექვსმეტსიტყვიანი სადღესასწაულო კრებულების გარდა, ეფრემ მცირემ გრიგოლ ნაზიანზელის მრავალი სხვა თხზულებაც თარგმნა (ბრეგაძე, 1971, 435-414). მათგან უდიდესი ნაწილი თავმოყრილია 1800 წელს იოანე ოსეს ძის მიერ გადანერჩილ ხელნაწერში (A292), რომელიც, როგორც გადამწერის ანდერძიდან ირკვევა, ნაზიანზელის თხზულებათა ეფრემ მცირე-

სეული თარგმანების შემცველი "ორ ტომედი" დედნისაგანაა გად-  
ანერილი (A292, 405r).

კრებულში გაერთიანებული 43 სტატიიდან 25, რომელთაგან  
ზოგიერთს მთარგმნელის ანდერძიც ახლავს, მხოლოდ ამ ნუსხამ  
შემოგვინახა (A292 ხელნაწერი კრებულის შედგენილობის შესახებ  
იხ. რაფავა, 1990, . 79-84; ლაფონტენი, მეტრეველი, 1983, 63-70).  
კერძოდ, A292 ხელნაწერში დაცული გვაქვს ეფრემ მცირის შემ-  
დეგი ანდერძები:

1) ანდერძი, დართული ივლიანეს მეორე განსაქიქებელი სი-  
ტყვის (Or.5) თარგმანზე (A 292,215v).

2) ანდერძი, დართული გრიგოლის სიტყვის „მათდა მიმართ,  
რომელთა დასაბამსავე შემდგომად ხუცობისა მოუწოდეს მას  
აღვსებისათჳს და არა წინა დაემთხვნეს მას“ (Or.3) თარგმანზე  
(A292, 279v).

3) ანდერძი, რომელიც ერთვის გრიგოლის (Or.27) ჰომილიას  
(„ვენომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყუელებისათჳს წინაგან-  
ბჭობა“ (A292, 314v).

4) ანდერძი, რომელიც მთარგმნელს დაურთავს გრიგოლის  
სიტყვის (Or.47) „მეტაფრასი ეკლესიასტისა“ ქართულ თარგმანზე  
(A292,329 r-v).

ეფრემის ეს ანდერძები გამოქვეყნებულია ორჯერ. პირველად  
ისინი დაიბეჭდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტი-  
ტუტის A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობაში 1980 წელს (A I,3),  
ხოლო მეორედ 1988 წელს თ. ბრეგაძის მიერ შედგენილ ნაზიანხე-  
ლის თხზულებათა ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერთა  
აღწერილობაში (ბრეგაძე, 1988, 171-172; 174-175; 182)<sup>16</sup>

ეფრემის ოთხი ანდერძიდან პირველი სამი კონკრეტული თხ-  
ზულების თარგმნასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება, ხოლო  
მეოთხე კი გრიგოლის თხზულებათა სრული კრებულის თარგმნის  
დამთავრების გამოა დანერილი (329 r-v). იგი ერთვის ამ კრებულში  
37-ე ნომრად შეტანილ თხზულებას, „მეტაფრასი ეკლესიასტისი“,  
რომელსაც ბერძნული ხელნაწერები შეცდომით მიაწერენ გრიგოლ  
ნაზიანხელს. მისი ავტორია გრიგოლ ნეოკესარიელი საკვირკელ-  
მოქმედი (P.G. X,col. 988-1017; კეკელიძე, 1980, 258, 463; მისივე

16 თ. ბრეგაძის აღწერილობაში ხელნაწერის პაგინაცია 3 ფურცლით  
სხვაობს A ფონდის აღწერილობის პაგინაციისაგან, ამიტომაც A I,3-ში  
და თ. ბრეგაძის აღწერილობაში მითითებული გვერდები ერთმანეთს არ  
ემთხვევა. ჩვენ თ. ბრეგაძის აღწერილობის მიხედვით ვუთითებთ გვერ-  
დებს.

ეტ. V, 25, 36). ბერძნულ ხელნაწერთა კვალდაკვალ ეს თხზულება გრიგოლ ნაზიანზელისად მიაჩნია ეფრემ მცირესაც. მისი თარგმნით ეფრემს, როგორც ანდერძიდან ირკვევა, დაუსრულებია გრიგოლის 50 სიტყვიანი კრებულის ქართულად გადმოთარგმნა: „რომელნი აკლდეს ერგასისთა მათ თავთა მიერ შესრულებულსა წიგნსა წმიდა გრიგორი ღმრთისმეტყუელისასა და ან არს მომადლებითა შენითა ქართულადცა უნაკლულო რიცხვ საკითხავთა მისთა, ვითარ-იგი ბერძულად და ყოველივე ბერძულისაგან“ (A292,331 r-v).

გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ბერძნულ ხელნაწერებში შედგენილობისა და ჰომილიათა რაოდენობის თვალსაზრისით ერთგვაროვანი სურათი არაა. ნაზიანზელის ჰომილიათა სრული კორპუსი შეიცავს ზოგ ხელნაწერებში 45 ჰომილიას და 10 დანამატს (ანუ ტექსტებს, რომლებიც საკითხავებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ტრადიციით ჰომილიათა კრებულში არიან ჩართული). ხელნაწერთა მეორე ჯგუფში ჰომილიათა რაოდენობაა 47, ან 52 (შინკო, 1923). როგორც ეფრემ მცირის ანდერძიდან ირკვევა, ეფრემი იცნობდა და სარგებლობდა ისეთი კრებულებით, რომელიც „ერგასისი თავისაგან“ ანუ 50 თხზულებისაგან შედგებოდა.

ანდერძიდან ცხადი ხდება, რომ ეფრემის მთარგმნელობითი საქმიანობა მიმართული იყო იქითკენ, რომ ქართულ ენაზე არსებულიყო გრიგოლის ჰომილიათა სრული კორპუსი, თანაც „ვითარ იგი ბერძულად [არს] და ყოველივე ბერძულისაგან“. ამიტომ ეფრემის მუშაობა, ერთი მხრივ, იქითკენ წარიმართა, რომ ეთარგმნა ქართულად გრიგოლის ის საკითხავები, რომლებიც აქამდე არ ყოფილა თარგმნილი (სულ 20 თხზულება) და ამით „სრულქმნილიყო რიცხვი საკითხავთაჲ“ და, მეორე მხრივ, ხელახლა თარგმნა და „ბერძულისადა მიიყვანა“ წინა მთარგმნელთა (დავით ტბელი, ექვთიმე მთაწმინდელი) მიერ ბერძნულიდან უკვე გადმოღებული საკითხავები (სულ 20 თხზულება). ეფრემმა ხელახლა თარგმნა გრიგოლ ოშკელის მიერ სომხურიდან თარგმნილი 27-ე სიტყვაც სწორედ იმიტომ, რომ „ყოველივე ბერძულისაგან“ თარგმნილი ყოფილიყო. ე. ი. ეფრემს სულ უთარგმნია გრიგოლ ნაზიანზელის 41 თხზულება (რაფავა, 1990, 82-84), რაც დავით ტბელისა და ექვთიმე ათონელის თარგმანებთან ერთად მართლაც შეადგენს სრულ კორპუსს გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებისა.

აღსანიშნავია, რომ ნაზიანზელის თხზულებათა სრული კორპუსის ქართულად გადმოღებისას ეფრემის ხელშემწყობ პირად

ამ ანდერძშიც ბერი საბაა დასახელებული (საბა სულაჲს ძე თუხ-არელი), რომელთანაც ერთად იხსენიება ბერი ანტონიც (ანტონი ტბელი). სწორედ მათი ლოცვით მიემადლა „უმსგავსოსა მონასა ეფრემ მცირეს, რაჲთა ვითარცა ძალღმან მოლოკოს ნაბიჭვეისა-გან დაცვენებულისა წმიდათა მათ პირთაგან ევთიმი მთაწმიდელი-სა და დავით ტბელისა ნემტი საკითხავთა“ (A292, 329 r).

ანდერძის ბოლოს მთარგმნელი თხოვნით მიმართავს ყველას, „რომელნი იკითხვიდენ, ჰსწერდენ, გინა კითხვასა ამათსა ისმინდ-ენ“, შეუდონ და მიუტეონ ურიცხვი ცოდვანი და უსჯულოებანი მას და ზემოთ ხსენებულ მამებთან ერთად ლოცვასა შინა მოიხ-სენიონ.

როგორც აღვნიშნეთ, A 292 კრებულში ეფრემის კიდევ სამი ანდერძი გვაქვს დაცული. მათგან პირველი ერთვის ივლიანე განდგომილის განსაქიქებლად გრიგოლის მიერ წარმთქმულ მე-ორე სიტყვას (Or.5), საიდანაც ირკვევა, რომ ეფრემმა თარგმნა ნაზიანზელის ეს თხოვლება იმიტომ, რომ „სრულ იქმნას პირ-ველსავე თანა“ (იგულისხმება ივლიანეს განსაქიქებელი პირველი სიტყვა (Or.4), რომელიც დავით ტბელის მიერ ყოფილა თარგმნი-ლი). „მოზრახულის“ დართვა ამ თარგმანისათვის, როგორც ჩანს, გამოუწვევია იმას, რომ განსხვავებით გრიგოლის სხვა საკითხავე-ბისაგან ეს სიტყვა მთავრდება არა ჩვეულებრივი დიდების ფორ-მულით, არამედ შემდეგი სიტყვებით: „... იკადროს ვინმე მსგავსად შენსა ღმერთსა ზედა აღდგომილება და ნუმცა ჳიეთ უკადრების, რაჲთა არცა მათცა სწორივე შენსა შეემთხვოს მისაგებელი“ (A 292, 215v), რის გამოც, შესაძლოა, ის ვინმეს უსრული, დაუმთა-ვრებელი ეგონოს<sup>17</sup>, მაგრამ ეფრემი აფრთხილებს მკითხველს: „უბოლოოდ დატევებისათჳს ნუ ვის უსრული ჰგონიეს, რამეთუ ბერძულად ესრეთ არს თქმული წმიდისა“.

ამ კონკრეტული შემთხვევის გამო ეფრემი ფრიად საინტერ-ესო მსჯელობას გვთავაზობს: „ათორმეტნი ჳელოვნებანი არიან ბერძენთა სწავლულებისანი და თითუელი აღმწერელი მით სახი-თა აღმწერლობს, რაჲცა ჳელოვნება ესწავოს ათორმეტთა მათგან: ღრამატიკოსობა, გინა ფილოსოფოსობა, რიტორება, ანუ მკურ-ნალობა, მუსიკელობა, ანუ ქუეყნისმზომელობა, ვარკულავთმ-რიცხუელობა, ანუ რიცხვთმოქმედება, ბუნებათმეტყუელება, ანუ

17 შდრ.: ივლიანეს განსაქიქებელი | სიტყვის დასარული: „რომლისაჲ არს დიდებაჲ, ძლიერებაჲ, სიმტკიცე და სუფევაჲ თანადაუსაბამოთ მამით და ყოვლად წმიდით, ცხოველსმყოფელით სულით მისითურთ აწ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ“. (ბრეგაძე, 1988, 22-39).

ნივთიმეტყულება, ჯელოვნებათა საქმე, ანუ წესი ბრძოლისაა". სხვა აღმწერელნი, რომლებიც აქ ჩამოთვლილი თორმეტი "ჯელოვნებიდან" ერთ-ერთს არიან დაუფლებულნი, "მით სახითა აღმწერელობენ", რაც უსწავლიათ. ხოლო გრიგოლი, "წმიდაა ესე და დიდი ღმრთისმეტყუელი, ამით ყოვლით სრულიად სწავლული" იყო და ამიტომაც "ყოვლითა ამითა შეამკობს თქმულთა თვსთა". ეფრემის აზრით, გრიგოლი საკითხავის უბოლოოდ დატოვებას შეგნებულად მიმართავს, როგორც მხატვრულ ხერხს: "სხვსა ჯელოვნებისა არს დაბოლოება და სხვსა არა დაბოლოება".

აღსანიშნავია ამ ანდერძში ეფრემის მიერ ჩამოყალიბებული ერთ-ერთი მთარგმნელობითი პრინციპიც: "შედარებულად ბერძულისა უბოლოო უბოლოოდ და დაბოლოებული დაბოლოებულად მთარგმნია; არცა სხვსა საკითხავისა ბოლო ჩემისა ბოლოდ დამიძს, არამედ უკუეთუ ან თარგმნილთა ბოლო სხუათადა ვისმე მიეხვეჭის, იგი თვსსავე ადგილსა კუალად მიგია".

უბოლოოდ დატოვებულის დაბოლოების სურვილი რომც ჰქონოდა მთარგმნელს, ამის გაკეთება გაუმართლებელი იქნებოდა იმიტომაც, რომ მას არ ექნებოდა "ოქსინოა საოლავად სკარამანგისა", ხოლო როგორც ეფრემი შენიშნავს, "ფლასითა ვერ დავოლევდიო". ეს მეტაფორა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გრიგოლის თხზულებათა ბრწყინვალეობასა და სიდიადეს. ძვირფასი ქსოვილით ნაქსოვი სკარამანგის დასაბოლოებლად ისევ ძვირფასი ოქსინოა საჭირო და არა "ფლასით დაოლვა", ანუ უბრალო, მდარე ხარისხის ძაფით გასრულება, როგორც იქნებოდა, ეფრემის აზრით, ამ საკითხავისათვის ის მიერ მიწერილი დასასრული.

მეორე ანდერძი გრიგოლ ნაზიანზელის მესამე სიტყვას ("მიმწოდებელთა მიმართ და არადამთხვეულთა შემდგომად ხუცობისა", (Or.3) თარგმანს ერთვის, რომელშიც ეფრემი ბიბლიოგრაფიული ხასიათის საინტერესო ცნობას გვანვდის: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ, ესე საკითხავი ქართულსა შინა არს და ესრეთ ინყების, „რასათვს, ძმანო ჩემო, უდებ იქმნენით“. ესე თავად დაუძს და სიმცროსათვს ამისისა „ვიძლიე“ თანადაურთავს. უკანადასკულა „ვიძლიე“ კიდევანად უთარგნია, რომლისათვსცა ამათ ყუედრებათა და სხვსა საკითხავისა სხვსა თანამოკრებათა აღჰსძრნენ სხუანი იძულებად და მძლავრებად ჩუენდა დიდსა მას კადრებასა მეორედ თარგმნისას“ (A292,279v). ეფრემის ცნობით, გრიგოლის მესამე სიტყვის ქართული თარგმანი აქამდეც ჰქონიათ ქართველებს. ეს საკითხავი ექვთიმეს უთარგმნია (ეფრემს ამ თარგმანის დასაწყისი სიტყვებიც მოჰყავს: „რასათვს, ძმანო

ჩემნო, უდებ იქმნენით“), მაგრამ იმის გამო, რომ გრიგოლის ეს სიტყვა ძალიან მოკლე ყოფილა, ექვთიმეს მისთვის გრიგოლის მეორე თხზულება (Or. 2) თანადაურთავს, რომელსაც ეფრემი დასაწყისის სიტყვის მიხედვით „ვიძლიეს“ უწოდებს. ე. ი. ექვთიმეს თარგმანში ერთმანეთზე გადაბმულია გრიგოლის ორი სიტყვა (Or. 3 და Or. 2), რაც შეუნიშნავთ არა მარტო ქართველ მწიგნობრებს, რომლებიც ამიტომაც აიძულებდნენ ეფრემს ხელახლა ეთარგმნა ისინი, არამედ ბერძნებსაც, რომლებიც ამის გამო საყვედურობდნენ ქართველებს. „გუაყუედრებდეს ბერძენნიო, “ – შენიშნავს ეფრემი. „მათა ყუედრებათაგან ბერძან კირილე ალექსანდრიელმან მრავალთა წელთა მძლავრა და კადრნიერ-ყო მე ახლად თარგმნად ათექუსმეტთა სადღესასწაულოთა და ამას ერთსა აპორიტაგანსა“. აქ დასახელებული კირილე ალექსანდრიელი, რა თქმა უნდა, იგივე კვიციან ალექსანდრიელია, რომელიც ეფრემის სხვა ანდერძებიდან არის ცნობილი, როგორც ინიციატორი ნაზიანზელის თექვსმეტსიტყვიანი კრებულების თარგმნისა. ხოლო „ათექვსმეტ სადღესასწაულოსთან“ ერთად დასახელებული „ერთი აპორიტა“ ანუ დაფარული სიტყვა, გრიგოლის სწორედ ის სიტყვაა, რომელსაც ერთვის ეს ანდერძი (Or.27). „აპორიტაში“ (ბერძნ. ἀπόριτος, რომლის მნიშვნელობაა დაფარული) ეფრემი გულისხმობს იმ სიტყვებს, რომლებიც 16 სადღესასწაულო საკითხავებში არ შედიოდა და ნაკლებად იყო ცნობილი მკითხველისათვის (ბეზარაშვილი, 1986). 16 ლიტურგიკული ჰომილია ღვთისმსახურების დროს იკითხებოდა, ამდენად "ნასაკითხი" (ἀναγινωσκόμενοι) იყო და განცხადებული, ხოლო დანარჩენი კი ლიტურგიის დროს არ იკითხებოდა, ამდენად "არანასაკითხი" (μη ἀναγινωσκόμενοι) და დაფარული (რაფავა, 1990, 80). გარდა ზემოთ დასახელებული ერთი ჰომილიისა, ეფრემს უთარგმნია კიდევ 19 ამგვარი "აპორიტა". თანაც ისინი უთარგმნია უწინარეს, ვიდრე კვიციან ალექსანდრიელის დავალებით გრიგოლის თექვსმეტსიტყვიან კრებულებს ხელახლა თარგმნიდა: "ხოლო ათცხრამეტნი იგი აპორიტათაგან, პირველ ჩემგანვე თარგმნილი სიტყუადართვით და მისვე მამისა და მოძღურისა კუალსა შედგომითა ითარგმნეს ჩემგან"-ო (A292, 279v), აღნიშნავს ეფრემი. გარდა ეფრემის მიერ აქ მოწოდებული ბიბლიოგრაფიული ხასიათის ცნობისა, ყურადღებას იქცევს შემდეგიც: ეფრემს 19 არანასაკითხი სიტყვა გრიგოლისა უთარგმნია „სიტყუადართვით“, მამისა ექვთიმეს კვალსა შედგომით“ ე. ი. ექვთიმესთვის დამახასიათებელი მეთოდით. მაგრამ ეფრემი იქვე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეფრემის „შემატება-კლების“ მეთოდი-



დან მას მხოლოდ ერთი მხარე – „შემატება“ გამოუყენებია, თარგმანისათვის მასაც სიტყვა დაურთავს, ხოლო რაც შეეხება კლებას, ეფრემი ამასთან დაკავშირებით აცხადებს: „ჯერჩინებით და ნებსით უთარგმნელი სიტყუა არა დამიდგიაო“. ამასთანავე, ეფრემი იმასაც უსვამს ხაზს, რომ მის მიერ ექვთიმეს კვალსა შედგომით 19 ჰომილიის თარგმანში „სხვსა საკითხავი სხვსა არა ჩაურთავს“ ე. ი. არაფერი გადაუადგილებია, გადაუბამს ან მოუკვეცია ბერძნული ტექსტებისათვის, რაც, როგორც კონტექსტიდან ირკვევა, ეფრემს ექვთიმეს დამახასიათებელ მეთოდად მიაჩნდა.

მთარგმნელის მოკლე ანდერძი ერთვის A 292-ში შემავალ კიდევ ერთ თხზულებას: ესაა გრიგოლის ჰომილია „ევნომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყუელთა წინაგანბჭობა“ (Or.27), რომელიც ადრე გრიგოლ ოშკელს უთარგმნია სომხურიდან, ხოლო ეფრემს კი ბერძნულიდან გადმოუღია, „რამეთუ სომეხისა შვილსა, ბერძნისა-და შვილისშვილსაღა, ნუჟუკუე და არა უეჭუელსა, თვთ უეჭუ და საკუთარი შვილი არჩია“ (A292, 314r).

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა თარგმანებზე დართული ეფრემ მცირის კოლოფონები საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნიან გრიგოლის ჰომილიათა ქართულად გადმოღების ისტორიის გასათვალისწინებლად.

**იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ თარგმანზე დართული წინასიტყვაობა და ანდერძი.** იოანე დამასკელის "Πηγὴ γνῶσεως" ანუ "წყარო ცოდნისა" სამი ნაწილისაგან შემდგარი ძეგლია. მისი პირველი ნაწილი წარმოადგენს ე. წ. "დიალექტიკას" (Κεφάλαια φιλοσοφικά), მეორე ნაწილს ეწოდება "წვალებათათჳს" (Περὶ αἰρέσεων), ხოლო მესამე ნაწილია "გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისაჲ" ("Ἐκδοσις ἀκριβῆς τῆς ὀρθοδόξου πίστεως).

„წყაროს ცოდნისას“ პირველი ნაწილი, ანუ „დიალექტიკა“ წარმოადგენს თხზულების ძირითადი ნაწილისათვის ("გარდამოცემა") ფილოსოფიურ შესავალს, II ნაწილი („წვალებათათჳს“), სადაც სხვადასხვა მწვალებლობათა წარმოშობის ისტორიაა მოთხრობილი – ისტორიულ შესავალს, ხოლო მესამე, ძირითად ნაწილში, რომელსაც „გარდამოცემა“ ეწოდება, დამასკელი ჭეშმარიტი მოძღვრების ძირითად დოგმებს გადმოგვცემს.

ქართულ ენაზე იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ ორი ნაწილია თარგმნილი: „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“. მისი შუა ნაწილი – „წვალებათათჳს“ ქართულ ენაზე არ უთარგმნიათ. იოანე

დამასკელის „დიალექტიკა“ ორი თარგმანით (ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელისა), ხოლო „გარდამოცემა“ კი სამი თარგმანით (ეფთიმე ათონელის, ეფრემ მცირის და არსენ იყალთოელის) არის ცნობილი.

„დიალექტიკის“ და „გარდამოცემის“ ეფრემ მცირისეული თარგმანები სამი ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული (A24, 1r-137v; A406, 1r-49v; S 1358, 13r-38v). მათგან ყველაზე სრულია XII საუკუნეში ეფრემ მცირის ავტოგრაფიდან გადაწესებული A 24 ხელნაწერი, რომელშიც იოანე დამასკელის თხზულების ტექსტს წამძღვარებული აქვს მთარგმნელის ვრცელი ანდერძ-წინასიტყვაობა (1r-4r), ხოლო ბოლოში ერთვის მოკლე ანდერძი (A24, 138r). ეფრემ მცირის წინასიტყვაობა შემონახულია დამასკელის თხზულების ეფრემისეული თარგმანების შემცველ A406 (2r-7v) და S 1358 (8r-11r) ხელნაწერებშიც, რომლებიც XVII-XVIII საუკუნეების კრებულებია. ამათგან პირველში მხოლოდ „დიალექტიკის“ თარგმანი გვაქვს (10r-49v), ხოლო მეორეში მხოლოდ „გარდამოცემისა“ (13r-38v). რაც შეეხება „ბოლოსა ანდერძს“, ის მხოლოდ უძველეს A 24 ხელნაწერში შემოგვრჩა.

„წყარო ცოდნისას“ შესავალიც და ანდერძიც რამდენჯერმეა გამოქვეყნებული. მათი პირველი პუბლიკაცია თ. ჟორდანიას ეკუთვნის (ჟორდანიას, 1892, 215-219). ეფრემის წინასიტყვაობა დაიბეჭდა 1902 წელს გამოსულ ე. თაყაიშვილის შედგენილ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობაში (თაყაიშვილი, 1902, 710-717); 1926 წელს ს. გორგაძემ დაბეჭდა ეფრემის შესავალი ზანდუკითურთ და იოანე დამასკელის ეპისტოლე კოზმა მაიუმელისადმი (გორგაძე, 1926, 182-192); 1975 წელს ეფრემის წინასიტყვაობა და ანდერძი გამოქვეყნდა A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში (A I,1). ხოლო 1976 წელს ეფრემის ანდერძების ტექსტი ზანდუკითურთ დაიბეჭდა მ. რაფაეას მიერ გამოცემულ იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ქართული თარგმანების ტექსტთან ერთად (დამასკელი, 1976, 66-70).

ეფრემ მცირის წინასიტყვაობა, რომელსაც ხელნაწერში ასეთი სათაური აქვს: „ზანდუკი და შესავალი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების გარდამოცემაჲ, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამასკელისა“, ოთხი ნაწილისაგან შემდგარ „მოზრახულად“ წარმოგვიდგება. ა) **ზანდუკი "საფილოსოფოსო თავებისა"** ანუ "დიალექტიკისა" (A24, 1r); ბ) **შესავალი "დიალექტიკისათვის"** ("ესე ერგასისნი თავნი რიცხუედნი...), რომელსაც A 24 ხელნაწერის 1r-v

უჭირავს; გ) ზანდუკი "გარდამოცემისა", ანუ "საეკლესიო თავებისა" (1v-2v) და დ) შესავალი "გარდამოცემისა" (აჰა, ესერა, გქონან ასნი თავნი საეკლესიონი...), რომელიც ხელნაწერის 2v-4r გვერდებზე გვაქვს. აღსანიშნავია, რომ ზანდუკები, ანუ თავთა საძიებელი, „დიალექტიკის“ და „გარდამოცემის“ ტექსტებს ბერძნულ ხელნაწერებში წინა აქვთ დართული, რასაც მოსდევს იოანე დამასკელის ეპისტოლე კოზმა მაიუმელისადმი, რომელიც ერთგვარი წინასიტყვაობაა მთელი ტრილოგიისათვის. მასში გამოთქმულია ავტორის მოსაზრებები ნაწარმოების სტრუქტურის, მიზანდასახულობისა და შედგენის პრინციპების შესახებ. იოანე დამასკელის ამ თხზულებათა არსენი იყალთოელისეულ თარგმანშიც ტექსტს ზანდუკი და მაიუმის ეპისტოპოსისადმი მიწერილი ეპისტოლე იწყებს (დამასკელი, 1976, 64-75), ხოლო ეფრემ მცირის თარგმანში „დიალექტიკის“ და „გარდამოცემის“ ზანდუკებს შორის ჩართულია მთარგმნელის „მოზრახული“ საფილოსოფოსო თავების ქართულად თარგმნის შესახებ, ხოლო „გარდამოცემის“ თავთა საძიებლის შემდეგ ვრცელი მსჯელობა „საეკლესიო თავების“ ქართულად გადმოღების თაობაზე. ეფრემის ეს მოზრახული სტრუქტურულად, მართალია, ოთხი ნაწილისაგან შედგება, მაგრამ შინაარსობლივად ეს ერთი მთლიანი ძეგლია და ფუნქციურად წარმოადგენს მთარგმნელის წინასიტყვაობას, სადაც მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობაა მოცემული.

უპირველეს ყოვლისა, ეფრემ მცირე განმარტავს "დიალექტიკის", როგორც ფილოსოფიური შრომის მნიშვნელობას, ეხება ფილოსოფიისა და თეოლოგიის ურთიერთობის პრობლემას, "საფილოსოფოსო სწავლულებათა" გამოყენების საკითხს. ეფრემი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ შესრულებული თარგმანი "დიალექტიკისა" არის ქართულ ენაზე თარგმნილი პირველი ფილოსოფიური ხასიათის წიგნი: "სხუაჲ არარაჲ ოდეს თარგმნილა საფილოსოფოსოთა წიგნთაგანიო" (1v). მართალია, ძნელი იყო მისი ქართულად გადმოღება, მაგრამ აუცილებელიც, რადგან იმდენად დიდია ამ წიგნისაგან მიღებული სიბრძნე და „გულისწმისყოფაჲ“, რომ ზოგიერთმა შეიძლება ამის გამო „უჴმარადაც“ მიიჩნიოს. მაგრამ ეფრემს სჯერა, რომ „უკუეთუ ოდენ მოუწყინებულად ვრეკდეთ ზედასზედა კითხვითა, უეჭუელად განგუელოს კარი გულისწმისყოფისაჲ“ (1v). ეფრემი ასევე დარწმუნებულია, რომ „არცა ესენი („საეკლესიო თავნი“) სრულ არიან უმათოდ, არც იგინი („საფილოსოფოსო თავნი“) უამათოდ“.

შესავალში მთარგმნელი მსჯელობს ამგვარი წიგნების დან-

იმწულებიშ შესახებაც: „ამათ მიერ წინააღმდეგებიან შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰგურემდენ მათ, რამეთუ თჳნიერ ამათ სიტყუათაჲსა სხუებრ შუჳძლებელ არს სიტყჳს-გებაჲ წინააღმდეგომთაჲ“ (1r).

მეტად მნიშვნელოვანია წინასიტყვაობის ის ნაწილი, სადაც ეფრემ მცირის მთარგმნელობითი საქმიანობის ძირითადი პრინციპების შესახებაა საუბარი. ეფრემი მსჯელობს, თუ როგორ უნდა ითარგმნებოდეს წიგნები მათ იდეურ თუ სტილისტურ თავისებურებათა შესაბამისად. მისი აზრით, ტექსტს უნდა ახლდეს სქოლიოები „ძნელოვანი“ ადგილების განსამარტავად, ოღონდ ამგვარ განმარტებათა ტაქსტში ჩართვა დაუშვებელია, ისინი აშიებზე ან შესავალში უნდა მოთავსდეს.

წინასიტყვაობაში ეფრემ მცირე გამოთქვამს მოსაზრებებს წიგნთა კაზმვის, ანუ მეტაფრაზირების შესახებ. მისი აზრით, გარდაკაზმვა არ შეიძლება ისეთი წიგნების, რომლებიც „წმიდათა მიერ თქუმულ და მართლმადიდებელ მამათა აღწერილია“. „ვერვინ იკადრებს შეხებად“ სახარებებისა, პავლე მოციქულის ეპისტოლეებისა და სხვა ამგვარ წიგნთა. ამგვარი წიგნების რიგში მოიაზრებს ეფრემი იოანე დამასკელის თხზულებებსაც, რომლებიც „არა ჯერ-არს, რაჲთა სხჳსა ვისგანმე შეკაზმულად“ საგონებელიყოს.

შესავალში ეფრემ მცირე გვაძლევს საყურადღებო ლიტერატურულ ცნობას „გარდამოცემის“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანის რაობის შესახებ, რომელსაც ქართულად „წინამძღუარი“ ეწოდება. ეფრემი აფრთხილებს ქართველ მკითხველს, რომ „წინამძღუარი“ ბერძნულში ცნობილია როგორც ანასტასი სინელის შრომა, ექვთიმე ათონელს კი ეს სახელი უწოდებია იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ გამოკრებილი თარგმანისათვის. იქვე ეფრემი შენიშნავს: „ხოლო ესე არა უწყი, თუ თუთ მამასა ეფჳმის გამოუკრებია, ანუ ბერძნულად ესრეთ უპოვნიაო“.

განსაკუთრებით საინტერესოა წინასიტყვაობის ის ნაწილი, რომელიც „წერტილითა გაკუეთილობას“ შეეხება, სადაც ეფრემი თავის მიერ ჩამოყალიბებული პუნქტუაციური სისტემის შესახებ მსჯელობს, რომელიც მას ბერი იოანე ფარაკნელის რჩევით შეუმუშავებია და გამოუყენებია იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ თარგმანში. რადგან ეფრემის მიერ აქ მოწოდებული ცნობის შესახებ (*„პირველთა მათ თარგმანთა არარაჲ ელუანათ წერტილითა გაკუეთისათჳს საკითხავთაჲსა“*) ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებისაგან განსხვავებული აზრი

გვაქვს, შედარებით ვრცლად შევხებით ეფრემის პუნქტუაციურ სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ცნობილია, რომ თავდაპირველად, უძველეს წერილობით ძეგლებში, სასვენი ნიშნები არ იხმარებოდა, სიტყვები და წინადადებები ერთმანეთისაგან დაცილებული არ იყო, მათი განცალკევება თვითონ მკითხველს უხდებოდა (კლასოვსკი, 1882; გარდტჰაუზენი, 1913; ფილამანსკი, 1882; გრონიგენი, 1955; ჯავახიშვილი, 1949; დობიაშ-რაჟდესტვენსკაია, 1936; ჩერეპინი, 1956). "დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში, კაცობრიობას განკვეთისა და სასვენი ნიშნების საჭიროებაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა და უამათოდ წერდა და კითხულობდა. ამიტომ განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები შედარებით გვიან გაჩნდა, მათი აუცილებლობის შესახებ აზრიც ნელ-ნელა განმტკიცდა და მხოლოდ თანდათანობით ჩამოყალიბდა მათი ხმარების ნესრიგიც" (ჯავახიშვილი, 1949, 144).

სასვენი ნიშნების წარმოშობა მჭიდროდა დაკავშირებული ძველ საბერძნეთში გრამატიკის განვითარებასთან. ბერძენმა გრამატიკოსებმა შეიმუშავეს სასვენ ნიშნთა სხვადასხვაგვარი სისტემები, რომლებიც თხზულების შინაარსის უკეთ გაგებას ემსახურებოდნენ და ამავე დროს სადეკლამაციო დანიშნულება ჰქონდათ (გარდტჰაუზენი, 1913, 397). ალექსანდრიელი გრამატიკოსების მიერ ბერძნულ ხელნაწერებში გამოყენებული ნიშნთა სისტემამ გააადვილა მანამდე გაბმულად ჩაწერილი ტექსტების (scriptio continua) კითხვა, შემუშავდა ბერძნული ტექსტების კითხვის განსაზღვრული წესი.

ბიზანტიურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირმა და, უპირველეს ყოვლისა, დიდძალი ლიტერატურის თარგმნამ განაპირობა პუნქტუაციის ბერძნული სისტემების გავრცელება ქართველ მწიგნობართა შორისაც. ქართულ ხელნაწერებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ „ძველ ქართველებს V-X სს. შემოღებული ჰქონდათ გარკვეული სისტემა განკვეთილობისა და სასვენი ნიშნებისა, რომელსაც წმინდა პრაქტიკული დანიშნულებით იყენებდნენ: შინაარსი მართებულად წაეკითხა და გაეგო მკითხველს“ (ქაჯაია, 1963, 71). ელინოფილთა მოღვაწეობის დროს კი, როცა ქართველმა მწიგნობრებმა ქართული ხელნაწერების „ბერძნულსა წესსა ზედა გამართვა“ დაიწყეს, ბერძნული პუნქტუაციური და პროსოდიული ნიშნების შემოღებაც სცადეს. სწორედ ბერძნული სისტემის მიხედვით შეუმუშავებია თავისი "წერტილითა გაკუთეილობის" სისტემა ეფრემ მცირესაც, რომელიც "გარდამოცემის" წინასიტყვაობაში ამასთან დაკავშირე-

ბით შენიშნავს: "რამეთუ ვიდრელა-იგი ჯერეთ ჩუენ თანა იყო ნეტარი იგი და ყოვლად რჩეული მოღვაწეთა შორის ბერი იოანე ფარაქნელი, რომელმაც მოწლედ გამოიკითხა ჩემგან და მიბრძანა ამათ პირთათჳს, ვინაჲთგან პირველთა მათ თარგმანთა არარაჲ ელუანა წერტილითა გაკუეთისათჳს საკითხავთაჲსა, ამისთჳსცა ზეპირით უჴმდა გაკუეთაჲ ყოველთა სახელოვანთა მკითხველთა. ხოლო ბერძნულად არა ესრეთ არს, არამედ ესოდენ მისანდობელ არს წიგნები მათი მართლად გაკუეთილობისათჳს, ვითარ ჩუენი საგალობელნი, რაოდენი დიდისა მის მნათობისა გიორგი მთან-მინდელისაგან თარგმნილ არს" (A24,4r; დამასკელი, 1976, 69).

ეფრემის ზემოთ მოყვანილი სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: პირველ ქართველ მთარგმნელებს არ უზრუნიათ საკითხავებში საგანგებო წერილობითი ნიშნების („წერტილების“) გამოყენებაზე, ამიტომაც ამგვარი ნიშნების უქონლობის გამო მკითხველებს თვითონ უხდებოდათ ინტონაციის მოწესრიგებაო, მაშინ, როდესაც ბერძნული წიგნები ამ მხრივ „ფრიად მისანდონი არიან“, ისევე, როგორც გიორგი მთანმინდელის თარგმნილი საგალობლები. ეფრემის განცხადება, მანამდე „წერტილითა გაკუეთისათჳს არა ელუანათ“ ქართველებსო, გაგებულ იქნა ისე, თითქოს ეფრემი უარყოფდეს საერთოდ ყოველგვარი პუნქტუაციის არსებობას ადრინდელ თარგმანებში და კვლევა-ძიება წარიმართა იმ მიმართულებით, რომ გამოვლენილიყო სასვენი ნიშნების გამოყენების შემთხვევები V-X საუკუნის ხელნაწერებში და ამით უარეყოთ ეფრემ მცირის კოლოფონში დადასტურებული ცნობა, რომ მის მიერ სასვენი ნიშნების შემოღებამდე ქართველებს „არარაჲ ელუანათ წერტილითა გაკუეთისათჳს“. „ქართულ ხელნაწერთა შესწავლა იძლევა საშუალებას უარეყოთ ეფრემ მცირის დებულება, თითქოს მის მიერ სასვენი ნიშნების შემოღებამდე ქართველებს „არარაჲ ელუანათ წერტილითა გაკუეთილობისთჳს“, – შენიშნავს ლ. ქაჯაია (ქაჯაია, 1963, 81). მისივე დაკვირვებით, „ეფრემ მცირე არ არის პირველი, რომელმაც შემოიღო ქართულში სასვენი ნიშნების ხმარება. სასვენი ნიშნები V საუკუნიდან მოყოლებული იხმარებოდა ეფრემამდე და ეფრემის დროსაც“ (იქვე). მაგრამ, ვფიქრობთ, თავის მხრივ ეს ფაქტი არ გამოდგება იმის საბუთად, რომ ეფრემის მიერ „გარდამოცემის“ შესავალში მოწოდებული ცნობა ეჭვქვეშ დავაყენოთ. შესავლის იმ ნაწილში, სადაც მის მიერ შემუშავებულ ნიშანთა ხმარების წესებს გვაცნობს, ეფრემი წერს: „ამისთჳსცა მე, ძალისაებრ ჩემისა, არა უგულვებელს მიქმიეს, არამედ ყოველივე ჩემ მიერ თარგმნილი წიგნი ერთწერტილად და ექუსწერტილად

გამიკუეთია. ერთნერტილი უკუე მცირედ სასვენად, ორნერტილი – გასაკუეთელად სიტყვსა და სამნერტილი დიდად სასუნად და ექუსნერტილი – სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებულად სიტყვსა. არს ოდესმე იშვთ, რომელ არა დასაბოლოებლად ზის ექუსნერტილი, არამედ ჳმისა საქცეველად ოდენ, რომელი-ესე მეტაფრასთა შინა უფრო იპოების, რაჟამს მონამე მსაჯულისა მიმართ მეტყველებდეს და მყის ღმრთისა მიმართ ცვალოს მეტყველება, ესევეთარსა მას ადგილსა ექუსნერტილი უზის, არა რაჟთა დააბოლოოს, არამედ რაჟთამცა ჳმა იქციოს მკითხველმან... “ (A24, 4r). ამ მსჯელობის მიხედვით, ეფრემ მცირის პუნქტუაციური სისტემა შეიცავს სამი სახის ნიშნებს: ა) *ერთნერტილი, სამნერტილი, ექუსნერტილი* – სასვენი ნიშნები: ერთნერტილი “მცირედ სასუნად” იხმარება, სამნერტილი – “დიდად სასუნად” და ექუსნერტილი – “სრულიად დასაბოლოებლად”, ბ) *ორნერტილი* – განკუეთილობის ნიშანია (“ორი ნერტილი გასაკუეთელად სიტყვსა”), გ) *ექვსნერტილი* სასვენ ნიშანთან ერთად სადეკლამაციო, ანუ ინტონაციის საცვლელ ნიშანსაც წარმოადგენს (“ჳმისა საქცეველად უზის ექუსნერტილი”).

ეფრემის მიერ შემოღებულ პუნქტუაციურ სისტემაში ახალია ის, რომ მან ერთმანეთისაგან გამიჯნა წერიტი და ზეპირი მეტყველება, პუნქტუაცია და ინტონაცია. მართალია, მათი ფუნქციები ანალოგიურია, – ისინი აზრის ნათლად გადმოცემას და შინაარსის უკეთ გაგებას ემსახურებიან. რასაც წერით მეტყველებაში აკეთებს პუნქტუაცია, იმას ზეპირ მეტყველებაში ასრულებს ინტონაცია; პირველი ამას ახერხებს სასვენი ნიშნებით ინტერვალებში, ხოლო მეორე – ინტონაციით პაუზებში. ამიტომაც ხშირად იქ, სადაც წერილობით ტექსტში სასვენი ნიშანი გვაქვს, ზეპირ მეტყველებაში პაუზაა; მაგრამ ნაწერის სასვენ ნიშანს ნათქვამის ინტონაცია ადგილის მიხედვით ყოველთვის არ ემთხვევა. ნაწერში შეიძლება იყოს სასვენი ნიშანი, ხოლო ზეპირ მეტყველებაში არ იყოს პაუზა, ან პირიქით. ამიტომაც წერითი კულტურის განვითარების გარკვეულ ეტაპზე სასვენი და განკუეთილობის ნიშნების გვერდით, რომლებიც ჩვეულებრივ ლოგიკურ და გრამატიკულ მონაკვეთებს გამოყოფენ თხრობაში, საჭირო ხდება სპეციალური სანოტაციო ნიშნების შემოღება, რომლებიც ზეპირი მეტყველებისას, ტექსტის საჯაროდ წაკითხვისას, მკითხველის ინტონაციას მოაწესრიგებს და სასვენ ნიშნებთან ერთად ხელს შეუწყობს შინაარსის უკეთ გადმოცემას. ეს ნიშნები უმთავრესად გამომეტყველებით კითხვას ემსახურებიან და ძირითადად ტექსტის ხმამაღ-

ლა წამკითხველისთვისაა დანიშნული, რომელიც არის შუამავალი თხზულების ავტორსა და მის აღმქმნელს, მსმენელს შორის. პირობითი ნიშნები, რომელთა დამკვიდრებას ეფრემი ბერძნულის გავლენით ქართულშიც შეეცადა, ზოგჯერ ერთდროულად არიან სასვენი ნიშნებიც (და ამდენად წერიტი მეტყველების მოსაწესრიგებლად გამიზნული) და სადეკლამაციო ნიშნებიც (ამდენად ზეპირი მეტყველებისთვის, ტექსტის საჯაროდ წამკითხველისთვის განკუთვნილი). ისინი ჩვეულებრივ სასვენ ნიშნებთან ერთად სწორედ სადეკლამაციო, სანოტაცო ანუ ეფრემის თქმით, **"ვმის საქცველ"** ნიშნებსაც წარმოადგენენ და წერიტი მეტყველების პარალელურად ზეპირი მეტყველების მოწესრიგებასაც უზრუნველყოფენ. ეფრემის მიერ შემოღებულ ზოგიერთ ნიშანს კი (მაგ. ექვსწერტილს) ზოგჯერ მხოლოდ ეს უკანასკნელი ფუნქცია აკისრია (**"ვმის საქცველად ოდენ უზის ექუსწერტილი"**).

ამგვარი გაგებით **"წერტილითა გაკუეთილობის"** ნიშანთა სისტემის შემოღება, როცა **"მცირედ სასუენად"** და **"დიდად სასუენად"** მიჩნეული ერთწერტილი და სამწერტილი არამარტო სასვენი ნიშნებია, არამედ სამეტყველო პარტიტურის პირობითი ნიშნებიცაა, ვინაიდან ისინი პუნქტუაციური შესვენების გარდა ინტონაციურ პაუზასაც გულისხმობენ (კანდელაკი, 1926, 144). მართლაც ეფრემის დამსახურებაა და ადრინდელ მთარგმნელებს ამისთვის მართლაც **"არარაჲ ელუანათ"**, თვინიერ გიორგი მთაწმიდლისა, რომლის მიერ თარგმნილ საგალობელთა კრებულებს ნიშუშად ასახელებს ეფრემი (ინგოროყვა, 1954, 591). ხოლო რაც შეეხება სასვენ და განკვეთილობის ნიშნებს, ისინი მანამდეც უხმარიათ ქართველ მწიგნობრებს და ამის შესახებ შეუძლებელია არ იცოდეს ეფრემმა. ასე რომ, ეფრემის ცნობა **"პირველთა მათ თარგმანთა არარაჲ ელუანა წერტილითა გაკუეთისათჳს საკითხათვაჲსა"**, სწორია, თუკი აქ ვიგულისხმებთ სასვენ ნიშანთა სადეკლამაციო, საინტონაციო (ხმის საქცველი) ფუნქციითაც გამოყენებას. ეფრემს არ ავინყდება აღნიშნოს ისიც, რომ ის მხოლოდ **"საკითხავებზე"** ე. ი. პროზაულ ტექსტებზე საუბრობს, ხოლო რაც შეეხება ჰიმნოგრაფიას, იქ ამ საქმის მოგვარება, მისივე ცნობით, გიორგი მთაწმიდელს უტივრთავს. რახან ბერძნული წიგნები ფრიად მისანდონი არიან ამ მხრივ, ხოლო ქართულად გადმოღებულ საკითხავებში ყველაფერი ბერძნულის დარად უნდა იყოს, ამიტომ ეფრემს გადაუწყვეტია ამ ხარვეზის ამოვსება და შეუქმნია კიდევ პუნქტუაციის თავისი სისტემა, რომელიც გავრცელდა შავი მთის სამწერლობო კერაში. ლ. ქაჯაია ასახელებს



ამ სკოლიდან გამოსულ რვა ხელნაწერს (S 1276, Q 24, S 384, A 1053, H 1758, A 1544 და S 1463; ქაჯაია, 1963, 81), რომლებშიც ეფრემის მიერ შემოღებული პუნქტუაციური სისტემაა გატარებული. ჩვენი დაკვირვებით, ეფრემისეული პუნქტუაციის ნესები დაცული უნდა იყოს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების ეფრემისეული თარგმანების შემცველ იერუსალიმურ ხელნაწერებშიც: Jer.13, Jer. 15 და Jer.43-ში. მ. შანიძე მიუთითებს ერთ ათონურ ხელნაწერსაც (Ath. 6), სადაც 1 წერთილითა გაკუეითილობის“ ეფრემისეული სისტემა ჩანს გატარებული (შანიძე, 1990, 27-32).

ეფრემის მიერვეა შექმნილი პუნქტუაციასთან და ტექსტის სწორად წაკითხვის ტექნიკასთან დაკავშირებული მთელი რიგი ტერმინებისა, რომელთა უდიდეს ნაწილს მის ნათარგმნ თხზულებებზე დართულ „შეისწავეებში“ ვხვდებით („სრულწერილი“, „იგურდივმოქცევი“, „დიდმოქცევი“, „წურილმოქცევი“, „სკნემბა“ და სხვ. (ამის შესახებ იხ. თვალთვადე, 1995, ა). საგულისხმოა, რომ ამგვარ შენიშვნათა დიდი ნაწილი განკუთვნილია ტექსტის საჯაროდ წამკითხველისათვის. ეფრემის შემოღებული ნიშნები სადეკლამაციო („ჴმის საქცეველი“) ნიშნებია, რომლებიც ტექსტის ხმამაღლა წამკითხველს მიანიშნებენ, თუ სადაა საჭირო ინტონაციის შეცვლა, სად არის „კითხვის სახედ“ წასაკითხი წინადადება და სად „დაჯერებით“, სად არის საჭირო „ბასრობა“ ანუ გაკიცხვის, დაცინვის გამჟღავნება ინტონაციაში და სად „ჴმის მსუბუქად წარვლება“.

ამრიგად, „გარდამოცემის“ შესავალში ეფრემის მიერ ჩამოყალიბებული „წერილითა გაკუეითილობის“ სისტემა ახალია იმდენად, რამდენადაც ეფრემის პუნქტუაციურ სისტემაში სასვენი ნიშნები არა მარტო ლოგიკურად და გრამატიკულად გამოყოფენ წინადადების კომპონენტებს (სიტყვებს, რთული წინადადებების შემადგენელ წინადადებებს, ვრცელ პერიოდებს), არამედ ტექსტის ხმამაღლა კითხვისას ხმის ქცევასაც არეგულირებენ. ამგვარი „წერილითა გაკუეითილობის“ სისტემა კი ქართულ ხელნაწერებში ეფრემამდე მართლაც არ გვხვდება.

ეფრემის ღრმა რწმენით, „უფროჲს ყოვლისა სარწმუნოებისა და ღმრთისმეტყუელებისათჳს თქუმულთა წიგნთა შინა საჴმარ არს კრძალვაჲ მკითხველისაგან და მწერლისა და მსმენელისა“ (A 24, 4r) და ამიტომაც აუცილებელია „წერილის შეკრძალვა“ და ამით საგანგებოდ მინიშნება, თუ „სადა უჴმს ჴმისა ცვალება“ და სად „სიტჴსა გაკუეთაჲ“.

რასაკვირველია, ეფრემის მიერ შემუშავებულ პუნქტუაციურ

სისტემას და პუნქტუაციასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ენათმეცნიერული აზრის გასათვალისწინებლად. მნიშვნელოვანია უკვე ის ფაქტიც, რომ XI საუკუნეში ჩვენში ყოფილა ცდა მოგვარებულიყო მწერლის, მკითხველისა და მსმენელის ურთიერთობა სასვენი და სადეკლამაციო ნიშანთა სისტემის შემოღებით.

„გარდამოცემის“ შესავლის ბოლოს ეფრემი ჩვეულებისამებრ ასახელებს თავის მოძღვრებს და თარგმნისას ხელშემწყობ პირებს: ბერ საბას (თუხარელს), „რომელი იყო შემდგომად ღმრთისა მიზეზი და მომცემელი ჩემდა თარგმანობისაჲ“ და მღვდელ გაბრიელს, „რომლისა ბრძანებითა და ლოცვითა მოსცა ღმერთმან წმინდა ესე წიგნი ყოველსა ნათესავსა ჩუენსა“ და ლოცვას და ურიცხვ ცოდვათა მიტევებას ითხოვს მკითხველისაგან.

როგორც აღვნიშნეთ, „გარდამოცემას“ ბოლოში ერთვის მთარგმნელის მოკლე ანდერძი, რომელშიც წინასიტყვაობაში წიგნის თარგმნის მბრძანებლად დასახელებული გაბრიელ მღვდლის სახელი კიდევ ერთხელ იხსენიება: „ლოცვა ყავთ, ქრისტესმოყუარენო, გაბრიელისათჳს, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი“ (A24, 138r). იმავე ანდერძში დასახელებული არიან „განმაძლიერებელნი, მზრდელნი და მსახურნი“ ეფრემისა: არსენი იყალთოელი, იოვანე და იოვანე ხუცესნი და სტეფანე დიაკვანი, რომელთა ლოცვით სრულყო ღმერთმან ეფრემის თარგმანი. ეფრემის ამ მოკლე ანდერძის ცნობა მით უფრო საინტერესოა, რომ მთარგმნელი აქ თავის თანამდგომთა შორის ასახელებს არსენი იყალთოელსაც, რომელმაც შემდეგ მეორედ თარგმნა დამასკელის „დიალექტიკაც“ და „გარდამოცემაც“. ამ ფაქტის ასახსნელად სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული (კეკელიძე, 1980, 277; ნუცუბიძე, 1958, 150-152; რაფავა, 1976, 16-47). ჩვენ მ. რაფავას მიერ არსენისა და ეფრემის თარგმანების ერთმანეთთან შედარებისა და მათი ბერძულ დედნებთან მიმართებით შესწავლის შედეგად გაკეთებულ დასკვნას ვიზიარებთ, რომლის თანახმადაც ეფრემის თარგმანისაგან რედაქციულად განსხვავებული ბერძნული დედნების არსებობა და განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდი არის ის ძირითადი მიზეზები, რომელთაც შეაპირობეს იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისას“ ხელმეორედ თარგმნა არსენი იყალთოელის მიერ.

## თ ა ვ ი III

### ეფრემ მცირე და ბიზანტიური ფილოლოგიის ზოგიერთი საკითხი

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში განსაკუთრებით გამოიყოფა XI-XII საუკუნეების პერიოდი, როდესაც ეს ურთიერთობა კულმინაციას აღწევს. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავდა ძველი ქართული მწერლობის II პერიოდის დახასიათებისას, „ვინაიდან ბიზანტინიზმი ამ დროს საქრისტიანო ქვეყნებში ყველგან თავისებურ „მოდად“ იყო გადაქცეული და კულტუროსნობის მაჩვენებლად, ქართველთა გაღვიძებული ეროვნული თვითშეგნება თხოულობდა, რაც შეიძლება დაახლოებოდნენ ისინი ბიზანტიურ კულტურასა და მწერლობას“ (კეკელიძე, 1980, 62). მაგრამ მისივე დაკვირვებით, ეს პროცესი ცალმხრივი არ ყოფილა: „ქართულ მწერლობასაც ბევრი საყურადღებო მიუცია ბიზანტიური მწერლობისათვის და თავისი წვლილი შეუტანია ამ მწერლობის ისტორიაში“ (იქვე). კ. კეკელიძე განსაკუთრებით გამოყოფს რამდენიმე ასპექტს: „1) ქართულ ენაზე შენახულა ისეთი თხზულებები ბიზანტიური მწერლობისა, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია, მათი აღდგენა მხოლოდ ქართული თარგმანებითაა შესაძლებელი; 2) ქართულ მწერლობაში შემონახულა ისეთი ცნობები ბიზანტიელ მწერალთა შესახებ, რომელნიც ავსებენ და სულ ახალ ასპექტში აშუქებენ ამ მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას; 3) ქართულ მწერლობას შემოუნახავს ცნობები ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში სრულიად უცნობი მწერლების შესახებ; 4) ზოგიერთი ნაწარმოები ბიზანტიური ლიტერატურისა ქართულ მწერლობაში გადმოსულა ისეთი ვარიანტებით, რომელნიც სხვა აზრსა და მნიშვნელობას აძლევენ ამ ნაწარმოებთ; 5) ქართველებმა შესძინეს ბიზანტიურ ლიტერატურას ქართულიდან გადმოთარგმნილი არა ერთი თხზულება, მაგალითად, „ბალავარი, აბუკურა და სხუანი მრავალნი“; 6) ქართველებს ბერძნულ ენაზე უწერიათ ორიგინალური თხზულებებიც, მაგალითად, ექვთიმე ათონელს დაუწერია ბერძნულად „ნესი მარტოდმყოფის ცხოვრებისა“ (კეკელიძე, 1980, 62-63).

კ. კეკელიძის მიერ აქ ჩამოყალიბებული დებულება, შემდგომში არა ერთი მეცნიერული გამოკვლევით დასაბუთებული, დღეს საყოველთაოდ გაზიარებულია და აღიარებული. ქართულ ხელნაწერებში აღმოჩენილია მრავალი ისეთი თხზულება, რომლის

ბერძნული დედანი არ მოგვეპოვება (იხ. ამის შესახებ ხინთიბიძე, 1969, 132, 1982, 53-55); ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის ცალკეულ ძეგლთა ქართული თარგმანები ბერძნულად ცნობილი დედნებისაგან მნიშვნელოვნად სხვაობენ და ამ თხზულებათა სხვა რედაქციების არსებობას ავარაუდებინებენ მკვლევრებს (იქვე, გვ. 56, 141-166); საგანგებოდაა შესწავლილი ქართველების წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში ორიგინალური ბერძნულენოვანი თხზულებების შექმნით, თუ ქართულიდან ბერძნულად თარგმნის სახით შეტანილი (ხინთიბიძე, 1969, 7-23).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიზანტინისტიკისათვის ძველი ქართული მწერლობა იმ თვალსაზრისით, რომ მასში შენახულია ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები ბიზანტიელ ავტორებზე, როგორც შენიშნავენ, „ამ კუთხით ქართული ლიტერატურა ნაკლებად არის შესწავლილი. ყოველი ცალკეული დაკვირვება, რომელიც ამ მიმართულებით მოუხდენიათ ქართულ მწერლობაზე, მდიდარ მასალას იძლევა“ (ხინთიბიძე, 1982, 56).

უაღრესად მდიდარი და საინტერესო მასალის შემცველი აღმოჩნდა ამ მხრივ ეფრემ მცირის „მოზრახული“ ანდერძები და სქოლიო-კომენტარები, რომლებშიც, გარდა ცალკეული ბიზანტიელი ავტორების შესახებ მოწოდებული ცნობებისა, ბერძნული ქრისტიანული ლიტერატურის არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ ვხვდებით მსჯელობას. კერძოდ, აქ საუბარია ეფრემის მიერ სათარგმნელად არჩეულ ბერძნულ დედნებზე, მათ სხვადასხვა რედაქციებსა და ურთიერთმიმართებაზე, ცალკეულ თხზულებათა შექმნის ისტორიაზე, ბერძნულ ლექსიკონებსა და წიგნთსაცავებზე, ბერძნული ხელნაწერი წიგნების შედგენილობასა და გაფორმებაზე და სხვ. რადგან ეფრემის „მოზრახულში“ დაცული ცნობები ხშირ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანია, ზოგჯერ კი გადამწყვეტიც ბიზანტიური მწერლობის არა ერთი საკითხის შესასწავლად, საჭიროდ ვცანით ანდერძებსა და „შეისწავლებში“ „ალაგ-ალაგ მიმოგანბნეული“ ეს ცნობები „მართლგაგვეწყო“ და თემატურად დაგვეჯგუფებინა.

**ცნობები პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ბერძნული დედნებისა და პირველი ეგზეგეტიკური კატენების შესახებ.** პავლე მოციქულის 14 ეპისტოლედ ახალი აღთქმის კანონის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია და ბუნებრივია, რომ ეგზეგეტთა ყურადღების ცენტრში ადრევე აღმოჩნდებოდა. ბერძნულ ენაზე გვაქვს პავლეს ეპისტოლეთა რამდენიმე თარგმანება, შედგენილი სხვადასხვა დროს სხ-

ვადასხვა ავტორის მიერ. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ადრეული სრული თარგმანებები იოანე ოქროპირისა (+407წ. P.G.ტ. 60-63), თეოდოსი ანტიოქელისა, მოფსუესტიელისა (IV-Vს.; P.G. 66) და თეოდორიტი კვირელისა (+458წ., P.G. 82). მოგვიანებით პავლეს თოთხმეტივე ეპისტოლეს განმარტება მოგვცეს იოანე დამასკელმა (+749წ. P.G. 95), ეკუმენიოსმა (+995წ., P.G. 118-119), თეოფილაქტი ბულგარელმა (+1070წ., P.G. 124-125) და ექვთიმე ზოგაბენმა (XII ს., P.G. 128-129). გარდა ამისა, პავლე მოციქულის ცალკეული ეპისტოლე თუ მისი ესა თუ ის მუხლი განუმარტავთ ეკლესიის მამებს: ბასილი დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს, გრიგოლ ნოსელს, აგრეთვე, ორიგენეს, მეთოდის, ათანასი ალექსანდრიელს, კირილე ალექსანდრიელს, გენადი კონსტანტინეპოლელს, გერმანეს, ფოტის. მაგრამ იოანე ოქროპირის თარგმანება, რომელიც „იოანე ოქროპირის ცხოვრებაში“ დაცული ცნობის თანახმად მას თვით პავლე მოციქულის კარნახით დაუწერია („იოანე ოქროპ. ცხოვრ.“, 1986, 51-56), იმთავითვე მიჩნეულ იქნა ყველაზე სწორ და მოციქულის „სიტყვის ძალის“ ზუსტად განმაცხადებელ განმარტებად. ამიტომ შემდგომი დროის ეგზეგეტიკებიც თავიანთი კომენტარების შედგენისას ხშირად ოქროპირს უბრუნდებოდნენ. განსაკუთრებით იყვნენ დავალებული ამ ვრცელი ეგზეგეტიკური თხზულებით კატენური კრებულების შემდგენლები, რომლებიც „მამათა შედგომილების პრინციპის“ ერთგულ მიმდევრებად გვევლინებიან და საღმრთო წერილს „სხუებრ“ არა თარგმნიან „თვნიერ ვითარ-იგი მნათობთა ეკლესიისათა და მოძღუართა აღწერილთა თვსთა გარდამოსცეს“ (კეკელიძე, ეტ., XI, 181).

იოანე ოქროპირის "პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების" საფუძველზე შეუდგენია თავისი ეგზეგეტიკური შრომა V საუკუნის ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსს კირილესაც. კირილეს ეს შრომა ბერძნულად დღეს ფრაგმენტების სახითაა მოღწეული, შემორჩენილია პავლეს ჰრომაელთა მიმართ, კორინთელთა მიმართ I და II და ებრაელთა მიმართ ეპისტოლეების განმარტებათა ფრაგმენტები (P.G. 74, col. 774-1007), მაგრამ ამ ფრაგმენტების მიხედვით ძნელია როგორც ამ თხზულების პირვანდელი სახის აღდგენა, ისე თვით კირილეს მიერ განეული მუშაობის კვალიფიცირება. ამ საკითხის გარკვევა კი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ კირილე ალექსანდრიელის მიერ შედგენილი „პავლეს თარგმანება“ თავისი სიმოკლისა ანუ „სიტყვს ძალის მოკლედ განცხადების“ (ფერემ მცირე) და ამავე დროს მისი შემდგენელი რედაქტორის

დიდი ავტორიტეტის გამო ფართოდ გავრცელებულა როგორც საბერძნეთში, ისე სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, რასაც მოწმობს მისი მრავალ სხვა ენაზე თარგმნა (შემორჩენილია ამ თხზულების ლათინური, სირიული და სომხური თარგმანების ფრაგმენტები). ქართულ ენაზე არსებული პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების დედანიც, მისი მთარგმნელის – ეფრემ მცირის – ცნობით, კირილეს ეს შრომა ყოფილა და არა ვრცელი თარგმანება იოანე ოქროპირისა (თვალთვაძე, 1988, ა, 1995, ბ).

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, არც ბერძნული, არც სხვაენოვანი ფრაგმენტები სრული სახით ვერ წარმოაჩინენ, თუ რა მუშაობა განია კირილემ, ეს მისი ორიგინალური შრომაა თუ მოციქულის სიტყვის კომენტარებისას მთლიანად ოქროპირს ეყრდნობა. გაურკვეველი რჩება ისიც, ისარგებლა თუ არა მან ოქროპირის გარდა სხვა მამათა ნააზრევით და სხვ.

კირილეს მიერ განეული მუშაობის სრულყოფილ დახასიათებას, მისი შრომის შეფასებას და საერთოდ ბერძნულ ენაზე პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების სხვადასხვა რედაქციების არსებობისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ მეტად საყურადღებო ცნობებს გვანვდის ეფრემ მცირე ანდერძში, რომელიც მას პავლეს ეპისტოლეთა განმარტებების საკუთარი თარგმანისთვის დაურთავს და რომელიც ჩვენამდე მხოლოდ ერთ ათონურ ხელნაწერს (N18) შემოუნახავს. ამ ანდერძისა და ათონური კოლექციის N18 ხელნაწერის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი, აქ დანვრილებით მხოლოდ იმ ცნობებს განვიხილავთ, რომლებიც პავლეს კომენტარების ბერძნულ დედნებს შეეხება და მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო ამ კონკრეტული ეგზეგეტიკური თხზულების შექმნის ისტორიის გასათვალისწინებლად, არამედ საერთოდ ბიზანტიური ქრისტიანული ეგზეგეტიკის ისტორიისთვისაც.

ანდერძში ეფრემ მცირე, უპირველეს ყოვლისა, სათარგმნელად არჩეულ ბერძნულ თხზულებაზე მსჯელობს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „პავლეს თარგმანების“ ავტორი იოანე ოქროპირია, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ მისი ვრცელი ეგზეგეტიკური შრომა შეუმოკლებია და სხვა ავტორების კომენტარებითაც შეუვსია კირილე ალექსანდრიელს და მოუცია „დიდთა თარგმანთაგან გამოკრებილი თარგმანებაჲ პავლესი“ (Ath.18, 235; თვალთვაძე, 1988, 221; კოჭლამაზაშვილი, 2003, 00-302).

რას ეყრდნობა ეფრემ მცირე ამ ცნობის მოწოდებისას?

უპირველეს ყოვლისა, თვითონ კირილე ალექსანდრიელის

ეპისტოლეს, რომელსაც იმონმებს კიდეც ანდერძში: „თავით კერძო იგი ეპისტოლე ამას ცხად ჰყოფს, ვითარმედ ვისმე მოსწრაფესა ეთხოვა დიდისა კვრილესგან, **რათა პატივთა ზედა სამოციქულოსა წიგნისათა წარუწეროს შემოკლებული ძალი სიტყვასა**“ (Ath.18, 235). კირილე ალექსანდრიელს ეს ეპისტოლე, რომელიც Ath.18 ხელნაწერში ეფრემის ამ ანდერძს მოსდევს (გვ. 238-242), მიუწერია „სხვსა ვისმე ეპისკოპოსის მიმართ“, რომელიც სამოციქულოს მოკლე თარგმანების დამკვეთი ჩანს. ეპისტოლეში კირილე საუბრობს, თუ რა მიუშაობა განია მან, მიუთითებს წყაროებზე, რომელიც გამოიყენა ამ წიგნის შედგენისას და მკითხველს პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების გაცნობამდე თვით მოციქულის ცხოვრების ძირითად მომენტებს შეახსენებს: „პირველ უკუე ჯერვიჩინე მცირედ წმიდისა მოციქულისა პავლესთვის თქუმად“ (Ath.18, 238). კირილე ალექსანდრიელის ეს ეპისტოლე, მიუხედავად კონკრეტული ადრესატის არსებობისა, თავისი დანიშნულებით შესავალი წერილია, რომელიც ალბათ წინ უძღოდა ბერძნულ დედანში კირილეს ხელიდან გამოსულ ეგზეგეტიკურ შრომას. ეფრემ მცირის ანდერძის ცნობითაც, ეს ეპისტოლე **“თავსა წერილ იყო”**. „ამას ვითარებასა ვისწავებთ ეპისტოლისა მისგან დიდისა კვრილე ალექსანდრიელისა, რომელი იძიე და ჰპოვო **თავსა წიგნისა** ამის პავლეს თარგმნად გარემოწერილისა“ (Ath.18, გვ. 236); **“თავით კერძო** იგი ეპისტოლე ამას ცხად ჰყოფსო, ” – ხაზგასმით აღნიშნავს ეფრემი. მართალია, Ath.18 ხელნაწერში ეს ეპისტოლე ბოლოშია და ეფრემის ანდერძს მოსდევს, მაგრამ ეს თავდაპირველ სურათს სწორად არ უნდა ასახავდეს, რასაც გვაფიქრებინებს მეორე ათონური ხელნაწერის (Ath.39, XI ს.) ჩვენებაც, სადაც კირილეს ეპისტოლე იწყებს პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების ტექსტს (ამ ხელნაწერისა და მასში დაცული ტექსტის მთარგმნელის ვინაობის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ გვექნება მსჯელობა). ვფიქრობთ, როგორც ყოველთვის, ეფრემი აქაც სწორ ინფორმაციას გვანვდის: ეპისტოლე კირილე ალექსანდრიელისა, მართლაც „თავით კერძო წერილ იყო“.

ეფრემის ანდერძის ცნობით, კირილე ამ ეპისტოლეში „გულსმოდგინებასა მისსა (დამკვეთი ეპისკოპოსისა) აქებს და ცხად-ჰყოფს, ვითარმედ **ოქროპირის თარგმანთაგან გამოუკრებიეს** მას მოკლე ძალი სიტყვასა და **ადგილ-ადგილ სხუათაცა წმიდათა დაურთავს**, სადაცა უპოვიეს საკითხავთა შინა განმარტება სამოციქულოსა სიტყვასა“ (Ath.18, 235). ეფრემის ამ განცხადებას სავსებით შეესაბამება კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლეს ში-

ნარსი. კირილე ეპისტოლეს ასე იწყებს: „მოსწრაფება და სწავლისმოყუარება სინმიდისა შენისა ფრიად მთნდა მე, წმიდაო მამაო და ამისთჳს მორჩილებითა შენითა ძნელსა საქმესა ჴელვყავ და მისწრაფება ფრიადი შორის შემოვილე, რაათამცა დავანესე ეპისტოლეთა თანა წმიდისა მოციქულისა პავლესთა თარგმანიცა მათი, რაათა ადვილ იყოს გულისწმისყოფად მათი ყოველთა მიერ, რომელნი იკითხვიდენ მოსწრაფებით სიტყუათა მისთა. ვინათგან უკუე წმიდასა მამასა ჩუენსა **იოანე ოქროპირსა** უთარგმნიან ეპისტოლენი ესე წმიდისა პავლესნი და რავენნიმე სიტყუანი მისნი ვპოვენ **დიდისა ბასილის მიერცა კესარიელისა და გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა** და წმიდისა **ათანასის** მიერცა თარგმნილი, ამისთჳს **არლარა ჴელ-ვყავ ყოვლისავე თავით ჩემით თარგმანებად, არამედ მათ წმიდათა მიერ აღწერილისაგან გამოვკრიბე და რომელიმე ჩემმიერცა შევსძინე და განვანესე სიტყუათა მათ თანა მის მოციქულისათა მოკლედ თარგმანი მათი გარემო მათსა**“ (Ath.18, 238-239; თვალთვაძე, 1995, 359; კოჭლამაზაშვილი, 2003, 291).

ამ ეპისტოლედან კარგად ჩანს, თუ რა სახის სამუშაო შეუსრულება კირილეს. მას შეუდგენია კატენური თარგმანება, ანუ კრებული პავლეს ეპისტოლეთა განმარტებებისა, რისთვისაც ძირითად წყაროდ გამოუყენებია იოანე ოქროპირის თარგმანება, ამოუკრებია სხვადასხვა თხზულებებში გაბნეული კომენტარები ბასილი კესარიელის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, ათანასი ალექსანდრიელისა და ზოგი მუხლი თვითონაც განუმარტავს. კირილეს შრომა არაა მხოლოდ შემოკლება იოანე ოქროპირის ვრცელი თარგმანებისა, ის კომპილაციური ხასიათის ნაშრომია, ანუ სწორედ იმგვარი კატენური კრებული (ბერძნ. *συναξι*), რომელშიც საღმრთო წერილის მუხლების სხვადასხვა ავტორთა განმარტებებია თავმოყრილი.

როგორც კირილეს ეპისტოლედან და ეფრემის ანდერძიდან ჩანს, კირილეს შედგენილი პავლეს თარგმანება ეგზეგეტიკური კატენური კრებულისათვის დამახასიათებელი წესით ყოფილა ნაწერი: ეტრატის შუაგულში მოთავსებული ყოფილა **კიმენი**, ხოლო ოქროპირის და **"სხუათა მამათა"**, მათ შორის კირილეს კომენტარები კი – **"პატივსა ჴედა"**, ანუ აშიაზე. განსამარტავი მუხლი შესაბამის კომენტარს საგანგებო ნიშნებით უკავშირდებოდა. კირილეს სიტყვებით, "ყოველსა სიტყუასა ჴედა დამინესებია რიცხვ და იგივე რიცხვ არს თარგმანსაცა ჴედა, რაათა ადვლ იყოს საპოვნელად, თუ რომელი თარგმანი რომლისა სიტყუსაა არს"(Ath.18, 239). ეფრემის ცნობითაც, კირილეს გარემონერულ



პავლეში „რიცხვთა ოდენ და ნიშნითა კიდეთა ზედა თარგმანი მოიღებოდის“ (Ath. 18, 236).

ეფრემის ანდერძის მიხედვით კომენტარებისათვის კირილეს ავტორთა სახელებიც მიუწერია, მხოლოდ იოანე ოქროპირის განმარტებები, „ვითარცა უმრავლესი, ზედანარუნერელად დაუტევებიეს, ხოლო ადგილ-ადგილ ვისსა სადა ჰრთავს **ათანასის**, გინა **ბასილისსა**, **გრიგოლისსა** ანუ **თავისა თვისსა სახელსა** ზედა დასწერს“ (Ath. 18, 236). აქვე ეფრემი ერთ საყურადღებო ცნობას გვანვდის: „მინყებით და ვრცლად და სრულებით არავის ამათავანსა უთარგმნია პავლე, თვნიერ იოანე ოქროპირისა, არამედ საკითხავთა შინა მათთა, სადაცა უპოვნია სამოციქულო სიტყუა განმარტებული, იგიცა ზედა დაურთავს ოქროპირისა თარგმნისადა“ (იქვე). ცნობილია, რომ გრიგოლ ნაზიანზელს, ბასილი კესარიელს და ათანასი ალექსანდრიელს პავლეს ეპისტოლეთა სრული თარგმანებები მართლაც არ მოუციათ. მხოლოდ ცალკეული მუხლების განმარტებას ვხვდებით მათ თხზულებებში. კირილე ალექსანდრიელს, ეფრემის ცნობით, სწორედ ეს ცალკეული მუხლების განმარტებები ამოუკრებია, სადაც კი უპოვია საკითხავთა შინა, ზედადაურთავს ოქროპირის კომენტარებისთვის და ასე მიუღია **“გარემონერილი”** ანუ **“მოთხვითად მონერილი”** თარგმანება პავლეს ეპისტოლეებისა. სიტყვა **“მოთხვითს”** საბა ასე განმარტავს: **“მოთხვითი – ოთხკუთხი”**(საბა, 1991, 492; იხ. აგრეთვე, აბულაძე, 1973, 264; ცქიტიშვილი, 1976, 315). ამდენად **“მოთხვითად მონერილი თარგმანება”** ოთხკუთხივ მონერილს ნიშნავს, სადაც **“განუკუეთელი სამოციქულო სიტყუა”** ოთხივე მხრიდან სხვადასხვა კომენტატორთა განმარტებებით არის მონერილი. იოანე ოქროპირის ვრცელი ანუ **“მართლგანყობილი”** თარგმანებისაგან განსხვავებით, რომელსაც ეფრემი **“პავლეს თარგმანს”** უწოდებს, კირილეს შრომას, რომელიც **“მოთხვითად მონერილი”** ანუ **“გარემონერილი”** ყოფილა, ეფრემი **“პავლე თარგმანიანს”** ეძახის (**“ამისთვის მას არა პავლეს თარგმანი ჰქვან, არამედ პავლე თარგმანიანი”** Ath.18, 236).

კირილეს „პავლე თარგმანიანი“, ეფრემის ცნობით, ერთ წიგნად ყოფილა აკინძული. სწორედ „ერთნიგნობა“ მიაჩნია ეფრემს მის ერთ-ერთ უპირატესობად. მისი აზრით, მოკლე თარგმანი „ძალსა სიტყვასა“ უკეთ წარმოაჩენს.

ეფრემ მცირე ანდერძში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პავლეს კომენტარების გამოკრებილი თარგმანება კირილეს ორიგინალური შრომა არაა, ის მისი მხოლოდ შემდგენელ-რედაქტორია: „ვინაჲცა

ან ბერძულისაგან გვსწავიეს, *არა კვრილეს თარგმნილი არს გარემონერილი თარგმანი პავლეს სიტყვსაჲ*, არამედ ვითარცა იტყვს დასაბამსა, ოქროპირისა თარგმნილთაგან წიგნთა შემოუკრებიეს მოკლე ძალი თითოეულისა სიტყვსაჲ. ეფრემი გვაძლევს კირილეს მიერ განუული მუშაობის ამომწურავ დახასიათებას. მისი ცნობით, კირილეს არა მარტო სხვა წმინდა მამების საკითხავებში გაბნეული პავლეს ეპისტოლეთა თითოთოროლა მუხლის განმარტება მიუძეხნია და მოუთავსებია თავის წიგნში, არამედ თვით იოანე ოქროპირის სხვა თხზულებებშიც უპოვია ზოგიერთი მუხლის კომენტარი და სადაც კი "იპოების სამოციქულოჲსა სიტყსა თარგმანებაჲ, ყოველი აქა შემოუკრებიეს და თითოეფრეთა ყუავილთაგან ერთად გოლად საუკუნოჲსა სიტკობებისა მორწმუნეთად დაუუნჯებიეს" (Ath.18, 237). ცხადია, ეფრემის ანდერძში მოცემული დახასიათებით, რასაც ეთანხმება თვით კირილეს ეპისტოლეც, კირილეს მიერ შედგენილი „გარემონერილი“, „მოთხვითად მონერილი“ თარგმანება აშკარად *კატენური კრებულია*.

საეგზეგეტიკო კატენების მამამთავრად VI საუკუნის მწერალი პროკოპი ლაზელი ითვლება (კრუმბახერი, 1897, 210-216; კეკელიძე, ეტ. XI., 1973, 81-182). ეფრემ მცირის მიერ მოწოდებული ცნობის გათვალისწინებით კი პირველი კატენური ხასიათის ეგზეტიკური კრებულის შემდგენელი კირილე ალექსანდრიელი ჩანს, რომელსაც პროკოპიმდე მთელი საუკუნით ადრე (კირილე გარდაცვალა 444 წ.) შეუდგენია ეგზეგეტიკური კატენები, "პავლე თარგმანიანი".

ეფრემის ცნობით, კირილეს მიერ შედგენილი "პავლე თარგმანიანი" გვიანდელი რედაქციებიც არსებობს. კირილეს გარდაცვალების შემდეგ მის ამ შრომაში შემდგომი დროის მოღვაწეთა ნააზრევიც ჩაურთავთ: "არს, რომელ შემდგომად კვრილეს ყოფილთაცა წმიდათა თქმულისაგანიცა რაოდენიმე სიტყუაჲ დაურთავს ადგილ-ადგილ ვიეთმე ბრძენთა და გულისჯმისმყოფელთა, და იგიცა დაგწერია მისით ზედანარწერილითურ ბერძულთა დედათა შინა ვინა გვპოვნია რჩეულთა და სარწმუნოთა" (Ath. 18, 237). მართლაც, ცნობილია, რომ V საუკუნის შემდგომაც არაერთ წმინდა მამას განუმარტავს პავლეს ცალკეული ეპისტოლეები. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც VIII საუკუნეში იოანე დამასკელის მიერ შედგენილი თოთხმეტივე ეპისტოლეს თარგმანება, ან X საუკუნეში მოღვაწე თრაკიელი ეპისკოპოსის ეკუმენიოსის ეგზეგეტიკური შრომა.

ეფრემის ცნობით, „კირილეს შემდგომ ყოფილი“ ამ მამების

ნააზრევი შეტანილი ყოფილა კირილეს მიერ შედგენილი „მოთხვი-  
თად მოწერილი“ პავლეს იმ ბერძნულ ხელნაწერში, რომელიც მის-  
თვის სვიმეონწმიდელ ბერძენ მოღვაწეს კლიმის მიუწოდებია დედ-  
ნად. მის მიერ ქართულად გადმოღებულ „პავლე თარგმანიანის“  
ტექსტში ხშირად გვხვდება ეკუმენიოსის (resp.კკუმენის) სახელი,  
რაც გვაფიქრებინებს, რომ კირილეს „პავლე თარგმანიანს“ ბოლო  
გადამუშავება X საუკუნის შემდგომ განუცდია.

ამრიგად, ეფრემ მცირის ცნობით, ბერძნულ ენაზე გვექონია  
იოანე ოქროპირის ეგზეგეტიკური თხზულებიდან მომდინარე  
შრომა სამი რედაქციით:

1) იოანე ოქროპირის ვრცელი თარგმანება, ანუ **“პავლეს  
თარგმანი”** (P.G. 60-63).

2) კატენური ანუ „გარემოწერილი“ თარგმანება შედგენილი  
კირილე ალექსანდრიელის მიერ, რომელშიც შესულა სხვა წმინდა  
მამების კომენტარებიც, ანუ **“პავლე თარგმანიანი”**. ეს თხზულება  
ბერძნულად მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. ფრაგ-  
მენტები გვაქვს სომხურ, სირიულ და ლათინურ ენებზეც.

3) **გვიანდელი რედაქცია კირილეს “პავლე თარგმანიანისა”**,  
რომელშიც კირილეს გარდაცვალების შემდგომ მოღვაწე კომენ-  
ტატორთა განმარტებებია ჩამატებული. ბერძნული დედანი ამ  
თხზულებისა საძიებელია, ქართულად კი თითქმის სრული სახით  
გვაქვს შემონახული ეფრემ მცირის თარგმანში.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეფრემი  
საზოგადოდ “სამოციქულოს” და კერძოდ “პავლეს ეპისტოლეთა”  
განმარტებების თარგმნისას იოანე ოქროპირის კომენტარებით  
სარგებლობდა. მაგრამ ბერძნული და ქართული ტექსტების შე-  
დარებისას გამოვლენილი მრავალი არსებითი ხასიათის სხვაობა  
მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ ეფრემის თარგმანი ოქროპირის  
თხზულების პირდაპირი გადმოღება კი არაა, არამედ ორიგი-  
ნალური შრომაა იოანე ოქროპირზე დაყრდნობით შესრულებული.  
კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ეფრემის თარგმნილი ეს თხზულე-  
ბა წარმოადგენს “ეფრემის შრომას იოანე ოქროპირის მიხედვით  
დანერილს” (კეკელიძე, 1980, 257); ი. აბულაძის აზრით, “ეფრემმა  
შერჩევით თარგმნა ოქროპირის განმარტებები” (აბულაძე, 1950,  
013); კ. დანელია კი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა პავლეს  
ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემისეული თარგმანი, მიიჩნევს,  
რომ ეფრემმა იცის ოქროპირის (ისე როგორც სხვა ღვთისმეტყ-  
ველთა) კომენტარები, მაგრამ კი არ თარგმნის მის თხზულებებს,  
არამედ კონსპექტურად გადმოგვცემს მის ნააზრევს (დანელია,

1983, 319-325). მისი აზრითაც, ეს თარგმანება შეიძლება ეფრემის ორიგინალურ შრომად ჩაითვალოს (იქვე, გვ. 325).

პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემისეულ თარგმანზე დართული მთარგმნელის ანდერძის აღმოჩენის შემდეგ, საკითხი შეიძლება სხვაგვარად დაისვას. ამ ანდერძში ეფრემი პირდაპირ მიუთითებს მის მიერ დედნად გამოყენებულ თხზულებაზე. **მას კირილე ალექსანდრიელის მიერ შედგენილი კატენური "პავლე თარგმანიანის" გვიანდელი რედაქციის ხელნაწერი ჰქონია დედნად.** ეფრემი თვითონ კი არ ასრულებდა კომპილაციურ სამუშაოს (კრებდა, აკონსპექტებდა, ამოკლებდა და ა. შ.), არამედ ისეთი დედნით სარგებლობდა, რომელშიც ამგვარი სამუშაო უკვე შესრულებული იყო, თანაც "არა ლიტინი კაცის, არამედ წმინდა კირილეს მიერ". ეფრემის ანდერძიდან კარგად ჩანს ისიც, რომ ეს ეგზეგეტიკური თხზულება ეფრემის ორიგინალური შრომა არაა. ვფიქრობთ, ზემოთ განხილულ ეფრემის ანდერძში დაცული ცნობები საკმაო საბუთია იმისათვის, რომ ქართულ ხელნაწერებში შენახული პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემ მცირისეული თარგმანის ტექსტის დედნად კირილე ალექსანდრიელის "პავლე თარგმანიანის" გვიანდელი რედაქცია მივიჩნიოთ. შემდგომი კვლევა-ძიება, ბერძნული და ქართული ტექსტების ერთმანეთთან შედარებაც სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს.

ცნობილია, რომ ეფრემ მცირის მიერ შესრულებული თარგმანი პავლეს ეპისტოლეთა კომენტარებისა სრული სახით არც ერთ ხელნაწერში არა გვაქვს დაცული (დანელია, 1983, 315-317); მოლნეულია რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და აგრძელებენ. ბოლო დრომდე ითვლებოდა, რომ ეფრემისეული თარგმანის ტექსტი თავბოლონაკლული იყო. თავში აკლდა ჰრომაელთა ეპისტოლის თარგმანება (9, 21 მუხლამდე), ბოლოში კი – ტიმოთეს მიმართ II, ტიტეს და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეთა კომენტარები. მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ეგზეგეტიკური ძეგლის ეფრემისეული თარგმანის ნაკლული ნაწილები დღეს მიკვლეულია (თვალთვაძე, 1988; კოჭლამაზაშვილი, 1995) და შეიძლება ითქვას, რომ კირილე ალექსანდრიელის მიერ შედგენილი პირველი ეგზეგეტიკური კატენების "პავლე თარგმანიანის" ქართული თარგმანის ტექსტი სრული სახით გვაქვს დაცული შემდეგ ხელნაწერებში: Q 1158 (XI ს), სადაც შენახულია დასაწყისი „პავლე თარგმანიანისა“, ჰრომაელთა და კორინთელთა მიმართ I ეპისტოლე; Jer. 9 (XI ს) და A 390 (XI ს), რომლებიც შეიცავენ თითქმის ერთნაირ ტექსტს, კორინთელთა მიმართ II ეპისტოლის

თარგმანებას სრულად, გალატელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლასელთა, I თესალონიკელთა ეპისტოლეების კომენტარებს. ამის გარდა, A 390-ში დაცულია II თესალონიკელთა სრულად და ებრაელთა მიმართ ეპისტოლეების თარგმანება ნაწილობრივ (12, 15-მდე); Ath.18 (XV-XVI ს) შეიცავს ტექსტებს და კომენტარებს ებრაელთა მიმართ ეპისტოლისა (6, 11-დან), ტიმოთეს მიმართ I, II, ტიტეს და ფილიმონის მიმართ ეპისტოლეთა თარგმანებას. ამ ხელნაწერში კომენტარების ტექსტს ბოლოში ერთვის მთარგმნელის – ეფრემ მცირის – ანდერძი და იამბიკო და კირილე ალექსანდრიელის ეპისტოლე. ეფრემისეული თარგმანების ცალკეული ფრაგმენტები შენახულია S 3656, H 2141, S 1172, S 1149, S 4812 და Q 831 ხელნაწერებშიც (კოჭლამაზაშვილი, 1995, 27, 2000, 9).

გარდა ამისა, ეფრემის ანდერძზე დაყრდნობით, ერთ ათონურ ხელნაწერში (Ath.39, XI ს) კირილეს „პავლე თარგმანიანის“ დასაწყისი ნაწილის (კირილეს ეპისტოლე, პრომეელთა და კორინთელთა მიმართ I ეპისტოლე 8, 2 მუხლამდე) სხვა ქართულ თარგმანსაც მივაკვლიეთ, რომლის მთარგმნელად ექვთიმე ათონელს მივიჩნევთ.

„პავლე თარგმანიანის“ ორივე ქართულ თარგმანს შიგადაშიგ აკლია თითო-ოროლა ფურცელი, მაგრამ ცხადია, რომ იმ სახითაც, როგორითაც მას ჩვენამდე მოუღწევია, დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარებს ამ თხზულების ბერძნული დედნის თავდაპირველი სურათის აღდგენაში. ასევე ნათელია იმ ცნობების მნიშვნელობა ბიზანტიური ეგზეგეტიკის ისტორიისათვის, რომლებიც ეფრემ მცირის თარგმნილ პავლეს ეპისტოლეთა კომენტარებზე დართულ კოლოფონში გვაქვს. ეფრემის მიერ აქ მოწოდებული ცნობები სრულად გვიხასიათებს კირილე ალექსანდრიელის ღვაწლს სამოციქულოს წიგნების განმარტების საქმეში.

ყურადღებას მივაქცევთ კიდევ ერთ ფაქტს. ეფრემმა „სამოციქულოს თარგმანებას“ ზემოთ განხილულ „ბოლოესა ანდერძთან“ ერთად „თავისა ანდერძიც“ წაუმძღვარა (Jer.16,2r-4v), რომელშიც ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთი საყურადღებო ცნობაა დაცული: „ესე საქმისა მოციქულთაჲსა თარგმანი სიტყუა სიტყუად მრავალთა თარგმნილისაგან შემოკრებულ არს და სიჭოესაგან სახელები თჳს-თჳს არა ეგებოდა დაწერაჲ. ხოლო ვითარცა ზედანარწერილი ცხად ჰყოფს, უმრავლესი და ყოველგან წმიდისა იოანე ოქროპირისა არს და ადგილ-ადგილდა დაერთვის სხუათაცა წმიდათაჲ მრავალთაგან წიგნთაგან ერთად შეკრებული წმიდისა კკრილეს მიერ“ (Jer.16,4r). ეფრემის მიერ აქ ნახსენები კკრილე

უდაოდ კირილე ალექსანდრიელია, რომელსაც „საქმე მოციქულთას“ გამოკრებილი თარგმანება შეუდგენია, ძირითად წყაროდ ისევ იოანე ოქროპირის ვრცელი თარგმანება გამოუყენებია და „ადგილ-ადგილ სხუთაცა წმიდათა დაურთავს“ ისევე როგორც „პავლე თარგმანიანის“ შედგენისას. ეფრემის სიტყვების შინაარსი ნათელია: „საქმე მოციქულთას“ თარგმანების ბერძნულ დედნად აქ ისევ კირილეს მიერ შედგენილი ეგზეგეტიკული კატენებია დასახელებული, მაგრამ ამ ცნობას რატომღაც ანგარიშს არ უწევნენ ეფრემის მიერ „სამოციქულოს თარგმანების“ გადმოღებისას განეული მუშაობის შეფასებისას. კ. დანელია ამის გამო შენიშნავს: „გამოდის, რომ ეფრემს ძირითადად უსარგებლია იოანე ოქროპირის (+407) კომენტარებით და ალაგ-ალაგ გამოუყენებია კირილე ალექსანდრიელის (+444) შრომა“ (დანელია, 1982, გვ. 319). ეფრემი რომ იოანე ოქროპირის განმარტებებიდან გამოკრებილ და სხვათა ნააზრევით შევსებულ თხზულებას თარგმნის და არა პირდაპირ იოანე ოქროპირის ვრცელ თარგმანებას, ეს წიგნის სათაურიდანაც კარგად ჩანს: „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კოსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისაჲ განვრცელებითა თარგმანთაგან შემოკრებილი თარგმანებაჲ საქმისა მოციქულთაჲსა, რომელსა შინა იშუთ დაერთვის სხუათაცა წმიდათა თარგმანებულისაგან მოკლე ძალი სიტყვსაჲ“ (Jer.16,4r). როგორც ჩანს, კირილეს შეუდგენია არა მარტო „პავლე თარგმანიანი“, არამედ „თარგმანიანი საქმე მოციქულთა“ და „თარგმანიანი კათოლიკე ეპისტოლეებიც“, რომლებითაც ისარგებლა ალბათ ეფრემ მცირემ. კირილეს სახელით ჩვენამდე მოღწეულია რამდენიმე ფრაგმენტი „საქმე მოციქულთას“ თარგმანებისა (P.G.74,col.758-774) და თითო-ოროლა ფურცელი იაკობის, I და II იოანეს და იუდას ეპისტოლეების თარგმანებიდან (P.G. 74, col.1007-1036). სრული ტექსტი ამ ეგზეგეტიკური შრომისა ბერძნულად არ ჩანს. ვფიქრობთ, ეფრემის ანდერძებში დაცული ცნობები მყარ საფუძველს იძლევა ამ კუთხით ძიების წარსამართავად. მართალია, ეფრემი პავლეს ეპისტოლეთა თარგმანებასთან შედარებით გაცილებით ძუნწ ცნობებს გვანვდის „სამოციქულოს“ სხვა წიგნების განმარტებათა შედგენის ისტორიაზე, არ ასახელებს იმ ავტორებს, რომელთა კომენტარებიც გამოიყენა კირილემ კატენური კრებულის შესადგენად, არც ის ვიცი, დედნად ისევე „კირილეს შემდგომ ყოფილთაგან“ შევსებული კატენები ჰქონდა თუ ადრეული რედაქცია ამ კრებულისა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, „საქმე მოციქულთას“ და „კათოლიკე ეპისტოლეების“ კო-

მენტარების თარგმნისას ეფრემი უკვე გამოკრებილი ბერძნული დედნებით სარგებლობდა.

ვფიქრობთ, ეფრემ მცირის თარგმნილი „სამოციქულოს თარგმანების“ ბერძნულ წყაროებთან შედარება, რაც მომავლის საქმედ გვესახება, უფრო კონკრეტულად გასცემს პასუხს მრავალ შეკითხვას, რომელიც ამ საკითხის ირგვლივ შეიძლება წამოიჭრას. ეფრემის ანდერძებში დაცული ცნობები კი უთუოდ გზამკვლევი იქნება ამ მუშაობისას.

**სვიმეონ მეტაფრასტი და მეტაფრასული აგიოგრაფიის ისტორიის საკითხები.** ცნობები სვიმეონ მეტაფრასისა და მის მიერ გარდაკაზმული აგიოგრაფიული საკითხავების შესახებ დაცული გვაქვს ეფრემ მცირის მოზრახულში, რომელსაც თვითონ ასე უწოდებს: „მოსაწესენებელი მცირე სვიმეონისათვის ლოლოთეტიისა და თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმნისათა“. ეფრემის ამ შრომის შესწავლას კ. კეკელიძემ დაუდო სათავე, რომელმაც 1910 წელს კიევის სასულიერო აკადემიის შრომების კრებულში დაბეჭდილ წერილს „Симеон метафраст по грузинским источникам“ (კეკელიძე, ეტ. V, 212-215) თან დაურთო ეფრემ მცირის „მოსაწესენებელი“ რუსული თარგმანით.

ეფრემის „მოსაწესენებელი“ ორი ხელნაწერითაა შემონახული. ესაა XIII საუკუნის აგიოგრაფიული კრებული A 90 და XVI საუკუნის K 5 ნუსხა, რომელიც ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. A90 ხელნაწერში, რომელიც სულ 658 გვერდს შეიცავს, ის კრებულის შუა ნაწილშია მოქცეული და უჭირავს 310-ე-314-ე გვერდები. (ახალი აღწერილობით 159v-161v). იგი მოსდევს კრებულში მეთორმეტე ნომრად შეტანილ 31 დეკემბრის საკითხავს „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღირსისა მელანიაჲსი ჰრომისაჲ“ (142v-159v), რომლის მთარგმნელად ეფრემ მცირეა მიჩნეული (კეკელიძე, ეტ. V, 154, 196; ბრეგაძე, 1971, 458). K 5 ხელნაწერში კი მას 576-572 გვერდები უჭირავს და ერთვის კრებულის ბოლო საკითხავს, იმავე „მელანია ჰრომის ცხოვრების“ ეფრემ მცირისეულ თარგმანს. A90 კრებულში ეფრემის ამ შრომას ანდერძის გარეგნული სახე არა აქვს. ის არაა მოთავსებული არც „შესავალად წიგნისა“, ანუ თავში და არც „ბოლოსა წიგნისასა“. არ არის ის მიწერილი არც აშიაზე, როგორც ზოგჯერ ხდება ეს, არც ძირითადი ტექსტისაგან გასარჩევად წვრილი ნუსხურითაა გადანერილი, როგორც გვაქვს ზოგიერთ ხელნაწერში. თხზულების სათაურიც განსხვავებულია ეფრემის ანდერძებისათვის ჩვეუ-

ლებრივი სათაურისაგან („შესავალი წიგნისა“, „წინაბჭე“, „უნწყება“, „ანდერძი“). ერთი სიტყვით, გარეგნულად „მოსაწესენებელი“ ეფრემის მიერვე „მთარგმნელის მოზრახულად“ სახელწოდებულ შრომას არ ჰგავს, მაგრამ თუკი „მოსაწესენებლის“ შინაარსს და შედგენილობას დაუყვირდებით, იგი მთარგმნელის მიერ დაწერილ ისეთივე კომენტარად წარმოგვიდგება, როგორც ნებისმიერი ვრცელი „მოზრახული“ ეფრემისა, რომლებსაც იგი წიგნის თავში ან ბოლოში ათავსებდა. ეს მოზრახული, როგორც სათაურიც მიანიშნებს („მოსაწესენებელი მცირე სკემონისათჳს ლოლოთეტიისა და თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმნისათა“), ეფრემს მეტაფრასული აგიოგრაფიული თხზულებების ქართულად თარგმნის დროს და ამის გამო აქვს დაწერილი. მის პირველ ნაწილში, როგორც სჩვევია ეფრემს, ბერძნული დედნის, ამ შემთხვევაში სვიმეონ ლილოთეტის მიერ გარდაკაზმულ საკითხავთა კრებულების შექმნის შესახებ საუბრობს (გავიხსენოთ, ეფრემის მსგავსი მსჯელობა ფსალმუნთა თარგმანების, სამოციქულოს თარგმანების ბერძნული დედნების შექმნის ისტორიაზე), მკითხველს აწვდის ცნობებს ავტორის შესახებ (შდრ. ცნობები კირილე ალექსანდრიელზე, თეოდორიტე კვირელზე და სხვ.), ხოლო შემდეგ, „მოსაწესენებლის“ მეორე ნაწილში იწყებს საუბარს, თუ რა ვითარებაა ქართულ ენაზე, ასახელებს სვიმეონის მეტაფრასების პირველ ქართველ მთარგმნელებს (დავით ტბელს, სტეფანე სანანოხძეს, ექვთიმე ათონელს, გიორგი მთანმიდელს) და აღნიშნავს, რომ ამ საქმისაგან არა გარე-მიაქცია ღმერთმა ისიც, „საწყალობელ და უღირსი სახისაჲ და სახელისაჲ ეფრემ, მცირე და უნდოჲ მონაზონი“ და ღირსყო ეთარგმნა „რაოდენნიმე საკითხავნი ლოლოთეტიისა მეტაფრასთაგან“. ეფრემის ამ განცხადებას მოსდევს ჩვეულებრივ ანდერძებისათვის დამახასიათებელი მონაკვეთი, სადაც საუბარია თარგმანის პროცესში ხელშემწყობი პირების – საბა სულაჲსძე თუხარელის და ეფრემ დიდი ოშკელის შესახებ, რომლებისთვის ლოცვას ითხოვს წიგნის მთარგმნელნი, „რამე თუ ფრიად დაშურნეს იგინი წიგნისა ამისთჳს“-ო. საბასთან და ეფრემ დიდთან ერთად ლოცვაში მოხსენიებას და ცოდვათა მიტევებას სთხოვს შთამომავლობას თვითონ მთარგმნელიც.

რადგან ეფრემის „მოსახსენებლის“ სტრუქტურა და შინაარსი მისი ვრცელი ანდერძებისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას იმეორებს, ამასთანავე, დანიშნულებაც მას ისეთივე აქვს, როგორც მთარგმნელის მოზრახულ ანდერძებს, ვფიქრობთ, რომ ეფრემის „მოსახსენებელიც“ მთარგმნელის მოზრახულ ანდერძად უნდა



მივიჩნით და არა მის დამოუკიდებელ შრომად. რაც შეეხება მის ადგილს ხელნაწერებში, საფიქრებელია, რომ იმ ორი ხელნაწერიდან, რომელშიც ეფრემის ეს ვრცელი მოზრახულია შემორჩენილი, თავდაპირველ ვითარებას უფრო K5 ხელნაწერი ასახავდეს, სადაც ეფრემის „მოსახსენებელი“ კრებულში ბოლო სტატიად შეტანილ საკითხავს მოსდევს და გარკვეულნილად კრებულის ბოლოსიტყვაობის ფუნქცია აკისრია. ორივე ხელნაწერში, გარდა ეფრემის მიერ თარგმნილი მეტაფრასებისა, შეტანილია სხვა მთარგმნელთა მიერ შესრულებული თარგმანებიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ კრებულის შემდგენლებმა სხვადასხვა მთარგმნელთა, მათ შორის ეფრემ მცირის თარგმანებსაც, მოუყარეს თავი და შეადგინეს მეტნაკლებად სრული კრებულები მეტაფრასული საკითხავებისა. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად მთარგმნელის ეს მოზრახული, რომელსაც ეფრემმა შესაძლოა სვიმეონ ლოლოთეის „მოსაჰსენებელთა“ გავლენით უწოდა „მოსაჰსენებელი“, ერთვოდა ეფრემის მიერ თარგმნილი მეტაფრასული საკითხავების კრებულს, რომელიც 31 დეკემბრის საკითხავით („ცხოვრება მელანი ჰრომისაჲ“) მთავრდებოდა, საიდანაც გადავიდა ის შემდეგ გვიანდელ მეტაფრასულ კრებულებშიც.

ეფრემის „მოსახსენებელი“ მასში დაცული მეტად მნიშვნელოვანი ცნობების გამო კარგად ცნობილი ძეგლია. კ. კეკელიძის პუბლიკაციის შემდეგ მას არა ერთი მკვლევარი შეხებია, რომელთა შორის გამოვყოფთ ვ. ლატიშევის (ლატიშევი, 1915), ჰ. ბეკის (ბეკი, 1959), ლ. მენაბდის (მენაბდე, 1959), რ. სირაძის (სირაძე, 1978), ე. ხინთიბიძის (ხინთიბიძე, 1969, 139-141), ნ. გოგუაძის (გოგუაძე, 1986) და გ. ალიბეგაშვილის (ალიბეგაშვილი, 1989, 1992) ნაშრომებს.

სვიმეონ მეტაფრასის შესახებ ეფრემის „მოსახსენებელში“ დაცულ ცნობებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ბიზანტიური მეტაფრასტიკის თეორიისა და ისტორიის არა ერთი საკითხის გარკვევა. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სვიმეონის მოღვაწეობის დროის განსაზღვრა (კეკელიძე, ეტ. V, 213-216), მის მიერ შესრულებული სამუშაოს კვალიფიცირება (იქვე, გვ. 216-219), სვიმეონის მიერ გამეტაფრასებული საკითხავების რაოდენობის განსაზღვრა (იქვე), მეტაფრასტიკის ლიტერატურულ სიახლეთა დახასიათება (სირაძე, 1978, 150-161) და სხვ.

მეტაფრასტიკის ისტორიის მკვლევართათვის საინტერესო ცნობებს ვხვდებით ეფრემის სხვა ანდერძებშიც. კერძოდ, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში ეფრემი შენიშნავს:

„კუალად ესეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ არა ჯერ-არს, რაჲთა სხვსა ვისგანმე შეკაზმულად ვჰგონებდეთ წიგნსა ამას, ვითარ-იგი გუჲსამიეს *სკმონ ლოლოთეიტისა* და სხვათა მეცნიერთა ბერძენთაგან კაზმვაჲ, ანუ რომელთაჲ ულონო არს, რამეთუ იპოოს თუ ცხორებაჲ, ანუ წამებაჲ, ანუ რაჲცა რაჲ ჰამბავი, გინა მოთხრობაჲ სოფლურითა და უშუერთა სიტყვთა აღწერილი, მას სიტყვთ *განაშუენებენ, გარდაჰკაზმენ და მეტაფრას უწოდენ*, რომელ არს *გარდაკაზმული*“ (A24,2v). ეფრემის ცნობით, ამას მაშინ აკეთებენ, როდესაც „აღმწერელი ჰამბავისა მის ლიტონი კაცი იყოს და არა წმიდათაგანი, ხოლო წმიდათა თქუმულსა და მართლმადიდებელთა მამათა აღწერილსა ვერვინ იკადრებს შეხებად“ (A24,3r).

საინტერესოა „დიმიტრი თესალონიკელის ცხოვრების“ ბოლოს დართული ანდერძი ეფრემისა: „გვედრები ყოველთა, რომელნიცა მიემთხვნეთ წამებასა ამას, რაჲთა უწყებულ იყვნეთ, ვითარმედ არა თუ ამისთჳს დანერილ არს, ვითარცა უმეტესსა რასმე მეტყუელი პირველისასა, გარნა რამეთუ ყოველთავე ამათ დიდთა მოწამეთა *ორ-ორი* აქუს წამებაჲ - *უძველესი და უღრმესი*. აგრეთვე აქუნდენ ამასცა მეორე ესე პირველისავე თანა, რამეთუ ესე ბერძენთაცა ესრეთ აქუს, რაჲცა რომელი ვის სნთდეს, მას იკითხვიდეს“ (S384, 488; ჟორდანი, 1892, 239; S I, 465). ანდერძში ეფრემი გვაუწყებს, რომ „დიმიტრი თესალონიკელის ცხოვრების“ „უძველესი“ ანუ კიმენური რედაქციაც არის თარგმნილი ქართულად, მაგრამ ბერძნულად მისი მეორე ანუ „უღრმესი“ რედაქციაც არსებობს, რაც ეჭვსგარეშეა, რომ მეტაფრასულ რედაქციას გულისხმობს. ეფრემის მიერ აქ მოწოდებული ცნობა, როგორც ყოველთვის, სინამდვილეს შეესაბამება. ქართულ ხელნაწერებში შემონახულია „დიმიტრი თესალონიკელის წამება“ H 341, Ath.70 და Sin.87 ხელნაწერებში, რომელიც კიმენური რედაქციისაა. ქართულად გვაქვს ამ თხზულების კიდევ ერთი თარგმანი, რომელიც ექვთიმე ათონელს ეკთვნის (K4, 588-593), მაგრამ, როგორც ჩანს, ამის შესახებ ეფრემმა არაფერი იცის, წინააღმდეგ შემთხვევაში ის „მოსაწყენებლის“ იმ ნაწილში, რომელშიც მეტაფრასული საკითხავების ქართველ მთარგმნელებს ეხება, ექვთიმეს მიერ თარგმნილ მეტაფრასებს შორის „დიმიტრი თესალონიკელის ცხოვრებასაც“ დაასახელებდა. ეფრემის ცნობით კი, „ეფთჳმის ლოლოთეიტის შეკაზმულთაგან კლემენტოსი ოდენ უთარგმნია და წმიდისა პროკოპისი“ (კეკელიძე, ეტ. V, 225).

ტერმინების „კიმენისა“ და „მეტაფრასის“ განმარტებას ვხვდებით ეფრემ მცირის ანდერძში, რომელიც „მინა მეგუპტელის

ცხოვრებას“ ერთვის: „წმიდანო მამანო! ესე წმიდისა მინაჲს წამება იყო ძუელადცა თარგმნილი **კიმენისაგან**, რამეთუ ესრეთ ეწოდებოდა პირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა, ხოლო აწ ესე **მეტაფრასისაგან** ითარგმნა ახლად ბრძანებითა კალიპოსელთა წინამძღურისა ბასილისთა, რამეთუ მას უწმიდა მინა წმიდისათჳს და ესე ირჩია ლოლოთეტიცა სჳმეონისა შეკაზმულისა მოწამეთაჲსაგან, რომელსა **მეტაფრას** ეწოდების, შეგვინდევით და ლოცვა ყავთ” (S384, 643; ჟორდანი, 1892, 222; SI,467). ეფრემის ცნობით, ქართულ ენაზე ადრევე ყოფილა თარგმნილი „მინა მეგვიპტელის წამების“ კიმენური რედაქცია. მართლაც, ქართულ ხელნაწერთა სინური კოლექციის ერთ-ერთ ხელნაწერში (Sin.11) 11 ნომბრის საკითხავად შეტანილია „წამება მენა ფრიგიელისაჲ“, რომლის მთარგმნელად მითითებულია სეითი. (კეკელიძე, ეტ. V, 133; ჯავახიშვილი, სინას აღწ., 24). მაგრამ საინტერესოა, რომ ეფრემი არაფერს ამბობს ამ თხზულების მეტაფრასული რედაქციის სხვა თარგმანის შესახებ, რომელიც მის თანამედროვეს, კონსტანტინოპოლში მოღვაწე თეოფილე ხუცეს-მონაზონს ეკუთვნის, რაც გვაფიქრებინებს, რომ მან არ იცის ამ თარგმანის არსებობა.

სვიმეონ ლოლოთეტიცა მეტაფრასთა შესახებ საინტერესო ცნობა გვაქვს ეფრემის ერთ-ერთ „შეისწავეში“, რომელიც თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიას“ ერთვის. თეოდორიტეს ამ თხზულებაში სხვა წმინდა მამების ცხოვრებათა აღწერასთან ერთად შეტანილია თხრობა „სჳმეონისთჳს ჰალაბელისა“, რომელიც, ეფრემის ცნობით, თეოდორიტეს თანამედროვე ყოფილა. თხრობა სვიმეონის შესახებ ასე იწყება: „**სჳმეონ ყოვლად განთქმული დიდი საკრველებაჲ ყოვლისა სოფლისაჲ...**“. ტექსტის დასაწყისის გამო ეფრემ მცირეს ასეთი „შეისწავე“ დაურთავს თარგმანისათვის. „შეისწავე, ვითარმედ კმა არს ესე ქებად ამის აღმწერელისთჳსა, რამეთუ მისთა სიტყუთა იწყებს **სჳმეონ ლოლოთეტი მეტაფრასთა თჳსთა** და მცირედსა რასა მათგანსა შესცვალებს და არა ყოველსა. ხოლო ესე იგი სჳმეონ არს, რომელსა ბერძენნი არჳიმანდრიტად და ჩუენლა ალაბელ უწოდთ“ (A682,162v). ეფრემის ცნობით, სვიმეონ მეტაფრასს „სჳმეონ არჳიმანდრიტის ცხოვრების“ გარდაკაზმვისას თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიის“ შესაბამისი ნაწილით უსარგებლია. ეფრემის აზრით, თეოდორიტეს როგორც მწერლის საქებრად ისიც კმარა, რომ სვიმეონ მეტაფრასმა მხოლოდ „მცირედი რამე შესცვალა“ და თეოდორიტეს სიტყვებით დაიწყო აღწერა ამ წმინდა მამის ცხოვრებისა.

„სვიმეონ არქიმანდრიტის ცხოვრება“, რომელიც სვიმეონ მესუეტის სახელით უფროა ცნობილი, მეტაფრასული რედაქციის აგიოგრაფიული თხზულებაა (P.G.,114), რომლის ქართული თარგმანი შენახულია რამდენიმე ხელნაწერით და დაბეჭდილია სექტემბრის თვის მეტაფრასების კრებულში (გოგუაძე, 1986, 26-58). კ. კეკელიძე მას თეოფილე ხუცეს-მონაზონის თარგმანად მიიჩნევს (კეკელიძე, ეტ. V, 205), ხოლო ნ. გოგუაძე კი მთარგმნელს არ ასახელებს (ნ. გოგუაძე, გვ. 500). ამ მეტაფრასული საკითხავის ქართული თარგმანის ტექსტი მართლაც ისე იწყება, როგორც თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიაში „თხრობაჲ სვიმეონისათჳს“: „სვიმეონ ყოვლად დიდ საკრველებჲა სოფლისაჲ...“, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ეფრემის ამგვარ ცნობათა სისწორეში.

თუ ზემოთ თქმულს შევაჯამებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეფრემ მცირის "მოსახსენებლისა" და სხვა "მოზრახულის" ცნობები სვიმეონ ლოლოთეტის მოღვაწეობისა და მის მიერ "გარდაკაზმული წიგნების" შესახებ იმდენად სწორ წარმოდგენას გვიქმნიან მეტაფრასტიკის თეორიისა და ისტორიის შესახებ, რომ სხვა წყაროები მხოლოდ ავსებენ და აზუსტებენ მათ. ეფრემის ანდერძებში და „შეისწავებში“ საკმაო სისრულითაა დახასიათებული მეტაფრასტიკის სტილური თავისებურებანი და ამავე დროს მოცემულია მისი ისტორიის პრობლემების თეორიული გაცნობიერება და განზოგადება.

**ორიგენეს "ჰექსაპლები".** პავლეს ეპისტოლეთა კომენტარების ეფრემ მცირისეული თარგმანის შემცველ Ath.18 ხელნაწერში დაცულია ეფრემის ერთი „შეისწავე“, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს ორიგენეს „ჰექსაპლების“ შესახებ. „შეისწავე“ დაწერილია პავლეს ებრაელთა მიმართ ეპისტოლის 9, 3 მუხლის ეკუმენიოსისეული კომენტარის შემდეგი ადგილის განსამარტავად. „სამნი გვსწავიან ჩუენ კრეტსაბმელი ერთსა მას კარავსა შინა წიგნისაგან რვაშთასაველისა“ (Ath.18, 237). სიტყუას „რვაშთასავეალი“ ტექსტში საგანგებო ნიშანი უზის, ხოლო კიდევ მთარგმნელის "შეისწავეა". "შეისწავე, რამეთუ რვაშთასავეალ უწოდიან წიგნსა მას ორიგენესგან რვა კაპატონად დაწერილსა, რომელსა მოიწყენებს წმიდაჲ ეპიფანე კუბრელი მთავარეპისკოპოსი, რამეთუ იგივე და ერთი სიტყუაჲ ძუელთა წიგნთა რვაჯერ წერილ არს, რაათა შეატყუნეს ურთიერთას პირველად – ებრაული ებრაულითა ასოათა, მეორედ – ებრაული სიტყუაჲ ბერძულითა ასოათა, მე-

სამედ – სამეოცდაათთაჲ, მეოთხედ – აკვლასი, მეხუთედ სჳმახ-  
ოასი, მეექუსედ – თეოდოტიონისი, მეშჳდედ და მერვედ ჭურსა  
შინა პოვნლინი იგი იერიქოს, რომელთა სახელები უცნაურ იყო,  
თუ ვიეთ თარგმნეს" (Ath.18, 37).

ცნობილია, რომ II-III საუკუნეების ღვთისმეტყველმა ორი-  
გენემ, რომელმაც მიზნად დაისახა ბიბლიის ტექსტის ბერძნული  
თარგმანის კრიტიკული დადგენა, კოლოსალური შრომა გასწია  
და შეადგინა თავისი ცნობილი ჰექსაპლები (ἑξάπλη), სადაც სვეტ-  
ებად წარმოდგენილი იყო ძველი აღთქმის წიგნების სხვადასხვა  
თარგმანები ებრაულ ტექსტთან ერთად. სურათის სისრული-  
სათვის ორიგენემ ოთხ ბერძნულ თარგმანთან (სეპტუაგინტა,  
აკვლას, სჳმახოსის, თეოდოტიონის თარგმანები) ერთად პირ-  
ველ ორ სვეტში მოაქცია ბიბლიური წიგნების ებრაული ტექსტი.  
პირველში-ებრაული ებრაული ასოებით, მეორეში კი – ებრაუ-  
ლი ბერძნული ასოებით, ანუ ტრანსლიტერაციით. აქედან მიი-  
ღო წიგნმაც სახელწოდება **ჰექსაპლა**, რაც ბერძნულ ἑξ სიტყვას  
უკავშირდება და ნიშნავს ექვსს. ბიბლიის ზოგიერთი ადგილის  
ტექსტის კრიტიკულად დადგენისათვის ორიგენეს გამოუყენებია  
ანონიმი მთარგმნელების მიერ შესრულებული სხვა თარგმანებიც,  
რომლებიც მე-7 და მე-8 სვეტში მოუთავსებია. რვა სვეტისაგან  
შემდგარ ამ წიგნს ბერძნულად **"ოქტაპლაც"** ეწოდებოდა (სიტყ-  
ვისაგან ὀκτώ რვა), მაგრამ საყოველთაო გავრცეება და პოპულარ-  
ობა მაინც "ჰექსაპლებმა" მოიპოვეს, რასაც მოწმობს არა ერთი  
ლიტერატურული ცნობაც, სადაც ორიგენეს ეს შრომა სწორედ  
"ჰექსაპლებად" იწოდება. აღსანიშნავია, რომ ორიგენეს მიერ ტე-  
ქსტის შედარებისას გამოყენებულ საგანგებო პირობით ნიშნებს  
(ლემნისკუსი, ჰიპოლემნისკუსი, ასტერიკსო და ა. შ.) ძველი და  
ახალი დროის ფილოლოგებიც ჰექსაპლარულ ნიშნებს უწოდებენ.  
ორიგენეს ექვსსვეტიან წიგნს იცნობდნენ ძველ საქართველოშიც  
და მას **"ექვსშთასავლედან წიგნს"** ეძახდნენ, რომლის სანაცვ-  
ლოდ არსენ იყალთოელს უმჯობესად და უფრო ზუსტად (ანუ  
"უმართლედ") მიუჩნევია სახელწოდება **"ექუსკეცი"** და ასეც გად-  
მოუღია ბერძნული "ἑξάπλη" ქართულად გიორგი ამარტოლის  
"ხრონოგრაფის" ქართულ თარგმანში, თან თავისი მოსაზრებაც  
გამოუთქვამს აშიაზე მოთავსებულ სქოლიოში, სადაც შენიშნავს:  
"ექუსკეცთა მათ წიგნთა იტყვს ორიგენისთა, რომელთა ქართუ-  
ლად "ექუსშთასავლედად" იტყვან, ხოლო "ექუსშთასავლედსა"  
"ექუსკეცი" უმართლედ არს, ვინაჲთგან ექუსგზის დაწერა ყოველი  
სიტყუაჲ მასვე და ერთსა წიგნსა შინა და თვთ ბერძნულად ცხ-

ადად "ექუსკეცი" ჰქვან მათ წიგნთა, ხოლო "ექუსშთასავალი" თუ სადათ არს, არა ვიცი, ნუუკუე და სხვა რომელისამე გარემოასა ენისაგან" (ხრონოგრაფი, 1920, 237). ე. ი. XI საუკუნის ბოლოს თუ XII საუკუნის დასაწყისში, როდესაც არსენი ამ სიტყვებს წერდა, ორიგენეს „ჰექსაპლები“ საქართველოში ცნობილი იყო „ექუსშთასავლედის“ სახელით, არსენს კი ამის სანაცვლოდ „ექუსკეცი“ შემოუღია.

ეფრემის სქოლიოში კი საყოველთაოდ ცნობილი „ექუსშთასავლედის“ ან „ექუსკეცის“ ნაცვლად გვაქვს „**წიგნი რვა კაპატონად დაწერილი**“, ანუ „**რვაშთასავალი**“. აღსანიშნავია ისიც, რომ არსენის მოძღვრად და გამწაფელად მიჩნეული ეფრემი აქ მონაფის მიერ დაწუნებულ "შთასავალს" ტერმინს ხმარობს ორიგენეს წიგნში წარმოდგენილი სვეტების აღსანიშნავად. ეფრემი ორიგენეს "ჰექსაპლებს" ორგვარად მოიხსენიებს: ერთგან - "წიგნი რვა კაპატონად დაწერილი" და მეორეგან - "წიგნი რვაშთასავალი". როგორც მიუთითებენ (აბულაძე, 1950, 82; დანელია, 1982, 98-99). ტერმინი კაპატონი იგივე კატაპატონი ქართულში ბერძნულიდან არის შემოსული და უკავშირდება სიტყვას κατάβατος, რაც ძველ ბერძნულში კიბეს, ჩამოსასვლელს აღნიშნავს, ხოლო საშუალ ბერძნულში - წიგნის, ნაწერის გვერდს. ამ ტერმინს ეფრემ მცირე სხვაგანაც ხმარობს, კერძოდ, „გარდამოცემის“ ერთ-ერთ სქოლიოში მთარგმნელი შენიშნავს: „შეისწავე ყოველივე, რაჲცა **იმერსა კაპიტონსა** წერილ არს, ვიდრე დასასრულამდე ამის თავისა, ვინცა იკითხვიდეთ ანუ სწერდეთ" (A24,50r). კაპიტონს „გარდამოცემის“ თარგმანის მკვლევარი ლათინურ caput (თავი) სიტყვას უკავშირებდა და წიგნის თავის აღმნიშვნელ ტერმინად მიიჩნევდა (მიმინოშვილი, 1966, 118). მაგრამ როგორც კ. დანელიას გამოკვლევებმა აჩვენა, კაპიტონი კატაპატონიდან მიღებული სიტყვაა და აღნიშნავს ნაწერის გვერდს, ხოლო რაც შეეხება „ჰექსაპლების“ შესატყვისად ეფრემის მიერ ხმარებულ „რვაშთასავალს“, ამ რთული სიტყვის მეორე ნაწილი „შთასავალი“ პირდაპირი თარგმანია ბერძნული κατάβατος,-ისა (ზმნიდან κατάβαίω, რაც ნიშნავს ჩავდივარ) და ბერძნული პალეოგრაფიული ტერმინის ქართული შესატყვისისა.

როგორც ყოველთვის, ეფრემი ორიგენეს რვა კაპატონად დაწერილ წიგნებზე მსჯელობის დროსაც, იმ წყაროს ასახელებს, რომელსაც ეყრდნობა. ამჯერად ესაა ეპიფანე კპრელი. ("რომელსა მოიჯსენებს წმიდაჲ ეპიფანე კპრელი მთავარეპისკოპოსი"). მართალია, აქ დასახელებული არაა ეპიფანეს რომელ შრომაშია ამაზე საუბარი, მაგრამ ვფიქრობთ, ეფრემი აქ უნდა გულისხ-

მოხდეს ეპიფანე კვპრელის ნიგნს ე. წ. "პანარიონს" ("პანარია"), რომელსაც ქართულად ჰქვია "ყოველთა წვალებათათჳს", სადაც განხილულია ქრისტიმდე არსებული 20 ერესის და ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებული 80 მწვალეობის, მათ შორის ორიგენეს მოძღვრებაც და ამასთან დაკავშირებით საუბარია ორიგენეს ჰეგ-ზაპლებზეც. აღსანიშნავია, რომ ეპიფანე კვიპრელის "პანარიონს"\* ეყრდნობა გიორგი ამარტოლიც თავის "ხრონოლორაფში" ორიგენეზე საუბრისას: "რომლისათჳს დიდი ეპიფანე იტყჳს *პანარიათა შინა*, ვითარმედ... ორიგენე მღჳძარებათა შინა და მოქალაქობასა კნინლა და უწყორცობასა და ფრიადსა მოცალეებასა საღმრთოესა წერილისა გამოძიებასა შინა გულსმოდგინებით მოლუანე იყო და ყოველივე ექუსკეცად სახელდებულთა მათ ნიგნთა მუშაკობაჲ შრომით მოისაქჳა კაცმა მან" (ხრონოლორაფი, 1920, 237).

ეფრემის ცნობით, ამ რვაკაპატონიან ანუ რვა სვეტად დანერილ ნიგნში ყოფილა ებრაული ტექსტი ებრაულითა ასოთა, ებრაული-ბერძნული ასოთა, თარგმანი სამეოცდაათთაჲ, აკვლას, სჳმახოსის და თეოდოტიონის თარგმანები, რომელთაც შესაბამისად I-VI სვეტები ეჭირათ. ხოლო VII და VIII სვეტში კი, ეფრემის თქმით, ყოფილა "იერიქოს ჭურსა შინა პოვნილნი" უცნობი ავტორების თარგმანები.

"იერიქოს ჭურსა შინა პოვნილი თარგმანები" აშკარად ქალაქ იერიქოში ჭურში დამალულ და შემდეგ ნაპოვნ თარგმანებს ნიშნავს. მაგრამ რა თარგმანებია ისინი? "ჭურსა შინა პოვნილ თარგმანებს" გიორგი ამარტოლიც ასახელებს ორიგენის "ჰექსაპლემის" ერთ-ერთ სვეტად. იგი შენიშნავს: "არა ხოლო ოთხნი იგი საჩინონი თარგმანებანი შეკრიბნა ერთად (იგულისხმება სეპტუაგინტა, აკვლას, სჳმახოსის და თეოდოტიონის თარგმანები), არამედ მეხუთეცა და მეექუსე, შემდგომთა ჟამთა პოვნილნი *იერიქოს ჭურსა რასმე შინა*" (ხრონოლორაფი, 237). "ჭურსა შინა დამალული თარგმანები" დასახელებულია ეპიფანე კვპრელის ერთ-ერთ თხზულებაშიც: "ჟამთა სებეროს მეფისათა მეხუთე იგი თარგმანებაჲ იპოვა *იერიქოს ჭურსა დამალული* და შემდგომად მისა მეექუსე იგი თარგმანებაჲ დღეთა ანტანინე მეფისათა *ემათას ჭურსა დამალული*" (A691,175v). სხვა წყაროები მიუთითებენ, რომ ჰექსაპლემის ბოლო სვეტში მოთავსებული თარგმანი ნიკოპოლში ნაპოვნი უცნობი ავტორის თარგმანია. ე. ი. ეფრემის ცნობა, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც სწორია. ორიგენეს ჰექსაპლემში ბოლო ორ სვეტად შეტანილი ყოფილა უცნობი მთარგმნელების „ჭურსა შინა პოვნილი“ თარგმანები ბიბლიისა, რომელთა

დამატებით ცნობილი „ჰექსაპლები“ „ოქტაპლებად“ (ὄκτω ρვა), ანუ "რვაშთასავლედთან ნიგნებად" იქცეოდა. ეფრემი ორიგენეს შრომის სწორედ ამგვარ რედაქციას იცნობს.

ცნობილია, რომ ორიგენეს ამ კაპიტალური ნაშრომის სხვადასხვა რედაქციები არსებობდა: ასახელებენ ჰექსაპლებს, ოქტაპლებს და ტეტრაპლებს. **"ჰექსაპლა"** ნ სვეტისაგან შედგებოდა და შეიცავდა ბიბლიის ებრაულ ტექსტს ებრაული ასოებით, ებრაულ ტექსტს ბერძნული ასოებით, სეპტუაგინტას, აკვლას, სვმახოსის და თეოდოტიონის თარგმანებს. **"ოქტაპლაში"** რვა სვეტი იყო წარმოდგენილი. ზემოთ ჩამოთვლილ ნ სვეტს ემატებოდა "ჭურსა შინა პოვნილი" ორი თარგმანი (VII სვეტში – იერიქოში ნაპოვნი და VIII სვეტში – ემათას შინა ნაპოვნი. ეფრემის "შეისწავეში" დასახელებული **"ნიგნი რვაშთასავლედი"** სწორედ "ოქტაპლას" ქართული შესატყვისია. **"ტეტრაპლაში"** შეტანილი იყო ბიბლიის მხოლოდ ოთხი ბერძნული თარგმანი (სამოცდაათთაჲ, აკვლას, სვმახოსის, თეოდოტიონის) ებრაულ ტექსტების გარეშე.

ვფიქრობთ, ეფრემ მცირის ზემოთ განხილული სქოლიო იძლევა იმის საფუძველს, რომ დავასკვნათ: XI საუკუნის საქართველოში იცნობდნენ ორიგენეს ჰექსაპლების იმ ვარიანტსაც, რომელიც ოქტაპლის სახელითაა ცნობილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ორიგენეს ეს შრომა ჩუენამდე მხოლოდ ფრაგმენტების სახითაა მოღწეული. ამდენად ყოველ ცნობას ამ ნაშრომის შესახებ გარკვეული მნიშვნელობა აქვს ორიგენეს მემკვიდრეობის მკვლევართათვის და შესაბამისად ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვის).

### **ბიზანტიური ხელნაწერი ნიგნები და ბერძნული ნიგნსაცავები.**

ეფრემ მცირის "მოზრახულში" გვხვდება არა ერთი ცნობა ბერძნული ნიგნთსაცავებისა და იქ დაცული ხელნაწერი ნიგნების შედგენილობის, გარეგნული სახისა და გაფორმების შესახებ.

იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ შესავალში ეფრემი გვაუწყებს, რომ სვიმეონწმიდის სავანეში არსებული ბიბლიოთეკისათვის თეოფილე პატრიარქს შეუწირავს 420 ნიგნი, რომელთა შორის „არარაჲ ჰრთავს საგალობელი, თვნიერ ყოველნივე საკითხავნი არიან“. ე. ი. 420-ვე ნიგნი თხრობითი ჟანრის თხზულებებს შეიცავდაო. ეფრემის ცნობით, მათ რიცხვში იყო, როგორც „საკელესიო საკითხავები“, ე. ი. სასულიერო მწერლობის ძეგლები, ასევე „გარეშენი“, ანუ არასასულიერო, არასაკელესიო ხასიათის ლიტერატურა. სვიმეონწმიდაში, ეფრემის ერთ-ერთი ანდერძის თანახმად, მეორე ბიბლიოთეკაც ყოფილა: „თვთ ორთა **ნიგნისსაცავთა სვმეონწმიდისათა**



„ასკეტიკონნი“ სხვთ და სხვთ ჰმატდეს ურთიერთას“ (A689, 187r), – შენიშნავს მთარგმნელი, რომელსაც ასეთი დასკვნა ბასილი კესარიელის სათარგმნად არჩეული თხზულების რამდენიმე ხელნაწერის გაცნობისა და შედარების შემდეგ გაუკეთებია.

სვიმეონწმიდის ორი წიგნსაცავის გარდა, ეფრემი იმავე ანდერძში კიდევ ერთს ასახელებს, ესაა „წიგნისაცავი თუალისა“, ანუ თუალის მონასტრისა. რადგან ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ ბერძნული ხელნაწერები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ყოფილა, ანუ როგორც ეფრემი წერს, „სხვთა და სხვთ ჰმატდეს ურთიერთას“, მას თუალის მონასტრის წიგნსაცავში დაცული ნუსხებიც მოუპოვებია და შეუდარებია: „ამისთვისცა თუალისააცა მოვიღეთო“, – აღნიშნავს ის ანდერძში (A689, 187r). თუალის წიგნსაცავს ეფრემი, როგორც ჩანს, ხშირად მიმართავდა. ეფრემ ასურის „ასკეტიკონის“ თარგმანზე დართულ ერთ შენიშვნაში მთარგმნელი გვაფრთხილებს: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ, სვიმეონწმიდისა და თუალისა წიგნთა ორ წიგნად არს ეფრემი და თუ ერთად სწერდეთ ვინმე, ესრეთვე ადგილსა აჩენდით, რამეთუ ესრეთ ითქმის: ეფრემ პირველი და ეფრემ მეორე“ (A62, 174v). IX საუკუნის ბიზანტიელი მწერლის გიორგი ნიკომიდიელის ერთ-ერთი თხზულების სათაურთან ეფრემს ასეთი შენიშვნა მიუწერია: „ეჲ თვთ არს გიორგი ნიკომიდელ მთავარეპისკოპოსი, რომელ წიგნისმცველი იყო, ვითარცა თუალელთა წიგნსა წერია“ (S1276, 32r).

როგორც ჩანს, სვიმეონწმიდის და თუალის მონასტრის ბიბლიოთეკები საკმაოდ მდიდარი ყოფილა, რადგან ეფრემის ანდერძების თანახმად, იქ დაცული ყოფილა თხზულებები ხშირად არა ერთი, არამედ რამდენიმე ხელნაწერით. ასე მაგალითად, რამდენიმე ნუსხა ყოფილა ბასილი კესარიელის „ასკეტიკონისა“, „პავლეს ეპისტოლეთა კომენტარებისა“ („სამნი, გინა ოთხნი თარგმანი პავლისანი“), „ფსალმუნთა თარგმანებისა“ და სხვა მნიშვნელოვანი წიგნებისა. სავარაუდოა, რომ ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი თხზულებების უდიდესი ნაწილის დედნებიც ამ ბიბლიოთეკებში იყო შენახული. თუ გადავხედავთ ეფრემ მცირის ნათარგმნი ძეგლების სიას, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო ამ წიგნსაცავთა ფონდები. ბიბლიურ, ეგზეგეტიკურ, ჰომილეტიკურ, აგიოგრაფიულ, ასკეტიკურ, მისტიკურ, ჰიმნოგრაფიულ, ისტორიულ და სხვა ჟანრის თხზულებებთან ერთად აქ დაცული ყოფილა არაერთი საცნობარო ხასიათის წიგნი, კერძოდ, ლექსიკონები.

„ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალში ეფრემი წერს: „ამას

თანა ამასცა მეცნიერ იყავ, ვითარმედ ესრეთ აქუს ჩუეულება ნიგნებსა ბერძენთასა, რაათა ანბანსა ზედა განაწყობდნენ ყოველთავე სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რაათა ადვილ იყვნენ საპოვნელად. და ნიგნსა მას „**ლექსიკონ**“ უწოდენ, რომელ არს ლექსთაჲ, ესე იგი არს, ღრმათა სიტყუათაჲ“ (შანიძე, 1968, 96). ამგვარი „ანბანსა ზედა განწყობილი ღრმა სიტყვების კრებულიდან“, ანუ ლექსიკონებიდან, ეფრემი ასახელებს კიდევ რამდენიმეს. კერძოდ, „სამოციქულოს თარგმანების“ შესავალში შენიშნავს, რომ ამ ეგზეგეტიკური თხზულების ქართულად თარგმნისას პავლეს სამ თუ ოთხ თარგმანებასთან ერთად „ეგოდენნივე ლექსიკონი, რომელ არს ღრმათა ნიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა განწყობილი სიტყუანი“ თანა მესხნიანო (Jer. 16,1v), ე. ი. პავლეს ეპისტოლეთა განმარტების გადმოღებისას ეფრემს მოციქულის „ღრმა სიტყვის“ გასაგებად დანერილ კომენტარებთან ერთად სამი თუ ოთხი ლექსიკონიც გამოუყენებია. „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალში ეფრემი საგანგებოდ მსჯელობს ლექსიკონების შესახებ, რადგან გადაუწყვეტია „ბერძენთა კუალსა შედგომითა კნინი ესე სახე“ თვითონაც აჩვენოს, ანუ თავის თარგმანსაც დაურთოს „ყოველივე ღრმაჲ და გამოსაძიებელი სიტყუა ანბანსა ზედა განწყობილი“ (შანიძე, 1968, 96.), ამიტომაც ამახვილებს ქართველი მკითხველის ყურადღებას ლექსიკონთა დანიშნულებაზე, მათი შედგენის წესზე და შენიშნავს, რომ ამგვარი წესით არაერთი ცნობილი ლექსიკონია შედგენილი ბერძენთა მიერ. კერძოდ, „ამით სახითა განწყობილ არიან სიტყვსგებანი მწვალებელთანი წმიდათა მამათა და მნათობთა მათგან ყოვლისა სოფლისათა ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა და იოანე დამასკელისა, რაათა რაჟამს არსებისათჳს სიტყუა-გიგებდენ წინააღმდეგომნი, მყის ანისაგან სიტყუა-უგო, ხოლო ბუნებისათჳს ბანისაგან და გუამისათჳს – განისაგან. და ესრეთ ადვილ იყოს საჭმარებელად ჟამსა ჭირისასა ანბანსა ზედა განწყობილი იგი ნიგნები წმიდათაჲ“ (შანიძე, 1968, 96). ეფრემის მიერ აქ დასახელებული ნიგნი „ჟამსა ჭირისასა“, ანუ მწვალებლებთან პოლემიკის დროს გამოსაყენებელი ლექსიკონია, რომელშიც ეკლესიის მნათობთა – ბასილი კესარიელის, გრიგოლ ღმრთისმეტყველის და იოანე დამასკელის – განმარტებებია თავმოყრილი და ანბანსა ზედა განწყობილი. ამგვარი ლექსიკონების დანიშნულება, ეფრემის აზრით, ისაა, რომ საჭირო სიტყვის განმარტება ადვილად მისაგნებია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგეებთან კამათის დროს. ეფრემ მცირის მიერ აქ დასახელებული ლექსიკონი

თეოლოგიური შინაარსის სპეციალური ლექსიკონი უნდა იყოს.

ამგვარივე წესით, ანუ „ანბანსა ზედა განწყობით“ არის შედგენილი ეფრემის ცნობით, **კონსტანტინე პორფიროგენეტის და კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონები**. აი, რას წერს ამის შესახებ ეფრემი „ფსალმუნთა თარგმანების“ შესავალში: „ამითვე სახითა აღუწერიან თჳსნი ლექსიკონნი ღრმათა სიტყუათათჳს ბერძულთა კონსტანტინე მეფესა პორფიროგენიტსა და დიდსა კკრილეს ალექსანდრიელსა, რაჲთა რაჲამს ეძიებდეს უმეცარი, თუ რაჲ არს მყისი ანუ მრჩობლი, მანსა შინა განუმარტონ, ვითარმედ: მრჩობლ ეწოდების ორკეცსა, ხოლო მყისი – ანაზღაჲთსა“ (შანიძე, 1968, 97). კონსტანტინე მეფის მიერ „ღრმათა სიტყუათათჳს ბერძულთა“ შედგენილი ლექსიკონი, ისევე როგორც კირილეს ამგვარი შრომა, ეფრემის მიერ მოყვანილი მაგალითების მიხედვით, ბერძნული ენის განმარტებითი ლექსიკონები ჩანს. შესაძლოა, კირილე ალექსანდრიელის ლექსიკონში ეფრემი გულისხმობდეს კირილეს მიერ შედგენილ მათეს სახარების საკუთარ სახელთა ეტიმოლოგიურ ლექსიკონს, რომლის ქართულ თარგმანს ასეთი სათაური აქვს: „ლექსი მათეს თავისა სახარებისა ძნელოანთა სიტყუათა განმარტებაჲ ლექსიკონი“, (კეკელიძე, ეტ. V, 87; შანიძე, 1975, 71;). ქართულად ეს ლექსიკონი ერთი ხელნაწერთაა ცნობილი (A65, 340-349) და გამოცემულია ალ. ლლონტის მიერ (ლლონტი, 1947). სწორედ ამ ლექსიკონთა მსგავსად იმავე პრინციპზე დაყრდნობით შეუდგენია ეფრემს თავისი ლექსიკონიც, რომელშიც „ფსალმუნთა თარგმანებიდან“ გამოკრებილი „ძნელოანი“ ადგილების სახის-მეტყველებითი განმარტებებია ანბანზე დალაგებული. ეფრემის ლექსიკონსაც იგივე დანიშნულება აქვს, რაც მის მიერ ზემოთ დასახელებულ ლექსიკონებს ჰქონდათ – „რაჲთა მარჯუე და ადვილ იყვნენ საპოვნელად მეძიებელთათჳს“ (შანიძე, 1968, 82).

ეფრემ მცირის ანდერძებსა და სქოლიოებში ვხვდებით ზოგიერთ ისეთ ცნობას, რომლებიც ბერძნული ხელნაწერების გარეგნულ მხარეს შეეხება; კერძოდ, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში ეფრემი საუბრობს ბერძნულ მანუსკრიპტებში გამოყენებული მარგინალური და პუნქტუაციური ნიშნების შესახებ. კერძოდ, შენიშნავს, რომ „შეისწავე“, „განსაზღვრებაჲ“, „განჩინებაჲ“, „სამეცნიეროჲ ესე“, რომლებიც ტექსტის ამა თუ იმ მონაკვეთის ვიზუალურად გამოსაკვეთად გამოყენებული აღნიშვნებია, ყოველთა ბერძულთა წიგნთა უწერიან კიდესა“, ხოლო „საჭიროჲსა სიტყჳსა თარგმანი“ კი, ანუ სიტყვიერი განმარტება ავტორისა თუ კომენტატორისა, „პატივთა ზედა“ წერილი (თვალთ-

ვაძე, 2002, 87). გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა ეფრემისეული თარგმანების შემცველ ერთ-ერთ კრებულში შენახულია იმ პირობით ნიშანთა გრაფიკული გამოსახულება და დანიშნულების განმარტება, რომლებიც ნაზიანზელის თხზულებათა კომენტარებისთვის გამოიყენებოდა ბერძნულ ხელნაწერებში (Jer.43, 4v; გრანსტრემი, 1969; ოთხმეზური, 1991, 335-347; 1992, 94-103; 1995, 144-149). ეფრემის ანდერძებში დაცული ცნობების თანახმად, ბერძნული ნიგნები „ფრიად მისანდობელ არიან მართლიად გაკუეთილობისათვის“ (A24, 4r) ანუ პუნქტუაციური და სადეკლამაციო ნიშნების გამოყენების გამო. „სამოციქულოს თარგმანების“ ბოლოსიტყვაობაში ეფრემი აღნიშნავს, რომ ბერძნული დედანი, რომელიც მას ჰქონია ხელთ, „მოთხვითად მოწერილი“ იყო და „სამოციქულოს“ განსამარტავი მუხლი შესაბამის კომენტართან საგანგებო პირობითი ნიშნით იყო დაკავშირებული (Ath.18, 235-238; 10,210-221). ეფრემის ანდერძებში დაცული ამგვარი ცნობები მიგვანიშნებენ, რომ ბიზანტიური ფილოლოგია ამ დროისათვის უკვე კარგად ფლობს ტექსტის მეცნიერული და კრიტიკული დამუშავების მეთოდებს. ქართული თარგმანების „ბერძნულსა წესსა ზედა გამმართავი“ ეფრემ მცირეც ცდილობს იდგეს თავის თანამედროვე ბიზანტიელ მნიგნობართა დონეზე და მთარგმნელობითი მუშაობის დროს მარჯვედ იყენებს მათ მიერ დამუშავებულ მეთოდებს. კერძოდ, თარგმანებზე დართული სქოლიო-კომენტარები, ზანდუკები და სტიქომეტრიული აპარატი, წინასიტყვაობები და ბოლოსიტყვაობები, საგანგებო პირობითი ნიშნები, რომლებიც გამოიყენება კომენტარებისა და ტექსტის კორექტირებისას, სხვადასხვა დანიშნულების მარგინალური ნიშნები, „წერტილითა გაკუეთა“, ანუ პუნქტუაციური და საინტონაციო ნიშნები და სხვ. ეფრემის თარგმანებში იმიტომაც გვხვდება, რომ „ბერძენნიცა ესრეთ ჰყოფენ“. ეფრემის თარგმანები ამ მხრივ XI საუკუნის ბიზანტიელ მნიგნობართა ნაშრომ-ნალვანის გვერდით სრული უფლებით შეიძლება დაგაყენოთ. მისი თარგმანები „ბერძულსა წესსა ზედაა გამართული“ ისევე სანიმუშოდ, როგორც, ვთქვათ, ბიზანტიელი მნიგნობრის ბასილი გრამატიკოსისა, რომელსაც, ეფრემის თქმით, გრიგოლ ღვთისმეტყველის 16-სიტყვიანი ლიტურგიკული კრებულების ბერძნული ტექსტი სანიმუშოდ გაუმართავს.

ეფრემის ანდერძებსა და სქოლიოებში გვაქვს რამდენიმე ცნობა **ბიბლიის ზოგი წიგნის ბერძნული რედაქციების** შესახებაც. ბასილი დიდის „ასკეტიკონის“ ხელნაწერის ამიაზე იქ, სადაც ტექსტში სახარების ციტატაა მოყვანილი („მაშინ ემსგავსოს სასუფეველი

ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარი მათნი და განვიდეს მიგებებად სიძისა და სძლისა“. მათ. 25, 1), ეფრემი შენიშნავს: „შეისწავე, რამეთუ ძუჭლთა სახარებათა ბერძულთაცა ყოფილა სიძისა და სძლისა“, ხოლო „ან არცალა მათთა არს და არცა ჩუჴნსა ახალსა, რამეთუ უსრულესისა მიმართ წარებათა ეკლესიაჲ ღმრთისა მადლითვე მისითა“ (A689, 114r; ხინთიბიძე, 1968, 165). ეფრემის ცნობით, სახარებათა ძველ ნუსხებში ახლისაგან განსხვავებით, რომელშიც მხოლოდ სიძის მიგებებაზეა საუბარი („ἐξ ἡλίου εἰς ἡμέραν τὴν ὑψίστην“), ყოფილა „მიგებებად სიძისა და სძლისა“. ამ განცხადების საფუძველს ეფრემს ის აძლევს, რომ, მისი აზრით, ბასილი კესარიელი, რომელიც IV საუკუნის მოღვაწეა, ალბათ, სახარებათა ძველი რედაქციით ისარგებლებდა, რომელშიც დამატებული გლოსა „სძლისა“ ბერძნულ სახარებათა ახალ რედაქციაში არ გადმოსულა, რადგან „უსრულესისა მიმართ წარებათა ეკლესიაჲ ღმრთისა“. ეფრემის ცნობით, ამგვარი გლოსა არც ქართული სახარების ახალ რედაქციაში გვაქვს. ცხადია, ქართული სახარების ახალ რედაქციაში აქ გიორგი ათონელის ვერსია იგულისხმება, რომელშიც ბერძნულის მსგავსად მართლაც მხოლოდ სიძის მიგებებაზეა საუბარი: („მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს ლამპარი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა“ HIKN-ZYUXJQ) (ქართ. ოთხთ., 1979, 345; გიორგისელი ოთხთვი, 2002), ხოლო ძველ ქართულ თარგმანებში კი (გარდა ადიშის სახარებისა (ადიშის ოთხთავი, 2003), მართლაც, ძველი ბერძნული სახარების მსგავსად, „სიძისა და სძლისა“ წერია. („მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაჲ ათთა ქალწულთა, რომელთა აღიხუნეს სანთელნი თჳსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა და სძლისა“ XADEF GPRST, (წინათონური ოთხთავი, 2002); ეფრემის ეს შენიშვნა მნიშვნელოვანია ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ ბერძნული რედაქციების ურთიერთმიმართებისა და ქართველი მთარგმნელის მიერ დედნად შერჩეული ნუსხის რაობის დასადგენადაც. რადგან „ასკეტიკონის“ იმ რედაქციაში, რომელიც ეფრემს ჰქონია ხელთ, მათეს სახარების ეს მუხლი ძველი ვარიანტით („სიძისა და სძლისა“) ყოფილა წარმოდგენილი, მის მიერ დედნად შერჩეული ბერძნული ტექსტიც „ასკეტიკონის“ იმ რედაქციის ხელნაწერთა შორის უნდა ვეძებოთ, რომლებშიც აღნიშნული მუხლის ამგვარი ნაკითხვა გვაქვს.

ბიბლიურ წიგნთა ბერძნულ თარგმანებთან დაკავშირებით საინტერესოა ეფრემის კიდევ ერთი „შეისწავე“, რომელიც იოანე დამასკელის „გარდაამოცემას“ ერთვის და განმარტავს დამასკე-

ლის მიერ ციტირებულ ესაია წინასწარმეტყველის სიტყვებს: „იხილოს ყოველმან ჯორცმან მაცხოვარება ღმრთისაჲ“ (ესაია, LX, 5). „შეისწავე და ნუ ავოც „ჯორცსა“, რამეთუ არა ცთომით დაწერილ არს, არამედ ბერძულთა სახარებათაცა და სანინასწარმეტყუელთა „ჯორცი“ წერია ნაცვალად „ჯორციელისა“ (A24, 101v; მიმინოშვილი, 1966, 131). ეფრემის შენიშვნა გამოუწვევია სიტყვა „ჯორცს“, რომლის ნაცვლად ქართულ თარგმანებში „ჯორციელი“ ეწერა: „იხილოს ყოველმან ჯორციელმან მაცხოვარება ღმრთისაჲ“, რაც თითქოს უფრო გასაგები და სწორი ჩანს ქართულად, მაგრამ ბერძნულ ბიბლიაში, სახარებაშიც და ესაიას წინასწარმეტყუელების ტექსტში, ეფრემის ცნობით, წერია არა „ჯორციელი“ (σάρκός), არამედ „ჯორცი“ (σάρξ) და ამიტომაც ქართულ თარგმანშიც „ჯორცი“ უნდა დაიწეროს. მაგრამ იმისთვის, რომ „ჯორციელს“ შეჩვეულ მკითხველს ეს სიტყვა „ცთომით დაწერილი“ არ ეგონოს, მთარგმნელი სათანადო შენიშვნას აკეთებს კიდეზე.

იმავე თხზულების ერთ-ერთი ადგილის კომენტარს წარმოადგენს ეფრემის შემდეგი სქოლიო: „შეისწავე, ვითარმედ ესე სანინასწარმეტყუელონი სიტყუანი არა უმეცრებით დამინერიან სხუებრ, არამედ ესრეთ ვპოენ დედასა შინა“ (A 24, 136r). საქმე ეხება იოანე დამასკელის მიერ „გარდამოცემის“ ტექსტში დამონმებულ ციტატებს (I კორინთ., 15, 32; შესქ. 9, 3; გამოსლ. 3, 6; სიბრძნ. სოლ. 3, 1 და სხვ.), რომლებიც ოდნავ სხვაობენ ბიბლიური ტექსტისაგან, ანუ, ეფრემის სიტყვებით, „სხუებრ დაწერილ არიან“. მიუხედავად იმისა, რომ ეფრემი ამჩნევს ამ სხვაობას, თავის თარგმანში მათ ისევე ტოვებს, როგორც დამასკელის ბერძნულ დედანშია და ამას აკეთებს არა „უმეცრებით“, არამედ შეგნებულად, იმიტომ რომ, „ესრეთ არს დედასა შინა“, ხოლო „წამებად შემოღებული სიტყუად მრავალგზის მცირედ იცვლების წმიდათა მიერ“ (A24, 53 r).

ეფრემის „მოზრახულში“ ზოგიერთი ბერძნული წიგნის შექმნის ისტორიაცაა მოთხრობილი. კერძოდ, ეფრემის ერთ-ერთი ანდერძი სრულ წარმოდგენას გვაძლევს „იოანე დამასკელის ცხოვრების“ ავტორზე, თხზულების შექმნის დროზე, და ბერძნულ ენაზე მისი მთარგმნელის შესახებ. ამ აგიოგრაფიული თხზულების ეფრემ მცირისეული ქართული თარგმანი რამდენიმე ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული, რომელთაგან ორს (S1276; Sin.91) შემოუნახავს მთარგმნელის ანდერძიც, რომლიდანაც ირკვევა, რომ „მცირე ესე ცხოვრება დიდისა იოანე დამასკელისაჲ“, რომელიც იოანე მღვდლის ბრძანებით უთარგმნია ეფრემს ბერძნულიდან, „ანლა ჩუენთა ჟამთა“, ანუ ეფრემის დროს აღიწერა „მიქაელისგან

ხუცისა სუმეონწმიდელისა სამადლობელად ტყუეობისაგან ჳსნისა მისისა, რამეთუ დეკენბერსა ერთსა შემოსრულთა თურქთა სულიმანეთთა ამას დღესა დაიპყრეს ქალაქი და მითთ ჩამოსხეს ერი დღესასწაულსა ამის წმიდისა იოვანე დამასკელისასა ოთხსავე მისსვე დეკემბერსა, რომელთა თანა უვნებელად დაცულსა მას ზემოხსენებულსა მიქაელ ხუცესსა, სუმეონწმიდას ძმასა და მაშინ ქალაქს დახუდომილსა, აღენერა ესე საკითხავი არაბულსა ენასა ზედა, ვინაჲ-იგი ბერძენთა ენად გამოთარგმნა და შეამკო სამოელ წმიდამან მიტროპოლიტ ადანელმან, რომელი-ესე აწ ქართულადაც ითარგმნა ლოცვითა ბერთა საბაჲს და ანტონისითა, ბრძანებითა და საჭმართა იოანე ზემოჳსენებულისა და კვრიკეს ხუცად შესწავებულისაჲთა“ (S1276, 56r). როგორც ვხედავთ, ამ მოკლე ანდერძში წარმოდგენილია ისტორია ერთი ჰაგიოგრაფიული ძეგლის შექმნისა. საბანძიდელ არაბ ბერს, მიქაელს, რომელიც უვნებლად გადარჩენია თურქთა შემოსევას იოანე დამასკელის ხსენების დღეს (1084 წლის 1 დეკემბერი) ტყვეობისგან ხსნის სამადლობლად დაუნერია ეს საკითხავი არაბულ ენაზე, რომელიც ბერძნულად უთარგმნია ადანის მიტროპოლიტ სამოელს, რომლის თარგმანი გადმოუღია ეფრემ მცირეს ქართულად. როგორც ჩანს, იმდენად დიდი იყო ინტერესი ამ თხზულების მიმართ, რომ ეფრემს თავისი მთარგმნელობითი საქმიანობის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპიც კი დაურღვევია და თარგმანის თარგმანი მოუცია, რასაც ის დაუშვებლად მიიჩნევდა („სომეხისა შვილსა და ბერძენისსა შვილიშვილსაჲა თვთ უეჭვდა საკუთარი შვილი ვარჩიეო“ A292.312r), მაგრამ გარკვეული როლი ალბათ იმანაც ითამაშა, რომ სამოელ ადანელის შესრულებული ბერძნული თარგმანი „უეჭუელი და სანდო“ იყო და ამიტომაც გამოსადეგი დედნად.

ეფრემის ანდერძის მიხედვით შესაძლებელი გახდა „იოანე დამასკელის ცხოვრების“ ბერძნული ვერსიის შექმნის დროის საკმაო სიზუსტით განსაზღვრაც. არაბ ჰაგიოგრაფს „იოანე დამასკელის ცხოვრება“ 1085 წლის შემდგომ დაუნერია, მისი ბერძნული თარგმანიც, ეფრემის ცნობით, მალევე „გამოთარგმნა ბერძენთა ენად და შეამკო“ ადანის მიტროპოლიტმა, რომელიც, თავის მხრივ, „ქართულადაცა ითარგმნა“ ეფრემ მცირის მიერ. ე. ი. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, „სამივე პირი მიქაელი, სამოელი და ეფრემი თანამედროვენი ყოფილან“ (კეკელიძე, ეტ. VII, 140) და იოანე დამასკელის არაბული ცხოვრების ბერძნული თარგმანი შესრულებულია 1086-1104 წლებში. ამასთანავე, „ქართულმა ვერსიამ შემოგვინახა პირველი ბერძნული გადამუშავება ორიგინალის

არაბული ტექსტისა... მისი მნიშვნელობა ისაა, რომ მას საფუძვლად უდევს უშუალოდ მიქაელის შრომა იმ სახით, როგორც გამოვიდა ავტორის ხელიდან“ (კეკელიძე, ეტ. VII, 141).

ალსანიშნავია, რომ ეფრემ მცირის „შეისწავებში“ გვხვდება რამდენიმე ცნობა თვითონ **იოანე დამასკელის** შესახებაც. მისი ერთ-ერთი თხზულების „სიტყუაჲ სატფურებისათჳს იერუსალიმისა“ ეფრემისეულ თარგმანს ერთგან მთარგმნელის ასეთი შენიშვნა ახლავს: „შეისწავე, ვითარმედ სახისმეტყუელებით მდინარისა სიმქარნედ უწოდს ერისა სიმრავლესა, რომელნი ყოვლით კერძო შესდიან ტკბილსა მას ზღუასა იერუსალჴმისასა დღესასწაულსა სატფურებისა და ჯუართა აპყრობისასა, რამეთუ ესე საკითხავი თვთ იერუსალიმს შინა უთქუამს მას დღესა შინა დიდსა ოქრონეკტარწოდებულსა წმიდისა ღმრთისმშობელისა მიერ იოვანეს დამასკელსა“ (S 1276, 1r; K 4; Jer.23). ეფრემის სქოლიოს თანახმად, „სიტყუაჲ სატფურებისათჳს იერუსალიმისა“ იოანე დამასკელს იერუსალიმში წარმოუთქვამს სატფურების და ჯუართა აპყრობის დღესასწაულზე, რომელსაც 13 სექტემბერს დღესასწაულობენ.

რამდენიმე სქოლიო ახლავს იოანე დამასკელის „გარდამოცემას“, სადაც ეფრემი ამ წიგნის ავტორის და თვით ამ თხზულების შესახებ საუბრობს. კერძოდ, „გარდამოცემის“ ერთ-ერთი მუხლის („ღმერთი უვნებელად და თვნიერ თესლისა შობს“) მთარგმნელისეულ კომენტარში აღნიშნულია: „ნუ დაგიკვრდების უთესლობისა თქუმაჲ ღმრთისათჳს, ვინაჲთგან სარკინოზთა შორის იყო წმიდაჲ იოანე დამასკელი...“ (A24, 42r); ეფრემის ერთი შენიშვნა კი „გარდამოცემის“ სათაურს შეეხება: „გარდამოცემა ეწოდების წიგნსა ამას, რამეთუ არა საკითხავთა სახე აქუს შესავალთანი და დაბოლოებული, არამედ მსგავს არს გარდამოცემულსა მას მნიგნობრისასა, რომელსა შეიქმან ნუსხად და დასდებენ ნივთად პირად-პირადთა წიგნთა დაწერისა, რაჲთა ვისთანაცა ვის უნდეს, დაწე[... ] ბედეს ძალსა სიტყვასა. ეგრეთვე წმიდასა ამას [... ] მოკლე-მოკლედ აღუწერია ყოვლისავე მართლმადიდებელთა სარწმუნოებისათჳს, რაჲთა ამიერ აქუნდეს მორწმუნეთა ძალი პირად-პირადისა წინააღმდეგომთა სიტყვსაგებათაჲ, ამიერ მიიღონ“ (A24, 36r).

ეფრემის „მოზრახულში“ დაცულია ცნობები **„ჩუენდა არ მონვენული“** ბერძნული წიგნების შესახებაც. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა ქართულ თარგმანზე ერთგან ეფრემს ასეთი შენიშვნა დაურთავს: „შეისწავე, ვითარმედ სხუაჲცა წიგნი აღუწერია წმიდასა ამას სიმართლისა და საღვთოთა მსჯავრთათჳს, რომელი ჩუენდა არა მონვენულ არს“ (A 684, 55r). მთარგმნელის ეს შენიშ-



ვნა გამოუნვევია ტექსტის შემდეგ ადგილს: „ესე ჩუენ მიერ სიმა-  
რთლისა და საღმრთოთა მსჯავრთათჳს თქუმულსა შინა ძალისაე-  
ბრ კმასაყოფელად ითქუა“ (პეტრე იბერიელი, 1961, 58). ეფრემის  
ცნობით, დიონისე არეოპაგელის მიერ აქ მითითებული თხზულება  
„სიმართლისა და საღმრთოთა მსჯავრთათჳს“, „ჩუენდა არა მონ-  
ვენულ არს“, ისევე როგორც სხვა მრავალი წიგნი, რომელსაც დი-  
ონისე ასახელებს თავის თხზულებებში. არეოპაგელის ხუთწიგნეუ-  
ლის თარგმანის „წინაბჭეში“ საგანგებო მსჯელობაა ამ წიგნების  
შესახებ. „უწყებაჲ ჯერ-არს, ვითარმედ, სხუანიცა აღწერილნი  
წმიდისა დიონისისნი მოიქსენებიან წიგნსა ამას შინა, რომელნი  
არღარა მონვენულ არიან ჩუენდა, ხოლო მოიქსენებიან ესრეთ...  
“ და შემდეგ მოცემულია ერთგვარი საძიებელი, სადაც თავების  
მითითებით ამოწერილია დიონისე არეოპაგელის მოღწეული თხ-  
ზულებებიდან ის ადგილები, სადაც ავტორი ასახელებს თავის  
სხვა წიგნებს, რომლებიც „ჩუენდა არა მონვენულ არიან“: „სახელ-  
ითათჳს ღმრთისათა“ მეორესა თავსა შინა იტყვს: „ესე ჩუენ მიერ  
სხუათაცა გამოძიებით გამოჩინებულ არს სამარადისოდ ყოველ-  
თათჳს ღმრთივ-შუენიერთა სახელთა და არა ზომიერად რაჲმე“. და  
შემდგომად ამისი: და კუალად შემდგომად მცირედისა იტყვს: „ესე  
ჩუენ ან ამას შინა მცირედ და ზოგებით წარმოგვითქუამს, ხოლო  
სხუათა ადგილთა – მრავლად და კმა-საყოფელად სიტყუათაგან  
გამოცხადებულთა“. და შემდგომად მცირედისა მეოთხესა თავსა  
შინა: „და რაოდენი რაჲ სხუაჲ თქუმულ არს ჩემ მიერ თჳსებათა  
შინა ანგელოზებრთა“. და კუალად იტყვს: „და რაოდენი რაჲ სხ-  
უაჲ თქუმულ არს ჩემ მიერ თქუმულთა მათ შინა სულისათჳს“ და  
დასასრულსა ამის მეოთხისა თავისასა იტყვს, ვითარმედ: „ესე ჩუენ  
მიერ ძალისაებრ კმა-საყოფელად ითქუმოდედ თავთა მათ შინა  
სიმართლისა და საღმრთოჲსა მსჯავრისათჳს თქუმულთა“. ხოლო  
„ზეცათა მღდელთ-მთავრობისათჳს“ თქუმულთა შინა დასარულსა  
მეშჳდე თავისასა იტყვს: „ესე ზეშთაობითნი ქების-მეტყუელებანი  
ზეშთაცათა გონებათანი, აჰა, ეგერა საღმრთოთა ქებათა შინა  
რაოდენ დასატევენელ იყო, განგვმარტებიან“. ხოლო „საეკლე-  
სიოჲსა მღდელთ-მთავრობისა“ პირველსა თავსა შინა მცირედ  
შემდგომად დაწყებისა იტყვს, ვითარმედ: „ესე ჩუენ მიერ საცნაუ-  
რთა და გრძნობათათჳს თქუმულსა თავსა შინა უფრცეღესადრე  
თქუმულ არს“ და კუალად შემდგომად მცირედისა ამას საკითხ-  
ავსა მოიქსენებს. ხოლო „საიდუმლოდ ღმრთის-მეტყუელებისა“  
შინა, დაწყებასა მესამე თავისასა იტყვს, ვითარმედ „ღმრთის-  
მეტყუელებითა განწესებათა შინა უსაკუთრესნი წართქუმი-

თისა ღმრთის-მეტყუელებისანი ვიგალობენით“ და შემდგომად რაოდენისამე კუალად იტყვს, ვითარმედ „სახიერება რაოდენი რაჲ იგალობების საღმრთოთა სიტყუათა მიერ თქუშული ღმრთისმეტყუელებითა განწესებათა შინა... ესე და ესე რაჲმე [... .. ] დიდისა ამის მოძღურისაჲთ წიგნთა მისთაგანნი არა მონევენულ არიან“ (A 110,7-8; ლოლაშვილი, 1983,75-76).

დიონისე არეოპაგელის „ზეცათა მღვდელმთავრობისათჳს“ ერთ-ერთი ადგილის განსამარტავადაა დაწერილი მთარგმნელის შემდეგი შენიშვნა: „ესე პაპია თარგმანებასა შინა მოციქულთა საქმისასა მონაფედ ითქუმის იოანე მახარებლისა. ხოლო წიგნები ჩუენ არა გუაქუს ჯერეთ, რომელთა სახელ-დებით აქა მოიწესენებს“ (A110,217; A163, 249; A189, 63r; H194, 8r). ეფრემის მიერ აქ დასახელებული პაპია უნდა იყოს პაპია ჰიეროპოლელი, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეების მოღვაწე (60/70–120/130 წწ.), რომელიც ფრიგიაში მდებარე ქალაქ ჰიეროპოლისის ეპისკოპოსი იყო. როგორც მიუთითებენ (ბუხბერგერი, 1963, 34-36) იერენეუსის ერთ-ერთ წიგნში ეს პაპია მოიხსენიება იოანე მახარებლის მონაფედ და პოლიკარპე სმირნელის თანამედროვედ. ეფრემის „შეისწავეს“ მიხედვით, იგივე ცნობა უნდა ვეძიოთ მოციქულთა საქმის თარგმანებშიც, სადაც „ესე პაპია... მონაფედ ითქუმის იოანე მახარებლისა“.

ეფრემის შენიშვნის მიხედვით დიონისე არეოპაგელის „ზეცათა მღვდელმთავრობისათჳს“ ტექსტში სახელდებით უნდა ყოფილიყო მოხსენიებული პაპიას წიგნები, მაგრამ გამოცემის მიხედვით მთარგმნელის კომენტარის შესაბამის ტექსტს ვერ მივაგენით, ამიტომ რა წიგნები იყო იქ დასახელებული, ჩვენთვის უცნობია. სავარაუდოა, რომ ეფრემი აქ გულისხმობდეს პაპიას ყველაზე ცნობილ თხზულებას „განმარტებანი უფლისა სიტყუათანი“ (Explanatio sermonum Domini), რომელიც ხუთ თავად ყოფილა დაწერილი და რომელიც დაკარგულად ითვლება. შემორჩენილია მხოლოდ ფრაგმენტები ევსევი კესარიელის, რუფინუსის და სხვათა შრომებში დადასტურებული ექსცერპტების სახით (P.G. t.5; col. 1256-1261).

ეფრემის ზოგიერთ შენიშვნაში კონკრეტული ბერძნული ნუსხების **გადამწერთა** შესახებაც არის დაცული ცნობა. მაგალითად, კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანების ბერძნული ხელნაწერი, რომელიც დედნად ჰქონია ეფრემს, ვინმე ანდრია ხუცეს-მონაზონის გადანერილი ყოფილა: „ლოცვა ყავთ ანდრიათჳს ხუცეს-მონაზონისა, რომელი ყოფილ-არს მწერალი ბერძულისა ამის წიგნისაჲ, რომლისაგან ითარგმნა კათოლიკეთა ესე თარგმანი ენასა

ჩუენსა“ (Q1158,316), – შენიშნავს „სამოციქულოს თარგმანების“ ერთ-ერთ ანდერძში ეფრემ მცირე.

მთარგმნელის ზოგი შენიშვნა ბერძნულ ხელნაწერებში შემჩნეულ „ცთომილებს“ შეეხება. იმავე „სამოციქულოს თარგმანებაში“ არის ასეთი „შეისწავე“. „შეისწავე, რამეთუ ესე ცთომილი ბერძულადცა არს და, მგონია, რომელ მწერალთაგან. ამისთვის ესე ზემონი სიტყუანი ბერძულადვე ვპოენ საბრალობელად დაწერილნი ვისგანმე ფილოსოფოსისა“ (A390,38v; Jer.9,117r; დაწელია,1982,332); ან „ესე თარგმანი ბერძულად აქა იყო“ (Ath.18, 86).

ეფრემის მოზრახულ ანდერძებსა და სქოლიოებში გვაქვს ინფორმაციული ხასიათის შენიშვნებიც. ასეთია ერთი „შეისწავე“, რომელიც თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიის“ შემდეგ ადგილს ერთვის: „ხოლო მგზავრობაჲ თვისი ყო კვროთ კერძო, რომელ-იგი არს ქალაქი ორ სადგურ შორიელი ანტიოქიით“. აშიაზე ასეთი შენიშვნაა: „შეისწავე, რამეთუ ამის კვროჲს ეპისკოპოსი იყო ნეტარი თეოდორიტე, აღმწერელი წიგნისაჲ ამის“(A689,203 r).

იმავე თხზულების სხვა ადგილს („ნისიბი არს საზღვარი ბერძენთა და სპარსთა სამეუფოსაჲ“), ასეთი შენიშვნა აქვს დართული: „შეისწავე, ვითარმედ ამიერ იყო წმიდა ეფრემ ასური, ვითარცა მოგვიტხრობს სოზომენოს და სხუანი საეკლესიოთა თხრობათა აღმწერელნი“ (A689,196; A682,95v).

დიონისე არეოპაგელის ერთ-ერთი ეპისტოლის („გაიოსის მიმართ მონესისა“) თარგმანს სათაურთან მთარგმნელის სქოლიო აქვს მიწერილი, რომელიც ეპისტოლის ადრესატს, გაიოსს, შეეხება: „ვითარ ვპვონებ, ესე იგი გაიოს არს, რომლისა მიმართ მესამესა ეპისტოლესა მისწერს ღმრთისმეტყუელი იოანე, რამეთუ მათვე ჟამთა იყო და მოციქულთა თანა ზრდილ იყო დიდი ესე მოძღვარი, რომელი მისწერს მისსა...“ (A163,453).

მთარგმნელის ამგვარი შენიშვნები, ცხადია, პირველ რიგში თარგმანის გაგების გაიოლების და სწორად გააზრების მიზნითაა დაწერილი, მაგრამ, ამასთანავე, მათში დაცული ცნობებიც თავისთავად მნიშვნელოვანია. ეფრემის ანდერძებსა და სქოლიოებში დაცული ცნობები ამდიდრებენ ჩვენს წარმოდგენას XI საუკუნის ბიზანტიური ფილოლოგიის მიღწევებზე, ბიზანტიელ მწიგნობართა მუშაობის პრინციპებზე, ბერძნულ ხელნაწერი წიგნების შედგენილობასა და გაფორმებაზე, რომელთა მსგავსად, ანუ „ბერძულსა წესსა ზედა გამართვით“, იქმნებოდა ის ქართული ხელნაწერებიც, რომლებიც შავი მთის ლიტერატურული სკოლის სკრიპტორიუმებიდან გამოდიოდა.

ፍ  
ሥ  
ገዋህ ገገህ ገገህ ገገህ ገገህ  
ገ  
ገ  
ገ  
ገ  
ገ  
ገ

## ეფრემ მცირის კოლოფონები (ტექსტები)

**შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა**  
შენწევნითა უფლისა ჩუენისა იესუ (ქრისტე)სითა.  
**უნყებაჲ მიზეზსა დ(ა ვითარებ)ასა, და თხრობაჲ წესსა და**  
**საწმარებასა წინა-მდებარ(ის)სა ამის წიგნისასა,**  
**რომელ არს „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“<sup>18</sup>**

დალაცათუ კადნიერ არს ჴელ-[ყო]ფაჲ ესე, არამედ შესან[დ]ობელ [იყ]ავნ სწავლის-მოყუარე[თა] მიერ, რომელნი კეთილად მეცნიერ [არ]იან, ვითარმედ (მ)ახლობელნი ბა[გი]თა, ხოლო შორიელნი ჴმითა და [უფ]როსლა მსხემნი და წარ[მა]ვალნი ქარტითა და მელ[ნით]ა აუნყებენ ნათესავსა [მომ]ავალსა გულის-ზრახვა[თა] გულისა თჳსისათა, რომელთა [თან]ა შერაცხილ იყავნ ჩუენდა[მო] (შ)ენდობით ბრძანებული [ესე] აღმწერელობაჲ, რაჲთა მე[ქმნ]ეს ჩუენ აღწ(ერაჲ სიტ)ყუათაჲ [აღ]საარებ(ად) გულის-სიტყუათა. [ხოლო აღს]აარებაჲ გულის-სიტყუათაჲ [მიტე]ვება ცთომილებათა [რაჴამს] ესრეთ ზოგებით წარმოვიტყოდით უწყებასა [შინა მიზეზი]სასა სა[წმარების]ა[თვის წმიდისა] ამის წიგნისა[ქსა და] გან[ვზავ]ებდ(ი)თ სიტყ(უ)[ა]თა... . ] ხ [სიტყუათა [... ] (შ)[ე](ვ)ამკობდ(ეთ) [ ... . . ]იკო[... . ] (ნ)ოს[აქ]თა [ ... გან]აცხადოს (სიტყუამან წინა-[მდებარე]მან, რომელი იწყებ(ის) ესრეთ: [გიორგის] უკუე დიდსა მას [სახელ-მო]დ(გ)ამსა მუშაკო[ბისასა] დ[ა] მოუ[წყინებელად მოქმედსა] ქრისტეს ვენაჴისა[სა დიდი ლუა]წლი (და შრო)მაჲ [თავს-ედვა] განა(ხ)ლებისა[თჳს და უცთომელად თარგმანებისა წიგნისა მის ფსალმუნთაჲსა] და არა ხოლო ერთგზის, არამედ ორგზისცა ეთარგმნა იგი ბერძულის(ა)გან. და სხუათავე ნამუშაკვეთა თჳსთა ურიცხუებასა თანა ამათიცა ნაყო(ფთა) შუენიერებაჲ დაეუნჯა ქართველთა ნათესავისდა.

ამისთჳსცა მე, უღირსმან ბრჭალმან პატიოსნისა მის გუამისა მისისამან, ბრძანებითა და ლოცვითა ბერისა ჩემისა საბა სულაჲს ძისა თუხარსელისაჲთა და მაღლითა და მეოხებითა

18 ფსალმუნთა თარგმანების შესავლის ტექსტი Q37, Jer.1, S 1476, A14, Q 558, Q 675 ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზ. შანიძემ: თსუ ძველი ქართულ ენის კათედრის შრომები 11, საიუბილეო, თბ., 1968, გვ. 77-122

თვთ მისვე წმიდისა (მამისა გიორგი მთაწმიდელისაჲთა და ზოგად ჩუენ ყოველთა მამისა და წინამძღურისა ეფთ(ვ)მესითა კნინ ოდენი რაჲმე გულს-მოდგინებაჲ დავდევე, რაჲთა შევსძინო მის მიერ ახლად თარგმანებულსა წწიგნსა ფსალმუნთასა წწიგნი ესე თარგმანთა დავითისათაჲ, (რომ)ლისა აღმწერელ არიან აღექსანდრიით აღმოზრწყინვებულნი იგი ორნი მზენი ყოველისა სოფლისანი – ათანასე და კკრილე სხუათავე თანა შემდგომთა მათთა.

ხოლო ამას რა ვჰყოფედ, არა (თ)კთ მოპოვნებულსა, არცა ჩემ მიერ ღონით განმზადებულსა, არამედ მისსავე მას მტკიცედ დადებულსა საფუძველ[სა] ზედა მაშენებელ ვიქმენ. ესე-იგი არს, რომელ ვიტყუ, ვითარმედ მუწლი დავითისაჲ მის მიერვე თარგმანებული იგი არ(ს ხ)არისხ საპფიროვნისა და ჩემ მიერ [მას] ზედა შენებულ თა(რგმ)ანი მუწლისაჲ, ვითარცა ზ[ლ] უდე პილოჲს ძუ[ალისაჲ], /ჰირველ მოწსენებულთა მათ წმიდათა მიერ აღწერილი ენასა ბერძენთასა შეწენითა სულისა წმიდისაჲთა, ხოლო ჩემ მიერ თარგმანებული ენასა ქართველთასა, ზედა-მდგომელობითა და საჭეთ-მჰყრობელობითა მენავეთ-მოძღურისა ამის ჩემისაჲთა, რომელმან ესე მოუგო აფრად აღმართებულად მცირესა მას ჴუამალდსა უღირსებისა ჩემისასა, რაჲთა, ვითარცა-იგი წმიდათა მათ მღდელთმოძღუართა წინამძღურად სიტყუსა იჴუმის (ქ)ნარი იგი სიტყუათა დავითისთაჲ, ეგრეთვე მე მომემადლოს ძალმწედ სიტყუათა მათთა თარგმანებისა ლოცვაჲ და მეოწებაჲ სათნოებათა საუნჯისა მის მამისა გიორგი მთაწმიდელისაჲ, რაჴამს არა ჩემსა, არამედ მის მიერ განმართებულსა მას ზედა საფუძველსა მტკიცესა ვინყო შენებად და უნარჩევსობასა მონფობისა მისისასა კუალთავე მისთა მიდევნებითა ყოველთა შორის განცხადებად. ხოლო ვინაჲთგან შესავალად დავითთა მისთა დაედვა მას შესავალი წმიდისა ათანასეს „დავითისა თარგმნისაჲ“, ამისთჴსცა მე არღარა მკადრე-ვიქმენ წიგნსა ამას შინა დართვად მისდა, რაჲთა არა ორგზის თარგმანებულად საგონებელ იქმნეს, არამედ დაუტევე იგი მათ, რომელთაცა ენებოს სხუათა, უკუეთუ იპოვნენღა ვინ მოკლებასა ამას შინა ჴამთა[სა] გარდამწერელნი ამა(თ დავით)ისა თარგმანთანი, რაჲთა მათ (გ)ულს-იდგინონ შესავალიცა. იგი ამასვე ადგილსა დაწერად, სადა-იგი უკუე წერილ არს [... ... . . ] და მაუწყებელ... ] საწმარ(ებ)ელობასა... ] და ჩემ-

და ესეც [... ... ] წინა-მაუწყებელ გექმნეს სწავლის მოყუარეთა, თუ რაოდენნი არიან (თარგმანება(ნი) დავითისანი, ანუ თუ ჩუენი ესე თარგმანი დავითისაჲ რაოდენთა წიგნთაგან ერთად შემოკრებულ არს.

საცნაურ იყავ[ენ], ვითარმედ ვითარ-იგი პირველთა მათ ჟამთა არაარაჲ აქუნდა სხუაჲ საგალობელად საეკლესიოდ] თვნიერ ფსალმუნთა წიგნისა, ვითარ]-ესე ან საცნაურ ჰყოფ[ენ] ეკლესიანი საპატრიარქონი და ყოველთა დიდთა დედა-ქალაქ[თანი], ეგრეთვე არცა რას სხ[უასა] მეტყუელებდეს საეკლესიოსა წინამძღუარნი ეკლესია(თანი), არამედ რომელსაცა ფსალმუნსა ზედა დაემთხვის ეკლესიად შესლვაჲ წმიდათა მათ მამათაჲ, იგიცა გამ[ოუ]თარგმანიან ერსა – ვითარ-იგი ვისწავებთ წმიდისა ბასილის მიერ ადგილ-ადგილ თარგმანებულთა მათ ფსალმუნთა. მიერ, ვითარმედ, [სა]დაცა რომელსაცა ფსალმუნსა ზედა დაემთხვა ეკლესიად შესლ[ვაჲ] მისი, იგი(ცა) გამოუთარგმნის ერსა. ამის(თვის)ცა ყ[ოველნი] ფსალმუნნი, ადგილ-ადგილ თარგმანებულნი და ერთად წიგნად [შექ]რებულნი ენასა ბერძენ[თასა], უნაკლულოდ [ითარგ]მნეს ენასა (ა) [მას ჩუენსა] წმიდისა და ნეტარისა მამისა ეფთჳმ(ეს) მიერ. და წმიდისა ბასილის მიერ თარგმანებულ[ი] სხუაჲ არა არს, თვნიერ მისა, რომელი-იგი მოგუანიჭ(ა ჩუენ) წმიდამან ეფთჳმე / [სიხარულისა სეხენემან] ყოველთა თარგმანთა მამამან და წყარომან მეტყუელებისამან.

[ხოლო სრულებ]ით მთარგმნელნი ფსალმუნთა წიგნისანი ესე არიან: ათანასის ვიტყუ[კ] და კურილეს, რომელთა-იგი ა[რ]ა ერთითა, არამედ ორ-ორითა [თარგ]მნითა უთარგმნია ყოველი მუ[წლი] [დავითის]ა: ერთი იგი შემოკლებულად და ლიტონად – მა[რ]ტივთათჳს და ლიტონთა, და მეორე იგი უფრცელესად და უ[ლ]რმე(სა)დ – გამომეძიებელთა[თჳს] და [გულის]წმის-მყოფელთა. არიან კუალად სხუანიცა მთარგმნელნი [დავითი]სანი: ევსუქი ხუცესი იერუსალემელი და ასტერი ეპისკო[პო]სი ამასიელი. კუალად გუასმი[ეს] ვიეთგანმე, ვითარმედ ოვანე ოქ[როპ]ირისაცა მიერ თარგმნილ არს [დავითი ს]რულებით, გარნა არა [სრულად] იპო[ე]ბის ყოველი, არამედ „ჭირის კანონითგან“ დანყებული და ვიდრე [ ... ... ]მდე მიყვანებულნი... ] როდ აქუს წმიდათა ეკლესიათა.

არიან უ[კუე] სხუანიცა უმრავლესნი [პირველ მოვსენ]

ებულთასა მთარგმნელნი დავითი]სანი, არა უეჭუ[ლნი, არამედ ფრიადც]ა საეჭუელნი. და [მათჳს ესრეთ ვთქუა, ვითარმედ ყოვლად უეჭუელნი უღმრთოებისა[თჳს და [ ... . ლნი წვალებისათჳს

[ ... .. თარგმან]ებანი ძუე[ლისა სჯულისანი] ფრიად (ღრმ)ა არიან [ძალითა და ა]მისთჳსცა შეწყნა[რებულ არიან ბერძენთა ნა[თესავთა]გან, ვითარცა პირველ წვა[ლებ ... ]სა აღწერილნი იგი თავისუ[ფალნი [ ... .. ]ა ჩემდა [ ... .. . კა]დრებისა [ ... . . უხილ]ავი [ ... .. . ](მათ მიერ აღ)წერილი იგი თარგმანებაჲ წიგნისა მის ფსალმუნთაჲსაჲ, ვითარმცა წიგნებსა თანა წმიდათასა შევაერთე წიგნები მათი, რომელნი-იგი არიანოზთა და ორიგინიანთა თანა შეიჩუენებიან. და ბერძენთასა მას შეწყნარებასა მათისა მის წიგნისასა მაქებელვე ვარ, რამეთუ მათ ძალ-უც წამლიანთაგანცა მვეცთა შემზადებაჲ წამლისა საკურნებელისაჲ. და რომელნი-იგი ესოდენ სრულ არიან სიბრძნითა, რომელ წარმართთა მეკერპეთა სიბრძნესა წარმოსტყუენვენ სიმდიდრედ ეკლესიისა, რაჲ საკურველ არს, უკუეთუ მწვალეებელთაჲცა რაჲმე კეთილად აღწერილი ძალად გულისჴმისყოფისაჲ იჴუმონ? და ჩუენსა არავე მძაგებელ ვარ კრძალულებასა, რამეთუ „უძღურნი მწვალეებელთა თანა ნუ ჭამენო“, – იტყვს წერილი, – ხოლო უკუეთუ ვიეთნიმე ძლიერ იყვენ, სადიდებელად ღმრთისა მივიდოდენო“, – ამასცა შესძინებს, და კეთილ! კეთილ, რამეთუ მისლვაჲცა და არა-მისლვაჲცა წამებითა წმიდათაჲთა არს და არა თვთ-შჯულობით, არცა უწამებელად.

„გარნა მე, არა თუმცა სხუათა განგდებულთასა, არამედ ვერცალა თევდორიტესსა მას „თარგმანსა დავითისასა“ ჴელი შევეყავ მცირედისა მისთჳს სიტყვს-გებისა, რომელი იქმნა რეცა წინა-აღდგომით შორის მისსა და წმიდისა კურილესსა, რომელი-იგი უკუანაჲსკნელ დაიჴსნა და უჩინო იქმნა, რაჴამს თევდორიტეს მიერვე შეიჩუენნეს ათორმეტნი იგი თავნი, რომელ ალექწერნეს მას წინა-აღსადგომელად ღმერთ-შემოსილისა კურილესსა). და თევდორიტე ყოვლისავე / ბერძენთა ნათესავისა მიერ მამად მართლმადიდებლობისა შერაცხილ არს, ვითარცა სახელოვანი მთარგმნელობითა ყოველთავე ძუელისა შჯულისა წიგნთაჲთა და ყოვლით კერძო თანა-შემწე მართლმადიდებელთაჲ



გარნა მე ეგრეთცა ვჰრიდევე და აღვრ-ვასხენ გულის-სიტყუასა თაფლებრ დამატკობელისა მისგან გონებათაჲსა „ფსალმუნთა თარგმნისა“ მისისა და კმა-ვიყვენ მცირედნი ესე და შემოკლებულნი თარგმანნი უეჭუელობისათჳს და ღირსები-სა სახელოვანთა მათ თარგმანთაჲსა. და რომელი ოდენ ვპოვე მართმადიდებელთა მიერ თარგმანებული სიტყუაჲ დავითი-სი, ყოველივე ერთად წიგნად შევკრიბე. რამეთუ რაოდენნიცა იყვნეს წიგნის-საცავესა სჳმეონწმიდისასა „თარგმანნი დავითი-სანი“, ყოველივე დედად მქონდეს და ფრიადითა შრომითა მათ ყოველთაგან ერთად შევაერთე, რომელი ოდენ იპოებოდა მათ შინა მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებული. რამეთუ სხუად წიგნად მაქუნდა ათანასესი და სხუად კკრილესი, ორნი-ვე სრულებითნი და შემოკლებითნი „თარგმანნი დავითისანი“, და კუალად სხუანი წიგნნი ორნი, რომელნი ყოველთავე „და-ვითისა თარგმანთაგან“ ერთად შემოკრებულ იყვნეს სრულე-ბითნი და განვრცელებითნი „თარგმანნი დავითისანი“ და (მ)ათ შინა ადგილ-ადგილ მეპოებოდა უვრცელესები იგი თარგმანები ათანასესი და კკრილესი და კუალად ადგილ-ადგილ ევსუქქისი და ასტერისი. და] ამათ[გან კიდე სხუანი თარგმანნი] ვერ [ვპო-ვენ. და რაჲთა არღარა] ფრიად განვაგრძო სიტყუაჲ (ე)[სე... .. ე]ბისაჲ, რომელი ოდენ მეპოვა მართლმადიდებელთა მამათაჲ, [თქ]ნიერ თევდორიტესსა, არცა ერთი სხუაჲ დამიგდია.

ხოლო ვინაჲთგან მრავალ არიან წიგნნი წმიდათა მიწამე-ბულნი და არა-წმიდათა მიერ მოპოვნებულინი, რომელთა ეს-რეთ განარჩევენ მოძღვარნი წიგნებისანი, ვითარცა [ნა]თელსა წინა-აღმდგომისასა ნათლისაგან ღმრთისა მიერისა, ამისთ-სცა, ლოცვასავე და მადლსა თანა უტყუთა აღმატყუებელისა მის ჩემისასა, ესე იყო მცნებაჲ მისი, (რაჲთა) [ა]რარაჲსა ჴელ-ვყო თარგმნად პირველ გამოწულილვი[სა და გა]მოკითხვისა მეც[ნიე][რთა] და შეწყნარებ[უ]ლისა სიტყჳს-გ[ე]ბისა და წიგნ-თა დიდ[ად სა]წმარებელთაჲსა. [რამეთუ ვიდრე დღე]სამომდე წყალობითა [და შენე]ვნითა ღმრთისაჲთა არა პ[ოვნილ] არს ჩუენთა ნათესავთა [მიერ] აღწერაჲ მრუდი(სა რაჲს)მ[ე] ანუ ცთომილი(საჲ, არამედ) [ცთო]მილებანი იგი რომელ[თამე მრა]ვალთათვისა საკითხა(ვთა)ნი ბერძულისაგან(ვე) [თარგ]მანე-ბულ არიან გამო[უნ]უ[ლილველად და აღტაც]ებულად თარგმ-ნთა ძუელ(თა თა)[არგ]მანთაჲთა, (რომე)ლთა-იგი [შეემთ]ხვა

აღმო(სხმას)ა თ(ანა) აღ[ ... .. ]სასა თანა-აღ[ ... .. ]რებისად.

ხოლო (კუალად ეს)ეცა [საცნა]ურ იყავნ, [ვითარმედ] უ[ ] / [... .. ] და

[... .. ] (დ)ა (შეატყუებ)დეს [... .. ] (შემოკ)რებუ(ლსა) „თარგმანსა დავითისასა“ (ვ)ჰგონებ ვითარმედ ერთსა წიგნსა შინა ვერ მიემ(თხ)უევის ყოველსავე უნაკლუ(ლ)ოდ. რამეთუ მე კუალთა წმიდისა მის მამისა და მოძღურისა ჩემისა გიორგი მთანმიდელისათა შეუდეგ, რომლისაჲ-იგი სათუეთო საგალობელი არა ერთისა, არამედ მრავალთა დედათაგან ერთად შეკრებულ არს და ერთსა წიგნსა შინა ბერძულად არა რომელსა იპოების ეგოდენი საგალობელი. ეგრეთვე ჩუენი ესე „თარგმანებაჲ დავითისაჲ“ ერთისა მისგან ხოლო განკრძალულ არს, რაჲთა გარეშეთა თარგმანთაჲ არარაჲ შემოილოს, [ვითარცა] განკუეთილთაჲ წვალებისათს. ხოლო ათანასესი და კკრილესი, (ეეს) უქისი და ასტერისი არა (ხოლო „დავითისა თა)რგმანთაგანი“, არამედ [სხუათა თარგმან]თაგანცა მათთა, აღ[გი]ლ-[აღ] (გილ), სადაცა პოვნილ არს დავითის სიტყუათა ძალი, ყოველივე შემოკრებულად ვპოვე ორთა მათ წიგნთა შინა, რომელნი-იგი ყოველთავე „დავითისა თარგმანთაგან“ შემოკრებულ იყვნეს მსგავსად სახარებათა მათ შემკობილთა დიდისა ხუთშაბათისათა. ამისთვისცა ოდესმე იშუთ დაემთხუევის ღმრთისმეტყუელისაჲცა და ნოსელისაჲცა და სხუათაცა ვიეთმე საკითხავთა შინა განმარტებული მუჭლი და აქა განწყობილსა თანა ადგილსა თვსსა დაწე(სებული და) ვითარცა უმდიდრესითა (მაღლითა ღმრთისა)ჲთა აღსავსე არიან ს[იტყუანი] ესე ყოვლად ბრძნისა [ამის] დავით წინაჲსწარმეტყუელისანი, ეგრეთვე უმდიდრეს სხუათა საწინაჲსწარმეტყუელოთა არს თითო-ფერებაჲ იგი სამოსელთა თარგმანებისა მისისათაჲ, რამეთუ ესევითარი სამკაული შუენოდა გუამსა ღმრთივ-აღძრულთა ამათ სიტყუათა მისთასა, რაჲთა შეიმოსოს ძონეული ბისონსა თანა და პორფირი მენამულსა თანა.

და ესე არს მიზეზი რომელთამე მუჭლთა შემოკლებულად თარგმნისა და რომელთამე უვრცელესადრე. რამეთუ, სადა-იგი მოკლედ და ლიტონად თარგმნილისა მისგან ოდენ იპოვა თარგმანი, ესევითარი იგი მუჭლი შემოკლებითითა თარგმნითა დაინერა. ხოლო, რომელთა მუჭლთათვს [შე]მოკლებითთა თარგმანთა ზედა დასართველად გუეპოვა განვცელებულისა

მისგანი, ანუ საკითხავთა შინა პოვნილი – ანუ ევსუქისი გინა ასტერისი- ესევითარისა მის მუჭლისა თარგმანი მცირედ განვრცნა. და ან არს ჩუენსა ამას „დავითისა თარგმანსა“ შინა შემოკლებითი იგი თარგმანები მუჭლთა ათანასესი და კკრილესი ყოველი უნაკლულოდ, ხოლო განვრცელებითთა მათ თარგმანთა მათთაგანი და ევსუქისი და ასტერისი ადგილ-ადგილ ოდენ, რამეთუ ამათნი დედანი სრულებით ვერ ვიპოვენ.

და ესე აქამომდე იყავნ, რაჲთა ჩუენ ვინყოთ სიტყუად, თუ ვითარ ჯერ-არს ჴმარებაჲ ძალსა ამათ თარგმანთასა, ანუ თუ ვითარ გულისჴმის-ყოფაჲ ოდესმე მსგავსებასა და ოდესმე რეცა წინააღმდეგომად საგონებ[ლო]ბასა მათსა. ამათ შემდგომად [ ... ]ბულთა მსგავსებაჲ / და არა-მსგავსებაჲ განგუემარტების თანა-შეტყუებისაგან ოთხთა წმიდათა სახარებათაჲსა, ვითარიგი მუნ მისვე და ერთისა ქრისტეს საქმეთა წარმოთქუმისათჳს ოდესმე შეიერთების და ოდესმე მცირედ რეცა განიყოფების სიტყუაჲ წმიდათა მახარებელთაჲ, და არცა განყოფა იგი მათი განწვალებასა იქმს, ვითარმცა წინა-აღუდგებოდეს ურთიერთას, არცა შეერთებაჲ მათი შერწყუმასა ჰყოფს, ვითარმცა ურთიერთასა ივასხებდეს სიტყუათა მათ. არამედ განყოფილობად საექუელობაჲ იგი მათი უექუელ არს ერთობისათჳს, და ზოგეზით მეტყუელებაჲ არავე საუქუელ არს, ვითარმედ მისვე და ერთისა სულისაგან მეტყუელებდეს და არა თუ სხუაჲ სხვსაგან რასმე მოხუეჭით მოიპოებდეს. ეგრეთვე აქა თარგმანნიცა ესე დავითისანი: არა ხოლო ჩუენნი, არამედ გარეშენიცა მრავალ გზის ჩუენთა ამათ მიერ თარგმანებულსა მიემსგავსებიან: რამეთუ უმრავლესთა ადგილთა, რაჴამს წარიკითხო წმიდისა ბასილის მიერ აღწერილი თარგმანი მუჭლისაჲ, ყოვლითურთ თანა-შეტყუების მისსა მას ევსევისიცა ჰამფილესისაჲ და ეგრეთვე ოდესმე, რაჲ-იგი ძალი აქუნ თარგმანსა ათანასე ღმერთ-შემოსილისასა, იგივე ძალი აქუნდის ოროგინესსა მას ყოვლად შეცთომილისასა. ამისთჳსცა მსგავსებისა ამისგან სიტყუათაჲსა [ . ] დ ნუმცა ვის ჰგონიეს, თუ [წმიდასა მამას]ა სხვსა უვასხები[ეს ბილ]წთა არა-წმიდათაგან, ან(უ) [ ... .. . ]ს(ჭ)ერ [ ... .. . ] ერთ [ ... .. . ]ბენ წმიდანი (ე) [ ... . ] შეიერთებიან მსგავსებითა ოთხთა მახარებელთაჲთა და ოდესმე კუალად განიყოფ(ებ)იან მიდევნებითა კუალთა მათთაჲთა, არა წინა-აღუდგებიან ურთიერთას, არა, არამედ რომელიმე განმარტებით თარგმნის მუ-

წლსა და რომელიმე სახის-მეტყუელებით. და არა ხოლო ორნი, (ანუ) ორგან, არამედ თვთ იგივე ერთ და ერთსა შინა ადგილსა განჰმარტებსცა და სახის-მეტყუელებსცა მასვე და ერთსა მუ-წლსა. და იქმნენ მისვე და ერთისა სულისაგან მომ(ღებელნი) სიტყვსანი. სულსა ვიტყვ წმიდასა, რომლისა მოფენამან მეთე-ვზურნი მთრვალ საგონებელ ყვნა.

ხოლო ესეცა ცხად არს, ვითარმედ უზეშთაეს არს განმარ-ტებით თარგმნაჲ სახის-მეტყუელებით თარგმნისასა: რამეთუ ყოველსავე მუწლსა სახის-მეტყუელება შესაძლებელ არს არა ერთ სახედ ოდენ, არამედ მრავალ სახედცა, ხოლო [იგი]ვე გან-მარტებაჲ არა ხოლო შ[უ]ძლებელ არს, არამედ საცთურებაჲცა. ვითარ-იგი არიან (ღმრთი)სათვს თქუმულნი: დაძინებაჲ და გან-ღვძებაჲ, ჯდომაჲ და (აღდგო)მაჲ, რისხვაჲ და (გულის წ)ყრომაჲ, დავიწყებაჲ და მოვსენებაჲ – ესე ყოველნი [ვ]ნებ[ა]ნი არიან ... .. [ა [... ... . დიდა... . ]თა) ბუ[ნ]ებოანი (ხ) [ ... ] უნივთო არს და უვნებელ და უქცეველ ყოველსა შინა.

და კუალად, გესმოდინ რაჲ ჴელ(წ)ი და ფერწნი ღმრთისანი, თუალნი და გული, უწყოდე, ვითარმედ ამისსაცა გულისწმის-ყოფასა სახის-მეტყუელებაჲ უწმს და არა განმარტებაჲ, ვინაჲთ-გან არარაჲ ჴორციელთა და ზრქელთაგანი იპოების უჴორცოსა მას თანა და უხილავსა.

ხოლო თუ ვითარ სახის-მეტყუელებენ სიტყუათა ამათ წმი-დანნი ესე მამანი მთარგმნელნი დავითისანი, ესე ადგილ-ადგილ მიმოგანფენილ არს წიგნსა ამას შინა და ძნელ საპოვნელად. ამისთვისცა მცირედი მრავლისაგან ერთად შემოკრებულ იქმ-ნა გამომეძიებელ[თათვს] და წინა-შესავალსა ა[მის] წიგნისა ჩუენისასა დაენერ[ა], არა ლიტონად, არცა უ[რთი]ერთას აღ-რეულად, [არამედ ას]ოთა ზედა ანბნისათა განწყობილად და განკარგულად, რაჲთა მარჯუე და ადვილ იყვნენ საპოვნელად მეძიებელთათვს.

ვინაჲცა შენ, ქრისტეს მოყუარეო, ეძიებდე თუ ამას (გუ)ლს-მოდგინებით, მეცნიერ (იქ)მნე და სცნა ჩუენთვის, ვითარმედ მისვე (თიწის)აგან ვმეკეცეობთ და ამათვე წიგნთა მიერ მიღე-ბულითა ძალითა განვადლიერებთ უძლურებასა სიტყვსა ჩუენი-სასა, და არა თავით თვსით მოვიპოვებთ თარგმანებასა (მა)ღ(ა)ლ(თ)ა ა(მათ) სიტყუათასა, არამედ ათანასეს მიერ და კკრილეს, ევსუქის და ასტერის ადგილ-ადგილ აღმოცენებულთა ყუავილ-

თა ერთად გოლად სიტკბოებისა დავიუნჯებთ. და ამას არა სრულებით და უნაკლოლოდ, არამედ ზოგებით და მოკლებით წინა-გიყოფთ თქუენ, რაჲთა კნინ ოდენითა გემოჲს-ხილვითა გიჩუენოთ გემოჲ მდინარისა დიდისა და მცირისა მიერ ფესკ-სა განგიცხადოთ ყოველი ქსოვილებაჲ სამოსლისაჲ და ესრეთ ვინყოთ სიტყუად შეწევნითა ღმრთისა ყოვლად ძლიერისა მამისა და ძისა და სულის წმიდისაჲთა.

**ადგილ ღმრთისა** ოდესმე ცაჲ ითქუმის, და ოდესმე ეკლესიაჲ, და ოდესმე ქალწული, და ოდესმე გუამი კაცად-კაცადისაჲ, გინა თუ ყოველივე, რომელსაცა ზედა განისუენოს ნებაჲმან ღმრთისამან. რამეთუ ამათ ყოველთა მიერ ცხად არს, ვითარმედ არცა ერთისა ადგილისა მიერ გარე-შეცვულ არს იგი, არამედ ყოველივე მას მხოლოსა შეუცავს. ხოლო ესე ყოველნი სხუებრ და სხუებრ გულისწმა-იყოფებიან ადგილად ღმრთისა: ცაჲ – სიმაღლისათჳს ღმრთეებისა მისისა, რამეთუ არარაჲ ეპოების სხუაჲ გონებასა კაცთასა უმაღლესი ადგილი უფროჲს ცათა. ამისთჳსცა ცასა საყდარ მისა უწოდიან და ქუეყანასა კუარცხბეკ. და ესე ყოველი მოპოვნებით და სახის-მეტყუელეობით, რაჲთა გამოაჩინოს სიმაღლე ღმრთეებისა მისისაჲ. ხოლო ქალწულ[სა] /ენოდების **ადგილ დამტყვენელ** მეუფებისა მისისა, რამეთუ ყოველითურთ დ(აი)-მკვდრა მის თანა სიტყუამან ღმრთისა მამისამან და განჯორციელდა მისგან, ხოლო ეკლესიაჲ – საიდუმლოთა მათჳს, რომელნი მას შინა აღესრულებიან, ხოლო გუამი კაცად-კაცადისაჲ – სიტყუსა მისთჳს, ვითარმედ: “მე და მამაჲ მოვიდეთ და მის თანა სავანე ვყოთ”.

**აღდგომა ღმრთისა** არს, რაჲჲამს აჩუენოს ჩუენ ზედა ძალი ქველისმოქმედებათა გინა მტანჯველობათა თჳსთაჲ. ვინაჲთგან, სიტყუსაებრ დიდისა მის ღმრთის-მეტყუელისა, არა თუ მსგავსებისაგან ბუნებითისა, არამედ საქმეთაგან, რომელნი არიან გარემოჲს მისსა, საცნაურ იქმნების ჩუენდა ღმერთი.

და კუალად **აღდგომა** არს განჯორციელებაჲ ძისა ღმრთისაჲ, რომლისა არა-დაყოვნებად მოქენე იყვნეს წინაჲსწარმეტყუელნი.

**აღმსობა ღმრთისა** ორ-სახე არს: რომელი-იგი ითქუმის გინა თუ შეცვალებისათჳს მიშუებათა და სულ-გრძელებათაჲსა და არა-დაყოვნებისათჳს პატი[უ]თა, გინა პატივთა კაცად-კაცადისათა, ანუ თუ ორთა მათჳს მოსლვათა ქრისტესთა, პირვე-



სუენებდეს ნებაჲ მისი და რომელთა მიერ იქმოდეს ძალთა და საკრველებათა, ვითარცა მეუფე საყდართა ზედა მჯდომარედ იხილვების. და კუალად წმიდათა მახარებელთა და მოციქულთაცა უწოდიან ეტლ მისა, და მათ ზედა აღმაღლდა ქადაგებაჲ სახარებისაჲ, ვითარცა ეტლსა ზედა მზის-თუალისასა.

**ეზოდ შემწყნარებულად** ღმრთისა მიმართ სათნოებათა სახელ-ედების, რომელთა მოქმედებითა შევალს კაცი უზეშთა-ესსა მას საზომსა ხილვისა ღმრთისასა, ვიდრე იგი არს საქმი-თი ხედვად.

**ვეცხლ გამოჯურვებულ ღმრთისა** არს შუდ წილ განწმე-დილებაჲ იგი სიტყუათა მისთაჲ, რომელნი ჩუენდა სარწმუნოე-ბით შეწყნარებად ბრძანებულ არიან. რამეთუ ჭეშმარიტად არ-ლარა არს იჭუ მათ შინა, რომელნი-იგი უფალმან განიკუთნნეს და გამოცადნეს უფროჲს ოქროსა რჩეულისა. და ყოველივე იგი რიცხვ მცნებათა ჩუენთა ბრძანებულთაჲ შუდ წილ უწმიდეს არს ვეცხლსა მას, რომლისათჳს იტყჳან, ვითარმედ შუდ გზის განდნობითა ბრძმედისა ხოლო და უფროჲს თოვლისა განსჳე-ტაკნების.

**ზრახვა უფლისა** არს უცვალებელობაჲ და სიმტკიცე სასჯელთა მისთა თუალ-უხუაობისაჲ, რომლითა მართალთა ადიდებს, ხოლო ცოდვილთა სტანჯავს. ზრახვა უფლისა ორ-სახე არს: გინა თუ თუთ იგი განიზრახვიდეს ცხორებასა ჩუენ-სა, გინა თუ რაჟამს ეზრახებოდეს კაცთა პირითა წმიდათა მისთაჲთა, რამეთუ გულსა შინა წმიდათა მისთასა იგი თავადი ზრახავს უხილავად. და კუალად ჩუენ შორისცა ორნი ზრახვა-ნი იქმნებიან ღმრთისა მიმართ: გინა თუ წურთითა სიტყუათა მისთაჲთა, ანუ თუ სხუათა მიმართ მითხრობითა სამართალთა მისთაჲთა, და უფროჲსლა სამარადისოთა ლოცვითა და ვე-დრებითა მისა მიმართ, რამეთუ ყოველივე, რაოდენი აღმოით-ქუმოდის ჩუენ მიერ საღმრთოდ და წესიერად, – გინა თუ სწა-ვლაჲ, გინა თუ ლოცვაჲ, – ყოველსავე ღმერთი ზრახავს ჩუენ შორის. ვინაჲთგან ვერვის ჳელ-ენიფების თქუჲმად უფალი იესუ, გარნა სულითა წმიდითა. რამეთუ რაჲმცა ვიცოდეთ, ვითარ-იგი ჯერ-არს, არა ვიცით, არა თუ მან თავადმან მასწაოს ჩუენ, რომელი-იგი მეოხ არს ჩუენთჳს სულთქუჲმითა მით უსიტყუე-ლითა.

**თავ ქრისტესა** არს ღმერთი მამაჲ, რომელსა-იგი სამარ-

თლად უწოდებენ თავ, ვითარცა მშობელსა ძისასა და გამომავლინებელსა სულისა წმიდისასა.

**თავ ეკლესიისა** არს ქრისტე, ვითარცა თავსა თვსსა და-მომკიდებელი ყოვლისავე ასოებისაჲ, რომელ არს სახელითა მისითა წოდებული სავესებაჲ ეკლესიისაჲ და სიმრავლე ერთა მორწმუნეთაჲ.

**თუალ ღმრთისა** არიან რომელთად სული [... ] რომელთა შორის ვითარცა ორთა ნათელთა იცნობების ღმერთი მამაჲ გამომავლინებელი ნათელთაჲ. და კუალად თუალად ღმრთისა ითქუმის ძალი ყოველთა მხედველობისაჲ, რამეთუ იგი – ვითარცა მხედველი ყოველთაჲ.

**თქუმა ღმრთისა** არს უცილებელი იგი განჩინებაჲ მსჯავრთა მისთა უქცევლობისაჲ.

**თქუმულ ღმრთისა** არიან ყოველნი სიტყუანი ღმრთივ-სულიერთა წინათანი.

**ისარ ღმერთისა** არიან მოციქულნი მისნი, ხოლო

**ისარ ლესულ** – სიტყუანი მისნი. კუალად **ისარ** წოდებულ სათნოებითნი მოღუანებანი, რომლითა მარადის განჰგუმერს ღმერთი სიმართლითა უსამართლოებასა, სინმიდითა – არა-წმიდებასა, გონიერებითა – უგუნურებასა და სიბრძნითა – უმეცრებასა.

**ისარ რჩეულ** არიან შიშნი სატანჯველთანი.

**ისარ მამისა** არს ძე და

**ისარ ძისა** – წმიდანი მისნი.

**კუერთხ ღმრთისა** ეწოდების ოდესმე გუემასა, რომელსა მოაწევს განსასწავლელად უგუნურთა, და ოდესმე – ნუგეშის-ცემასა, რომელსა მოავლინებს განსაძლიერებელად უძღურთა. და კუალად, ამათ ყოველთაგან კიდე **კუერთხ** ეწოდების ძელსა საუფლოჲსა ჯუარისასა, რომელი მიიღო სასწაულად მთავრობისა, გან-რაჲ-ვიდოდა წყობად მთავრობათა და ჳელმწიფებათა ბნელისათა.

**კარ შემყვანებელ** მამისა მიმართ არს ძე მხოლოდ-შობილი და იგივე არს

კლდე, სიტყუსაებრ მოციქულისა.

**კარავ ღმრთისა** არს წარმართებაჲ მცნებათა მისთაჲ, ხოლო დაფარულ კარვისა – სრულებაჲ მათ შინა. და კუალად



**კარავ ღმრთისა** არს წმიდაჲ ეკლესიაჲ, რომელი- ესე სახედ ზე-  
ცისათა მათ აღშენებულ არს.

**კუამლ ღმრთისა** არს რისხვაჲ მისი, რომელსა მიჰფენს  
უსჯულოთა ზედა, რამეთუ მარადის კუამლი რისხვისა გამომ-  
სახველ არს და ცრემლისა თუალთაგან მაჩინებელ არს.

**მალლად მოქცევა ღმრთისა** არს ყოველი საქმე, რომლი-  
თა განაცხადოს უფსკრულთა შინა მიუწთომელობისათა და-  
ფარული ღმრთეებაჲ მისი. და კუალად თვსაგან მალლად მოქ-  
ცევაჲ იყო ჯუარად აღსლვაჲ მხოლოდ შობილისაჲ და კუალად  
უსრულესი-რე **მალლად მოქცევაჲ** არს, ოდეს დაისხნეს მტერნი  
მისნი ქუეშე ფერჯთა მისთა.

**მარჯუენე და მკლავ მამისა და მაცხოვარება** მისა ძე სა-  
ხელ-დებულ არს.

**მთად ღმრთისა** წმიდაჲ ქალწული მარიამ წოდებულ არს.  
და კუალად **მთად** სახელ-ედების ოდესმე ძალთა ანგელოზებრ-  
თა, და ოდესმე – სულეbsა წმიდათასა,

**მთა წინააღმდგომ ღმრთისა** არიან არა-წმიდანი იგი  
ძალნი ეშმაკთანი.

**მსხუერპლ ღმრთისა** არს წმიდაჲ შესანირაჲვი. და კუა-  
ლად **მსხუერპლ** ეწოდების სულსა შემუხსრვილსა და გონებასა  
მდაბალსა.

**მახლობელობა** ღმრთისა არს სათნობათა მიერ საქმით  
საკუთრებაჲ და ხედვათა მიერ გონებისათა მიახლებაჲ.

**მოხედვაჲ ღმრთისაჲ** ორთა მიზეზთათჳს იქმნების: ოდეს-  
მე ზარისა და შეძრწუნებისათჳს და ოდესმე – (წ)ყალობისა და  
სიტკბოებისათჳს.

**მიქცევა მისა** ითქუმის, რაჟამს ჩუენ ცოდვითა ჩუენითა  
გარე-მივაქციოთ და განვიშოროთ იგი, ხოლო

**მოქცევა მისა**, რაჟამს კუალად სინანულით შევრდომითა  
წყალობად მოვაქციოთ იგი.

**მახულ ღმრთისა** არს მკუეთელობაჲ იგი სიტყვსაჲ, რომ-  
ლითა გვბრძანებს მ(ოკ)უეთად ასოჲსა მაცთუნებლისა, რაჲთა  
არა მითურთ დავისაჯნეთ გეჰენიასა შინა.

**მოგონება ღმრთისა** არს, რაჟამს მრავალ ჟამ მიშუები-  
თა შეურაცხქმნილი საქმე განჰმართოს და ცვალოს გინა თუ  
ტანჯვაჲ განსუენებად, ანუ განსუენებაჲ ტანჯვად.

**მოსლვა ძისა** ეწოდების პირველსა და უკანაჲსკნელსა,

ყოფილსა და ყოფადსა [მო]სლვასა ქრისტესსა, ხოლო დღითი-დღედი მოსლვაჲ ღმრთისაჲ არს პირად-პირადი განგებაჲ და პყრობაჲ დაბადებულთა საქმისაჲ.

**მეუფება ღმრთისა** არს ბუნებითი იგი პირველ საუკუნეთა ფლობაჲ და ზოგადი ერთ-მთავრობაჲ წმიდისა სამებისაჲ, ხოლო

**მეუფება ძისა** არს შემდგომად წარმართთა მოქცევისა ქმნილი იგი ყოველთა თესლთა ზედა განსუენებაჲ ნებისა მისისაჲ, ხოლო

**მეუფე ძალთა ცისათა** ოდესმე ზოგად სამთათსვე ითქუმის და ოდესმე თესაგან ძისათს და სულისა.

**მფრინველ ღმრთისა** არიან სულნი ზეცისასა მზრახვალნი.

**მდინარე ღმრთისა** არს ქადაგებაჲ სახარებისაჲ, რომელი იგი ოთხად თავად განყოფითა მომრწყველ არს ქუეყანისა, რაჲთა ყოვლითურთ მსგავს იყოს სამოთხით გამომავლობასა და ოთხთა მდინარეთასა. და კუალად თესაგან განკუთნვილ (მდინარე) ენოდების მადლთა სულისათა.

**მშულდ ღმრთისა** ენოდების შ[ი]შსა [ტ]ანჯვათასა, რომელი-იგი გარდაეცუმის ანინდელსა ამას სანუთროსა, ხოლო სწყლავს მერმესა მას საუკუნესა.

**მცნება ღმრთისა** არს სწავლაჲ მცნებათა სახარებისათაჲ, რომელი ფრიად აღემატების შჯულიერსა მას ათ-რიცხუედსა მწყობრსა (მ)ცნებათასა.

**ნათელ** სახელ-ედების ზოგად ბრწყინვალეზა/სა მას ერთ-ღმრთეებისასა. და კუალად ძე ნათელ არს მამისა, და ეგრეთვე სული ნათელ გამომავლინებელისა მის ნათელთაჲსა.

**ნება მამისა** არს ძე, ხოლო

**ნება ძისა** არს ცხოვრებაჲ კაცთაჲ.

**ნად[ირ] ღმრთისა** არიან წმიდანი მისნი, რომელნი-იგი მათა ზედა საღმრთოთა წერილთასა მიმოიცვალეზიან და სიმაღლესა ზედა გულისჴმის-ყოფისასა ძალითი-ძალად ვლენან საქმითი ხედვად და გულისჴმის-ყოფითი – სათნოებად.

**უფალი ძალთა** უფლად მწედრობათა სახელ-იდების, რაჟამს გესმ[ა]ს „უფალი საბაოთ“, რამეთუ “საბაოთ” მწედრობათად გამოითარგმანე[ბ]ის ენისაგან ებრაელთაჲს[ა]. და კუალად **უფალ ძალთა** და **უფალ მტკიცე** არს ძე, რომლისა-იგი

ბრძოლანი და ძლევანი მაშინ განცხადნეს, რაჟამს იგი ჩუენი-  
თავე ამით ბუნებითა ენყო და დასცა მბრძოლი იგი ბუნებისა  
ჩუენისაჲ.

**პ(ირ) ღმრთისა** ძე სახელ-იდების. ამისთვისცა ხატ  
გუამოვნების(ა) უნოდ[იან]. ხოლო ხილვა პირსა ღმრთისა (არს)  
მერმისა მის საუკუნოხსა(ა) იგი უსრულესი ცნობაჲ ღმრთისაჲ,  
რომელი-იგი მიემადლების თით(ო)ეულსა მსგავსად აქაეთვე  
განწმედილებისა გულთა და გონებათაჲსა.

**რისხვა ღმრთისა** ითქუმის არა კაცობრივი სახე ვნებუ-  
ლებისაჲ, არცა აღდულებითა სისხლისაჲთა ქმნილი განძენებაჲ  
მრისხანებისაჲ, არამედ მართლ-მსაჯულებითი იგი მიჴდაჲ პა-  
ტიჴისაჲ, რამეთუ არა ხოლო ღმერთი ყოველსავე შინა უვნებე-  
ლი, არამედ ჴორციელნიცა ესე და ვნებულნი კაცნი, აღსრულნი  
პატივისა მთავრობისა გინა მსაჯულებისაჲსა, არა მრისხანებით  
სწავლიან ღირსთა მათ ტანჯვისათა, არამედ აღსრულებისათჴს  
წესთა და შჯულთა მსოფლიოთა მოაწვევენ პატიჴსა ღირსთა  
მათ ზედა პატიჴისათა.

**რქა ცხოვრების** უნოდიან უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტე-  
სა, რომლისათჴს ზაქარია იტყჴს: ”აღმიდგინა ჩუენ რქაჲ ცხო-  
ვრებისაჲ”. რამეთუ ვითარ-იგი რქაჲ თავისაგან აღმოეცენების,  
ეგრეთვე/ ქრისტე თავთა მათ მამათ-მთავართა თესლისაგან  
განჴორციელდა. და კუალად, რამეთუ რქაჲ გამომსახველი არს  
მეუფებისაჲ, არა ხოლო ამით, რომელ რქისაგანითა საცხებე-  
ლითა იცხებოდეს მღვდელნი და მეფენი, არამედ კუალად ამი-  
თცა, რამეთუ ვითარცა-იგი რქაჲ ზედა კერძო თავისა აღმო-  
ცენებითა წინა-მბრძოლ და მფარველ არს ყოვლისა გუამისა,  
ეგრეთვე შეწვენაჲ ღმრთისაჲ ზედა კერძო ყოველთა განფენილ  
არს და სცავს ყოველთა ასოთა კაცად-კაცადისა გუამებისათა.  
რამეთუ ყოველნი ერთ გუამ და ურთიერთას ასოებ ვართ და-  
მოკიდებითა თავისა მის ყოველთაჲსა ქრისტესითა, რომლისა-  
გან ყოველი გუამი შენანევრებულ და შემტკიცებულ არს.

**საკურთხეველ ღმრთისა** არს არა ხოლო ქუეყანისაჲ ესე  
მიმსგავსებული ზეცისათა მათ, არამედ გონებაჲცა განწმედი-  
ლი ყოველთა ვნებათაგან.

**საცხებელ სიხარულისა** უნოდიან სულსა წმიდასა,  
რომლისა მიერ ეცხო ჴორცთა ქრისტესთა და უფროხლა ღმრ-  
თეებამან სცხო კაცებასა.

**სიტყუა ღმრთისა მამისა** უწოდიან ძესა მხოლოდ-შობილსა, ხოლო

**სულ პირისა მისისა** – სულსა ყოვლად წმიდასა. რამეთუ ამათ სახელთა მიერ მრავალთა ადგილთა გვქადაგებს წინააღმდეგობით და ვით სამ-გუამოვნებასა ერთარსისა წმიდისა სამებისასა, რომელი მაშინ სადმე ფრიად და ესოდენ დაფარულ იყო კაცთა ნათესავისაგან, რაოდენ ან განცხადებულ არს მრავალთა პირთა მიერითა ქადაგებითა.

**სწავლა უფლისა** არს ოდესმე სიტყუად მხილებისად, დამაყენებელი ბოროტთად, და ოდესმე ტანჯვად წურთილებისად, მომაქცეველი უგუნურთად.

**საყდარ ღმრთისა** არიან ძალნი ანგელოზებრნი და ყოველნი სულნი, რომელთა ზედა განისუენებს ნება მისი.

**სიავ ღმრთისა** არს წმიდა იგი ემბაზი ნათლის-ღებისად.

**სინმიდე** თვთ ბუნებით სახელი არს ღმრთისად, რომელი-იგი არს ყოველთა მიმცემელი სინმიდისად, და ეგრეთვე სათნობად ყოვლისავე თანა მწყობრისა კეთილთა მისთაჲსა მის მხოლოჲსა ოდენ თჳს და საკუთარ არს ბუნებით დამბადებლისა და მპყრობელისა ყოველთაჲსა. ხოლო დაბადებულთა ყოველთა მინიჭებით მიემადლებს მისგან საზომისაებრ და მოსწრაფებისა თითოეულისა გულთა და გონებათაჲსა, გინა თუ საქმე სათნობისად, გინა თუ სახელის-ღება რაჲსაცა კეთილგანისად. ამისთჳსცა მან თავადმან თქუა: ”არავინ არსო სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი”. ვინაჲცა ამით განაცხადა, ვითარმედ ესე-ვითარნი სახელნი მონიჭებითა მის მიერითა გუენოდებიან და არა თუ/საკუთრებითა ბუნებითითა.

**სლვა ღმრთისა** არიან განგებულეზანი განკაცებისა მისისანი.

**სამოთხე ღმრთისა** და

**სასუფეველ ზეცისა** არიან სავანენი საუკუნენი.

**სასუმელ უფლისა** არს სიკუდილი კაცთად ღმრთის-მსახურებისათჳს. და კუალად **სასუმელ განზავებულ** ენოდების თქუმათა და აღთქუმათა, შიშსა გეჰენისასა და სურვილსა სასუფეველისასა.

**სახელ ღმრთისა** მრავალი რაჲ პოვნილ არს წმიდათა წერილთა შინა, ხოლო სიტყუსაებრ დიდისა მის ღმრთის-მეტყუე-

ლისა, უმახლობელეს მათ ყოველთასა არს არსი და ღმერთი, რომელი-ესე არა სხვსა ვისგან, არამედ თვთ მის თავადისაგან ესწავა წინასწარმეტყუელთა და მამათმთავართა.

**სიცილი ღმრთისა** ესრეთ გულისწმა-იყოფების, ვითარმედ იგი თავადი საცინელ ჰყოფს ეშმაკსა, რაჟამს-იგი ეცინოდეს არა რაათ სხვთა, გარნა მიცემითა სამღერელად წმიდათა მისთა. ამისათვისცა არა თქუა წინასწარმეტყუელმან, ვითარმედ “ეცინოდა”, არამედ “ეცინოდისო”. რამეთუ წმიდათა მისთა მიერ ქმნილი ყოველი თვსად შეურაცხიეს, ხოლო წმიდანი მამისინ ეცინიან/ ღმრთისა მიერ საცინელად მიცემულსა მას მათდა, რაჟამს იხილონ იგი მთხრებლსავე თვსსა შთავრდომილად, მახითა თვსითა შეპყრობილად და მახვლითავე თვსთა განგუ-მერილად.

**სმენა ღმრთისა** უწოდიან, რაჟამს მოწყალებით ჯერ-იჩინოს უმჯობესად ცვალებად თხოვათა ჩუენთა, რამეთუ არა-სმენა მისა ესე ითქუმის, რაჟამს არა სარწმუნოებით ვითხოვდეთ, ანუ არა უმჯობესსა ჩუენსა ვითხოვდეთ. ამისთვის უძღურება კაცობრივისა სიტყვსად სმენად უწესს აღსრულებასა და არა-სმენად სახელ-სდებს აღსრულებელობასა თხოვათა ჩუენთასა.

**ტაძარ უფლისა** არს შესაკრებელი ეკლესიისა მართმა-დიდებელთაჲსა, ანუ ცაჲ, ანუ გონებაჲ წმიდაჲ, ანუ ქალწული, ანუ ჳორცნი საუფლონი, ანუ გუამი კაცად-კაცადისა, მეტყუე-ლისა მისებრ, რომელი გუეტყვს, ვითარმედ: “თქუენ ტაძარნი ღმრთისა ცხოველისანი ხართ სულისა მისგან, რომელი მკვდრ არს თქუენ თანა”.

**ფერჯ ღმრთისა** არს ჩუენ მდაბალთამდე მოწვენად გან-გებულებისა მისისა, რომელ-იგი მაღალ არს ბუნებითითა მით სიმალლითა ღმრთეებისა თვსისაჲთა, ხოლო მოწინევის ჩუენისა-მდეცა სიმდაბლისა კაცთმოყუარებითა წყალობისა თვსისაჲთა. ამისათვისცა ცასა საყდარ მისა უწოდიან, ზემთა აღმატებულისა მისთვის ღმრთეებისა მისისა, ხოლო ქუეყანასა – კუარცხლ-ბეკ, ჩუენ მდაბალთამდე მოწვენისათვის განგებულებათა მისთაჲსა. და კუალად **ფერჯ** მისა არს სიმტკიცე და შეურყევლობა საშჯელთა მისთა უქცეველობისა, რომელთა ზედა მტკიცე არს და არცა ერთსა რას დაუტევებს თვნიერ განგებისა.

**ფრთე ღმრთისა** არიან ორნი იგი აღთქუმანი ძუელისა და ახლისა შჯულისანი, რომელთა მიერ გუფარავს ვითარცა

მფრინველი მართუეთა და რომელთა შორის იგი თავადი დად-  
გა დასრულებასა ოდენ ძუელისა შჯულისასა და დანყებასა  
ახლისა მადლისასა. და კუალად **ფრთე** მისა არიან სათნოებად  
და სიბრძნე, გინა თუ საქმე და ხედვაჲ.

**ფარ ღმრთისა** ითქუმის ჩუეულობითა კაცობრივისა სი-  
ტყუასათა გულს-მოდგინებით ჩუენებაჲ თანა-მბრძოლობისაჲ,  
ხოლო მას ყოვლადვე ფარ არა ეჭმარების, რომლისაჲ მოგონე-  
ბაჲ ოდენ საქმე არს აღსრულებული და მოქმედებაჲ მისი არა  
ოდეს დაეცადების.

**ქუხილ ღმრთისა** საცნაურ არს ქადაგებაჲ ძეთა მათ  
ქუხილსათაჲ.

**ქარ ღმრთისა** არს მოსწრაფებით და მალიად სახილველ  
ყოფაჲ მოქმედებათა და შენევნათა მისთაჲ, რომელნი-იგი არა-  
წმიდებასა სოფლისასა მტუერებრ განმაქრეველ, ხოლო ზრ-  
ქელსა მას არმ/ურსა და გონებათასა კუამლებრ განმაბნეველ  
ექმნებიან და ბზესა ვნებათასა განარჩევენ იფქლისაგან სათ-  
ნოებათაჲსა.

**ქალაქ ღმრთისა** ენოდების პირმშოსა მას ეკლესიასა ზე-  
ცისა იერუსალემისასა და კუალად

**ქალაქ მეუფისა** დიდისა არს ყოვლად წმიდაჲ ქალწული  
ღმრთისმშობელი.

**ქება ღმრთისა** არს სიმრავლე კეთილთა საქმეთა ჩუენ-  
თაჲ, რომელთა მხედველნი აქებენ მამასა ჩუენსა ზაცათასა. და  
კუალად მამაჲ იგი ჩუენი ზეცათაჲ პატივ-გუცემს ჩუენ, რაჟა-  
მს ვიქებოდით მის მიერ ეკლესიასა შინა დიდსა მერმისა მის  
საუკუნოჲსასა და მადლობით აღუარებდეთ მას.

**ქრისტე** ცხებულად გამოითარგმანების, ვითარ-იგი  
მრავალ გზის გუასმიეს წმიდათა წერილთა შინა; ხოლო მიზეზი  
ამის პირისაჲ რეცა საძიებელ არს, თუ ვითარ ბერძულთა საფ-  
სალმუნეთა შინა მრავალ გზის მოიწესენების სახელი ქრისტესი,  
ხოლო ქართულთა შინა არცა ერთ გზის სადა. გარნა ესე ამიერ  
ისწავე, რამეთუ ვითარ-იგი ბერძენნი პატივისათჳს ებრაელ-  
თაჲსა მრავალთა სიტყუათა იწუმევენ ებრაულთა, ეგრეთვე  
ქართველთა მრავალი სიტყუაჲ აქუს საწმრად ებრაულისაგანცა  
და ბერძნულისაგანცა, ვინაჲცა უმეცართა მიერ არა ადვილად  
განიჩევიან უცხონი იგი სიტყუანი ბერძნულნი ებრაულისა-  
გან. ხოლო ჩუენ ებრაულისაგანცა მათვე სიტყუათა შემოვი-

ხუამთ, რომელნი ბერძენთა შემოუხამან და კუალად ბერძნულისაგანცა სხუათა უმეტესთა სიტყუათა, რომელთაგანი ერთი არს სახელი ქრისტესი. რამეთუ ებრაელთა თქსსა ენასა სხუად სახელი აქუს „ცხებულისაჲ“, ესე-იგი არს „მესია“, ხოლო ბერძნულად „ქრისტე“ არს ნაცვალად „ცხებულისა“. ვინაჲცა ცხად არს, ვითარმედ პატივისათჳს ბერძენთაჲსა ვიტყვთ „ქრისტესა“, ხოლო დავითთა შინა „ცხებულსა“ ვიტყვთ ნაცვლად ქრისტესა, რაჲთა უმეტესად ცხად იყოს ძალი სიტყუათაჲ. და გუენება, თუმცა არა უღონო არს თქუმად, ვითარმედ უფლისათჳს და ქრისტეს მისისათჳს. და კუალად წინაუკმო შესაძლებელ არს იერემიასსაცა და მას სიტყუასა ესრეთ თქუმად, ვითარმედ: „სულ პირისა ჩუენისა, ცხებულ უფალი“. არამედ ჩუენ გვსწავიეს მამათაგან, რაჲთა ოდესმე „ცხებულსა“ ვიტყოდით განცხადებისათჳს სიტყუათაჲსა და ოდესმე – „ქრისტესა“ პატივისათჳს ბერძენთაჲსა. გარნა ესე მტკიცედ საცნაურ არს, ვითარმედ ორითავე ამით უფალი ჩუენი იესუ ქრისტე იქადაგების ცხებულად უფლისა.

**ღმერთ ღმერთთა** ეწოდების ღმერთსა. არა თუ ღმერთი კერპთა, არამედ ღმერთ ბუნებით, მიეს მიერ ღმერთ-ქმნულთა მადლით და ჯერ-ჩინებით, რომელი-ესე არს ღმერთ-მთავრობა მისა, რამეთუ ღმერთი დადგების შორის ღმერთთაჲსა და ღმერთი მთავრობს ღმერთთა ზედა, ანგელოზთა და წმიდათა.

**ღუარ ღმრთისა** ეწოდების ემბაზსა წმიდისა ნათლის-ლებისასა, რომელი იგი არა წყარო არს, არცა სამარადისოდ მდინარე, არამედ ქრისტეს მიერ აღმოცენებული არს. დასრულებასავე თანა სანუთროჲსა ამის ჟამთაჲსა [იგიცა] დაესრულების, რამეთუ რომელთა არა აქავე ნათელ-იღონ წყლითა, მერმესა მას საუკუნესა ცეცხლითა ნათელ-იღონ უშრეტითა მით და განუნათლებელითა და დაუსრულებელითა, რაჟამს მატლი მათი არა დაესრულებოდის და კუამლი ცოდვილთაჲ არა დასრულდებოდის, ვითარცა თქუა ქრისტემან სახარებასა შინა სანინაჲსწარმეტყუელოთა წიგნთაგან შემოღებითა სიტყუსა საწამებელისაჲთა.

**ყურ ღმრთისა** ითქუმის არარაჲსა დაფარვაჲ მისგან, ხოლო მოქმედება ყურთა მისთა არს ძალი იგი მსმენელი ვედრებასა სულისა მისდა შევრდომილისასა, თქმულისა მისებრ, ვითარმედ: „ყურნი მისნი ლოცვითა მათთა ზედა“. და ესე არს

**ყურად-ღება მისი**, რაჟამს სათნო-იჩინოს აღსრულება თხოვათა ჩეუნთაჲ, რომელთა მაშინ არა ყურად-იხუამს, რაჟამს ანუ უდებებით/ ვითხოვდეთ, ან თუ უჯეროდ რასმე ვითხოვდეთ პირველ ჟამისა და თვნიერ წესისა სარგებელისა.

**შიმშილ ღმრთისა** არს ცხოვრებაჲ კაცთა ნათესავისაჲ, რომლისათჳს მარადის შიის და არა ოდეს განძღების.

**შუენიერება ღმრთისა** არს ტაძარი იგი ჴორცთაჲ, რომელი პირველ უშუერ-ქმნილ იყო ცოდვისა მიერ, ხოლო შემდგომად სამ დღე დაჴსნისა, განშუენებული და განახლებული შეიმოსა იგი მან, რომელმან-იგი არა სირცხვლ-იჩინა პირველ უშუერ-ქმნილისაჲ შემოსაჲ მისი.

**შეცვალება ღმრთისა მიერ** არს საღმრთოთა ხედვათა განმრავლებაჲ, რომელი მარჯუენისაგან მაღლისა ძისა მხოლოდ-შობილისა მოემადლა ნათესავსა ძეთა კაცთასა, რაჲთა დაუყენებელ იყვნენ შვილ-ყოფად ღმრთისა.

**ცნობა ღმრთისა** ითქუმის არსებით დამჯდრებაჲ მისი გულსა შინა, ხოლო უცნაურება მისა არს, რაჟამს თვთ კაცმან უცნაურ-ყოს თავი თჳსი მისგან დავინყებითა მცნებათა მისთაჲთა.

**ცხორება** სახელ-ედემის ღმერთსა, ვითარცა ყოველთა მომცემელსა ცხორებისასა, ხოლო

**ცეცხლ** – ვითარცა განმღეველსა ცოდვათა ნივთისასა და კუალად **ცეცხლ** ენოდების შეწვენასა სულისა წმიდისასა განყოფისა მისთჳს ენათა ცეცხლისათა.

**ცხორება მარჯუენისა** ღმრთისა არს ყოველივე გზაჲ მარჯუენე, რომელი მიიყვანებს კაცთა ცხორებად საუკუნოდ. და კუალად **ცხორება** იგი საუკუნოდ, რომელი მომენიჭა ჩუენ ქრისტეს მიერ.

**ძალ ღმრთისა** არს ქრისტე, ღმრთისა ძალი და ღმრთისა სიბრძნე.

**ძილ** ენოდების მიმყოვრებულსა სულ-გრძელებასა ღმრთისასა, რომლისაგან განღვებად ევედრებიან წინასწარმეტყველნი, რაჲთა იწყოს შურის-გებად და შჯად. და კუალად **ძილ** იყო დაყოვნებაჲ მოსლვისა უფლისაჲ, რომლისაგან განღვება იქმნა განჴორციელებაჲ მისი. და კუალად **ძილ** იყო ნავსა/ შინა მძინარებაჲ იგი მისი, რომლისაგან განაღვებდეს მონაფენი შემდგომად აღტებისა ქართაჲსა, და ჩუენ გუასწავებდეს, რაჲთა, რაჟამს ვიხილოთ სული ჩუენი აღშფოთებულად მძაფრთა მათგან



გულის-სიტყუათა რისხვისა ანუ თუ მოწყინებისათა, სიძვისა ანუ ნაყროვნებისათა, ცუდად მზუაობრობისა ანუ ამპარტავანებისათა, აღვადგენდეთ წინა-მბრძოლად მისა სიყუარულსა და სიმართლესა, სინმიდესა და მარხვასა, სიმდაბლესა და სიბრძნესა მეცნიერებითურთ.

**წარმართება ღმრთისა** არს, რაჟამს კაცნი განსწავლნეს მან უმჯობესისა მიმართ, რამეთუ კეთილნი ჩუენნი ყოველივე თავისა თვისსად შეურაცხიან მას მხოლოსა, რომელი-იგი ყოვლით კერძო ეძიებს ცხოვრებასა ჩუენსა.

**წამება უფლისა** სახელ-ედების სიტყუათა და ბრძანებათა მისთა, რომლითა უჩუენებს კაცთა კეთილთა მათ, რომელნი მიენიჭებიან მოქმედთა კეთილისათა და წინა-უნამებს და განაკრძალებს არა-შთავრდომად სატანჯველთა მათ, რომელნი მიელიან ყოველთა მიდევნებულთა სიბოროტისათა.

**წრფელ** ეწოდების ღმერთსა არა ხოლო ამისთვის, რომელ მარტივ და შეუზავებელ არს ბოროტთაგან ბუნებაჲ მისი, არამედ ამისთვისცა, რამეთუ ყოველსავე მართლიად და სინწრფოებით განაგებს, ესე-იგი არს, რამეთუ არცა ცოდვილთა მოიძაგებს, მოიქცენ თუ ცოდვისაგან, არამედ განუხუჟამს მათ ბჭეთა სინანულისათა; და კუალად მართალთა, შემსგავსებულად საზომთა თითოეულისა სიმართლისათა, განუყოფს შეწევნათა მადლისათა, და უფროესლა მართლმსაჯულებასა თვისსა განჰზავებს წყალობითა და კაცთ-მოყუარებითა თვისითა; ხოლო სინწრფოება სიტყუათა უფლისათა არს სიმართლე განჩინებათა და მშჯავრთა მისთაჲ.

**წმიდა ღმრთისა** მამისა ეწოდების მხოლოდ-შობილსა ძესა მისსა, რომლისა მიერ ეტყოდა ღმერთი კაცთა და გამოუცხადებდა საიდუმლოთა თვისთა დაფარულობასა, რამეთუ მის მიერ მოელო მცნებაჲ ყოვლისათვისვე, რასა-იგი იტყოდა და რაოდენსა ქადაგებდა.

**ჭურ ღმრთისა** ითქუმის ჩვეულებითა სიტყვსაჲთა კაცობრივ ჭუმევაჲ ჯაჭუ-ჭურისაჲ, რომელი ღმრთისა არად საჭმარ არს, არამედ ჯაჭუ-ჭურ მისა არს უბრძოლელობაჲ იგი ძალისა მისისაჲ.

**ჭემმარიტებაჲ** ბუნებით სახელი არს ღმრთისაჲ, რომელი-იგი არს მხოლოჲ უტყუველი ჭემმარიტებაჲ, რომელსა თვთ თავადი წამებს თავისა თვისათვის, ვითარმედ: „მე ვარ გზაჲ და

ჭემმარიტება და ცხოვრება. “

**ხედვა ღმრთისა** არს აქაჲ ესე სარკის-სახე განწმედაჲ გონებათაჲ, რომლისა მიერ ზოგს-რე და კერძოდ აქავე მიემადლების თითოეულსა განცდაჲ ძალისა განგე/ბულებათა მისთაჲსა. ხოლო უსრულესი იგი ხედვაჲ მერმისა მის საუკუნოჲსაჲ დამარხულ არს და, მსგავსად აქაჲთვე განწმედილებისა გონებათაჲსა, თითოეულისადა მინიჭებად აღთქუმით ქადაგებულ არს წმიდათა წერილთა მიერ.

**ველ ღმრთისა** არიან ორნი იგინი სრულმყოფელნი სამ-გუამოგნებისა მისისანი: ძე და სული, რომელთა მიმართ თქუა, ვითარმედ: „ვემნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა“. და კუალად **ველ** არს ზოგად სამთაჲვე იგი ძალი ყოველთა დამბადებლობისაჲ.

**ვმა უფლისა** არს არა განმკუეთელი რაჲმე, გინა მომწყლველი ჰაერისაჲ, არამედ ძალი იგი მისი უხილავად მეტყუელი, რომელი ზრახავს გონებასა შინა წმიდათაჲსა. და კუალად **ვმა ღმრთისა** ენოდების ყოველსაჲვე ვმასა დაბადებულთაჲსა, ანგელოზთაჲსა, გინა კაცთა/ წმიდათაჲსა, წინაჲსწარმეტყუელთა გინა მოციქულთაჲსა, რამეთუ ვითარ-იგი თავადი უხილავად ზრახავს გონებათა მათთა, ეგრეთვე მათითა მით ორღანოდ ჴუმევეთა ყოველთაჲვე შორის მეტყუელებს და განაცხადებს დაფარულება(ს)ა საიდუმლოთა თვსთაჲსა. რამეთუ არა ხოლო სიტყურნი და გონიერნი, არამედ უსულონიცა და უძრავნი, ესე-იგი არიან: ცანი უთხრობენ დიდებასა მისსა და ქუეყანაჲ ქადაგებს შემოქმედებასა მისსა. და ესრეთ რომლისაგანცა სულიერისა გინა უსულოჲსა დუმილით, გინა მეტყუელებით ღმერთი იქადაგებოდის. ყოველივე **ვმად ღმრთისა** სახელ-იდების და შეირაცხების.

**ჯდომაჲ ღმრთისაჲ** სახის-მეტყუელებით ითქუმის, და განმარტებით გულისწმის-საყოფელად უღონო არს, რამეთუ იგი თავადი გარე-შეუწერელ არს: არცა ზის, არცა დგას, არცა ვალს, არამედ ყოველივე აღუვსიეს და შეუტავს, და იგი მხოლოჲ არარაჲსაგან შეცვულ არს, არამედ პირად-პირადად შეცვალეებისათჲს განგებულებათა მისთაჲსა კაცობრივ მოპოვნებულ იქმნებიან სიტყუანი ესე. ამისთვისცა **ჯდომა** სახელ-ედების შეურყეველობასა მშჯავრთა და განკითხვათა მისთაჲსა.

აჭა ესერა გაქუს, სწავლის-მოყუარეო, დაღაცათუ არა სრულებითი, არამედ ზოგებითი რაჲმე გულისწმის-ყოფაჲ სიტყუათაჲ, რომელნი ღმრთისათჳს ჳორციელად ითქუმიან და სულღერად გულის წმა-იყოფებიან.

ამას თანა ამასცა მეცნიერ იყავ, ვითარმედ ესრეთ აქუს ჩუელეზაჲ წიგნებსა ბერძენთასა, რაჲთა ანბანსა ზედა განან-ყოზდენ ყოველთავე სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რაჲთა ადვილ იყვენენ საპოვნელად. და წიგნსა მას „ლექსიკონ“ უწოდენ, რომელ არს ლექსთაჲ, ესე-იგი არს ღრმათა სიტყუათაჲ. და თითოეულსა წიგნსა – გარეშეთა გინა საეკლესიოთა-განსა – ყოველივე ღრმაჲ და გამოსაძიებელი სიტყუაჲ ანბანთა ზედა / განწყობილი და შეკრებული თავად და შესავალად წიგნისა უწერია, უკუეთუ ოდენ გამომეძიებელ და გულისწმის-მყოფელ ყოფილ იყოს მომგებელი წიგნისაჲ, რომელთა კუალსა შედგომითა კნინი ესე სახე ჩუენცა გიჩუენეთ თქუენ.

ამით სახითა განწყობილ არიან სიტყუს-გებანი მწვალებელ-თანი წმიდათა მამათა და მნათობთა მათგან ყოვლისა სოფლისათაჲ ბასილი კესარიელისა და გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა და იოანე დამასკელისა, რაჲთა რაჟამს არსებისათჳს სიტყუა-გიგებდენ წინა-აღმდგომნი, მყის ანისაგან სიტყუა-უგო, ხოლო ბუნებისათჳს – ბანისაგან და გუამისათჳს -განისაგან. და ესრეთ ადვილ იყოს საწმარებელად ჟამსა ჭირისასა ანბანსა ზედა განწყობილი იგი წიგნები წმიდათაჲ.

ამითვე სახითა აღუწერიან თჳსნი ლექსიკონნი ღრმა/თა სიტყუათათჳს ბერძულთა კოსტანტინე მეფესა პორფუროგენიტსა და დიდსა კკრილეს აღექსანდრიელსა, რაჲთა რაჟამს ეძიებდეს უმეცარი, თუ რა არს *მყისი ანუ მრჩობლი*, მანსა შინა განუმარტონ, ვითარმედ *მრჩობლ* ეწოდების ორკეცსა, ხოლო *მყის* – ანაზდათსა. და ესე აქამომდე იყავნ.

ხოლო, რაჲთა ესეცა ცხად იყოს, სწავლისაებრ წმიდათა წერილთაჲსა, ვითარმედ თჳს არს წინაჲსწარმეტყუელისა არა ხოლო ყოფადთა საქმეთათჳს წინაჲსწარმეტყუელეზაჲ, არამედ მის ჟამისათა და გარდასრულთაცა საქმეთა წარმოთქუმაჲ, ვითარ-იგი ღმრთის-მხილველმან მოსე იწყუად ღმრთი-ვსწავლულსა მას მისდა დასაბამსა სოფლის შესაქმისასა და მოიყვანა სიტყუა თჳსი მის ჟამისასა მას თანა ფარაოჲს მძლავრებასა და შეუდგინა გამოსლვა ძეთა ისრაელისათა მოკლები-

თურთ ჯორჯისაჲთ და მოცემით მანანასაჲთ; მიერიტგან ინყო მოსწავებად ყოფადთა, მოსლვასა მეუფისა ქრისტესსა და განთესვასა ჰურიათასა და ცხორებასა წარმართასა.

ეგრეთვე ჰყოფს ღმრთივ-აღძრულიცა ესე ქნარი სიტყუათა დავითისთაჲ: ყოფადთათჳს წინაჲსწარმეტყუელებს და გარდასრულთა ქველის-მოქმედებათა ღმრთისათა მოიწესენებს; მის ჟამისათა მათ წარმოიტყვს და შემდგომად მრავალთა ჟამთა აღსრულებადსა, ვითარცა აღსრულებულსა წარმოაჩინებს. არა ხოლო წინაჲსწარმეტყუელებითა სიტყუათა იჯუმევს, არამედ მოძღურებითაცა და სწავლითაცა, შჯულისდებითა და მცნებითა. ოდესმე ჰურიათასა ეგლოვს განგდებულება-სა და ოდესმე წარმართასა იხარებს მოწოდებასა მრავალ-მოქცევობითა წინაჲსწარმეტყუელებისაჲთა, მსმენელთა გულსა გულისწმისყოფად განაკრძალებს და ვნებათა და აღდგომისა ქრისტესისა მოსწავებითა წინა-აღმდგომთა ზრახვასა განაქარვებს.

და ამას ყოველსა თანა სახარულევან და ტკბილ ექმნების ყოველთა მუწლედად იამბიკოდ შემოკლებითა სიტყვსაჲთა, რამეთუ უმრავლესთა ფსალმუნთა რიცხუედობაჲ და მარცულედობაჲ ცხად არს საფსალმუნეთა შინა ებრაელთასა, დაღაცათუ სხუათა ენათა შინა ვერ დაუცავს თარგმანთა რიცხვ მარცულისაჲ, რომლისათჳსცა გუასმიეს უბადრუკისა აპოლინარისთჳს, ვითარმედ ბერძულად ესევითარითა სიტყვთა აღწერა დავითი, რომელ ძალი არა დაშთებოდა, არცა კუალად განიყოფებოდა სხუათა დავითთა ძალისაგან. და იამბიკოდ თორმეტ მარცულედობაჲ ყოვლისა მუწლისაჲ არცა აღემატებოდა, არცა დააკლდებოდა. გარნა მისი იგი სამჭედური მასვე განეწონა, რაჟამს სიტყუათა მისთა თხზულებასა ჯელოვნებაჲ სიტყუათა წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისათაჲ დამარლუეველ ექმნა და რომლითა-იგი ერთა მოინადირებდა, უმრავლესნი თჳსთა მიმდგომთაგანნი ჩუენთა ამათ ერთა შეაერთნა. რამეთუ არა თუმცა მას ენყო პირველად თხზვად სხუათა, დაშქირდებოდა ეკლესიასა გვრგვნი იგი მრავალ-თუალოვანი სიტყუათა დიდისა ღმრთის-მეტყუელისათაჲ, რამეთუ არა აქუნდა ჩუეულებაჲ მეტსა და მრავალ-ჯელოვანსა რასმე სიტყუა-მჭევრობასა შესლვად ეხოთა უფლისათა. ხოლო, ვინაჲთგან შეეშინა წინამძღუართა ეკლესიისათა, ნუუკუე მეტნობაჲ (სიტყუა)თა

უმეტესობად ქადაგებისა წინააღმდეგობათაჲსა შე(ე)რაცხოს და მიიზიდნეს მრავალნი, ამისთვისცა ქნარი იგი სულისა წმიდისა – ენა დიდისა მის ღმრთის-მეტყუელისაჲ – ყვეს დამჴსნელ ყოვლისავე ჴელოვნებისა სიტყუათაჲსა.

ესრეთ უკუე ჯეროვნად განგუეცხადების რიცხუედობაჲ რომელთამე ფსალმუნთა დავითისთაჲ მათგან, რომელნი ზედა-მინვენით მეცნიერ არიან ენასა ებრაელთასა.

ჯერ-არს უკუე, რაჲთა უწყოდით ესეცა, ვითარმედ, და-ლაცათუ მრავალნი იცილობებიან წიგნისათჳს ფსალმუნთაჲსა, ვითარმედ არა ყოველნი დავითისნია. არამედ უმრავლესნი და ჩუენნი ყოველნი ერთ-ჴმა არიან, ვითარმედ ყოველნივე დავითის მიერ თქუმულ არიან. დალაცათუ რომელიმე სხუ-ათა ვიეთმე პირსა ზედა აღუნერიან და თჳსთა მგალობელთ-მთავართადა მიუცემიან, არამედ სიტყუაჲ ყოველი მისი არს ასორმეოცდაათთავე ფსალმუნთაჲ და ზედა-წარწერილნიცა ყოველნი მისნი არიან და სხუათაგან მოპოვნებულნი, ვითარ-იგი თქუმულ არს ვიეთგანმე.

და კუალად დიაფსალმაჲ მისივე არს და ორთა პირთა გულისჴმა-გყოფს: ანუ ცვალებასა სიტყუათა ძალისასა, ანუ ქცევასა კილოასა საგალობელისასა. რამეთუ მრავალნი მწყობრნი მგალობელნი დაედგინნეს წინაჲსწარმეტყუელსა დავითს აღსაშენებელად ერისა, რომელნი-იგი მრავალ-სახეთა ჴმათა ქცევითა სანადელ კაცთა ჴყოფდეს მრავალ-მოქცევსა მას სიჴ-შოსა სანწინაჲსწარმეტყუელოთა სიტყუათასა.

ხოლო წინაუკმოდ განწყობისა და უკუანაჲსკნელთა პირვე-ლად და პირველთა ფსალმუნთა უკუანაჲსკნელად დანესებისა მიზეზი ცხად არს, ვითარმედ ადგილ-ადგილ თქუმულნი ერთად შეკრებულ არიან და არა მსგავსად თქუმულებისა წესთა მიუ-ლიეს რიცხჳ პირველობისა და უკუანაჲსკნელობისაჲ, არამედ რომელიცა პირველ პოვნილ არს, პირველ [დანესებულ არს]; და რომელი [შემდგომად] პოვნილ არს, იგიცა შემდგომად დანეს[ე] ბულ არს. და ამითვე წესითა სრულ იქმნების რიცხჳ ასერგასის-თა ფსალმუნთაჲ, რომელნი-იგი ჴურიათა შორის ხუთ წიგნად განიყოფებიან. ხოლო განიყოფებიან ესრეთ: პირველით ფსალ-მუნითგანი ვიდრე მეორმოცედმდე – ერთ წიგნად; და მიერთ-განი ვიდრე სამეოცდამეთერთუმეტედმდე – მეორედ; და მიერთგან ვიდრე ოთხმეოცდამერვედმდე – მესამედ წიგნად;

და მიერთგანი ასდამეხუთედმდე – მეოთხედ; და მიერთგანი ასორმოცდა მეათედმდე – მეხუთედ წიგნად. ხოლო ბერძენთა და ქართველთა წიგნი ფსალმუნთა ყოველივე სწორ არს და ერთ წიგნ შენევენითა ღმრთისაჲთა და მოსწრაფედ მოლუანებითა დიდისა მის მნათობისა გიორგი მთაწმიდელისაჲთა, ვინაჲცა მისითავე ლოცვითა და მაღლითა ბერისა ჩუენისაჲთა ყოველსავე ამას დავითისა თარგმანსა შინა არცა ერთსა მუჯლსა სადა ეჭმარა ცვალებაჲ, არამედ მისივე თარგმნილი მუჯლი დავენერეთ მის მიერთთა ოხითა განმწნობილთა. რომლისაჲ იყავნ საუკუნოჲ ნეტარებაჲ და ჴსენებაჲ მისი! ამინ.

Q 37,1r-7v;

Jer.1,1r-6r

### **„ფსალმუნთა თარგმანების“ ანდერძი**

დიდებაჲ და პატივი, თაყუანისცემიჲ და მაღლი სამგუამოვნებით ცნობილსა და ერთარსებით აღსარებულსსა წმიდასა სამებასა, რომელმან ჯერ-იჩინა მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა და ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთა ეფთჳმესითა და გიორგისითა, თანადგომითა და უფროსლა ოხითა და წინაძლომითა ბერისა ჩუენისა საბა სულაჲსძისა თუხარსელისაჲთა, განზოგებაჲ წიგნისა ამის, რომელსა უწოდიან თარგმანნი დავითისანი, ანუ თუ თარგმანი დავითისაჲ. პირველი იგი – სიმრავლისათჳს მთარგმნელთაჲსა, ხოლო მეორე – ერთგუამობისათჳს და ურთიერთას შენანევერებისა პატიოსანთა მათ ასოთა მისივე და ერთისა თავსაკიდურისა ქრისტესდა დამოკიდებულთაჲსა. მუჯლნი უკუე დავითისანი პირველ თარგმნილისაგან დედისა ეგრეთვე დავენერენით, ვითა ვპოეთ ახალ თარგმნილთა დავითთა საუკუნოდ მოჴსენებულისა გიორგი მთაწმიდელისაჲთა, რომელი-იგი უნაკლულოდ თარგმნილ იყო პირველ ჩუენსა და არცა მოქენე განმართებისა. ხოლო თარგმანი მუჯლთაჲ ყოველი ახლად ითარგმნა ბერძულისაგან, ვითარცა ყოველივე გეუწყოს შესავალსა წიგნისასა.

გევედრები ყოველთა, რომელნი მიემთხვნეთ წმიდასა ამას წიგნსა, ლოცვა-ყავთ ზემოჴსენებულისა მამისა საბაჲსთჳს ბერისა, ეფრემ უშკელისათჳს, მოძღუართა, მშობელთა, ძმათა და შვილთა მათთათჳს, რამეთუ მათითა წინაძლომითა და საჭეთმპყრობელობითა და უფროსლა საწმრითა და წარსაგებელი-

თა ქმნილ არს ყოველივე კეთილი ჩუენ ზედა ღმრთისა მიერ, რომელმან ძუელ ოდესმე კარაულიცა ბალაამისი აღატყუა, რომლისასა არარაჲთ უნაკლულევანეს არს აღტყუებაჲ პირუტყუთ სახესა ამას გონებას ჩემ მცირისა და უნდოჲსა ეფრემისსა, რომელმან ესე ვთარგმნე ბერძენთა ენისაგან ქართველთა ენად და მოქენე ვარ ღმრთისა წმიდითა ლოცვითა თქუენითა აწოცად ბრალთა და ცთომილებათა ჩემთა.

დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი შავსა მთასა სანახებსა წმიდისა სუმეონისსა, მონასტერსა მამისა ეზრაჲსსა, ჴელითა იოვანე ხუცისა მთავარაჲსძისაჲთა. უფალმან მიეცინ სასყიდელი გულსმოდგინედ წერისაჲ და ლოცვითა თქუენ ღმრთისმოყუარეთა მკითხველთაჲ, ქრონიკონი იყო ტ .

უფალო ღმერთო, შეინყაღენ და ადიდენ სასუფეველსა შინა წმიდანი მამანი, მნათობნი ჩუენნი: ანტონი ტბელი და კკრიკე აღექსანდრიელი, რომელნი სიტყუთ და საქმით ძალ-მწე მეყვნეს თარგმანთა ამის წიგნისასა და კურთხევითა მათითა აცხოვნენ ყოველნი ძმანი ეზრაჲს მონასტრისანი გარდაცვალებულნი.

Q 37, 316 v.

**ზანდუკი და შესავალი წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების გარ-  
დამოცემად, თქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე დამ-  
ასკელისა<sup>19</sup>**

ესე ერგასისნი თავნი რიცხუედნი მათ თანა ნართაულით თავებითურთ გარეშეთა წიგნთა და საფილასოფოსოხსა სწავ-  
ლულებისაგანნი არიან, რომელთად დაღაცათუ საჭირო იყო დატევენად ენასა ჩუენსა, ვინაჲთგან სხუად არარად ოდეს თარგ-  
მნილა საფილოსოფოსოთა წიგნთაგანი, – არამედ მე დაჭრასა და განბძარვასა წიგნისასა მცირედი ჭირი ვირჩიე და თქუენცა ამასვე გევედრები, მკითხველთა და გარდამწერელთა, რად-  
თა არა დაუტეოთ ამათი დანერად რეცა სიღრმისათჳს უჴმარ საგონებელობისათჳს.

ვაქებ წესსა სანინაჲსწარმეტყუელოთა წიგნთა მთარგ-  
მნელისას, რომელთაგანი მცირედი რად გაიგონების უსწავ-  
ლელთა, გინათუ ზოგს-რე სწავლულთა მიერ, გარნა სიტყუად სიტყუსა ნაცვალნი შედარებულია ბერძულისა და ეგრეთვე მე, დაღაცათუ უმრავლესი ამათ თავთაგანი ჯერეთ ვერ გამიგ-  
ონებია, არამედ წყალობითა ღმრთისაჲთა და მომადლებითა საუფლოჲსა და ცხოველს-მყოფელისა საფლავისაჲთა, სიტყუად შედარებული ბერძულისა და მართებითი არა აკლს.

ხოლო ძალსა სიტყუსასა გულისჴმის-ყოფად ესე ზოგად ყო-  
ველთა ღმრთისაგან ვითხოოთ და შეუორგულებელმცა ვართ, რამეთუ მოვილოთცა, უკუეთუ ოდენ მოუწყინებელად ვრეკ-  
დეთ ზედაჲსზედა კითხვითა და უეჭუელად განგუელოს კარი

19 იწყება „დიალექტიკის“ ზანდუკით(1r).“ წყარო ცოდნისას“ შესავალიც და ან-  
დერძიც რამდენჯერმე გამოქვეყნებული. მათი პირველი პუბლიკაცია თ. ჟორდანიას ეკუთვნის (თ. ჟორდანიას, ქრონიკები და სხვა მასალა სა-  
ქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიუ-  
რად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი I, ტფ., 1892, გვ. 215-219. მეორე გამოცემა, თბ., 2004. იხ. აგრეთვე: ე. თაყაიშვილი, 1902, გვ. 710-717; ს. გორგაძე, 1926, გვ. 182-192; A ფონდის ხელნაწერ-  
თა აღწერილობის I ტომი, თბ., 1973; იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1976, გვ. 66-70; წმ. იოანე დამასკელი, მარ-  
თლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმონოვილიმა და მ. რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ. ბერძნუ-  
ლიდან თანამედროვე ენაზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ, თბ., 2000გვ. 23-25.



გულისწმის-ყოფისა და დაღაცათუ ყოველივე ვერ გულისწმა-  
ვყოთ, გარნა ესე ხოლო სამე უნყოლით, ვითარმედ ესევეთარი  
არს საფილასოფოსო სწავლაჲ, რომელი-იგი აქაცა საჭიროდ  
საწმარად შემოუღებუის წმიდასა იოანე დამასკელსა, რაჲთა  
ამათ მიერ წინააღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა  
მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰგუმერდენ მათ,  
რამეთუ თვნიერ ამათ სიტყუათასა, სხუებრ შეუძლებელ არს  
სიტყუს-გებაჲ წინააღმდგომთაჲ. სიტყუა-გვგებდეს რაჲ გარე-  
შენი იგი *განუკუეთელისათჳს*, რომელ არს გუამი, და *ბუნებ-  
ისათჳს*, რომლისათჳსცა ჯეროვნად მოუხუშმან ესე წმიდასა  
იოანე დამასკელსა და ამათითა ეკლოვნებითა მოუზღუდავს  
ვენაჴისა ამის თჳსისა ნაყოფთა შუენიერებაჲ. ხოლო უწინარეს  
რაჲ ვენაჴისა შევიდოდეთ და ტევნებისა მადლთაჲსა განხილვაჲ  
გუნადოდის, ესე წინადასწარ გეუნყოს ზანდუკისა ამის მიერ,  
რაჲთა რომლისა პირისათჳს გვხმდეს, მალიად მოვისთულოთ  
სიტკბობა ე. <sup>20</sup>

აჰა, ესერა, გქონან ასნი თავნი საეკლესიონი ორმე-  
ოცდაათთა თავთა მიერ საფილოსოფოსოთა გარეშეზღუდ-  
ვილნი, და არცა ესენი სრულ არიან უმათოდ, არცა იგინი –  
უამათოდ. ვინაჲცა ვიკადრებ და ვიტყვ, რომელსა ძალი მისცეს  
ღმერთმან ამათდა გარდანერად, ესე დაიმარხენ, რაჲთა უკუ-  
ეთუ მოკლე „წინამძღუარი“ უჩნდეს, წმიდისა მამისა ეფჳმეს  
მიერ თარგმანებული, იგი შეიტკბოს, რამეთუ მას მადლითა  
სულისა წმიდისაჲთა ჳელ-ენიფებოდა შემატებაჲცა და დაკლე-  
ბაჲცა. ხოლო თუ ახალი ესე სწადდეს გარდანერად, მას ამას  
თანა ნუ გაჰრევს, ნუცა ამას – მას თანა, არამედ უკუეთუ ამას  
დაინერდეს, ესე ილუანენ, რაჲთა არარაჲ დააკლოს, არა ხოლო  
ასორმეოცდაათთა ამათ თავთაგანი პირველით ებისტოლ-  
ითურთ, არამედ არცალა ჩემი ესე კადრებული და მოზრახული.  
არა ხოლო შესავალსა ამას ვიტყვ, არამედ კიდესა წარწერილთა  
თარგმანთაცა, რომელთაგანი რომელნიმე ზეპირით დაწერილ-  
ნია და რომელნიმე – დედისაგან. და ზეპირობისა მიზეზი ესე  
არს, ვინაჲთგან ყოველსა თარგმანსა უჴმს შემატებაჲ სიტყუსაჲ  
რეცა განმაცხადებულად ძალისა. ხოლო მე, ვითარცა ყოველთა  
უნარჩევსსა, მიზეზი იგი და შემდგომად ღმრთისა მომცემელი  
იგი ჩემდა თარგმნობისაჲ ბერი ჩუენი ამას მიბრძანებდის, რაჲ-

20 შესავლის ამ ნაწილში ჩართულია „გარდამოცემის“ ზანდუკი (1v-2v),

თა წმიდისა სიტყუაჲ მარტივად და შეუზავებელად და შეუხებელად ვსთარგმნო და უკუეთუ რაჲმე ძალისა განმაცხადებელი უწმდეს ჩუენსა ენასა, იგი კიდესა ზედა ადგილ-ადგილ და შესავალსა შინა თავსა წიგნისას დაწერო. ამისთვისცა ყოვლად უჯერო არს ვისგანმე კიდესა წარწერილისა მის თარგმნისაჲ შიგან გარევით დაწერაჲ, არამედ კიდესა წარწერაჲ, ვითარცა ვისწავეთ ჩუენ ესე ოთხასოცთა მათგან წიგნთა თეოდორე პატრიარქისა მიერ სუმეონწმიდას შეწირულთა, რომელთა შინა არარაჲ ჰრთავს საგალობელი, თვნიერ ყოველნივე საკითხავნი არიან – გარეშენი და საეკლესიონი. და საჭიროჲსა სიტყუსა თარგმანი პატივთა ზედა წიგნისათა უწერია, ხოლო „შეისწავენი“ და „განსაზღვრებაჲ“ „განჩინებითურთ“ და „სამეცნიეროჲ ესე“ არა ოდენ ამას წიგნსა, არამედ ყოველსავე წიგნთა ბერძულთა უწერიან კიდესა, რაჲთა რაჲჟამს სამეცნიეროსა რასმე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უწმდეს მიმყოვრებული ჟამი, ანუ ყოვლისავე გარდაკითხვაჲ. ხოლო „განსაზღვრებასა“ და „განჩინებასა“ იგივე და ერთი ძალი აქუს და „განსაზღვრებისა“ თარგმანი თვთ წინა გეპოების საფილოსოფოსოთა თავთა შინა მეთექუსმეტედ თავად.

კუალად ესეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ არა ჯერ-არს, რაჲთა სხვსა ვისგანმე შეკაზმულად ვჰგონებდეთ წიგნსა ამას, ვითარ-იგი გუჲსმიეს სუმეონ ლოლოთეცისა და სხუათა მიერ ბერძენთაგან კაზმვაჲ წიგნებისაჲ, გარნა უწყითმცა, თუ რომელთა წიგნთა ეგების კაზმვაჲ, ანუ რომელთაჲ უღონოჲ არს, რამეთუ იპოოს თუ ცხორებაჲ, ანუ წამებაჲ, ანუ რაჲცა რაჲ ჰამბავი, გინა მოთხრობაჲ სოფლურითა და უშუერითა სიტყვთა აღწერილი, მას სიტყვთ განაშუენებენ, გარგაჰკაზმვენ და „მეტაფრას“ უწოდენ, რომელ არს „გარდაკაზმული“. და ამასცა მაშინ ჰყოფენ, ოდეს აღმწერელი ჰამბავისაჲ მის ლიტონი კაცი იყოს და არა წმიდათაგანი, ვითარ-იგი უმრავლესთა წმიდათა წამებანი თანადახუდომილთა მონათა ვიეთ-განმე აღწერილ იყვნეს, მას შეჰკაზმვენ ესევეითარითა სიტყვთა, რომელი მასვე პირსა იტყოდეს და არა შეჰმატებდეს, არცა დააკლებდეს საქმეთა. ხოლო წმიდათა თქუმულსა და მართლმადიდებელთა მამათა აღწერილსა ვერვინ იკადრებს შეხებად, ვითარცა წმიდასა სახარებათა და ეპისტოლეთა ჰავლე მოციქულისათა, რაოდენთა ლიტონისა სიტყვთა აღწერილ

იყოს, ბერძენთა და მართლმადიდებელთაგანი ვერავინ შეეხებოს, არათუ ვინმე იყოს სულელ, უფროხსლა მწვალებელ და განვრდომილ ეკლესიისაგან.

ამას ყოველთა თანა ესეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ „წინამძღუარი“ სახელად წმიდისა ანასტასი სინელის თქუემულთათვის მინახავს ბერძენთა შინა, ხოლო ამის წიგნისათვის – არასადა, თვნიერ ქართულისა. ამისთჳსცა ესრეთ ჯერ-უწინდინ სინმიდესა თქუენსა, რაჲთა ვითარ-იგი ზედანარწერილსა ამასსა შინა ითქუმის, „გარდამოცემა“ უწოდდეთ წიგნსა ამას, რომელი-იგი ბერძულსა შინა ესრეთვე არს და „წინამძღუარ“ მასვე წმიდისა მამისა ეფთჳმეს თარგმნილსა სახელ-ედებოდენ, რამეთუ თვთ იგი ამისგანვე არს. ხოლო ესე არა უწყი, თუ თვთ მამასა ეფთჳმის გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრეთ უპოვნია, რამეთუ სხუანი წიგნი გამოკრებულნი, ვითარ-იგი არს „მარგალიტი“ და „ყუავილ-კრებული“ და სხუანი მსგავსნი მათნი, ბერძულად ეგრეთვე გამოკრებულნი არიან.

ამას ყოველსა თანა მრავალჴამ უგულებელ-ქმნილსაცა ბრძანებასა აწლა აღსრულებისათჳს თავს-იდევით და მომიტევეთ მცირედ განგრძობაჲ სიტყჳსაჲ, რამეთუ ვიდრელა-იგი ჯერეთ ჩუენ თანა იყი ნეტარი იგი და ყოვლად რჩეული მოღუ-ანეთა შორის ბერი იოანე ფარაკნელი, რომელმან მოწლედ გამოოკითხა ჩემგან და მიბრძანა ამათ პირთათჳს: ვინაჲთგან პირველთა მათ თარგმანთა არარაჲ ელუანა წერტილითა გაკუეთისათჳს საკითხავთაჲსა, ამისთჳსცა ზეპირით უჴმდა გაკუეთაჲ ყოველთა სახელოვანთა მკითხველთა. ხოლო ბერძულად არა ესრეთ არს, არამედ ესოდენ მისანდობელ არს წიგნები მათი მართლად გაკუეთილობისათჳს, ვითარ ჩუენი საგალიბელი, რომელი დიდისა მის მნათობისა გიორგი მთაწმიდელისაგან თარგმნილ არს.

ამისთჳსცა მე ძალისაებრ ჩემისა არა უგულებელს მიქმნიეს, არამედ ყოველივე ჩემ მირ თარგმნილი წიგნი ერთ-წერტილად და ორ-წერტილად, სამ-წერტილად და ექუს-წერტილად გამიკუეთია: ერთ-წერტილი უკუე მცირედ სასუენად, ორ-წერტილი – გასაკუეთელად სიტყჳსა და სამ-წერტილი – დიდად სასუენად და ექუს-წერტილი – სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებლად სიტყჳსა. არს იმჳთ, რომელ არა დასაბოლოებლად ზის ექუს-წერტილი, არამედ ჴმის საქცეველად

ოდენ, რომელი-ესე მეტაფრასთა შინა უფრო იპოების, რაჟამს მონამე მსაჯულისა მიმართ მეტყულებდეს და მყის ღმრთისა მიმართ ცუალოს მეტყუელება, ესევითარსა მას ადგილსა ექუსი წერტილი უზის, არა რაფთა დააბოლოოს, არამედ რაფთა ჳმა იქციოს მკითხველმან.

ან უკუე ადრე გამოკითხული კეთილისა მის გულისჳმის-მყოფელისაგან და ჩემ მიერ მისდა თხრობილსა აქა დანერად ბრძანებული ანლა ვიიძულე დანერად, რამეთუ უფროს ყოვლისასა სარწმუნოებისა და ღმრთისმეტყუელებისათს თქუმულთა წიგნთა შინა საჳმარ არს კრძალვა მკითხველისაგან და მწერლისა და მსმენლისა.

გვედრები უკუე, რაფთა წერტილი შეიკრძალოთ და მე ყოველოვე ცთომილება მომიტიოთ და ლოცვა-ჳყოთ პირველ-მოჳსენებულთა მათ მამათა: ბერისა საბაფსთს, რომელი იყო შემდგომად ღმრთისა მიზეზი და მომცემელი ჩემდა თარგმნობისა და მღდელისა გაბრიელისათს, რომლისა ბრძანებითა და ლოცვთა მოსცა ღმერთმან წმიდაჲ ესე წიგნი ნათესავსა ჩუენსა; ამათ ყოველთა თანა მე შემინყალოთ უსასყიდლოთ და ითხოვეთ ღმრთისაგან მოტევება ურიცხუთა ბოროტთა ჩემთა და თქუენცამცა გიპოვნიეს წყალობაჲ დღესა მას სასჯელისასა მრავალ-მონყალისა ღმრთისაგან, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე და ძალი ან და ყოველთა საუკუნეთა უკუნისამდე, ამინ.

A24, 1r-4v; S 1358,8r-11r; A406,1v-7v

### **იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ანდერძი<sup>21</sup>**

ლოცვა ყავთ, ქრისტეს-მოყუარენო, გაბრიელისთს, რომლისა ბრძანებითა ითარგმნა წმიდაჲ ესე წიგნი და კეთილთა მოღუანეთა ჩემთა და განმადლიერებულთა, ამას თანა მზრდელთაცა და მსახურთა: არსენი იყალთოელისა, იოვანე და იოვანე ხუცესთა, სტეფანესთს დიაკონისა და უფროს ყოველთა ჩემ საწყალიბელისა, რეცა თარგმანისა ეფრემ მცირისათს, რომელსა დიდთა კათოლიკეთა მარხვათა ცოდვათა თსთა გლოვაჲ და ქრისტიანეთაცა საერონი ჟამნი უგულებელს-მექმ-

21 დაცულია ერთადერთ ხელნაწერში A24 (137v). გამოქვეყნებულია A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომში, თბ., 1973, იხ. აგრეთვე, იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბ., 1976, მ. რაფავა, 1976, გვ. 47.

ნნეს შიშითა ამისისა ვერ გასრულებისათა, რომელი სრულ-ყო  
ღმერთმან ლოცვითა ზემოწსენებულთა ამათ მამათაჲთა, ამენ.  
A 24, 137v.

## **„სამოციქულოს თარგმანების“ კოლოფონები**

### **ა) „სამოციქულოს თარგმანების“ წინასიტყვაობა<sup>22</sup>**

„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რომელნი მიემთხვნეთ წმი-  
დასა ამას წიგნსა, ვითარმედ, ვითარცა იგი დავითისა თარგმან-  
თა შინა, ეგრეთვე ყოველსა ამას სამოციქულოსა წიგნსა შინა  
ძალისაებრი მონფობაჲ დამიცავს დიდისა მის მოძღურისა და  
ყოველთა ეკლესიათა ჩუენთა მნათობისა გიორგი მთანმიდელი-  
სა საუკუნოდ მოწსენებულისაჲ, მე, უნდოსა მტუერსა წმიდათა  
ფერწთა მათთასა ეფრემს მცირესა, რამეთუ მათივე თარგმ-  
ნილი საქმე მოციქულთაჲ, კათოლიკენი და ებისტოლენი წინა  
მესხნიან და სამოციქულოჲ სიტყუაჲ მიერ დამინერია, რაჲთა  
არა მეორედ თარგმნილად შეირაცხოს წიგნი სამოციქულოჲ.  
ხოლო ვინაჲთგან ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და იგივე  
და ერთი სიტყუაჲ მრავალსა პირსა აღიარებს, და უპირატესად  
ყოველსა მას ადგილსა ზედამინევენით გამოიკვლევს წმიდაჲ იო-  
ანე ოქროპირი და განცხადებულად უეჭუელ ჰყოფს ვითარება-  
სა მისსა, ამათ ესევითართა ღრმათა ადგილთა, სადაცა უწმდა  
შეცვალებაჲ და სხუებრ ცვალებაჲ სიტყუასა სამოციქულოსა  
ქართულსა, რომელი მაშინლა ძლით გულისწმა-იყოფებოდის,  
ოდეს სამნი გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგოდენნი-  
ვე ლექსიკონნი, რომელ არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა  
ანბანსა ზედა განწყობილი სიტყუანი, ერთგან შემოვკრიბნი,  
მაშინლა ძლით მოუპოჲ ქართული შემსგავსებული სიტყუაჲ. და  
ესევითარნი სიტყუანი სადაცა შემიცვალებიან, კიდესა სტი-  
ქონისასა იოტაჲ დამისუამს, და შინა სიტყუასა წინაჲთ ესე,  
ვითარმედ "უსაკუთრეს არს ესეთ" ან უკუე, სადაცა კიდესა

22 "სამოციქულოს თარგმანების" ანდერძ-წინასიტყვაობა სამ ხელნაწერშია  
დაცული: Jer.16(2r-3v), ფრაგმენტულად A677(244v-245v) და Q 1158(102r-v).  
გამოცემულია რამდენჯერმე: რ. ბლეიკი, 1926, გვ. 160-166; საქმ. მოცი-  
ქულ., 1950, გვ. 029-031; ნ. მარი, 1955, გვ. 55-62; ე. კოჭლამაზაშვილი,  
2003, გვ.327-331.

სტიქონისასა ანუ სიტყუასა ზედა იოტაჲ ჰჰოო და სიტყუასა თანა „უსაკუთრესი“, ცან, ვითარმედ მცირედ ცვალებაჲ ჰნებეზია მას სიტყუასა, რომელ-იგი წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგის არა ეგოდენ სხვსა რაჲსმე მიზეზისაგან, რაოდენ ძუელისავე პავლის წაყოლისაგან დაუტევებია; რამეთუ პირველნი დავითნიცა, რომელ ახლად ეთარგმნეს, მრავალი სიტყუაჲ ძუელისა ჩუეულებისადა მიეყვანა, ვიდრემდის უკანაჲსკნელ დიდისა მის მოლუანისა გიორგი დაყუდებულისა იძულებით ბრძანებითა კუალად უსრულესად და უწმიდესად ეთარგმნეს. ამით მიზეზითა ვჰგონებ სამოციქულოჲსაჲცა ამის წიგნისასა, ვითარმედ რომელი მრავალსა პირსა აღიარებდა, იგი ძუელისავე თარგმნილისადა მიუყვანებია. და მეცა ეგრეთვე სამოციქულოჲ სიტყუაჲ ვითა მათ ეთარგმნა, ეგრეთ დამინერია პირველ, რაჲთა მოწფობაჲ მისი სრულ ვყო. ხოლო სადა თარგმანი სიტყუსაჲ მაიძულებდა იმჳთ ცვალებასა სიტყუსასა, იგი თარგმანსა შინა იოტაჲთა და უსაკუთრესითა აღმინიშნავს ყოველსა ადგილსა.

და ამით სახითა ძალისაებრ განკრძალულ ვარ, რაჲთა არა სიტყუსა სხუეობრობამან შეცვალება-მცეს თარგმანისცა და დაგუაჭიროვოს მართლ განმარტებული სიტყუაჲ წმიდათა მათთაჲ, არამედ რაჲთა პირველად სიტყუაჲ სამოციქულოჲ შევასწორო ბერძულსა ძალისაებრ, თანაშენევნითა და წინაძლომითა თარგმანთა და ლექსიკონთაჲთა, რამეთუ არს მრავალი სიტყუაჲ, რომელ თვსაგან პავლეს შინა ეგრე უფრო შეენყოზვის ქართულად, ხოლო ოდეს წმიდათა თარგმანებასა თანა შეატყუა, პირველად სამოციქულოსა სიტყუასა გამოკულევაჲ უნა და შედარებაჲ და ეგრეთლა თარგმანსა მისსა დანერაჲ. ამის პირისთვის გევედრები ყოველთა ქრისტეს მოყუარეთა, რაჲთა პავლეს შინა, გინა სხუასა სამოციქულოსა, ამათ თარგმანთაგან ცვალებული სიტყუაჲ არა ვინ ჩაჰრთოთ, არამედ უცვალებელად იჰყართ დიდითა მოლუანებითა თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისაჲ, ვითარ ესე მეცა მისისავე თარგმნილისაგან დამინერიან აქა შინა სამოციქულონი სიტყუანი და კუალად მე ნუ მაბრალეზელ მექმნებით ადგილ-ადგილთა უსაკუთრესთათჳს, რამეთუ არათუმცა პირველად სიტყუაჲ შემედარა, თარგმანი სიტყუსაჲ გაირყუნებოდა და კუალად შემდგომნი მეცნიერნი ბერძულისანი მაბრალეზელ გუექმნებოდეს გამოუძიებელად დანერისათჳს სიტყუათაჲსა. ამისთვის ნუ ვინ თქუენგანი მაბრალობს, თუ ვი-

თარ მე, უნდომან, გამოძიებად ჴელ-ვყავ და უკუეთუ ჩემითა ძალითა ჭეშმარიტად ცოფ და ნალვლიან ვარ, ხოლო უკუეთუ თვთ მათვე წმიდათა მამათა ეფთჳმის და გიორგის თარგმნილსა წმიდისა იოანე ოქროპირისა თარგმნილსა სიტყუასა თანა შევა-ტყუე და ეგრეთ ძალისაებრი რაჲმე, ამისთჳს უკუეთუ ვინმე მა-ბრალეზდეს, პირველად შენდობასა ვითხოვ და ამისსა შემდგო-მად განუცხადებ საიდუმლოსა გონებისა ჩემისასა და ვიტყვ: უკუეთუ რაჲცა რაჲ ვიდრე მოაქამდე მითარგმნიეს და რასაცა ნალმართ ღირს ვიქნები თარგმნად და არა ყოველივე, შემდგო-მად ღმრთისა და წმიდისა ღმრთისმშობელისა ყოველთა წმიდა-თა, ეფთჳმის და გიორგის მადლისად და წინადამაშურალობისა და ან მეოხებისად შემირაცხიეს, ნუმცა შერაცხილ ვარ წესსა თანა ქრისტიანეთასა და კუალადცა ვიტყვ: უკუეთუ არა ბერ-თა ჩუენთა ანტონის და საბაჲს ლოცვითა ქმნილად შევჳრაცხო ყოველი ნიჭი ეფთჳმის და გიორგის ოხათა მიერ მონიჭებული ჩემდა, ნუმცა ღირს ვიქმნები წყალობასა ღმრთისასა!

ამას ყოველსა ვიტყვ მისთჳს, უკუეთუ რაჲ იჳოოს თარგმ-ნილთა ამათ წიგნთა შინა ჩემთა ღირსი რაჲმე ღმრთისაჲ და შემსგავსებული საბაჲს და ანტონის მეოხებისაჲ, ხოლო რაოდე-ნი რაჲ არს ამათ შინა ცთომილი სიტყვთ, გინა გულისწმისყო-ფით, მისსა აღვიარებ, ვითარმედ ჩემი ოდენ არს, და ვნებათა სამკვდრებელისა ამის გონებისაჲ, სიმრავლისა ბრალთაჲსა და ფრიადისა უსწავლელობისა და უმეცრებისაჲ, რომლითა არცა-ლა თუ ქრისტიანეთა რიცხუსა თანა ვარ აღრაცხუვად. ამისთჳს გხადი ყოველსა ნათესავსა ქართველთა მომავალთასა, რამეთუ თქუენი არს ნიჭი ესე და ყოველთა ლოცვისაჲ, რაჲ პირველ თქუენ მომიტეოთ ყოველივე, რაჲცა რაჲ ცთომილებაჲ იჳოოს, რომელთაცა ჩემთა თარგმნილთა შინა უსწავლელობისათჳს და სიჭაბუკისა და უღირსებისა, და სახიერებით ევედრეთ ჩემთჳს ღმერთსა, რაჲთა არა დამსაჯოს საუკუნოდ, რამეთუ მე ძალი-საებრ ვილუნიდ სიმართლესა და შედარებასა ბერძელისასა, მრავალთა და მეცნიერთა მოძღუართა ბერძენთა და ქართველ-თა გამოკითხვითა. უფალმან თქუენითა ლოცვითა მცეს მადლი ყოველთა მიზეზთა და ძალ-მწეთა და სიტყვთ და საქმით თანა-შემწეთა ჩემისა თარგმნობისათა და თქუენ თანა მკვდრ მყვენეს სასუფეველსა მისსა და მე – ზოგად თქუენ ყოველთა ოხითა – მიჴსნას პატიჴისაგან ყოველთა თანანადებთა ჩემთაჲსა, ამინ.

ესე საქმისა მოციქულთაჲსა თარგმანი სიტყუა-სიტყუად მრავალთა თარგმნილისაგან შემოკრებული არს, და სიწმოსაგან სახელები თჳს-თჳს არა ეგებოდა დაწერაჲ. ხოლო ვითარცა ზედანარწერილი ცხად-ჰყოფს, უმრავლესი და ყოველგან წმიდისა იოანე ოქროპირისაჲ არს და ადგილ-ადგილდა დაერთვის სხუათაცა წმიდათაჲ მრავალთა წიგნთაგან ერთად შეკრებული წმიდისა კურილეს მიერ.

Jer.16, 2r-3v.

### **ბ) „მოციქულთა საქმის თარგმანების“ ანდერძი<sup>23</sup>**

დიდებაჲ და მადლობაჲ დასაბამსა და სრულებასა ყოველთა არსთასა და მიზეზსა და არაარსისაგან მომყვანებელსა არსთა არსებისასა, ღმერთსა ჩუენსა, რომელი-იგი მარადის არს და მარადის სამეფუამოვან და ერთარს არს, რომლისა მომადლებითა და წყალობითა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა და ლოცვითა ბერთა ჩუენთაჲთა სრულიქმნა თარგმანებაჲცა მოციქულთა საქმისაჲ, აწ ახლად თარგმნილი ბერძულისა ენისაგან, რამეთუ ვითარცა წინაჲსწარმეტყუელი იტყჳს - „არათუმცა უფალმან საბოთ დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომელი და გომორელნი ვიქმნენით და მივემსგავსენით“ – ეგრეთვე მე, არანმიდაჲ ესე, ვიტყჳ, ვითარმედ: არათუმცა ლოცვაჲ წმიდათა მამათა ჩუენთაჲ და სიტყუაჲ და სწავლაჲ მათი ქმნილ იყო საჭეთმპყრობელად და მმართველ, არარაჲმცა კეთილი სრულ-იქმნა ჩემ [ცოდვილ]ისა სულით და ჴორციით მნიკულევანისაგან, ვინაჲცა რაჴამს მომადლებითა ბერისა საბაჲს ლოცვათაჲთა მომადლა ღმერთმან საფარველი წმიდისა მამისა ჩუენისა ბერისა ანტონისი, რაჲთა არა სრულიად ობოლ ვიქმნე შემდგომად მისა, მაშინ ამისითა ბრძანებითა პირველად უკუჴს სამოციქულოთა პავლეს ებისტოლეთა და კათოლიკეთა თარგმანი ვთარგმნე, ვითარცა უსაჭიროესთაჲ. ამისსა შემდგომად საქმისა მოციქულთაჲსა თარგმანებაჲ რეცა მძიმედ აღმიჩინა ეჴმაკმან, არამედ ცუდ-ყო უფალმან სივერაგე მისი და ვითარცა საკრველითა, ეგრეთ მიჰყრა ბერმან ანტონი და არა მიტევა უსრულად დატევებაჲ ამისი. და მას თანა-ენამნენ იოვანე ღრამა-

23 “მოციქულთა საქმის თარგმანების“ ანდერძი ერთადერთ Q1158 ხელნაწერშია შემორჩენილი (Q1158,101v). პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ე. კოჭლამაზაშვილს (ე. კოჭლამაზაშვილი, 1996; 2003, გვ. 341).



ტიკოსი სემეონმადელი და იოვანე [რა]ტიული, რაათა „პირითა ორისა და სამისა მონამისათა დაემტკიცოს ყოველი სიტყუა“. [ან უკუწ] ჩემი აღმიარებია სულმოკლეობაჲ, რაათა შენდობაჲ მომ-მადლოთ, და ბერისა ანტონისსა ვქადაგებ, შემდგომად ღმრთისა, ჴელის-აპყრობასა, რაათა თქუენცა, რომელი იკითხვიდეთ გინა სწერდეთ, მას აკურთხევდით და ჴმადლობდით

Q 1158, 101r.

### **გ) კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანების ანდერძი<sup>24</sup>**

ლოცვა ყავთ ანრიასთვის ხუცეს-მონაზონისა, რომელი ყო-ფილ-არს მწერალი ბერძულისა ამის წიგნისაჲ, რომლისაგან ითარგმნა კათოლიკეთა ესე თარგმანი ენასა ჩუენსა.

უფალო, ადიდე დიდებითა წმიდათაჲთა მიზეზი ყოველთა კეთილთაჲ, ბერი ჩუენი ანტონი და მისითა მადლითა შეინყალე სული იოვანე ხუცეს-მონაზონისა, მონაფისა მათისაჲ, რომელმან წყალობითა და ჴელის-აპყრობითა მათითა დიდსა სიგლახაკესა შინა გულს იდგინა თჳსით საფასოჲთა ახლად თარგმნილისა ამის წიგნისაჲ თჳსად მოგებაჲ, სალოცველად მშობელთა და ძმათა...

Q 1158, 316r

### **დ) პავლეს ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლეს თავთა ჩამინათვალზე დართული ანდერძი<sup>25</sup>**

საცნაურ იყავნ, ვითარმედ ესე „უნწყებანი მიზეზთანი“ და „თავნი“ პავლეს თარგმანისაგან ჩანერილ არიან პავლესა შინა ბერძულსა და მიერ – ქართულსა, ვითარცა მოკლედ ყოვლისა ძალისა და სიტყუათა მიზეზისა მაუნყებელი. ხოლო მე, უღირს-მან ეფრემ, მიერ პავლისაგან გარდმოვწერენ, რამეთუ არღარა უვბდა უნაკლულოდ თარგმნილსა დიდსა მის მოძღურისა გიორ-გი მთანმადელისასა მეორედ თარგმნაჲ ვისგანცა, რამეთუ იგი სძლევს ყოველთა თარგმანთა მართლგამომეტყუჴლებითა სიტყ-

24 “კათოლიკე ეპისტოლეთა თარგმანების” ანდერძი ერთადერთ Q1158 ხელ-ნაწერშია შემორჩენილი (Q1158,101v). პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ე. კოჭლამაზაშვილს (ე. კოჭლამაზაშვილი, 1996; 2003, გვ. 343).

25 ანდერძი დაცულია მხოლოდ Q1158 ხელნაწერში (Q 1158, 103v). პირველი პუბლიკაციის ეკუთვნის ე. კოჭლამაზაშვილს (ე. კოჭლამაზაშვილი, ეფრემ მცირის კიდევ ერთი უცნობი ანდერძი: მცირე საეკლესიო კალენდარი 1999 წლისათვის, თბ., 1999, გვ. 31-32; იხ. აგრეთვე, ე. კოჭლამაზაშვილი 2003, გვ. 343-344).

უასა მას ქეშმარიტებისასა; რომლისა ოჯაჲ მეყავნ მე საუკუნოდ, ვითარცა უნდოსა მტუჭრსა წმიდათა ფერჯთა მისთასა.

Q 1158, 103v,

**ე) პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების ანდერძი<sup>26</sup>**  
**უნყებაჲ მიზეზსა წიგნისა ამის მრავალთა წიგნთა**  
**ერთად შემოკრებულისასა**

ვითარმედ წმიდაჲ იოვანე ოქროპირი არს თარგმანი ეპისტოლეთა პავლე მოციქულისა და ვითარმედ ჩუწნებითა პროკლეს მიერ ხილულთა გულსავსე ქმნილ არს უეჭუჭლობასა მის მიერ თარგმნილობისასა, ესე ზედამინევენით გუჭსწავების ცხოვრებისაგან თვთ მის წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისა. ხოლო თუ ვითარ დიდთა თარგმანთაგან შემოკლებითი ესე თარგმანი გამოკრებულ არს, იგიცა მოკლედ განვცხადოთ შენევენითა ღმერთისაჲთა:

საცნაურ იყავნ, ვითარმედ მსგავსად სახარებისა თარგმანთა, ვრცელად თავ-თავოან და სწავლიან არს და მრავალწინად განყოფილ ვრცელი თარგმანი საქმისა მოციქულთაჲსა და კათოლიკეთა და ეპისტოლეთა პავლე მოციქულისათაჲ. გარნა ვინაჲთგან მრავალწინგობისაგან საჭირო არს გლახაკთა კაცთა მიერ მოგებაჲ მათი, ესეცა ჩუწნთვს წინაჲსწარ იზრუნა ყოვლისა წინაგამგებელმან ღმერთმან და ამისსა ვითარებასა ვისწავებთ ეპისტოლისა მისგან დიდისა კვრილე ალექსანდრიელისა, რომელი იძიე და ჰპოვო თავსა წიგნისა მის პავლეს თარგმნად გარემონწერილისასა, რომლისა ბერძნულისაგან თარგმნად ეწყო ჩუენსა მას ახალსა ოქროპირსა, წყაროსა და ძირსა თარგმანებისასა, წმიდასა მამასა და მოძღუარსა ეკლესიათასა – ეფთჳმეს მთაწმიდელსა და უთარგმნია ორთა ოდენ ეპისტოლეთაჲ, მცირედ ნაკლულ, ხოლო მიზეზი უსრულობისა მათისაჲ ღმერთმან იცის. ამის წიგნისა თავით კერძოჲ იგი ეპისტოლე ამას ცხად–ჰყოფს, ვითარმედ (გვ. 236) ვისმე მოსწრაფესა ეთხ-

26 „პავლეს ეპისტოლეთა თარგმანების“ ანდერძი დაცულია ერთადერთ ათონურ ხელნაწერშია (Ath.18გვ. 235-238). პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის დ. თვალთვაძეს, (დ. თვალთვაძე, ეფრემ მცირის ერთი უცნობი ანდერძი: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 27, თბ., 1988, გვ. 210-221. 1989, გვ. 220-221; იხ. აგრეთვე, ე. კოჭლამაზაშვილი, 2003, გვ. 300-302.

ოვა დიდისა კვრილესგან, რაჲთა პატივთა ზედა სამოციქულოსა ნიგნისათა წარუწეროს შემოკლებული ძალი სიტყვსაჲ, რაჲთა აქუნდეს მას ერთნიგნად პავლე თარგმნიანი. ამისთვის წმიდა იგი მიუწერს, გულსმოდგინებასა მისსა აქებს და ცხად-ჰყოფს, ვითარმედ ოქროპირისა თარგმანთაგან გამოუკრებიეს მას მოკლე ძალი სიტყვსაჲ და ადგილ-ადგილ სხუათაცა წმიდათაჲ დაურთავს, სადაცა უპოვნიეს საკითხავთა შინა განმარტებაჲ სამოციქულოსა სიტყვსაჲ. ვინაჲცა აწ ვითარცა ბერძულისაგან გვსწავიეს, არა კვრილეს თარგმნილი არს გარემონწერილი იგი თარგმანი პავლეს სიტყუათაჲ, არამედ, ვითარცა თვთ იტყვს დასაბამსა, ოქროპირისა თარგმნილთაგან წიგნთა შემოუკრებიეს მოკლე ძალი თითოეულისა სიტყვსაჲ, და ვითარცა უმრავლესი, ზედწარუწერელად დაუტევებიეს მისი, ხოლო ადგილ-ადგილ ვისსათაცა დაჰრათავს, ათანასისსა გინა ბასოლისასა, გრიგორისსა ანუ თვთ თავისა თვსისასა, სახელსა ზედა დასწერს, რამეთუ მიწყებით და ვრცლად და სრულებით არავის ამათგანსა უთარგმნია პავლე, თვნიერ იოანე ოქროპირისა, არამედ საკითხავთა შინა მათთა სადაცა უპოვნია სამოციქულოჲ სიტყუაჲ განმარტებული, იგიცა ზედა დაურთავს ოქროპირისა თარგმნისადა. ხოლო გარემონწერაჲ იგი ამისთვის უქმნია, რაჲთა არა განიკუჭტოს სამოციქულოჲ სიტყუაჲ, არამედ რიცხვთა ოდენ და ნიშნითა კიდეთა ზედა თარგმანი მოიღებოდის. ამისთვისცა მას არა პავლეს თარგანი ჰქვან, არამედ პავლე თარგმანიანი.

აჰა, ესერა, დაღაცათუ სრული იგი მრავალწიგნად სწავლელი თარგმანი სამოციქულოსა ნიგნისაჲ ოქროპირისაჲ არს, გარნა ერთ წიგნად შეკრებულიცა ესე – მისთავე თარგმანთაგან, არა ლიტონისა კაცისაგან, არამედ დიდისა კვრი(237) ლე ალექსანდრიელისაგან შემოკრებულ არს; და რაოდენ იგი ჰმატს სივრცითა და სწავლათა სიმრავლითა, ეგოდენ ესე სხვთ კერძო ჰმატს – ერთ წიგნად შემოკრებითა და მოკლედ ძალსა სიტყვსასა განმცხადებლობითა, რამეთუ სივრცესა შინა სწავლათასა განთესულსა ძალსა სიტყვსასა გამომრჩეველად მცირედნი ვიეთნიმე იპოვებიან. ამას თანა იმითცა, რამეთუ არა ხოლო მის დიდისა პავლეს თარგმანისაგან, არამედ სადაცა საკითხავთა შინა თვთ მის წმიდისა იოანე ოქროპირისათა, გინა სხუათაცა ვიეთცა წმიდათასა იპოვების სამოციქულოსა სიტყვსა თარგმანებაჲ, ყოველი აქა შემოუკრებიეს და თითოფერთა

ყუავილთაგან ერთად გოლად საუკუნოვსა სიტკობებისა მორ-  
ნმუნეთად დაუუნჯებებს, რომელი-ესე ან ქართველთა ენასა  
სრულებით მოჰმადლა ღმერთმან ლოცვითა წმიდათა მამათა  
ჩუენთა საბა თუხარისელისა და ანტონი ტბელისათა.

ხოლო ვინათგან გარემონერილი იგი პატივთა და რიცხუთა  
საძიებელი საეკლესიოდ საკითხავად და საწერელადაც ძნელ იყო,  
ამისთვის ვითა თვთ წმიდისა იოანე ოქროპირისა დიდთა თარგმან-  
თა შინა არს მართლგანყობილ, ეგრეთ უმჯობესად წამეს ბერთა  
ჩუენთა და იგი მოთხვითად მონერილი წმიდისა კურილეს მიერ,  
მართლგანყვეთ უადვილესობად მწერალთა და მკითხველთა;  
რომელი უსახელოვ არს, იგი ოქროპირისა არს ყოველი, ხოლო  
ადგილ-ადგილ ვისიცა იშუთ ზედადაერთვის, მისი სახელი სწერია.

არს, რომელ შემდგომად კურილესსა ყოფილთაცა წმიდათა  
თქუმულისაგანიცა რაოდენიმე სიტყუა დაურთავს ადგილ-  
ადგილ ვიეთმე ბრძენთა და გულისწმისმყოფელთა და იგიცა  
დაგვწერია მისით ზედანარწერილითურთ, ბერძულთა დედათა  
შინა ვითა გვპოვნია რჩეულთა და სარწმუნოთა, რომელნი მო-  
გუჭებუნეს უშურველად (238) კლიმისაგან მამა და წინამძღუ-  
არყოფილისა სკმენწმიდელთაჲსა, კაცისა ბრძენისა და ჩუწნდა  
დიდად თანაშემწისა. უფალმან წმიდათა თანა მიეცინ სასყიდე-  
ლი კეთილისა ნებისათჳს და წყალობისა ჩუენისა, ცთომისათჳს  
შეგვწდევით და კნინისა გულსმოდგინებისათჳს ლოცვა-ყავთ.

ჩუენ ერთნიგნობა გვზარკებია, რათა მსგავსად სამო-  
ციქულოჲსა, თარგმანიცა მისი ერთ წიგნ იყოს; და ამის პირი-  
სათჳს ზოგი ადგილი ძლით იკითხვების, ხოლო. თქუენ ჳელ-  
გენიფების ორ წიგნად ფართოდ დაწერაჲ, რომელთა ღმერთმან  
ძალი მოგცეს გარდაწერად. მხოლოდ უსაკუთრესათჳს თავსა  
ზედა წერილი იგი უწყებაჲ ორისავე წიგნისა თავსა მიახუჭდროთ  
და მცირეთა ამათ სიტყუათა ადგილ-ადგილ მოზრახულთა ჩემ  
საწყალობელისა ეფრემ მცირისათა, დაწერაჲ ნუ გენყინების,  
რამეთუ ესრეთ მაქუნდა ბრძანებაჲ, რათა შინა არარაჲ ჩავჯთო,  
არამედ კიდეთა ზედა და თავისა და ბოლოჲსა ანდერძთა შინა  
ვიკადრო დაწერად, არა მაჩუწნებლობითი რამე მრავალმო-  
ქცევი, არამედ ლიტონი სიტყუა და უწყებაჲ რაჲსაჲვე. მომიტე-  
ვეთ ყოველივე ქისტეს მცნებისათჳს, ჳ საყუარელნო.

Ath.18. გვ. 235-238.

## თეოდორიტე კვრელის „ფილოთეონ ისტორიის“ შესავალი<sup>27</sup>

ამას წიგნსა ეწოდების „ფილოთეონ ისტორია“, რომელ არს ღმრთისმოყუარებითი თხრობაჲ, რამეთუ ვითარ-იგი „კლემენტისა“ და „დიოლოლონისა“, იგივე ბერძული სახელი უწოდებენ ქართულადცა, ეგრეთვე ამისთვის უსაკუთრეს არს წოდებად „ფილოთეონ ისტორია“, რომელი ესე თვით აღმწერელისა ამისა თეოდორიტესგან სახელდებულ არა ამისდა. ხოლო საჭირო არს თქუმად თვით მისდა თეოდორიტესთვისცა რაჲ უწყოდით.

თეოდორიტე არს ნათესავით ანტიოქიელი, სადა-იგი იშვა და აღიზარდა და განისწავლა, რომლისა საზომსა გონიერებისა და სწავლულებისასა ცხად-ჰყოფენ აღწერილნი მისნი, რომელთა მიერ თავთა გამომეტყუწლთა და აღმწერელთა თანა შერაცხილ არს ბერძენთა შორის. რამეთუ ვინაჲთგან გამორჩეულ იქმნა ეპისკოპოსად ქალაქის კვროზსა, რომელი ახლავს დიდსა ქალაქსა ანტიოქისასა, მიერითგან ვითარ თვით მისწერს ლეონ ჰრომთა პაპისა, არარაჲ ჴორციელი განსაგებელი ულუანისს, თვნიერ წინამბრძოლობაჲ ეკლესიათაჲ, რამეთუ იტყჳს, ვითარმედ: „სამასი ეკლესისაჲ შევსძინე მწვალებელთა და მეკერპეთანგანი მართლმადიდებელთა ეკლესისა“. ამას თანა ყოველთა ძუწლთა და ახალთა წიგნთა თარგმანებანი აღუწერიან დაბადებითგან ვიდრე სამოციქულომდე და სხუანი პირად-პირადნი საეკლესიონი ყამთა მოთხრობანი და ბუნებათა მეტყუწლებანი, რამეთუ სიჭაბუკითგან იწყო და დიდად სიბერედ მიიწია.

არამედ შურითა ეშმაკისაჲთა დაკნინდა წარმატებულებაჲ მისი, რაჟამს თანაშემწეობისათჳს თჳსისა მამათმთავრისა ანტიოქიელ-პატრიარქისა, წინააღმდეგომნი თავნი დანერნა. კვრილეს მიმართ აღექსანდრიელისა (187v), რამეთუ დრტვნვიდეს მისთვის, რომელ თვნიერ თანადახუდომისა მათისა ქმნა მან კრებაჲ ეფესოჲსაჲ და განკუეთაჲ ნისტორისი. ვინაჲცა წინააღმდეგომაჲ კვრილესი შემწეობად ნისტორისსა შეურაცხეს მას და განაგდეს ეკლესისით, ვიდრემდის ბრძანებითა ლეონ ჰრომთა პაპისაჲთა კუალად შეი-

27 კოლოფონი დაცულია A689 (187r-187v) და A682 (91v-93v) ხელნაწერებში. პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის თ. ჟორდანას (თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანას მიერ, წიგნი II, ტფ., 1897, გვ. 40-42).

წყნარა იგი კრებამან ხალკიდონისამან და საყდარსა თჳსსა დას-  
უეს და რიცხუსა მათსა თანაალმავსებელ ყუნეს. და მიერთგან  
ყოველნი ხალკიდონისა კრებისა შემწყნარებელნი თეოდორიტეს-  
სა შეინწყნარებენ და მხოლოდ თავთა მათ მის მიერ დაწერილთა  
წინააღმდეგომელად კვრილესსა შეაჩუწნებენ და განაგდებენ,  
ხოლო სხუანი წერილნი მისნი დიდად წარჩინებულად საზეპუროდ  
ჰქონან, და თჳთ თეოდორიტე, ვითარცა არსცა წინამბრძოლად  
მართლმადიდებელთა კრებულისა აქუს ძლიერებისათჳს სიტყუა-  
თა მისთაჲსა და ბრწყინვალეებისათჳს ცხორებისა მისისა.

ამის მიერ აღწერილისა ამის „ფილოთეონ ისტორიასაჲ“ მო-  
სურნე იყო წმიდაჲ და ღმერთშემოსილი ბერი ჩუწნი ანტონი და  
მისითა ბრძანებითა და ლოცვითა ითარგმნა ესე თჳთ მისდად,  
რათა მსგავსთა თანა იშუშბდეს. რომელთამე ჰხვდებოდის,  
ხოლო რომელთამე შეესწორებოდის და არსმცა ვითარ იგი არს,  
მათებრვე სრულ ღუანლითა და მათთავე შემკულ გვრგვნითა.

ხოლო აქუს წიგნსა ამას ფრიადი სიღრმე სიტყჳსაჲ, უმრავლე-  
სი ბერძულად და არამცირედი ქართულადცა, რომლისა შეცვალე-  
ბაჲ და გამარტივებაჲ არა ძნელ იყო, გარნა შემინდევით უღირსსა  
თქუენსა, ეფრემ მცირესა, რამეთუ ესრეთ უმჯობეს ვჰგონე, რათა  
ხატი და მოქცევი სიტყუათაჲ იგივე აქუნდეს ბერძულისაჲ, რამეთუ  
ესეცა არავე უწმარ არს მათთჳს, რომელნი მრავალჟამ ზრდილ  
არიან სძითა სიტყუათა მარტივობისათა და მიწვეულ ჰასაკსა  
მოქენესა მტკიცისა საზრდელისასა. ხოლო მოქცეობაჲ სიტყუათაჲ  
ამის წიგნისათაჲ ესევეთარი რაჲმე არს: რამეთუ რაჟამს *სიბრძნის-  
მოყუარე ან ღმრთისმგალობელთა* მწყობრი თქუას მონაზონთა  
სახელად, რამეთუ ჭეშმარიტად ფილოსოფოსად, ესე იგი არს  
სიბრძნისმოყუარებად, ჭეშმარიტსა მონაზონებასა სახელ-ედების,  
ხოლო ღმრთისმგალობელობაჲ წმიდისა დიონისიის სიტყუათაჲ  
არს, და კუალად, რაჟამს *მონასტერსა* იტყოდის, ოდესმე არვედ  
უწმობს, ოდესმე *სიბრძნისსანურთელლად*, ოდესმე *სტადიონად*.  
ესე და ესევეთარი ქცეულებაჲ, გინათუ თხზულებაჲ სიტყჳსაჲ არა  
უწმარ არს სწავლისმოყუარეთა და კეთილად გამომეძიებელთათჳს,  
რათა განჰზადნეს უღრმესთადრე წიგნთათჳს.

### **ზანდუკი წიგნისა ამის:**

- ა. იაკობისთჳს
- ბ. ივლიანესთჳს

გ. მარკიანესთვის  
 დ. ევსევისთვის  
 ე. პოპლიოესთვის  
 ვ. სვმეონისთვის ძუჭლისა  
 ზ. პალადისთვის, რომელ არს პალადე წმიდაჲ  
 ც. აფრაატესთვის  
 თ. პეტრესთვის  
 ი თეოდოსისთვის, რომელსა არასუსისა თეოდოს წმიდაჲ უმენებია  
 ია. რომანოსისთვის  
 იბ. ზინოსისთვის  
 იგ. მაკედონოესთვის  
 იდ. მახსუმამესთვის  
 იე. აკეფსიმამესთვის  
 ივ. მარონოესთვის  
 იზ. აბრაჰამისთვის  
 იწ. ევსევისთვის  
 ით. სალამანისთვის  
 კ. მარისთვის  
 კა. იაკობისთვის  
 კბ. თალასოესთვის და ლიმანასოესთვის  
 კგ. ივენესთვის  
 კდ. ლევინამესთვის და პოლუტრონოესთვის  
 კე. ასკლიპიოესთვის  
 კვ. სვმეონისთვის ჰალაბელისა  
 კზ. ვარადატისთვის  
 კწ. მალელესთვის  
 კთ. მარანამესთვის და კვრამესთვის  
 ლ. დომინამესთვის  
 სიტყუაჲ საღმრთოესა სიყუარულისათვის

რამეთუ შუდნი თხრობანი თავით კერძონი სხუათაგან  
 სმენილნი დაუნერიან ძუჭლად ყოფილთანი, ხოლო რვითგან  
 ოცდაერთამდე მათნი, რომელნი მისთა ჟამთა აღსრულებულ  
 არიან და თუალითაცა უხილავნ, ხოლო ოცდაერთითგან სხუა-  
 ნი ყოველნი ჯერეთ მაშინ ცოცხალ ყოფილ არიან, ოდეს ესე  
 მათთვის დაუნერიან.

A 689,187v; A682 ,91v-93v.

## „ფილოთეონ ისტორიის“ ანდერძი<sup>28</sup>

დიდება და მადლობა, პატივი და თაყუანისცემა მამასა და ძესა, წმიდასა სულსა, რომელმან მეოხებითა წმიდისა ღმრთისმეტყუელისაათა და ყოველთა წმიდათა სრულ-ყო ესეცა წიგნი მამათა ლოცვითა ბერთა ჩუენთაათა.

გევედრები ყოველთა, მკითხველთა და მსმენელთა და გარდამწერელთა, რათა ლოცვასა ჰყოფდეთ ღმერთშემოსილისა ანტონი ტბელისათჳს, მოძღუართა, მშობელთა, ძმათა და შვილთა მათჳს, რომელმან ოხითა თჳსითა ღმრთისა მიმართ უბრძანა პირუტყულ სახეობასა ჩემ მცირისა და უნდოესა ეფრემ უნარჩევისა მონაფეთა მისთაჲსა, რათა სახელად სინმიდისა მისისა გამოვთარგმნო ბერძულისაგან ახლად ქართველთა ენასა ცხორებაჲ ესე წმიდათა ამათ მამათაჲ, რომელნი განბრწყინდეს ანტიოქიას და გარემოჲს სანახებსა და საბრძანებელთა შორის მისთა. უკუეთუ რაჲ აქა შინა კეთილად ქმნილი გეპოოს, იგი ღმრთისა (277v) სამადლობელ და მათდა სალოცველ ყავთ, ხოლო მე ცთომილება ოდენ მომიტევეთ, რამეთუ იგი ოდენ არს ჩემი უდებებისა და უღირსებისა ნაყოფი, ხოლო კეთილი ყოველი ღმრთისაჲ არს და თარგმანებაჲ ესე ჩემი საბაჲს და ანტონის მადლითა და ლოცვითა ქმნილ არს, რომელთაჲ საუკუნომცა არს საჴსენებელი და კურთხევაჲ მათი.

A 689, 277r-v; A 682, 183v

## ბასილი კესარიელის „ასკეტიკონის“ ანდერძი<sup>29</sup>

საცნაურ იყავნ, ვითარმედ უმეტეს ათორმეტისა წლისა ჟამთა მოველოდენით პატიოსნისა მღდელისა პროკოპის მიერ თარგმნილსა ასკეტიკას ამაჲს წმიდისა ბასილისსა. გინათუ ჟამთა

28 ანდერძი შემონახულია A 689 (277r-v) და A 682(183v) ხელნაწერებით. პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის თ. ჟორდანიას. თ. ჟორდანია მას შეცდომით პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონის“ ანდერძად მიიჩნევს. (თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დანყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი I, ტფ., 1892, გვ. 220; მეორე გამოცემა, თბ., 2004.

29 ანდერძი შემონახულია A689 ხელნაწერში (187r). პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის თ. ჟორდანიას (თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დანყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წიგნი II, ტფ., 1897, გვ. 39-40; იხ. აგრეთვე, ე. ხინთიბიძე, 1968, გვ. 176).



სიჰავისა ანუ კაცთა სიგრილთა არავინ მოგვტანა არცა ზემოთ, არცა სამეფოთ, ამისთვის, ვითარცა სასონარკუეთილი მისგან, ბრძანებითა წმიდისა მამისა ანტონი ტბელისაჲთა პირველ ესოდენტა წელთა დაწყებულსა ვიძულე ბერძულისაგან თარგმნად, რამეთუ მაშინ მენყო ოდენ და რაჲ მესმა, დავაცადე დღითი-დღე წყურთიელად მოლოდებითა მისითა. ხოლო ან შიშითა ჟამთა და გზათაგან ვერ მოღწევისაჲთა, ვთარგმნე ამით გულისსიტყვთა, რაჲთა უკუეთუ ოდესმე მოიწიოს მისი თარგმნილი, მისი იპყრათ, ვითარცა უხუცესისაჲ და ესე – ვითარცა უმრწემესისაჲ. და რაჲმე მუნ ჰმატდეს, გინა – აქა, ორთაგანვე უმჯობესი შეიძინეთ და სხუაჭბრობაჲ ნუფე გიკვრს, რამეთუ თვთ ბერძულნიცა წიგნი ვითარცა ვინ დედაჲ პოვის, ეგრე გარდაწერებინ და თვთ ორთა წიგნის საცავთა სვემონწმიდისათა „ასკეტიკონნი“ სხუთა და სხუთ ჰმატდეს ურთიერთას, ამისთვის თუალისაჲცა მოვიღეთ და თვთ მათვე ბერძენთა უბრძენთა და უსულიერესთა კითხვითა ძალისაებრი სისრულე და სიმართლე ვიხარკე.

A 689, 187r

## **დიონისე არეოპეგელის თხზულებათა თარგმანზე დართული კოლოფონები**

### **ა) წინაბჭე სიტყვსა-თხრობაჲ დიდისა დიონისისთვის და წიგნთა მათთვის, მის მიერ აღწერილთა<sup>30</sup>**

აზნაურებისათვის უკუე და სიმდიდრესა შინა უწარჩინებულესისა დიდისა დიონისისა მხოლოდ საგანმზრახოჲ იგი ათინელთა კმა არს მაუწყებლად, რომელსა შინა ესე მსაჯული განჩინებულ იყო, რამეთუ: ერთი არეოპაგელთაგანი იყო იგი, ვითარცა საღმრთოჲ ლუკა საცნაურ ჰყოფს, მოგვთხრობს რაჲ საქმეთა დიდ-დიდთა და წმიდათა მოციქულთასა, რომელსა შინა იტყვს, ვითარმედ: მიიწია რაჲ ათინად წმიდა მოციქული

30 დაცულია ორ ხელნაწერშია A110(1r-2v) და A163(გვ. 1-15). გამოცემულია ი. ლოლაშვილის მიერ, . (ი. ლოლაშვილი, ფსევდო-დიონისესა და პეტრე იბერიელის იდენტურობის პრობლემა ქართულ და ევროპულ მეცნიერებაში, თბ., 1973, გვ. 107-116; იხ. მისივე, არეოპაგეტული კრებული, დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი ძველქართულ მწერლობაში, გამოსაცემად მოამზადა ი. ლოლაშვილმა, თბ., 1983, გვ. 70-77).

პავლე, მიემთხვა ვიეთმე სიტყუად ეპიკურელთა ფილოსოფოსთა და სტოაჲსაგანთა და უქადაგა სარწმუნოებაჲ ფუფლისა იესუ ქრისტეს მიმართ, აღდგომაჲ მკუდართაჲ და სასჯელი საყოველთაოჲ, ვინაჲცა შეეპრობილ იქმნა უსიბრძნისმოყუარეთა მათგან არა-ფილოსოფოსთა, რამეთუ არა-ჭეშმარიტებით ფილოსოფოს იყვნეს, და მიიყვანეს არეოპაგედ. და ეზრახა რაჲ ერსა, მყის წარმოსტყუნნა მათგანნი ვიეთნიმე და შეცვალებულ ყვნა ნათლისა მიმართ ჭეშმარიტისა, რომლისთჳს დასძინებს მრავალ-განთქუმული იგი აღმწერელი ამის თხრობისაჲ ამას: "ესრეთ პავლე გამოვიდა შორის მათსა და ვიეთნიმე კაცნი მათგანნი შეუდგეს მას და ჰრწმენა; რომელთა შორის იყო დიონისოს არიოპაგელი და დედაკაცი, სახელით დამარის, და სხუანი მათ თანანი".

ხოლო ესერა ლიტონად ვისმენ ყოველთა შორის, მაშინ მორწმუნე-ქმნულთა დიდისა პავლეს მიერ მხოლოდ-წარჩინებულისა, ვითარ დიონისოს სახელ-დებით მოწესენებასა ყოვლად ბრძენისა აღმწერელისა ზედადართვითა პატივისა მისისათა აღსწერს, ვითარმედ: არიოპაგელი უფროესლა ამიერ [... ] და ცხორებისა წარჩინებულთა [... . ] იგი უმთავრესი დასხდიან და განიზრახვდიან საგანმზრახოსა მას შინა არიოპაგისასა, რამეთუ ცხორებაჲ მათცა მთავართა ათინელთასა დაადგინებდიან რაჲ, არიოპაგელნი შემოუკრებიან მათ მსაჯულად, ვითარცა ანდროტიონ იტყვს მეორესა წიგნსა შინა ათინელთასა, ხოლო უკანაჲსკნელთა უმრავლესად იქმნა საგანმზრახოდ იგი არიოპაგია, ესე იგი არს, კაცთა რიცხვთ ორმოცდაათერთმეტთა, გარნა მათცა მამულ-კეთილთა გარდამეტებულთაჲ, ვითარ-იგი პირველ ვთქუ, სიმდიდრითა და სინმიდითა ცხორებისაჲთა, ვითარცა მოგვთხრობს ფილოხოროს მესამითა წიგნითა მათვე ათინელთაჲთა.

ხოლო გარეგან ქალაქსა იყო სამსჯავროჲ იგი არიოპაგელთაჲ, წოდებული ესრეთ, ვითარ-იგი ზღაპრისმეტყუელებენ ათინელნი, რამეთუ თვთ მას მწუერვალსა ზედა ქალაქისა და მთისასა სამსჯავროჲ შემოკრბა შორის პოსიდონისსა და არეს. რამეთუ პოსიდონ სასჯელი თქუა არეს მიმართ ადგილსა მას შინა ძუელთა მათებრ ზღაპრობათა ათონელთასა [... . . ] და ვითარმედ: არეს მიერ მოკლული არს ძე მისი ალლიროთოს, ვინაჲცა ამიერ ეწოდა პალოსსა მას „არიოპალოს“, რომელ არს

„მთა არეოხი“, რამეთუ „პალოს“ მთისა სახელი არს. ამას ადგილსა განისჯებოდეს ათინელნი ყოველთათვისვე კნინოდენტაცა ბრალთა და უშჯულოებათა, ვითარ-იგი ყოველსავე წარმოიტყვს ანდროტიონ პირველსა, ხოლო ფილოხოროს – მეორესა და მესამესა წიგნსა შინა ათინელთასა. ამისთვისცა, ვითარცა ახალთა ეშმაკთა მომთხრობელი, შეიპყრეს წმიდა მოციქული პავლე, თხრობისაებრ ჭეშმარიტებისმოყუარისა ლუკასსა, ჰრქუეს განცოფეფებულისა მის სიბრძნისა ტრფიალთა მათ და მოიზიდვიდეს საგანმზრახოდ არიოპაგისა. არამედ მაშინდელისა მის მთავარმან არიოპაგელთა ბჭობისამან, დიდმან დიონოსი, ვითარცა თუალუხუავმან მსაჯულმან [ქმნა] თუალუხუავიცა განჩინებაჲ ჭეშმარიტყოფისა სულითა შემოსილთა მათ სიტყუათა პავლესთა, ვინაჲცა მყის ფრიად ახოვნად [... . . ] სასარგებლოსა მას არიოპაგისას [... ... ] მხედველად მსაჯულად გულისწმა-ყო მამისა სიტყუაჲ და ძე მხოლოდშობილი და [სული წმიდაჲ და] ქადაგებდა და ესრეთ იქმნა შვილ ნათლისა [... . . ], დაღაცათუ ჰრომთა ეპყრა მამინ მარტოდმპყრობელობაჲ [... ... . ], არამედ თვსჯულად დაეტევენეს ათინელნი და ლაკედემონელნი. ვინაჲცა მერმეცა შემდგომად საწმუნოებად მოსლვისა დიდი დიონოსი ათინელთავე და არიოპაგელთა შორის მოქალაქობდა. სრულ იქმნა უკუე ყოვლისა საცხორებელითა სჯულითა პავლეს მიერ ყოვლად ძლიერისა. ხოლო მოღურებითა განისწავლა დიდი დიონოსი იეროთეოსგან, ყოვლად წარჩინებულისა, ვითარცა თვთ ნეტარი იგი იტყვს. ამისსა შემდგომად დადგინებულ იქმნა მეშჯდისა წიგნისაებრ სამიციქულოთა განწესებისათა საკრველი დიონოსი პავლესგან ქრისტეშემოსილისა ეპისკოპოსად ათინას მყოფთა მორწმუნეთაჲ.

ხოლო მოიწესენებენ წმიდისა დიონოსისთვის არიოპაგელისა დიონოსიოს ძუელი, ეპისკოპოსი კორინთელთაჲ და პოლკარპოს ათინელთა მიმართსა შინა ეპისტოლესა.

და არს საკრველ სიმართლეს და მრავალ-სწავლებაჲ წმიდისა ამის დიონოსი არეოპაგელისაჲ, ვითარ ჭეშმარიტებით შეიწყნარა მან ყოველნივე საეკლესიოთა წესთა და სჯულთა უბრალოებითნი წესიერებანი მოცემულნი და მოცვალნა ჭეშმარიტებისა მიმართ საეჭუელნი იგი სჯულნი წარმართთა მათ ფილოსოფოსთანი, ვინაჲცა უმეტესად საწყალობელ არს და თანა-სიტყვერ წარმდებებაჲ სულმოკლეთა მათ გამომეძიებელ-

თა კეთილისა სწავლულებისათაჲ, რომელნი თჳსთა უსწავლე-  
ლობასა თანა-შეაზომენ სხუათაცა კაცთა კეთილად წარმართე-  
ბასა. ესევეთარნი იგი რაჟამს მიემთხვნენ აღწერილთა ვიეთთა-  
მე, რომელთა-იგი ნუუკუე და არა შედგომილ იყუნიან ძალსა  
სიტყუათასა, მყის განუკითხველად ჰყოფენ შესმენასა აღმწე-  
რელისას და ესე მაშინ, ოდეს ყოვლად ვერ-შემძლებელ იყვნინან  
წარმართებად და მხილებად ბრალობისა მათ, რომელთა-იგი  
დასდებდინან მათ ზედა. ჯერ იყო, რაჲთამცა თავისა თჳსისა  
მიმართ მოაქციეს ყოველივე რისხვაჲ თჳსი და უფროხლა [... ..  
. . ], რამეთუ ვერ შემძლებელ იქმნეს მოსწრაფებით სწავლად  
და ცნობად ჭემმარიტსა ძალსა მათ თქუმულთასა, რომელთა  
ვერ წინა-უყუეს შემსგავსებულ სწავლის მოყუარე [... ..  
... . ], რომელნი მწვალებლობით გინებად კადნიერ იქმნები-  
ან დიდისა დიონისისსა, ვითარცა ყოვლად უმეცარნი მწვალ-  
ებელთა ვითარებისანი, რამეთუ: უკუეთუმცა თვთოეულისა  
ძალი სატყუათა მათ მის მიერ დასჯოლთაჲ თანა-შეატყუნეს  
მწვალებელთა სიტყუასა, მაშინმცა იხილეს ესეოდენ მსგავსე-  
ბაჲ მათი ურთიერთას, რაოდენ ნათელი – ბნელსა და ჭემმარი-  
ტება – ტყუვილსა. რამეთუ რაჲ თქუან, ესმოდის რაჲ ამისგან  
ღმრთისმეტყუელებაჲ მხოლოდ თაყუანისა ცემელისათჳს წმი-  
დისა სამებისა, ანუ კუალად რაჲ მიზეზ-იდგან ქადაგებასა შინა  
ერთისა მის ყოვლად ნეტარისა არსებისაგანისა იესუ ქრისტეს  
მხოლოდშობილისა სიტყუსა ღმრთისა სრულებითისა განკაცე-  
ბისასა, ანუ არა სულსა გონიერსა იტყუს მისთჳს და ჳორცთა  
მიწისაგანთა მსგავსთა ჩუენთა და სხუასა ყოველსავე, რაოდე-  
ნი რაჲ თქუმულ არს მათთჳს მოძღუართა მიერ მართლგამომე-  
ტყუელთა, ანუ რაჲსა [... .. ] აბრალონ მას ცნობადთათჳს და  
საცნაურთა გრძნობადთათჳს და საგრძნობელთა ანუ საყოველ-  
თაოხსა მისთჳს აღდგომისა ჩუენისა; ვითარ-იგი ყოფად არს  
ჳორცითა და სულითა და მაშინ ყოფადთა მათთჳს სამსჯავრო-  
თა და გარჩევაჲ მართალთა და ვერ ეგევითართაჲსა, რაჲთა  
მოკლედ ვთქუა: [... .. ] მათ მიმართ ხედავს ყოველი ცხორებაჲ  
ჩუენი, რომელთა ან სრულად წარმოთქუმაჲ არა სამართალ  
არს, არამედ ჟამად-ჟამადსა შინა თარგმანებასა თვთოეულისა  
სიტყუსასა შევისწავლოთ ყოველი იგი.

„ჰე, – მეტყუან, – ჰე, ეგრეთ არსო, არამედ არა აღწერა  
სიტყუანი მისნი ევსევი ჰამფილესმან და არცა რას ორივე-

ნი მოიჭსენებს მათთვის!“ რომელთა მიმართ ვიტყვ, ვითარმედ: მრავალთა წიგნთა თანა წარხდების [... .. ], რაოდენი არა მიინინეს ჴელთა მისთა, რამეთუ არცალა [მინევენ]ულ არს ზოგან ყოველთა და უფროხლა თვთ აღიარებს [... .. ], ვითარმედ: მრავალნი და რიცხვის მძლენი წიგნნი არა-მონევენულ არიან მისსა და მრავალთაჲ ძალ-მედვა მოჭსენებად, რომელნი თვთ მისთავე [... .. ], ვითარ-იგი ჴმენეოსისი და ნარსისოხსი, რომელნი მღდელობდეს ჟამსა მას. ხოლო მე მიმთხუეულ ვარ რაოდენთამე წიგნთა ჴმენეოსისთა. ამას თანა კუალად არცალა [... .. ]მულნი აღწერნა, არცა ჴრომისა კლემენტოსისთა, თვნიერ ხოლო ორთა ებისტოლეთასა და არცა სხუათა ბ[... .. ]ოქრიგენი არა უწყი თუ ყოველთა, გარნა მხო[... .. ]თაჲ ოდენ მოიჭსენა: „არამედ დიაკონი ვინმე ჴრომოსა, სახელით პეტრე, მითხრობდა მე, ვითარმედ: ყოველნივე წიგნი საკრველისა დიონისისნი ცოცხლად დაშთომილ და მდებარე არიან დიდსა მას შინა წიგნისსაცავსა ჴრომთა ეკლესიისასა“.

ხოლო უმრავლესსა მათგანსა მისწერს სამგზის სანატრელსა ტიმოთეს, მონაფესა წმიდისა პავლე მოციქულისა, ეფესელთა ეპისკოპოსისა, რომელი-იგი ჴედამდგომელ იყო მრავალსწავლულთა მათ ფილოსოფოსთა იონიას-ეფესოხსათა. და მრავალი რაჲ შეემთხუეოდა მათგან კითხვითა და გამოძიებითა, ვითარცა შეეტყუების ვერაგთა გარეშისა ფილოსოფოსობისათა, ამისთვის მისწერს მისსა, რაჲთა ძალითა ამათ თქუმულთაჲთა ძლიერ იქმნეს უმეტესად წინა-აღდგომად მათდა, და სანარმართთავე სიტყუათა მისცემს დასაჭსენელად სიბრძნისა სანარმართოხსა, რომელი-ესე არა-შეუმსგავს არს, ვინაჲთგან ყოვლად ღმრთისმოყუარემანცა მოციქულმან პავლე სანარმართონი რაჲმე იჭუშია სიტყუანი, ნუუკუე და სმენით სწავლულნი მახლობელთა ვიეთგანმე მისთა გამოცდილთა სანარმართოხსა ფილოსოფოსობისათა.

ხოლო გუაუნყებს ჩუენ ჴეშმარიტებისმოყუარებასა დიდისა ამის დიონოსისსა წულილადი განხილვაჲ აღწერილთა მისთაჲ, ვითარ მართლიად და უცვალებელად მოიჭსენებს მათ შინა სიტყუასა მის თანა ჴრდილთა კაცთასა; რაოდენნი შემოულია „საქმისაგან მოციქულთა წიგნისა“, გინა თუ მრავალსარგებელთა მათგან „ებისტოლეთა პავლე მოციქულისათა“, ვითარ თვთოეულისა მათისა სიტყუაჲ მარტივად და უწუალებელად

მოუქსენებიც. და კუალად უფროს ამათ ყოველთასა არს უც-  
თომელობა მისი შჯულთა შინა მართლმადიდებლობისათა.

უნცი, ვითარმედ: მოთხრობითა მოსაქსენებელთა მათ და  
უფროსლა განვრცელებითა სიტყუათა ჯერ-იყო თარგმანე-  
ბაჲ მრავალ-სწავლულებითა ამათ აღწერილთა მისთაჲ, გარნა  
თავ-თავოანად შევა მოკლე განმარტებაჲ, რაოდენი იტევდა გა-  
რემონერაჲ წიგნისაჲ და თარგმანებაჲ, განვჰმარტენ შემდგო-  
მობანი ამათ საკითხავთანი, რომელნიცა-ესე ან ჩემთა ჴელთა  
მონვენულ არიან, რომელთა განგებულებაჲ ვყავ მინდობითა  
ღმრთისა ყოვლად ძლიერთა შემწეობათაჲთა.

საცნაურ იყავნ, ვითარმედ ხუთ წიგნად განიყოფვის ერთი  
ესე წიგნი წმიდისა დიონისისი, ხოლო თუთეულსა არიან თავნი  
ესოდენ: [სალმრთოთა სახელთათჳს, ზეცათა მღდელთ-მთავრო-  
ბისათჳს], საეკლესიოესა მღდელ-მთავრობისათჳს, საიდუმლოდ  
ღმრთის-მეტყუელებისათჳს. ოთხნი ესე წიგნი ყოველნი ტი-  
მოთეს მიმართ არიან. ებისტოლენი ათნი: გაიოსის მიმართ –  
ოთხნი, დოროთეს მიმართ – ა, სოსოპატროს მიმართ – ა,  
პოლკკარპოს მიმართ – ა, დიმოფილოს მიმართ – ა, ტიტეს  
მიმართ – ა, ღმრთიმეტყუელისა მიმართ – ა.

უნცებაჲ ჯერ-არს, ვითარმედ, სხუანიცა აღწერილნი წმი-  
დისა დიონისისნი მოიქსენებიან წიგნსა ამას შინა, რომელნი  
არლა მონვენულ არიან ჩუენდა. ხოლო მოიქსენებიან ესრეთ:  
„სახელთათჳს ღმრთისათა“ მეორესა თავსა შინა იტყჳს: „ესე  
ჩუენ მიერ სხუათაცა გამოძიებით გამოჩინებულ არს სამარა-  
დისოდ ყოველთათჳს ღმრთივ-შუენიერთა სახელთა და არა  
ზომიერად რაჲმე“ და შემდგომი ამისი. და კუალად შემდგომად  
მცირედისა იტყჳს: „ესე ჩუენ ან ამას შინა მცირედ და ზოგე-  
ბით წარმოგუტჳმას, ხოლო სხუათა ადგილთა – მრავლად და  
კმა-საყოფელად სიტყუათაგან გამოცხადებულთა“. და შემდ-  
გომად მცირედისა მეოთხესა თავსა შინა: „და რაოდენი რაჲ  
სხუა თქუმულ არს ჩემ მიერ თჳსებითა შინა ანგელოზებრთა“. და  
კუალად იტყჳს: „და რაოდენი რაჲ სხუა თქუმულ არს ჩემ  
მიერ თქუმულთა მათ შინა სულისათჳს“. და დასასრულლსა  
ამის მეოთხისა თავისასა იტყჳს, ვითარმედ: „ესე ჩუენ მიერ  
ძალისაებრ კმა-საყოფელად ითქუმოდედ თავთა მათ შინა სა-  
მართლისა და სალმრთოსა მსჯავრისათჳს თქუმულთა“. ხოლო  
„ზეცათა მღდელთ-მთავრობისათჳს“ თქუმულთა შინა დასას-

რულსა მეშვდე თავისას იტყვს: „ესე ზეშთაობოთნი ქების-მეტყუელებანი ზეშთაცათა გონებათნი, აჰა, ეგერა, საღმრთოთა ქებათა შინა რაოდენ დასატევენელ იყო, განგვმარტებიან“. ხოლო „საეკლესიოჲსა მღვდელთ-მთავრობისათჳს“ პირველსა თავსა შინა მცირედ შემდგომად დაწყებისა იტყვს, ვითარმედ: „ესე ჩუენ მიერ საცნაურთა და გრძნობადთათჳს თქუმულსა თავცა შინა უგრცელესად-რე თქუმული არს“. და კუალად შემდგომად მცირედისა ამასვე საკითხავსა მოიწესენებს. ხოლო „საიდუმლოდ ღმრთისმეტყუელებისა“ შინა დაწყებასა მესამე თავისას იტყვს, ვითარმედ: „ღმრთისმეტყუელებითთა განწესებათა შინა უსაკუთრესნი წართქუმითისა ღმრთისმეტყუელებისანი ვიგალობენით და შემდგომად რაოდენისამე კუალად იტყვს, ვითარმედ: „სახიერება რაოდენი რაჲ იგალობების საღმრთოთა სიტყუათა მიერ თქუმული ღმრთის-მეტყუელებითთა განწესებათა შინა“ ესე და ესე რაჲმე.

ამისა [... ... ] დიდისა ამის მოძღურისაჲთა [... ... ] წიგნთა მისთაგნნი არა მოწვევულ [... ... ], ვითარ-ესე ადგილ-ადგილ ჩუენდა მოწვევულთა, არცა წიგნთა შინა იწამებს სიტყუასა სხვსა მის მიერ თქუმულისა საკითხავისასა, რომელი ამას წიგნსა შინა არა იპოების. ზემოთ დაინერა, ვითარმედ, ათსამეტ არიან თავნი პირველისა წიგნისა „საღმრთოჲსა სახელთათჳს“ თქუმულისანი. ამათ ათსამეტთა თავთა შინა პირველით თავითგან ვიდრე მეექუსედ თავადმდე იპოებიან ასნი თავნი, რომელთა ზანდუკი აქა აღგვწერიეს.

A 110, გვ.1-8; A163, გვ. 1-15.

### **ბ) „საღმრთოთა სახელთათჳს“ ანდერძი<sup>31</sup>**

კურთხევაჲ ვრცელთა დიონისიოს ოხათა იეროთეთურთ ათ ძალთა სულისათა. დიდებაჲ და მადლობაჲ დასაბამსა და სრულყოფელსა ყოველთა კეთილთასა ღმერთსა, რომლისა წყალობითა სრულ იქმნა ერთი ესე ხუთთაგანი წიგნთა წმიდისა დიონოსისტაჲ, პირველი წიგნი – „თარგმანებაჲ საღმრთოთა სახელთაჲ“, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათაჲ და წმიდისა სუმეონ საკრველთმოქმედისაჲთა და ლოცვითა ბერთა ჩუენთა საბაჲს და ანტონისითა და ელისაჲსთა (და მათ თანავე მოლუანე-

31 ანდერძი სამ ხელნაწერში გვაქვს დაცული: A110(98r), S 159 (გვ. 174 და K416 (151v)). იხ. პეტრე იბერიელი, 1961, გვ. 019.

ბითა და ზრუნვითა კირილე ალექსანდრიელისათა + S159-ში) , რომელთა წსენება და ნეტარება საუკუნო იყავნ.

ლოცვაჲ ყავთ, ქრისტესმოყუარენო, იოანესთჳს, საღმრთოთ ფილასოფოსისა და ჳორციელად ღრამმატიკოსისა, რამეთუ ლოცვასავე თანა ზემოწსენებულთა მამათა იგი იქმნა პირ, გონებაჲ და სიტყუა პირუტყუთა უუგუნურესისა ეფრემ მცირისა, რომელი აღვიარებ, ვითარმედ არა თუმცა იგი ყოფილიყო მოძღუარ და ძალმწე ჩემდა, მიხედვადცა ვერ ვიკადრებდი მზის თუალსა ამის წიგნისასა, რომელსა შინა ჩემი ცთომილებაჲ ოდენ არს. მომიტევეთ და ლოცვა ყავთ.

A 110 98r; S 159, გვ. 174.

## გრიგოლ ნაზიანზელის ჳომილიათა თარგმანებზე დართული კოლოფონები

### ა) გრიგოლ ნაზიანზელის ჳომილიათა თექვსმეტყვიანი კრებულის „თავისა ანდერძი“<sup>32</sup>

*ბერსა კვრიკეს მცირე ეფრემ.* რამეთუ ცეცხლ გამუსცემდი საღრტილსა ჭეშმარიტად [...] მოძღუართა თანა მძოვ მით საღმრთოჲსა სიყუარულისაჲთა ვიკადრებთ გ... . . ათლ... . . და, ადგილთა შინა და წღომითა აღმავსებელი ეგე ჳე[ ... ]. და დამდაბლებული მათათა ბორცუწბისაჲ. რქუაჲ თუ, ცხად არს, ვითარმედ სწავლად, რომელი არა მესწნავა და ცნობად შენდა მრავალ ჟამეულითა სიბრძნითა, ბრძენთა შორის ცხადსა და გამოძიებულსა, მრავალთ საძიებელსა და ფრიად მცირედთ საცნობელსა ვითარებასა და რაოდენთა ყუავილთაგან ერთთგოლობასა ღმრთისმეტყუწლებისა გოლეულთასა.

32 შემორჩენილია ერთადერთი იერუსალიმური ხელნაწერით (Jer.43,1r-4r). ანდერძის პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის რობერტ ბლეიკს (რ. ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან: „მიმოხილველი“, I, ტფ., 1926, გვ. 157-172); იხ. აგრეთვე: ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 71-76; თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა თბ., 1988, გვ. 147-149.



ამისა ქმნაჲ შენდა ჯერ იყო, რომელმან ზედა მიწევნით უწყი რაბამობაჲ ბერძენთა და ქართველთა ენებისაჲ. და ანცა, ყოველი კეთილი და ჯეროვანი შენითა ლოცვითა იოხეს ჩუწნთუს ღმრთისა მიმართ და წმიდათა მისთა, ვინაჲცა მომიტევე მრავალ წელიწდეული და ვიდრე ამის სიტყუს სმენადმდეცა ურჩებაჲ, უფროსლა მოშიშებაჲ, რამეთუ დიდ საკადრებელ იყო ჩემდა შესვლად შეუვალთა. არა თუმცა შენ მეჭუმიე მოსედ და შუამდგომელად, უფროსლა ჴიდად წიაღმყვანებელად ღმრთისა წყალობითა მთხრებლისა მომართ ჩემთა უღირსებთაჲსა. გარნა რაჲ უ[ყო] მახრალობელთა ორ კერძო და მრავალ [კ]ერძო განყოფილთა, ვითარ რომელნიმე ჩემისა სილალით ჰგონებენ მეორედ თარგმნისა კადრებასა, ხოლო რომელნიმე, წმიდასა მას აბრალობენ ს[... . . ] თარგმნისათუს, რომელთა გულსავსები. [ ... . . ]. რეგან წესისა ვს[ ... ... ] არა ვითარცა ღმრთისა და წმიდისა ღმრთის [... . . ], ყოველთა წმიდათა და მათთავე ჩემდად წმიდად გ[ ... შე]რაცხილისა და პირითა აღსარებულისა მამისა ჩუენისა ეფთვმეს მიერად შემირაცხიეს, რაჲცა რაჲ წმიდათა წერილთაგანი გულისჴმა მიყოფიეს, ანუ რეცა მითარგმნია, უვარისმყოფელთა თანა ღმრთისათა იყავნ ნაწილი ჩემი.

რამეთუ ვითარ-ეგე გამოწულილვით უწყის თქუენმან დღითა და მადლითა მიმწცოვნებელმან, არა საღრამატიკოსოთა, არცა საფილოსოფოსოთა, არამედ შემდგომნი თარგმანნი პირველ დამაშურალთა თარგმანთა წიგნებისაგან განვისწავლებით. და ვითარცა ღმრთისად, ეგრეთვე ჩუენთა უწინარესთად შევჴრაცხთ მადლსა მას და მათსა მეოხებასა ძალმწედ ვიჭუმევეთ, ვითარცა ყოველთა წმიდათასა; ამით განვისწავლებით, ამით ვთარგნითცა. არა რაოდენ ჩუენი ღირსებაჲ იყოს, არამედ რაოდენ მათმან და ყოველთა ძმათა და მამათა ჩუწნთა ქართველთა ლოცვამან მოგუანიჴოს; ხოლო უკუეთუ მათთა თარგმნილთაცა შინა რაჲმე ვიხილოთ დაშთომილად, ანუ სისწრაფისაგან, ანუ დედისა და თარგმანთა ვერ პოვნისაგან, ანუ შემდგომთა გარდამწერელთა განრყუნისა, მას არა ჩუწნგან, არამედ სხუათა მიერ საანჯმნო ქმნილსა, შემდგომად სხუათა მიერისა იძულებით დიდითა გამოკითხვითა და მრავალთა წიგნთა და მოძღუართა თანა მიმოსლვითა, შიშით და ძრწოლით, ვიკადრებთ განმართებად; რომელნიმე უკუე შურით

და ჯდომითა, ანუ ვითარ-იგი ვიეთმე თქუჴს ჩემთჴს, თავისა უმჯობესად გამოჩინებისათჴს ვქმნა, ანუ მიქმნიეს, უცხომცა ვარ ცმრთისაგან და ყოველთა წესთა ქრისტიანობისათა. რამეთუ ანბანი ბერძულისა და ქართულისაჲ მათგან მისწავიეს, შემდგომად ღმრთისა, და მიერითგან რაჲცალა ვისგან ვისწავლო, მას მათდავე შევჴრაცხ, რამეთუ მათითა ენითა ვზრახავ და მათითა ყურითა მესმის, და მათითა ჴელითა ვშურები და უკუეთუ მათითავე ჩემდა დატევებულითა კეტებითა და უროებითა მათსა ახოდ გაკაფულსა და ლოდოვანებისაგან ყანობირ ქმნილსა შინა ადგილ-ადგილ სიმაშურალითა დაშთომილი მათდა ძირი ანუ კიდე აღმოვკაფო, ამას მათსა მათთაგან მათდავე შევსწირავთ.

ვინაჲცა ესევე უკუეთუ თჴნიერ შურისა, კრძალულებით გამოძიებითა და ჭეშმარიტის მოყუართა ცნობითა ჩემთაცა ვინმე თარგმნილთა შეამთხვოს განმართლებაჲ შეცთომილისაჲ, უფალმან მისცეს სასყიდელი გულისმოდგინებისაჲ. მხოლოდ ამითვე გულის სიტყჴთა მინებს, რაჲთა მეყოს, ვითარ ესე მე მიქმნიეს და წინაშე ესევითართა განმხილველთა, ვითარ ეგე არს თქუენი საღმრთოდ ზედამხედველობაჲ. გარნა ვითარცა სხუაჲ ყოველი უმეცრებაჲ, ესეცა მომიტევეთ, რამეთუ თავისა განმართებაჲ უცხო არს წესთაგან სამონაზნოთა, და მოზრახვისა ამის ჩემისა მიზეზი არს გულსავესე ყოფისა ძმათაჲსა ნადიერებაჲ, რამეთუ თქუან, საღმრთოჲთა სულითა განბრძნობილთა მამათა და ყოველივე ცხად არს სულისა წმიდისა თქუენ შორის მკვდრობითა განწდილ ყოველი ბნელი უმეცრებისაჲ.

ამას ყოველსა თანა უწყი, რამეთუ ვითარ-იგი პირველ უსმობისათჴს, ეგრეთვე აწ დაყოვნებისათჴს ვიბრალო და ნუვეე მბრალობთ, რამეთუ არა ვითარ ვჴგონებ ექუესეულ, არმედ მრჩობლ ექუესეულცა იქმნეს თუჴნი ჩემისა ამათ ათექუესმეტთა საკითხავთა შრომისანი და მცირედ წარმართ. და დაღაცათუ თქუენ ისწრაფდით შიშითა ამიერ მიცვალებისაჲთა, გარნა ესე ნიჭი ღმრთისა, რომელ ჯერეთ ჴორცთაღა შინა ყოფასა, შენ ჴორცთ ზეშთაჲსასა, ამათ მიიღეს აღსასრული, რამეთუ არცალა შესაძლებელ იყო გარენარად ქმნაჲ ამათ ადგილთაჲ, სადა სიტყუათა შეცვალებაჲ მიხუდებოდა. რამეთუ რაჴამს ცვალებაჲ მინდის სიტყუათა, პირველად თარგმნითა გავჴმართი და თარგმანი არავე კმა ვიყავ უმეტესისა გულსავესებისათჴს, არ-

ამედ უმრავლესი მათ სიტყუათაჲ წერით ანტიოქს შევიცანი და დიდისა საპატრიარქოჲსა ფილოსოფოსთა და მიტროპოლიტთა და თვთ მიერ ყოველთა უბრძნესისა წმიდისა მეუფისა მიერ გამოვიძიე საექჳ ყოველივე.

ვინაჲცა ნუმცა უკვრს, უკუეთუ წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ეფთჳმე ამათგანსა რასმე თანა წარჳდა, და სიჩროებასა ჩუენისა ნათესავისასა სძითა ზრდიდა და მხლითა. ხოლო ან მის მიერ აღზრდილი ერი მისითავე მადლითა მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა. და რამეთუ მას პავლესგან ესნავა ესე და ურწყულობასა ძლიერისა ამის ღმრთისმეტყუელისა წიგნისა ღვნისასა განჳზავებდა წყალთაგან სულიერთა, რაჲამს სიტყუა-სიმოკლე მოძღურისაჲ განავრცის ლიტონისა ერისათჳს, რამეთუ მაშინ ჩუენი ნათესავი ლიტონ იყო და ჩჩულ მისდადმდე, ამისთჳს რაჲსმე თარწმანთაგანიცა წმიდისა სიტყუათა შინა განეზავა.

ხოლო შენ, თავადი ეგე წინამძღუარი ჩუენ მის მიერ აღზრდილთაჲ, მებრვე ამას წადიერ იქმენ, რაჲთა ზედა დართული ყოველი და თარგმანისაგან ჩართული დაუტეო და თვთ წმიდისა ოდენ სიტყუანი მარტოდ ვთარგმნენ. ამის პირისათჳს დიდად დავიყოვნე, და ოდეს ძუჳლმან წამზიდის ზეპირით ჳსოვნებისა ჩუჳულებამან, რამეთუ ძუჳლი წინა არა მდებია, გარნა დაღათუ დავწერი რაჲმე, რომელი არა იყვის დედასა, არ დავიცონი კულად აჳოცად და მართლად დანერად.

ღმერთმან თქუენითა მადლითა აკურთხენ და ნეტარ ყვენ სული ბასილი ღრამატიკოსისაჲ და შეუნდვენ ამის დედისა ჩემდა მომცემელთა, უცთომელად და გამოწულილვით გაემართა და ყოველნი დაჯერებულ იქმნენს ამას დედასა. ხოლო ან, აჳა, თქუენითა ლოცვითა წინა დაგვც ესე. და ძუჳლისა მისდა ყოვლად არა შეხებულ ვართ, და თქუენ მიერ ვევედრები ყოველთა, ან მყოფთა და მომავალთა, რაჲთა მას პატივ სცემდენ, ვითარცა წმიდისა მოძღურისასა და ამას არავე განაგდებდენ, ვითარცა არაწმიდისა და უნარჩევვისა მოწაფისასა. იგი ყოველთა ეკლესიათა ზედა განფენილი ბრწყინავს, ხოლო ესე იშუთ ვიეთსამე იდვას გულისწმისყოფელთათჳს, ესე ცხად ჳყოფდინ სიტყუა-სიმოკლესა და სიღრმესა დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისასა, ხოლო იგი – სიტყუა სივრცესა და განათლებასა წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳმესსა, რამეთუ ესეცა მისივე არს და აჳა უწულილეს გამოძიებული, მასვე გზა უყოფიეს ჩუჳნდა.

ხოლო უკუეთუ ლომი ვერ ციდამტკაველებერ ხლდებოდა კარებსა ფილოსოფოსთასა, ამას ანაცვალე ლომებრივობაჲ მისი და მეუფებრივობაჲ კრთომისაჲ, რამეთუ ყოველი მჭელი ღმრთისმეტყუელისაჲ მას აედვა ურემსა ქართველთასა, ხოლო მე მისთავე სანთლითა ჴუფილნილა აღმიკრებიან დატვრთვად ურემსა მისსა. და უკუეთუ ვინმე იკვრვებდის ამათ ახალ თარგმნილთა სიტყუათა წიგნისა უჩუჭულობასა, ანუ სხუჭობრობასა, ანუ ღმრთისმეტყუელებისასა სიტყუათა მიფარულებასა, რომელი მას ნუუკუედა ერისა არმინდობისათვს სხუჭბრ შეეცვალა, მისთვს მე სინმიდე შენი მყავს მონმედ და ღმერთი, რომელ არა რას ჴელმენიფებოდა თვსით გულით დართვად და სხუჭბრ ცვალებად, ვიდრე დონანთამდეცა. ხოლო ოდეს ესე ზედამინეგნით უჩუჭნო, ანუ თუ ნახოს, ვითარმედ ბერძულსა შინა ეგრეთ არს და ღმრთისმეტყუელსა ეგრეთ უთქუამს, მიერთგან ნულარა მე, არამედ წიგნსა ეშჯოდინ და ღმრთისმეტყუელსა ამისსა გამომეტყუელსა. და ცოდვათა სიმრავლისათვს ვერ ოდეს განვიმართლებ თავსა ჩემსა, რამეთუ ყოველთა კაცთა უცოდვილეს და უუღირსეს ვარ, და არა ჩემთა ღირსებათათვს, არამედ ბერისა საბაჲს ლოცვათათვს ვიჩინე მსახურებასა ამას, რეცა თარგმანებისასა, გარეგან ყოვლისა ღირსებისა და სწავლულებისა. ხოლო მართლისა სარწმუნოებისათვს მზა ვარ სიტყუს გებად ყოველთა გამომეძიებელთა და შევაჩუენებ ყოველსა წვალებასა და წინააღმდეგომსა წმიდათა მამათა და მართლმადიდებელთა კრებულთა სჯულისდებისასა. და ესრეთ მრწამს, ვითარცა ქადაგებს დიდი გრიგოლ ღმრთისმეტყუელი. ხოლო თუ ვითარ, ანუ რასა ქადაგებს, ესე თვთ მას ჴკითხეთ. ხოლო მე მართლმორწმუნესა შვილსა თქუენ ყოველთა კათოლიკე ეკლესიისასა, ცალიერსა ყოველთა კეთილთა საქმეთაგან, წმიდაჲ ლოცვაჲ თქუენი მომმადლეთ წინდად საუკუნოესა ცხოვრებისა და აღმწოცელად ყოველთა უსჯულოებათა, რამეთუ მებრვე ამის სასოებისათვს დამეტევა ტირილი ჩემ ურიცხუთა ბრალთაჲ და ამას რასმე შექცეულ ვიყავ, ვითარცა თქუენ მიერ მომლოდე ჴსნისაჲ. შემინყალეთ ყოველთა და სასაოებასა ჩემსა ნუ არცხუწნთ, რათა თქუენცა ჴპოთ წყალობაჲ უფლისა მიერ და სუფევდით მის თანა უკუნითამდე, ამინ.

Jer.43 ,1r-4r

## ბ) გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიათა თექვსმეტყვიანი კრებულის „ბოლოჲსა ანდერძი“<sup>33</sup>

დიდებაჲ და მადლობაჲ დასაბამსა და სრულმყოფელსა ყოველთა კეთილთასა, წმიდასა სამებასა, ერთარსებასა, რომელმან სრულ ყვნა ათექსუმეტნი ესე საეკლესიონი სიტყუანი დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისანი მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა წმიდათაჲთა და ლოცვითა ბერისა ჩუენისა საბაჲსითა, რომლისა ჴსენებაჲ და ნეტარებაჲ საუკუნო იყავნ წმიდათა თანა, ამინ.

ლოცვაჲ ყავთ იოვანესთჴს ხუცისა მთავარაჲსძისა, რომელმან არა დაგჴშურვა თჴსი ქალაღდი სასურელად და პური საზრდელად თანამდგომითურთ თჴსით, რაჲთა ესრეთ სრულ იქმნეს მრავალჴამეული იძულებითი ბრძანებაჲ სულიერისა მამისა ჩუენისა ბერისა კვირიკე ალექსანდრიელისაჲ კუალად მეორედ ბერძულისაგან თარგმნით ამათ სადღესასანაულოთა საკითხავთაჲთა, რაჲთა ცხად იქმნეს მეძიებელთა მიერ და მაყუედრებელთა, თუ ვითარისა სიღრმისა და სიტყუა-მოკლეობისაგან ვითარად სივრცედ და განათლებაჲ მიენინეს ესენი წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჴმეს, დიდისა პავლეს მსგავსად სძითა მზრდელსა ჩუენისა სიჩრებისასა და ესოდენად ჴასაკად მიმანევენელსა, ვიდრელა ან უმტკიცესისა საზრდელისათჴს აღვისურვეთ, და უკუეთუ ვპოვეთცა, ესე მისთა ოხათა და წინადამაშურალობათაჲ არს, რომელსა ვხადი სასაოდ ჩემდა და ყოველთა მორწმუნეთა და თქუენ ყოველთა სულიერთა შვილთა მისთა, რამეთუ ჩემთა უფალთა და მამათა ლოცვითა ვითხოვ ღმრთისაგან აჴოცასა წმიდათა ბრალთა და უშჴულოებათა ჩემთა, ამინ.

გვეედრები კუალადცა ქრისტეს მცნებისათჴს ყოველთა ღმობით ქმნილისა უღმობელად მიმსთულებელთა, რაჲთა უსა-

33 შენახული ერთადერთ იერუსალიმურ ხელნაწერშია (ყერ. 13, 249რ). პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის რობერტ ბლეიკს, (რ. ბლეიკი, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან: „მიმომხილველი“, I, ტფ., 1926, გვ. 171-172); იხ. აგრეთვე: ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბუჴდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 22-23; თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა თბ., 1988, გვ. 163.

სყიდლოდ ლოცვასა მომიწესნოთ მრავალ საღმობიერად მკვდრი ჯოჯოხეთისაჲ, ყოვლად უბადრუკი მცირე ეფრემ. შემინყალეთ, წმიდანო, შემინყალეთ და სასაოებასა ჩემსა ნუ არცხუწნთ.

Jer.13 , 250r.

## **გ) გრიგოლ ნაზიანზელის ცალკეულ თხზულებებზე დართული ანდერძები**

### **ივლიანეს II განსაქიქებელი სიტყვის (ორ:5) ანდერძი<sup>34</sup>**

დიდება ღმერთსა ყოვლისავე სრულმყოფელსა, რამეთუ აჰა, მეორეცა განქიქება ივლიანესი სრულ იქმნა პირველისავე თანა დიდისა დავით ტბელისა მიერსა, მცირისა ეფრემის მიერ თარგმნილი ბერძულისაგან. ხოლო უბოლოოდ დატევებისათს ნუვის უსრულიცა ჰგონიეს, რამეთუ ბერძულად ესრეთ არს თქუმული წმიდისა, არა ლიტონად, არცა სხუათა აღმწერელთაებრ, არამედ, ვითარ იგი ათორმეტ არიან ჴელოვნებანი ბერძენთა სწავლულებისანი და თითოეული აღმწერელი მით სახითა აღმწერელობს, რაჲცა ჴელოვნება ესწავოს ათორმეტთა მათგან: . ღრამატიკოსობა, გინა ფილოლსოფოსობა, რიტორობა ანუ მკურნალობა, მუსიკელობა ანუ ქუჴყნის-მზომელობა, ვარსკულავთ-მრიცხველობა ანუ ნივთთ-მეტყუჴ/ლება, ჴელოვნებათა საქმე ანუ წესი ბრძოლისა.

არამედ წმიდა ესე და დიდი ღმრთისმეტყუჴლი, ვითარცა ამით ყოვლითა სრულიად სწავლული, ყოვლითავე ამით შეამკობს თქმულთა თვსთა, ამისთვის სხვსა ჴელოვნებისა არს დაბოლოება და სხვსა – არადაბოლოება. ვინაჲცა მე, ვინაჲთგან ოქსინოჲ არა მაქუნდა საოლავად სკარამანგისა, ფლასითა ვერ დავოლევდი, არამედ შედარებულად ბერძულისა უბოლოო უბოლოოდ და დაბოლოებული დაბოლოებულად მითარგმნია. არცა სხვსა საკითხავისა ბოლო ჩემისა ბოლოდ დამიძს, არამედ უკუეთუ ან თარგმნილთა ბოლო სხუათადა ვისმე მიხევეჴის, იგი თვსსავე ადგილსა კვალად მიგია, შემინდევით კადნიერებისათს. "

34 დაცულია ერთადერთ ნუსხაში A292, 218v. იხ. თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა თბ., 1988, გვ. 171.

**გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის „მიმწოდებელთა მიმართ და არადამთხუეულთა“ (ორ.3) ანდერძი<sup>35</sup>**

საცნაურ იყავნ, ვითარმედ ესე საკითხავი ქართულსა შინა არს და ესრეთ იწყებს: „რასათჳს, ძმანო ჩემნო, უდებ იქმენით. “ ესე თავად დაუძს და სიმცროფსათჳს ამისისა "ვიძლიე" თანა დაურთავს. უკანაჲს კულა "ვიძლიე" კიდევანად უთარგმნია, რომლისათჳსცა ამათ ყუჭდრებათა და სხჳსა საკითხავისა სხჳსა თანამოკრებათა აღჰსძრნეს სხუანი იძულებად და მძლავრებად ჩუჭნდა, დიდსა მას კადნიერებასა მეორედ თარგმნისასა, რამეთუ სიგრძისაგან ჟამთასა არა ვიცით, თუ მწერალთაგან შეჰხუდა, ანუ თვთ წმიდასა მამასა ჩუჭნსა ევთიმის დედაჲ ესეგუარ მიჰხუდა, ანუ თვთ რამე განგებულებით ჰყო, ვითარ მას ჟამსა შეჰგუანდა. ხოლო აწ, ვითარ-იგი უწყის თავადმან ჭემმარიტებამან, პირუჭლობისა ჩემისა მრავალთაგან საანჯმნო ქმნილსა გუაყუჭდრებდეს ბერძენნი, და მათთა ყუჭდრებათაგან ბერძენ კირილე (კვრიკე) ალექსანდრიელმან მრავალთა წელთა მძლავრა და კადნიერ მყო მე, ახლად თარგმნად ათექვსმეტთა სადღესასანაულოთა, და ამას ერთსა აპორიტათაგანსა, რომელნი ესე არს ქართულისა შუჭნებითა, არამედ ბერძულისა შედარებითა გვაქმნევს. რამეთუ ქართულად შუჭნიერი თვთ არს და ესეცა და იგიცა შემდგომად უფლისა მამისა ევთიმის მადლისა და წინადამაშურალობისა არს. და იგი ზოგირე უშვერსაგონებლობაჲ უჩვეველობისა არს. ხოლო ათცხრამეტნი იგი აპორიტათაგან, პირველ ჩემგანვე თარგმნილნი სიტყუადართვით და მისივე მამისა და მოძღურისა კვალსა შედგომითა ითარგმნეს ჩემგან, თვთნიერ ამით, ხოლო განყოფილად მათგან, რომელ არცა სხჳსა საკითხავისა სხუასა ჩავრთო, არცა ჯერჩინებით და ნებსით უთარგმნელი სიტყუა დავაგდო მინდობითა ღმრთისა წყალობითა და მისივე მამისა ევთიმის ოხითა და წინადამაშურალობათათა. მომიტევეთ და ლოცუა ჰყავთ.

35 დაცულია ერთადერთ ნუსხაში A292, 282გ. იხ. თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა თბ., 1988, გვ. 174.

**გ) გრიგოლ ნაზიანზელის ჰომილიის „ევნომიანოსთა მიმართ და ღმრთისმეტყველებისათვის წინაგანბჭობა“ (ორ.27) ანდერძი<sup>36</sup>**

ლოცვა ჰყავთ, წმიდანო და ქრისტეს მოყუარენო, ეფრემისთვის თარგმანისა, რომლისა მიერ მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი, რამეთუ ნეტარისა გრიგორი უშკელისა მიერ სომხურიდან თარგმნილი, ესე ოდენ ვჰპოვე. ხოლო მე, სომხურისა წილ ბერძულისაგან კუალად მეორედ ვიძულე თარგმნად, რამეთუ სომეხისა შკლსა, ბერძენისსა შკლისშკლსადა, ნუ უკვე და არა უეჭველსა, თვთ უეჭვ და საკუთარი შკლი აღვირჩივე. შემინდევით ცთომისათვსცა და კადრებისა. "

A 292, 312 r

**დ) ანდერძ-ბოლოსიტყვაობა ნაზიანზელის თხზულებათა სრული კორპუსის თარგმნის დასრულების გამო<sup>37</sup>**

დიდება შენდა, წმიდაო სამებაო, ბუნებით ერთო, ხოლო გუამით სამო, შეურწყმელად შეერთებულო და განუყოფელად განყოფილო, რომელმან ჯერ-იჩინე მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა თანა და მათისა მის ზიარისა სამკაულისა გრიგორი ღმრთისმეტყველისა წყაროჲსათა და ლოცვათა ბერთა ჩემთა საბას და ანტონისითა მომადლებად ჩემ უღირისისა და ყოვლად უმსგავსოსა მონისა მათისა ეფრემ მცირისა, რათა, ვითარცა ძალმან მოვლოკო ნაბიჭვეისაგან დაცვენებულისა წმიდათა მათ პირთაგან ევთიმი მთანმიდელისა და დავით ტბელის ნეშტი საკითხავთა. ამათ, რომელნი აკლდეს ერგასისთა, წმიდისა გრიგორი ღმრთისმეტყველისასა და ან არს მომადლებითა შენითა ქართულადცა უნაკლულო რიცხვ საკითხავთა მისთა, ვითარ-იგი ბერძულად და ყოველივე ბერძულისაგან, და ყოველივე მათითა მადლითა, რომელნი პირუშლ დაშურეს თარგმანებითა და კუალად ამათითა მადლითა, რომელნი ან დაშურეს მლოცველობითა და კადნიერებით ითხოვეს ღმრთისაგან აღტყვიება პირუტყვთ

36 დაცულია ერთადერთ ნუსხაში A292, 312r. იხ. თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა თბ., 1988, გვ. 175.

37 დაცულია ერთადერთ ნუსხაში A292, 331r. იხ. თ. ბრეგაძე, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა თბ., 1988, გვ. 182.



სახისა ამის ცნობისა, რომელ არცაღათუ შთაჭურეტად ღირს ვიყავ სიმაღლესა ამათ სიტყუათასა.

მე, უკუე ძალისაებრ ჩემისა, მეოხებასავე თანა მათსა ძალისაებრი მოსწრაფება დამიძს არარაჲსა სხვსათჳს, არამედ ბერძულისა შედარებისათჳს, არა თავისა ჩემისა მინდობითა, არამედ კითხვითა და გამოკითხვითა კაცთა ბრძენთა და სუ-ლიერთა. ხოლო უკუეთუ რაჲმე უნებლიეთ ცთომილ ვარ მისი, პირველად ღვთისაგან მითხოვეთ შენდობა და შემდგომად მის-სა თქუჴნ მომიტევეთ, რომელნი იკითხვიდეთ, გინა ჰსწერდეთ, გინა კითხვასა ამათსა ისმენდეთ, წმიდანო ღმრთისანო, და ჰსთქუთ წმიდითა პირითა თქუჴნითა აღჯოცაჲ ურიცხვებისა ცოდვათა და უსჯულოებათა ჩემთასა, რაჲთა თქუჴნცა პოვოთ ნყალობა უფლისა მიერ უფლებათასა, რომლისა მიერ საუკუნო იყავნ ჴსენებაჲ პირველმოჴსენებულთა მამათა ჩუჴნთა, ამინ".

A292, 329 r-v

## **მოსაჴსენებელი მცირე სჴმეონისათჳს ლოლოთეცისა და თხრობაჲ მიზეზთა ამათ საკითხავთა თარგმნისათჳს<sup>38</sup>**

სჴმეონ მაგისტროსი და ლოლოთეტი იყო ჟამთა კეთი-ლად-მსახურისა მეფისა ბასილისთა, რომელი იყი საყდრის მჴყ-რობელი ბერძენთაჲ უწინარეს კონსტანტინისსა, ძმისა მისი-სა, რომლისა დღეთა ბრწყინვიდა კეთილად-მოჴსენებული ესე სჴმეონ ლოლოთეტი, კაცი ყოველთა საწარმართოჲთა და გარე-შითა სიბრძნითა სრულიად განსწავლული და ეგრევე შინაგან-თა ამათ და ჩუენთა საეკლესიოთა წიგნთა ძუჴლისა და ახლისა სჯულთა მოსწრაფებით წურთილი, ამას ყოველთა თანა და სუ-ლიერთაცა სათნოებათა მოქმედებასა შინა კეთილად გამოც-დილი, რომლისათჳსცა ვედრებაჲ ფრიადი იქმნა მისსა მიმართ ყოველთა მიერ მორწმუნეთა ერისა, რაჲთა ვითარცა საღმრ-თოჲთა და კაცობრივთა სიბრძითა აღსავსემან და ხედვისა და საქმისა მოლუანემან, ჴელ-ყოს განშუჴნებით წამებასა წმიდათა

38 ტექსტი დაცულია A90 (გვ. 310-314) და K4 (576-579) ნუსხებში. პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის კ. კეკელიძეს (К. Кекелидзе, Симеон Метафраст по грузинским источникам: етйუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V, თბ., 1957, გვ. 223-226.

მონამეთასა და ცხორებასა წმიდათა მამათა და მღვდელ-მოძღუართასა, რომელნი-იგი მაშინ, ვითარცა ჟამი მისცემდა, თხრობისა სახედ ოდენ აღინერნეს თითოეულისა წმიდათაგანისა თანადახუდომილისა ვისგანმე და არა ხოლო ლიტონობასა და სიმარტივესა შინა დაშთეს, არამედ რომელნიმე მათგანნი განირყუნესცა კაცთა მიერ ბოროტთა და მწვალებელთა, რომელთა დრკუნი იგი სიტყუანი მათნი თანაშეჰრინეს ლიტონობას მას თხრობისასა და ცრუეთა მით მართალიცა შეამრღვეს და საეჭუჴლ ყვეს.

ვინაცა ყოვლად ბრძენმან ამან მიითუალა სიტყუად მაიძულებელთა მისთად და გულსმოდგინედ ჴელ-ყო საქმესა მას და წინა დაიდვა „ძუჴლი იგი მონამეთა“, რომელსა „კიმენ“ უწოდიან, ესე იგი არს „მდებარე“ და შეცვალა მეტაფრასად. პირველად შეამკო უშუჴრებად სიტყუსად, ხოლო არა ეგრეთ, ვითარმცა სხუად ძალი შემოელო, არამედ იგივე ძალი პირველად აღწერილისა სიტყუსად შეამკო და აღწერა უბრწყინვალესად. და კუალად შემკობასა თანა უშუერისასა ილუანა სრულიად განგდებად სიტყუსა საეჭუჴლისად და მწვალებელთა მიერ შეძინებულისად. და ორნი ესე დიდნი შემატებანი მისცნა წამებასა წმიდათასა, რამეთუ იფჴლი განწმედილ-ყო ღუარძლისაგან და ყოვლად შუენიერად შეცვალნა უშეჴრებისაგან.

